„საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლი 200 ლარად იყიდება„ A3

ჟორჟოლიანი ზამთარში ამერიკელების იმედი აქვს A4

სდექ! დაგიცავ! A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 22 ივნისი, 2002 წელი. №20

ფასი 50 თეთრი

## თბილისს საკრებულო არ ჰყავს და არავინ იცის, როდემდე

თამარ მჭედლიშვილი

*თბილისს ახალი მოწვევის საკრებულო არ ჰყავს და, ყველა ნიშნის მიხედვით, კარგა ხანს არ ეყოლება. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებენ როგორც პარტიათა წარმომადგენლები, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები.*

**გუშინ თბილისის საოლქო სასამართლომ შექმნილი სიტუაციიდან ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი მოძებნა - ჯერ "სახალხო პარტიასა" და შემდგომ "ეროვნულ-დემოკრატებს" სარჩელების განხილვა გადაუდო.**

სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილების მოტივაცია საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს: ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა შეიმუშაოს ბიულეტენების გადათვლის წესი და გადაამოწმოს არჩევნების შედეგები. თუკი მიღებული სურათი განსხვავებული იქნება დღეს არსებული შედეგების ოქმისაგან, სასამართლო კვლავ მიუბრუნდება პარტიების საჩივრებს და მათ განხილვას გააგრძელებს.

"სახალხოელებსა" და "ეროვნულ-დემოკრატებს" 12 დღის ვადაში საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ. ოფიციალურად, "სახალხოელთა" ლიდერი მამუკა გიორგაძე აცხადებს, რომ იგი ამ უფლებას აუცილებლად გამოიყენებს. პირად საუბრებში კი "სახალხოელები" კმაყოფილები ჩანან – როგორც "24 საათს" პარტიის ერთ-ერთმა აქტივისტმა განუცხადა, **"თბილისის შედეგები სასამართლომ უკვე გააუქმა, რადგან ყველასათვის ისედაც ნათელია, რომ გადათვლის შემდეგ სულ სხვა სურათს მივიღებთ. ყველა უბანში დარღვევები დაფიქსირდება. მერე კი სასამართლოს ჩვენი სარჩელის განხილვა მაინც მოუწევს".** დაახლოებით, ამავეს აცხადებენ "ეროვნულ-დემოკრატები". დავით შუკაკიძე დარწმუნებულია, რომ ბიულეტენების გადათვლა თითქმის ერთ წელს გასტანს.

თავის მხრივ, თვით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უჭირთ იმის თქმა, თუ რამდენი დრო დასჭირდება ახალი წესის მიღებას, რომ არაფერი

გაგრძელება A3 გვერდზე

## ანონსი

დღეს "24 საათის" სტუმარი იქნება შსს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი, რომელსაც შეგიძლიათ დაუსვათ შეკითხვები

**ტელ: 20 24 24**

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | ☼ |
| ქუთაისი | 29 | ☼ |
| ბათუმი | 26 | ☼ |
| სოხუმი | 27 | ☼ |
| ფოთი | 27 | ☼ |
| თელავი | 27 | ☼ |
| ზუგდიდი | 29 | ☼ |
| გორი | 26 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2180 |
| ევრო | 2.1428 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.3274 |
| რუბლი | 0.0704 |

ექსკლუზივი

# დონალდ რამსფელდი: „საქართველოში ამერიკელების ყოფნა რუსეთისთვის პრობლემა აღარ არის"




24 საათი

ეკა კვესიტაძე
**ვაშინგტონი**

სერ დონალდ რამსფელდის ბრიფინგი არ არის უბრალოდ ბრიფინგი, ის უფრო მეტად შოუა, რომელსაც ამერიკის თავდაცვის მინისტრი ჟურნალისტებისთვის დგამს და იუმორის დიდი დოზით აზავებს.

მის ბრიფინგზე კითხვის დასმა, მართლაც, დიდი პრობლემაა და უნდა გაგიმართლოს, რომ ამის საშუალება მოგეცეს. მინისტრი დაკვირვებით ათვალიერებს ჟურნალისტების სახეებს და, მაგალითად, იტყვის :

**- "ამ ახალგაზრდა ქალბატონს საოცარი ღიმილი აქვს, თუ შეიძლება, მიაწოდეთ მას მიკროფიონი".**

70 წლის ამერიკის თავდაცვის მინისტრი საოცრად ენერგიული, უშუალო და მეგობრულია. თუმცა, თუ ჟურნალისტი ერაყთან დაკავშირებით აგრესიულ შეკითხვას უსვამს, ცოტათი ღიზიანდება და პირდაპირ პასუხს თავს არიდებს:

**- "როცა ვინმე ამ საკითხზე რამეს იტყვის, ნათქვამს მაშინვე გაბერავენ. არ მინდა, ჩემი ნათქვამიც გაბერონ, ამიტომ არაფერს ვიტყვი".**

თუმცა, აგრესიული კითხვების თავიდან აცილება სერ რამსფელდს იუმორითაც კარგად შეუძლია.

**- "ბატონო მინისტრო, არსებობს მოსაზრება, რომ თქვენ ძალიან ხისტი და მოუქნელი ხართ, როცა საქმე ერაყს ეხება..."**

**- "ო, არა, შემომხედეთ, მე ძალიან საყვარელი ვარ... ."**

მინისტრი, რომლისთვისაც მთავარი პრობლემების სიაში მსოფლიო ანტიტერორისტული კამპანია, ერაყი, ირანი, ახლო აღმოსავლეთი და ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობაა, ცოტას საუბრობს საქართველოზე და ჩვენს შეკითხვებზე მოკლე პასუხებს იძლევა: - " **წვრთნისა და აღჭურვის პროგრამას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ის საქართველოს ტერორიზმთან ბრძოლაში, სამხედრო პოლიტიკის გაუმჯობესებასა და საზღვრის დაცვაში დაეხმარება"**

***"24 საათი"**: ამ პროგრამის დაწყების შემდეგ საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობა უფრო დაიძაბა, ამერიკელების საქართველოში ყოფნა რუსეთისთვის სერიოზული პრობლემა გახდა.*

**- არაა.., ეს აღარ არის პრობლემა. ამაზე საუბარი უკვე ჰქონდათ პუტინსა და ბუშს. ამ საკითხზე მეც ვესაუბრე რუსეთის თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვს. მათ არანაირი პრობლემა არ აქვთ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამასთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში, მათ ასე განაცხადეს.**

**ის, რომ სასაზღვრო ტერიტორია გაკონტროლდეს და ტერორისტებისთვის სამოთხედ არ იქცეს, ყველას ინტერესში შედის, მათ შორის რუსეთის ინტრესშიც. ეს ასეა, იმისდა მიუხედავად, რასაც არ უნდა ფიქრობდეს ზოგიერთი პოლიტიკოსი რუსეთში.**

***"24 საათი"**: აპირებს თუ არა ვაშინგტონი წვრთვნისა და აღჭურვის პროგრამა აზერბაიჯანში და სომხეთშიც დაიწყოს?*

**- ამ ეტაპზე ჩვენ ასეთი გეგმა არა გვაქვს.**

**რამსფელდი** აცხადებს, რომ კავკასიაში მათი ინტერესი იზრდება, ვაშინგტონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ რეგიონის სტაბილურობას და სამივე ქვეყანასთან თანამშრობლობა მათთვის ღირებული და ურთიერთსასარგებლოა.

# ტორსიდა ზეიმობს

B1



REUTERS

## დარეგულირება გადადებულია საქართველოში უარესი დღეების დადგომამდე...

რუსიკო ნიკურაძე
*საკ. კორ. მოსკოვში*

მინსკიდან ქართული დელეგაცია პოლიტიკური და დიპლომატიური ნოლით გამოისტუმრეს.

**"ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაზე მხარეთა მორიგი კონსულტაციები უშედეგოდ დასრულდა, უფრო მეტიც, სამარცხვინო შედეგით, რადგანაც შუამავალი რუსეთი აფხაზეთზეა გადაფოფრილი და დარეგულირების არავითარი სურვილი არ ეტყობა,"** - ასეთ პოპულარულ ენაზე განუმარტეს "24საათს" მინსკის ჯგუფში ამ მოლაპარაკებების შედეგები.

ბელორუსის დედაქალაქში მყოფმა ჩვენმა ინფორმირებულმა წყარომ გვაცნობა, რომ მორიგ შეხვედრაზე ადგილი ჰქონდა სიტყვიერ დაპირისპირებას საქართველოს დელეგაციის წევრებსა და დსთ-ს სტრუქტურების ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებს შორის. ბუნებრივია, ჩვენებმა საკუთარი პოზიციების გატანა მოითხოვეს და კანონიერადაც. პასუხად ბატონმა ლოშჩინინმა ერთი ნაბიჯითაც არ დაიხია უკან და ჩვენებს აგრძნობინა, რომ რუსეთის ახლანდელი ხელისუფლების ხელში, აფხაზების თავიდან ერთი ღერი თმაც არ ჩამოვარდება (მკითხველმა მოგვიტევოს ასეთი შინაურული ფრაზებისათვის, მაგრამ მოსკოვში ჟურნალისტები სხვა დონის ინფორმაციას არ ფლობენ).

კონსულტაციების მონაწილე ქართული მხარე კომენტარისაგან თავს იკავებს.

სამაგიეროდ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატები ენამჭევრობენ და ჟურნალისტებთან საუბარში აფიქსირებენ, რომ "კონფლიქტის დარეგულირება შეუძლებელია აფხაზეთის პოზიციის გაზიარების გარეშე". ის, რომ საქართველოს რამდენიმე კომპრომისზე უწევს წასვლა, რუსი დიპლომატებისათვის არაფერია, რადგანაც, მათი აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრიობას, შიდაპოლიტიკური სირთულეების გამო, სერიოზული საფრთხე ემუქრება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## საგაზაფხულო სესია დასრულდა

### *მალე ის რიგგარეშე ფორმით გაგრძელდება*

გიორგი ასანიშვილი

ქართველი პარლამენტარები იმ ზარმაც სტუდენტებს ჰგვანან, მთელი სემესტრის განმავლობაში რომ არაფერს აკეთებენ, მხოლოდ ჩათვლა-გამოცდების მოახლოებისას დაფაცურდებიან ხოლმე და ყველა საგნის ერთბაშად "მიხრჩობას" მაშინ ცდილობენ, მაგრამ ამას ვერაფრით ახერხებენ. მართლაც, საგაზაფხულო სესიის ბოლო დღისთვის კანონმდებლებს იმდენი "კუდი" დაუგროვდათ, რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, მთელი წლის განმავლობაში გვერდზე გადადებული, მაგრამ აუცილებლად მისაღები კანონპროექტებისთვის ერთ დღეში მოეღოთ ბოლო.

**- აფხაზეთის საკითხი;**

**- "ადვოკატთა შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანა;**

**- მთავრობის ანგარიში 2002 წლის ოთხი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;**

**- საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა;**

**- მთავრობის ანგარიში 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 4 თვის შესრულების შესახებ;**

**- გაეროში საქართველოს წარმომადგენლის დანიშვნა;**

**ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა.**

ამ და დღის წესრიგში შეტანილ უამრავ სხვა საკითხთაგან, თითოეული ისეთი "სიმძიმისაა", რომ მათ "აწევას" საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ამიტომ, თავის მოტყუება იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ პარლამენტარები გუშინ დღის წესრიგს ამოწურავდნენ და შემოდგომამდე გამოემშვიდობებოდნენ ამომრჩევლებს.

სასწაული მართლაც არ მოხდა და ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა თავისი სახე. თითქოს თავისი ტრადიციული უპასუხისმგებლობა არ კმაროდაო და გუშინ პარლამენტს განგებამ თავს კიდევ ერთი უბედურება დაატეხა: იაპონია-კორეაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატმა მთლიანად არია კანონმდებელთა მუშაობის რეჟიმი

გაგრძელება A2 გვერდზე

## კალაშოვი თავად გამოცხადდა პროკურატურაში

### გია ჯიქიას ბედი კი კანცელარიის მაღალ კაბინეტებში წყდება

სოფიკო ჩხაიძე

*ნატახტართან დიდძალი იარაღის დაკავების გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას, გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატი გააგრძელებს. სამხედრო პროკურატურა, რომელიც აქამდე მუშაობდა ამ საქმეზე, გამოძიებას ჩამოშორდა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს გენერალურმა პროკურორმა მას შემდეგ, რაც სამხედრო პროკურატურამ კანონიერი ქურდის შაქრო კალაშოვის დაკითხვა მოახერხა.*

გაგრძელება A7 გვერდზე

## გამოადგებათ თუ არა ჩრდილოეთ ირლანდიის გამოცდილება ქართველებსა და აფხაზებს

კობა ლიკლიკაძე
*„რადიო თავისუფლება„, სპეციალურად „24 საათისთვის„ ბელფასტი-ლონდონი*

***თუკი სხვათა გამოცდილებაზე დაკვირვება რაიმე შედეგს იძლევა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ 11-19 ივნისს, ბელფასტსა და ლონდონში მყოფ საქართველოსა და არაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის დელეგაციის წევრებს ნამდვილად არ გაუმართლათ. ოლსტერის სამშვიდობო მოწესრიგების პროცესი, რომელიც სათავეს ბელფასტის 1998 წლის შეთანხმებიდან იღებს და რომელმაც შეაჩერა კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის 30-წლიანი სისხლიანი დაპირისპირება, ქართულ-აფხაზური ურთიერთობიდან განდევნილი გონივრული კომპრომისის შედეგია.***

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ათი წლის განმავლობაში, დაპირისპირებული მხარეების დასაახლოებლად და მოლაპარაკების მაგიდასთან მისაყვანად, შეხვედრა გაიმართა. მაგრამ, თუ ბოლო ხანებამდე ამ ღონისძიებას საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველოს მეგობარი ქვეყნების მთავრობები თაოსნობდნენ, ორი წლის წინ ამ საქმიანობაში მესამე სექტორიც ჩაება.

ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია "შერიგების რესურსი", რომელიც თანამედროვე კონფლიქტების მოწესრიგების პრობლემებზე მუშაობს, ამ თვალსაზრისით

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 პოლიტიკა A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B1 სპორტი B2 სპორტი B3 სპორტი B4 სპორტი B5 სპორტი B6 კულტურა B7 სტილი B8 სხვადასხვა

# საგაზაფხულო სესია დასრულდა

## მალე ის რიგგარეშე ფორმით გაგრძელდება



*როცა ფეხბურთი პოლიტიკაზე მაღლა დგას.*

პირველი გვერდიდან

და პლენარული სხდომის დაწყება მხოლოდ სამ საათზე გახდა შესაძლებელი.

თუმცა, არსებობს არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ საპარლამენტო ქაოსი ხელოვნურად არის შექმნილი და ის გარკვეული ძალების ინტერესებში შედის. ასეთი ეჭვი გუშინ დეპუტატმა ზურაბ ტყემალაძემაც გამოთქვა, რომელიც ვარაუდობს, რომ საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა სპეციალურად იბლოკება. თუ მკითხველი ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს კიდევ ერთხელ გადაავლებს თვალს და მათ დაჯგუფებას პარლამენტში არსებული პოლიტიკური გუნდების ინტერესების მიხედვით შეეცდება, ადვილად მიხვდება, რომ ამ ინტერესთა თანხვედრა, პრაქტიკულად, გამორიცხული იყო და ამდენად, კენჭისყრამდე ამა თუ იმ საკითხის მიყვანა ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებში არ შედიოდა. შედეგად –მთლიანობაში სხდომის უნაყოფობა თითქმის ყველას აძლევდა ხელს.

მაშინაც კი, როდესაც რომელიმე საკითხზე, თითქოს, კონსესუსი იძებნებოდა, დეპუტაცია უმალვე რწმუნდებოდა, რომ თანხმობა მოჩვენებითი იყო. ამის მაგალითად ჯართისა და ფერადი ლითონების საკითხის მოყვანა შეიძლება, როდესაც ილუზორული შეთანხმება კენჭისყრის შედეგებით არ დადასტურდა. პარლამენტმა გუშინ მხოლოდ რამდენიმე ტექნიკური ხასიათის კანონპროექტის მიღება მოახერხა, რომლებსაც არც ერთი გუნდისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

გადაწყდა, რომ ახლო მომავალში ჩატარდება რიგგარეშე სესია, რომელზეც დეპუტატები, გუშინდელი დღის შემდეგაც ჰაერში გამოკიდებულად დარჩენილ, უმნიშვნელოვანეს საკითხებზე იმსჯელებენ.

# „იღბლიანი იოსები“ ძიებას არ ეხმარება

რუსიკო ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

იური ლუჟკოვის პრეს-მდივანმა სერგეი ცოიმ მოსკოვში ჟურნალისტებს უთხრა, რომ “მოსკოვის ხელისუფლება ორჯონიკიძეზე თავდასხმას აფასებს, როგორც ვიცე-მერზე განხორციელებული პირველი ტერაქტის გაგრძელებას, როგორც ხელისუფლებასთან შეიარაღებული ბრძოლის ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს. იქნებ, ახლა მაინც, მოსკოვის სამართალდამცავმა ორგანოებმა ბოლომდე მიიყვანონ ქილერების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები, რადგანაც ძიების ხელთ არსებული მონაცემებით, შესაძლებელია არა მარტო შემსრულებლებზე, არამედ ამ ტერაქტის შემკვეთებზე გასვლაც”.

მოსკოვში ვიცე-მერზე თავდასხმის რამდენიმე ვერსია ფიგურირებს. მერიაში გამართულ ბრიფინგზე გააკრიტიკეს მოსკოვის სამართალდამცავი ორგანოები და მილიციის ხელმძღვანელობაში მოსული პეტერბურგელი უფროსობა, რომელიც სიტუაციას ვერ აკონტროლებს. ამის დამტკიცება დიდი ხანია სურდა იური ლუჟკოვს და დაამტკიცა კიდეც. ესეც რომ არ იყოს, დღემდე ყველას ახსოვს პრეზიდენტ პუტინის სურვილი, მოსკოვის ხელისუფლების ხელმძღვანელობის გადახალისებაზე, ანუ იქ ახალი, პეტერბურგული სისხლის შეშვებაზე, რასაც გამოცდილი მერი არ დაეთანხმა; ...და მიიღო ომი, რომელსაც დღეს ერთადერთი შემკვეთი და შემსრულებელი ჰყავს - კრემლი. უფრო მეტიც, მოსკოვში მერიასთან დაახლოებული პირები და მაღალჩინინნი დამკვირვებლები ამტკიცებენ, რომ ორჯონიკიძის მოშორებაში, პირველ რიგში, იური ლუჟკოვია დაინტერესებული, რადგანაც მისი უკანასკნელი პოლიტიკური მოღვაწეობით თუ ვიმსჯელებთ,მოსკოვის მერს სულაც არ სურს “ატამანის განაწყენება”, ანუ პროპრეზიდენტულ საფრაქციო ბლოკში, ევგენი პრიმაკოვთან ერთად, ლუჟკოვის გაწევრიანება არაფერს ნიშნავს, თუ არა კრემლის ნებისმიერი მითითების უსიტყვო შესრულებას.

სამწუხაროდ, სოსო ორჯონიკიძე დუმს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, იგი არ ასახელებს სავარაუდო მტრებსაც, იმ უბრალო მიზეზით, რომ მან დღეს იმაზე მეტი იცის, ვიდრე უნდა იცოდეს. მოსკოვის ვიცე-მერს, მტრებთან ერთად, ბევრი მაღალჩინიანი მეგობარიც ჰყავს, რომლებიც დღეს მას, უბრალოდ, თანაუგრძნობენ და პრაქტიკულად არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ მისთვის.

სამწუხარო და დამაფიქრებელია ისიც, რომ ამ “დაუძირავ ქართველთან” კრემლი ისევ ჩეჩნური კრიმინალის ხელით აპირებს ანგარიშისწორებას, იმ მილიარდების გულისათვის, რასაც მოსკოვი რუსეთის ინვესტიციების უმდიდრესი ორმოდან ხარბად ისრუტავს. პრეზიდენტ პუტინს ეს მოსვენებას არ აძლევს.

უკანასკნელ პერიოდში რუსეთისათვის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ყველა პოლიტიკური მოვლენა ნევისპირა ქალაქში ჩატარდა და იქ გაფორმდა აშშ-რუსეთს შორის ეპოქალური მნიშვნელობის დეკლარაციები. ესეც რომ არ იყოს, პუტინმა აღარ იცის, რა უყოს ამ თავკომბალა-მოსკოვს. აღარ იცის და ...შედეგად რუსეთის პარლამენტი ღებულობს კანონს ექსტრემიზმის შესახებ, რუსეთის სპეცსამსახურებს მოსკოვში ღარიბი პროვინციებიდან სატვირთო მანქანებით ჩამოჰყავთ დამშეული, გაუნათლებელი და ცენტრზე აღრენილი ახალგაზრდები - ესეც თქვენ თანამედროვე ექსტრემიზმი, “სკინჰედების “ უნიფორმით, მაღალყელიანი “ბათინკებითა” და “შავ უკანალებზე” დაგეშვით. პუტინმა აღარ იცის, რითი უშველოს რუსეთის დამშეულ გუბერნიებს, ამიტომ კრემლმა მოიგონა ახალი და საშიში თამაში-ღარიბების ბუნტი მდიდრების წინააღმდეგ, რაც საფეხბურთო მატჩის შემდეგ მოსკოვის ცენტრის დარბევით დაგვირგვინდა. ახლა უკვე ცნობილია, რომ მოსკოვის მილიციას იმ დღეს ძალოვანი სტრუქტურებიდან სტიქიურ უწესრიგობებში ჩაურევლობის ბრძანება ჰქონდა მიცემული. ესეც თქვენ მორიგი ტერორისტული აქტი - გაფრთხილება ყველა არარუსისა და არაღარიბისადმი. ვლადიმირ პუტინი, ალბათ, დედაქალაქს პეტერბურგში გადაიტანს, მანამ კი, თანამოაზრეთა ხელით გაუსწორდება ყველას, ვინც არ ეწერება კრემლის “პროვინციული ფაშიზმის” მეტად აქტუალურ სცენარში. ამიტომ დუმს დღეს სოსო ორჯონიკიძე. მისი ახლობლები კი მეორე დღეა შოკში არიან და სანთლებს ანთებენ.

მოსკოველი ქართველები ერთმანეთში ჩურჩულებენ, რომ ვიღაცას ძალიან არ სურს ეროვნებით ქართველი მაღალჩინოსნის ასე აღზევება ქალაქის ხელისუფლებაში, რადგანაც რუსეთში ილვიძებს პროვინციული ფაშიზმი. ამ დღეებში ბევრი მოსკოველი ქართველი ამტკიცებს, რომ ვიცე-მერზე თავდასხმას, ვიღაცა კავკასიური საქმის გარჩევად გაასაღებს და შემდეგ მოითხოვს ერთმანეთს გადამტერებული “შავებისაგან” დედაქალაქის გაწმენდას. ეს ჰიპოთეზაც ეწერება კრემლის დღევანდელ სცენარში.

სოსო ორჯონიკიძე გუშინ სამსახურში ჩვეულებრივად მოვიდა და მილოცვებთან ერთად ახალი ტიტულიც მიიღო; “იღბლიანი იოსები”-ასე მონათლეს მოსკოველმა ჟურნალისტებმა.

21 ივნისს ცნობილი გახდა, რომ გუშინდელი ტერაქტის დროს ორჯონიკიძის მცველის ხელით მოკლული ქილერი, სალავატ ჯაბრაილოვი PLAZA-ს (პლაზა)ჯგუფის უფროსის, უმარ ჯაბრაილოვის მკვიდრი ბიძაშვილია. სალავატი ხელმძღვანელობდა მოსკოველი ბიზნესმენების ერთ-ერთ სადამცველო ორგანიზაციას, მაგრამ მოსკოველ ჟურნალისტებს რაღაც ეჭვი ეპარებათ, რომ პროფესიონალი მცველი ვინმეს მოსაკლავად საბუთებით და ისეთი პისტოლეტით წასულიყო, რომელიც დაჟავშნულ “ვოლვოს” ვერაფერს დააკლებდა. აქ რომ ყველაფერი რიგზე არ არის, ეჭვი არავის ეპარება, სამართალდამცავი ორგანოების გარდა.

უმარ ჯაბრაილოვის გვარი ორჯონიკიძეზე პირველი ტერაქტის დროსაც ფიგურირებდა, ამიტომ მოსკოვის მილიციას დანაშაულის მოტივზე სპეციფიკური ვერსიაც გაუჩნდა. ჯაბრაილოვი და ორჯონიკიძე პირველ ტერაქტამდე მეგობრობდნენ, შემდეგ მათი ურთიერთობები დაიძაბა და მოხდა კიდეც პირველი თავდასხმა. თუმცა დღეს უმარ ჯაბრაილოვმა მოსკოვში ჟურნალისტებს საკუთარი პრესმდივნის პირით განუცხადა, რომ იგი ორჯონიკიძეს დიდ პატივს სცემს და არ იცის, საიდან ეზრდება ყურები მთელს ამ ისტორიას.

ცნობილია, რომ ორჯონიკიძე და ჯაბრაილოვი საქმიანი პარტნიორები იყვნენ. სწორედ ორჯონიკიძის წყალობით მიიღო უმარმა მოსკოვის ბევრ სასტუმროზე კონტროლის უფლება. პირველ ტერაქტამდე კი მათ შორის შავმა კატამ გაირბინა, სასტუმროების ბიზნესიდან მოსკოვის ხელისუფლებაში ჩაურიცხავი თანხების გამო. პირველი ძიება უშედეგოდ დამთავრდა. რუსეთის გენერალური პროკურატურა ამტკიცებს, რომ ეს ორჯონიკიძის ბრალია, რადგანაც იგი დღემდე ჯიუტად დუმს. სანამ მოკლულ ქილერს მთელი მისი სანათესაო არ ამოიცნობს, ნაადრევია მისი ვინაობის დადგენა. ასეთი პოზიცია აქვს თავად უმარ ჯაბრაილოვს.

კარგად ინფორმირებული წრეების ცნობით, ძიებაში რამდენიმე ვერსია ფიგურირებს. აქედან ყველაზე სოლიდურია “ნაგატინის ტაფობში” “ფორმულა-1”-ის მშენებლობის პერიპეტიები. ეს ადგილი თავდაპირველად მოსკოვის უმსხვილესი კაზინოების მესაკუთრეებს გაუნაღდეს. შემდეგ, ავტოტრასის მშენებლობაში მოზიდული ინვესტიციების მიზეზით, მათ უარი უთხრეს. კაზინოების მეპატრონეთა უმრავლესობა დღეს შავი სამყაროდანაა. ასე რომ, არ არის გამორიცხული, რომელიღაც მაღალ კაბინეტში მჯდარმა შემკვეთმა, ეს სტრუქტურები საქმეში ჩართო.

ორჯონიკიძეზე თავდასხმა, ბოლო ოთხ წელიწადში მოსკოვის ხელისუფლების წარმომადგენლებზე განხორციელებული ტერაქტების სიაში, მეშვიდე შემთხვევაა, რომელიც, წინამორბედებისაგან განსხვავებით, ამჯერად ბედნიერად დასრულდა.

# უზბეკეთის დემარშმა სუამის მომავალი უფრო ბუნდოვანი გახადა

ზაზა წულაძე

*2 ივლისს, აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, სუამის ფორუმში დარჩენილი ოთხი სახელმწიფოს - საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას საგარეო საქმეთა მინისტრები კიდევ ერთხელ შეეცდებიან, დაარწმუნონ უზბეკი კოლეგა, რომ უზბეკეთმა გადახედოს საკუთარ გადაწყვეტილებას - დატოვოს სუუამის რიგები. ოფიციალურმა ტაშკენტმა გასულ კვირას გამოაცხადა, რომ მისთვის, არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად, სუუამში დარჩენა მომგებიანი აღარ არის. ამ განცხადების შემდეგ, სუუამის ფორუმმა, აბრევიატურიდან ერთი უ-ს გაქრობასთან ერთად, გაერთიანების ფორმალური საფუძველიც დაკარგა.*

1997 წელს, სტრასბურგში, საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას მიერ სუამის პოლიტიკურ-საკონსულტაციო ფორუმის დაფუძნება, მეტწილად, განპირობებული იყო სურვილით, ამ ქვეყნებს, დაპირისპირებულ რუსეთთან დიალოგში, ერთობლივად ეპოვათ ახალი არგუმენტები და მნიშვნელოვან ფორუმებზე (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) ერთიანი პოზიციით გამოსულიყვნენ. “ოთხეულმა” ასევე პრიორიტეტად დაისახა, დაეწყო რეგიონული ინტეგრაცია თითოეული მათგანის პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის, სტრატეგიულად მნიშვნელოვან სატრანსპორტო დერეფან “ევროპა-კავკასია-აზიის” ფარგლებში.

ამ ხნის მანძილზე სუუამის ფორუმის ლამის ერთადერთ წარმატებად, ორი წლის უკან მასში უზბეკეთის გაერთიანებას თუ მივიჩნევთ. ამ ნაბიჯით უზბეკეთმა, როგორც ცენტრალური აზიის ძლიერმა და მდიდარმა ქვეყანამ, ერთი მხრივ, უფრო რეალური გახადა სუუამის გაერთიანების ფორმალური საფუძველი – ევროპა (უკრაიანა, მოლდოვა) - კავკასია (საქართველო, აზერბაიჯანი) - აზიის (უზბეკეთი) სატრანსპორტო დერეფნის ფორმირების სახით; მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სივრცეში სუუამის უშუალო კონკურენტს, დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებაში მონაწილე ქვეყანათა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს. უზბეკეთი სწორედ მას შემდეგ გაერთიანდა სუამში, რაც დემონსტრაციულად დატოვა დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება.

ამერიკის შეერთებული შტატების დიდი მხარდაჭერის მიუხედავად, ხუთი წლის მანძილზე სუუამმა ვერ შეძლო მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევ რეგიონალურ გაერთიანებად დამკვიდრება; უფრო მეტიც, სუუამის ქვეყნებში არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა და დსთ-ს სივრცეში აღმოცენებულმა სხვა გაერთიანებებმა, სუუამის ფორუმში მონაწილე სახელმწიფოები ამ ხნის მანძილზე უფრო დააშორეს ერთმანეთს, ვიდრე დააახლოვეს.

მოლდოვაში კომუნისტების გამარჯვებამ ეს ქვეყანა დსთ-ს სივრცეში არსებული ორი პრომოსკოვური ბლოკის – რუსეთ-ბელორუსის კავშირისა და ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობისკენ გადახარა.

უკრაინა, რომელიც სუუამის შექმნის მთავარი ინიციატორი იყო, თავიდან ამ გაერთიანებას განიხილავდა, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ალტერნატიულ გზას, რომელსაც უნდა შეესუსტებინა უკრაინაზე რუსეთის ენერგეტიკული გავლენა. კიევი ბოლო დრომდე აქტიურად ლობირებდა ევრაზიული ნავთობის ტრანსპორტირების დერეფნის შექმნას, თუმცა მას შემდეგ, რაც კასპიის ნავთობის, აზერბაიჯანიდან საქართველოზე გავლით, თურქეთში გადაქაჩვა გადაწყდა და ცნობილი გახდა აზერბაიჯანის საბადოებზე ნავთობის რეალური მარაგი, უკრაინის დაინტერესება სუუამის მიმართ შედარებით შენელდა. ამაზე იმანაც იმოქმედა, რომ ლეონიდ კუჩმას ხელისუფლებას რეალურად დასჭირდა შიდაპოლიტიკურ სცენაზე მოსკოვის მხარდაჭერა.

ყველაზე დიდ იმედებს სუუამზე საქართველოსა და აზერბაიჯანში ამყარებდნენ. საქართველოს პრეზიდენტი ბოლო დრომდე დარწმუნებული იყო, რომ სუუამს დიდი მომავალი ჰქონდა, მეტიც, იგი არ გამორიცხავდა ამ გაერთიანებაში დამკვირვებლის სტატუსით რუმინეთისა და ბულგარეთის ჩართვასაც. შევარდნაძე განსაკუთრებით გამოჰყოფდა სუუამის მთავარ პლიუს – მასში ცენტრალური აზიის ისეთი ძლიერი სახელმწიფოს ყოფნას, როგორიც უზბეკეთია, მაგრამ დღემდე საქართველო გაცილებით მეტ მოგებას ნახულობს ტრასეკას პროექტების ფარგლებში, ვიდრე - სუუამში. აზერბაიჯანის მთავრობას კი, ბოლო დრომდე, დიდი იმედი ჰქონდა, რომ, შეერთებული შტატების დახმარებით, მოკლე დროში მოხდებოდა სუუამის სივრცეში თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფორმირება, რაც ამ რეგიონული გაერთიანების მიმართ ინტერესს გაზრდიდა.

ყველაზე საინტერესო და რეალური დამოკიდებულება სუუამის მიმართ სწორედ უზბეკეთს ჰქონდა. 1999 წელს, იმ დროს, როცა უზბეკეთის უსაფრთხოებასა და პრეზიდენტ ისლამ ქარიმოვის ძალაუფლებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ისლამური ოპოზიციისგან სერიოზული საფრთხე დაემუქრა, ტაშკენტმა მიიღო ვაშინგტონის რჩევა და სუუამში გაერთიანდა. დღეს ტაშკენტისთვის აბსოლუტურად სხვა სიტუაციაა: ქვეყნის ტერიტორიაზე შეერთებული შტატების სამხედრო ბაზებია განლაგებული, ისლამური ოპოზიცია განადგურებულია, ავღანეთიდან მისი შემოჭრის საფრთხე აღარ არსებობს, ოპოზიციის ლიდერი ჯუმა ნამანგარი ამერიკული ავიაციის მასირებული დაბომბვების პირველსავე დღეებში დაიღუპა. დღეს უზბეკეთისთვის გაცილებით მომგებიანია იმავე ამერიკასთან ორმხრივი ურთიერთობები (აშშ-სთვის უზბეკეთი რეგიონში მთავარი სტრატეგიული პარტნიორია, წელს დსთ-ს სივრცეში აშშ ყველაზე დიდი თანხით, 193 მილიონი დოლარით სწორედ უზბეკეთს დაეხმარება). ტაშკენტისთვის ეკონომიკურად ასევე გაცილებით მიმზიდველია, ითანამშრომლოს ახლახან დაფუძნებულ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციასთან და იმავე რუსეთ-ყაზახეთ-ტაჯიკეთის სამეულთან. ტაშკენტმა პირველ მარტს ამ ქვეყნებთან უკვე გააფორმა დიდი ხელშეკრულება, რეგიონში ბუნებრივი აირის მოპოვების სფეროში.



*ქარიმოვი მიდის.*

ИТАР-ТАСС

აღსანიშნავია, რომ ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ფეხის მოკიდებისა და ნატო-რუსეთის დაახლოების შემდეგ, სუამის ფორუმის მიმართ ერთიანი პოზიცია შეერთებულ შტატებსაც აღარ აქვს. მართალია, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა საჯაროდ მოუწოდა ტაშკენტს, გადასინჯოს სუუამის დატოვების გადაწყვეტილება, მაგრამ ეს განცხადება ფორუმში მონაწილე სხვა ქვეყნების მხარდაჭერას უფრო ჰგავდა, ვიდრე რეკომენდაციას. უზბეკეთი არც მალავს, რომ სწორედ ვაშინგტონთან მოთათბირების შემდეგ დატოვა სუუამი. სწორედ იმ პერიოდში, ამ მიზნით, ტაშკენტში იმყოფებოდა ამერიკის სახელმწიფო მდივანის თანაშემწე ევროპისა და აზიის ქვეყნებში ლინ პასკო.

სუუამიდან უზბეკეთის გასვლა ძირს უთხრის ამ გაერთიანების ფორმალურ საფუძველს – თანამშრომლობას ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ფარგლებში. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სუამის ფორუმის მონაწილე ქვეყნების პირდაპირი ზეწოლა ტაშკენტზე შედეგს არ გამოიღებს. უზბეკეთი უკან აღარ დაბრუნდება. ბაქოს სამიტზე სუამი-ს დაშლის პროცესი, ალბათ, შეჩერდება და ეს ფორუმი კვლავ გააგრძელებს ცოცხალ-მკვდარ მდგომარეობაში არსებობას.

# „ვირკ„-ს ჯავახეთი საქართველოს ფედერაციაში შეყავს

ჯავახეთის სომხური მოსახლეობის პოლიტიკური ორგანიზაციის, “ვირკის” თანათავმჯდომარემ დავით რსტაკიანმა “პრაიმ-ნიუსთან” ინტერვიუში განაცხადა, რომ 62-ე რუსული სამხედრო ბაზა ჯავახეთში უნდა დარჩეს, ხოლო საქართველო ფედერალურ სახელმწიფოდ უნდა ჩამოყალიბდეს, რომელშიც ჯავახეთი სრულუფლებიანი წევრის სტატუსით შევა. ჯავახეთის საზღვრების გარკვევა კი “ადგილობრივი რეფერენდუმით” მოხდება.

განცხადებების ეს კასკადი რსტაკიანმა ინტერვიუში უფრო განავრცო. მისი თქმით, “ვირკში” უკვე 15 ათასამდე ადგილობრივი სომეხი მოსახლეა გაერთიანებული. ისინი მხარს უჭერენ ჯავახეთში რუსული სამხედრო ბაზის დარჩენას. თანაც არა იმიტომ, რომ ბაზა ადგილობრივ მოსახლეობას შემოსავალს აძლევს, არამედ იმიტომ, რომ რეგიონში მცხოვრები სომხებისა და რუსეთის პოლიტიკური ინტერესები “ერთმანეთს ემთხვევა”. “ვირკის” თანათავმჯდომარის განცხადებით, ადგილობრივი ქართული მოსახლეობაც რუსული ბაზის გაყვანის წინააღმდეგია.

ახლანდელ ეტაპზე საქართველოს პოლიტიკა ჯავახეთის მიმართ, რსტაკიანის განცხადებით, “განზრახ ანტისომხურია”. საქართველოს “მართავენ გარეშე ძალები, როგორებიცაა თურქეთი და ევროპული ბლოკი”.

რსტაკიანი მიიჩნევს, რომ საქართველოში ეროვნული თანხმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ ქვეყანა ფედერაციული პრინციპით მოეწყობა. ჯავახეთი ფედერალური საქართველოს წევრი უნდა გახდეს. თავად ჯავახეთის, როგორც ფედერაციის წევრის, ტერიტორიული საზღვრები, რსტაკიანის აზრით, “ადგილობრივი რეფერენდუმის” საფუძველზე უნდა გადაწყდეს. “ვირკის” თანათავმჯდომარე აცხადებს, რომ ის და მისი თანამოაზრეები მზად არიან ითანამშრომლონ საქართველოს იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც ქვეყნის ფედერალურ მოწყობას უჭერენ მხარს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ზესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# თბილისს საკრებულო არ ჰყავს და არავინ იცის, როდემდე



ელენე თევდორაძე სასამართლოს განცხადებას გადასცემს



სახალხოელები განაჩენს ელიან

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

პირველი გვერდიდან

ვთქვათ, თავად გადათვლის პროცესზე. "24 საათის" ინფორმაციით, ბიულეტენები ცესკოს შენობის საქვაბურშია მიგდებული და მათი ხელახალი გადახარისხება, თითქმის შეუძლებელია. უბნების მონაცემები ერთმანეთშია არეული და დაკარგულია ძალიან ბევრი საარჩევნო კონვერტი. ამის მიუხედავად, ცესკოს მაინც მოუწევს სასამართლოს მითითების შესრულება. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მკაცრი დირექტივის მიუხედავად, სასამართლო კოლეგიამ ცესკოსთვის კონკრეტული ვადების დასახელება საჭიროდ არ მიიჩნია.

რაც შეეხება გუშინდელ პროცესს, თავიდანვე გაჩნდა იმის საშიშროება, რომ იგი წმინდა პოლიტიკური ხასიათის გამხდარიყო. საქმე ის არის, რომ სხდომის დაწყებისთანავე დარბაზში ჟვანიას გუნდის ერთ-ერთი აქტიური წევრი ელენე თევდორაძე გამოჩნდა, რომელმაც მოსამართლეებისათვის "გაერთიანებული დემოკრატების" განცხადების გადაცემა სცადა.

**"დღეს ხელისუფლებას სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ გამოიყენოს ოპოზიციური პარტიების სამართლიანი სარჩელები საარჩევნო პროცედურების დარღვევებთან დაკავშირებით, იმისთვის, რომ მთლიანად გააუქმოს არჩევნების შედეგები, ვინაიდან სასამრათლო წინასაარჩევნო პერიოდში უკვე არაერთგზის იქნა გამოყენებული ხელისუფლებისათვის არასასურველი პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ... არჩევნების შედეგების გაუქმება შექმნის ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის უაღრესად საშიშ პრეცედენტს. ყოველ შემდგომ არჩევნებზე ხელისუფლება გაიმეორებს 2 ივნისის ვაკხანალიას და იმ შემთხვევაში, თუ მაინც ვერ გაუმკლავდება მოსახლეობის არჩევანს, ყოველთვის შეეცდება არჩევნების შედეგების სრულ გაბათილებას, მართული სასამართლოს საშუალებით. მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებას არ უნდა მიეცეს საშუალება, თავისი სურვილისამებრ სრულიად უგულებელყოს ამომრჩეველთა ნება. არჩენვების შედეგების გაუქმება დღეს ხელისუფლების ინტერესებშია..."** - ასე აფასებდნენ "გაერთიანებული დემოკრატები" გუშინდელი პროცესის მნიშვნელობასა და დანიშნულებას.

მოკლედ, ვითარება ლამის კომიკურ ელფერს იძენს – არავინ იცის, როდის ამოქმედდება ახალი საკრებულო, ძველისთვის კი უფლებამოსილება არავის გაუგრძელებია. თუმცა, გუშინ პოლიტიკურ კულუარებში უკვე სიმშვიდე სუფევდა – შემოდგომისთვის არჩევნების გადატანის საფრთხეზეც უკვე ნაკლებად საუბრობდნენ. ერთადერთი, რაზეც პოლიტელიტა, ალბათ, გარიგებებს ვერ ასცდება, მანდატების ერთმანეთში გადანაწილება იქნება. ამ მხრივ, შესაძლოა, ავთო ჯორბენაძის "მოქკავშირმა" საკუთარ ამომრჩევლებს სიურპრიზიც კი მოუმზადოს.

# „საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლი 200 ლარად იყიდება„

ვერიკო თევზაძე

*ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი, პარლამენტში განსახილველად წარდგენილ, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტს" აკრიტიკებს. პროექტით გათვალისწინებული 200-ლარიანი ბეგარის დაწესებას სესიაშვილი სოციალურ დისკრიმინაციას უწოდებს.*

ირაკლი სესიაშვილისა და კავკასიის ინსტიტუტის სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის დათო დარჩიაშვილის აზრით, ბეგარის შემოღება თავდაცვის სამინისტროსათვის იძულებითი ნაბიჯია, **"რადგან ამ უწყებას ბიუჯეტი ვერ აფინანსებს, სამინისტრო ახალი კანონით უფლებას მოიპოვებს, მოქალაქეებისაგან მიიღოს სოლიდური თანხა. ფაქტობრივად, სახელმწიფო მოქალაქეებს ჯიბეში უყოფს ხელს და ამ გზით აპირებს ქართული ჯარის მშენებლობას. თავდაცვის სამინისტრო თითქოს ებრძვის კორუფციას. მისი წარმომადგენლები კი განმარტავენ, რომ კომისარიატებში მაინც კეთდება შავი ფული. აქედან გამომდინარე, ისინი საჭიროდ მიიჩნევენ ოფიციალური გადასახადის დაწესებას. ეს იმას ნიშნავს, რომ სამინისტრო კორუფციას კი არ ებრძვის, არამედ - აკანონებს"**, - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ირაკლი სესიაშვილმა.

მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ჩვენს საზოგადოებაში სამხედრო მოსამსახურის პრესტიჟი დაცემულია, ბეგარის შემოღება მდგომარეობას კიდევ უფრო გააუარესებს: **"თუკი დღეს ამდენს ვსაუბრობთ მოუმზადებელ, გაუნათლებელ, ჯანმრთელობაშერყეულ ჯარისკაცთა კონტიგენტზე, წარმოიდგინეთ, რა კატეგორიის ხალხი მოხვდება ჯარში ამის შემდეგ. ეს იქნება უკიდურესად გაჭირვებული სოციალური ფენა, რომელიც წელიწადში 200 ლარის გადახდას ვერ ახერხებს... საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლის 200 ლარად გაყიდვა დაუშვებელია".**

დათო დარჩიაშვილს სამხედრო ბეგარის დაწესება ფეოდალურ წყობილებას აგონებს. დარჩიაშვილი იხსენებს რამდენიმე წლის წინ ნატოს ეგიდით თბილისში გამართულ კონფერენციას, სადაც, სხვა თემებთან ერთად, ბეგარის საკითხზეც იმსჯელეს: **"ნატოს წარმომადგენელთა აზრი სამხედრო ბეგარის თაობაზე უარყოფითი აღმოჩნდა. საინტერესოა, რატომ არ ითვალისწინებს თავდაცვის სამინისტრო ნატოს მოსაზრებას. მით უფრო, რომ დღევანდელ ეტაპზე მასთან მჭიდრო კონტაქტები აქვს. ქართველი სამხედროები ცდილობენ, დაასაბუთონ, რომ ბეგარის პრაქტიკა ცივილურ ქვეყნებში მიღებულია, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ამ შემთხვევაში თურქეთის გამოცდილება მაგალითად ვერ გამოგვადგება. ჯერ ერთი, თურქეთი დემოკრატიული ქვეყანა არ არის, მეორეც, იქაური კანონმდებლობა, ბეგარის სანაცვლოდ, აწესებს ერთჯერად გადავადებას, როცა პირს კონკრეტულ მომენტში არ შეუძლია სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა."**

ირაკლი სესიაშვილმა და დათო დარჩიაშვილმა მასმედიას აუწყეს, რომ, თავდაცვის სამინისტროს გაანგარიშებით, ბეგარის დაწესების შემთხვევაში, ქვეყნის ბიუჯეტში ყოველწლიურად 15-17 მილიონი ლარი უნდა შევიდეს. დარჩიაშვილისა და სესიაშვილის აზრით, მოსახლეობის ჯიბეში ხელების ფათურს სჯობს, საქართველოს პრეზიდენტის 11-მილიონიან ფონდს ხუთი მილიონი მოაკლდეს და იგი ჩვენი ჯარის განვითარებას მოხმარდეს.

პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა გამოთქვეს ეჭვი, რომ ბეგარიდან შემოსული თანხა თავდაცვის სამინისტროს ამ ეტაპზე სჭირდება ამერიკული პროგრამის დასაფინანსებლად: **"უფულობის გამო, შესაძლოა, ეს პროგრამა ჩაეშალოთ... ასეთ შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა, ბეგარა დროებით, დროის გარკვეულ პერიოდში, დაწესებულიყო".**

დათო დარჩიაშვილი და ირაკლი სესიაშვილი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი", ვიწრო სახელისუფლებო დერეფნის გავლით, მოხვდა პარლამენტში. მათი აზრით, ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვაში აუცილებლად უნდა ჩაბმულიყვნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

# დარეგულირება გადადებულია საქართველოში უარესი დღეების დადგომამდე...

პირველი გვერდიდან

რუს დიპლომატებს არ ესმით ან არ სურთ იმის აღიარება, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენა დღეს ორი "სუპერდერჟავის" ხელშია და მართლაც დამოკიდებულია კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში განვითარებული მოვლენების ფინალზე. ფინალი კი, რუსი პოლიტოლოგების აზრით, მორიგი ომებით, მსოფლიოს მორიგი გადანაწილებითა და მორიგი პოლიტიკური კურიოზებით იქნება აღნიშნული.

ერთ-ერთი ასეთი კურიოზი იყო 20 ივნისს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებული განცხადება, კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის კიდევ ექვსი თვით გაგრძელების საჭიროებაზე. დღეს მოსკოვში ანალიტიკოსები ხუმრობენ: ამ განცხადებას აშშ დეპარტამენტის გრიფი რომ მოხსნა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გრიფით შეცვალო, სხვაობას ვერც შეატყობო.

როგორ მოხდა, რომ ბუშის ადმინისტრაცია პუტინის ადმინისტრაციის ენით ამეტყველდა?

ამ შეკითხვაზე ლოგიკური პასუხი გასცა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე აშშ-სა და კანადის ინსტიტუტის დირექტორმა როგოვმა. მან აღნიშნა, რომ **"რაკეტსაწინააღმდეგო ხელშეკრულების გაუქმებით, ვაშინგტონმა მოსკოვზე სრული გამარჯვება მოიპოვა და ეს ფაქტი სერიოზულად აისახება დღეიდან მსოფლიო ეთნოკონფლიქტების დარეგულირების სქემაზეც".**

მანამდე კი... ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში აფხაზური მოსახლეობა იურიდიულად მოემზადება სახალხო რეფერენდუმისათვის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენა-არდარჩენის თაობაზე; პარტიზანული მოძრაობა საქართველოში საყოველთაო პატრიოტულ რანგში ავა და ნებისმიერი პროვოკაცია საქართველო-რუსეთს შორის ნებადართული სკანდალების სქემაში ჩაეწერება; საშიშად მომართულ ლტოლვილებს ვიღაცა ისევ გაუძღვება აფხაზეთზე გასალაშქრებლად, იმ ლტოლვილებს, რომელთა უმრავლესობას (ყოველ შემთხვევაში, რუსეთში მცხოვრებ 60 ათასამდე აფხაზეთიდან დევნილს) რუსული პასპორტები უდევთ გულის ჯიბეში და არსად დაბრუნებას არ აპირებენ. მოსკოვში ნაყიდი ბინის გადაცვლა ოჩამჩირულ ბინაზე ძნელი იქნება... ასეა თუ ისე, დროში გაწელილი კონფლიქტის მორიგი გაყინვით, მხარეები, ვინ იცის, მერამდენედ, პოზიციებს აახლოებენ.

დღეს ერთმა ქართველმა დიპლომატმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ **"აშშ-ს ადმინსიტრაციის 20 ივნისის განცხადებაში ახალი არაფერი წერია. აშშ მუდამ აფიქსირებდა, რომ კონფლიქტის დარეგულირებაში სამშვიდობო ოპერაციას დიდი როლი ენიჭება, ხოლო უკანასკნელი განცხადება გამოდგება კონფლიქტის საბოლოო დარეგულირების იმ ფონად, რომელიც მხარეებს ხელს შეუწყობს სამშვიდობო კონტიგენტის ინტერნაციონალიზაციაში".** თუ ეს ასეა და აშშ-ს მხრიდან რუსეთისადმი ბოძებული მორიგი "საჩუქარი" - კიდევ ექვსი თვით გაგრძელებული მანდატი - ამჯერადაც სეპარატიზმის წისქვილზე არ დაასხამს წყალს, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველო ამით მართლა არაფერს კარგავს.

საქართველო "არაფერს კარგავს" არც იმით, რომ მისი მოთხოვნები მინსკის კონსულტაციებზე დსთ-ს სამხარეო-პოლიტიკურმა სტრუქტურებმა არ გაიზიარეს, არ მიიღეს კოფნლიქტის ზონის გაფართოებაზე ჩვენი წინადადებები, ყურად არ იღეს ჩვენი მუდარა გალის რაიონში ლტოლვილების დაბრუნებაზე. მოთხოვნა – "ჯერ ლტოლვილები, შემდეგ სტატუსი" - ვაჟა ლორთქიფანიძის რუსეთში ელჩობიდან შემორჩა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესს. ლტოლვილების დაბრუნების მექანიზმი კი დღემდე არ გაგვაჩნია. მხარეთა პოზიციების დაახლოებაზე ბატონი ვაჟას დიპლომატობის დროს ლაპარაკობდნენ მოსკოვში. ეს ფრაზა ახლაც აქტუალურია და რუსული დიპლომატია უკვე სერიოზულად დასცინის ქართველებს - მოსკოვში ასლან აბაშიძის გამოსეირნებისას გაკეთებული განცხადებებით, აფხაზეთში ომის გაჩაღების ინიციატორებსა და შემსრულებლებს. **"ომის დაწყება იყო დიდი დანაშაული და ამაზე თავის დროზე უნდა ეფიქრა შევარდნაძეს,"** - ეს ფრაზა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა. მსგავს აზრს ივანოვის უწყებაში არსებობის უფლება იმიტომ აქვს, რომ რუსულ დიპლომატიასაც უკვე ყელში ამოუვიდა, პრაქტიკულად, უნაყოფო კონსულტაციები და მოლაპარაკებების ცრუ პროგრესი.

დღეს ქართული მხარე მოითხოვს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტისათვის მანდატის გაგრძელების საკითხის განხილვა, დსთ-ს მეთაურთა ოქტომბრის სამიტამდე გადაიდოს.

დღეს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი მხარს უჭერს რუსეთის სამშვიდობო მანდატის გაგრძელების იდეას – ამჯერად გაეროს ძალების მოზიდვით, იმ გაეროსი, ვისი ხსენებაც, რუსებთან ერთად, არც აფხაზებს არ სურთ, იმ გაეროსი, რომლის წარმომადგენლის დიტერ ბოდენის ცნობილი დოკუმენტის აფხაზეთის მხარისათვის "შეჩეჩება" ქართულ მხარეს ოცნებად გადაექცა, რადგანაც ლოშჩინინი "შემჩეჩებლის" როლზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

ასე არეგულირებს კონფლიქტს შუამავლი, რომლის "შუამავლობიდან" დღემდე საქართველომ გაკვეთილი და დასკვნები მაინც ვერ გამოიტანა. აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ 20 ივნისის განცხადებაში კი დაფიქსირებულია კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო კონტიგენტის დარჩენის აუცილებლობა, რათა თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილების გამიჯვნაზე ბოდენის დოკუმენტის გადაცემა აფხაზური მხარისათვის, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოხერხდეს.

კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო მანდატს ვადა 30 ივნისს გასდის.

დღეს მოსკოვში აღარ მკითხაობენ, თუ რა იქნება 30 ივნისის შემდეგ. მარჩიელობა არც იმას სჭირდება, თუ როგორ შეხვდება საქართველოს პარლამენტი კონფლიქტის დარეგულირების მონაწილე მხარეთა ასეთ გარიგებას.

მოსკოვში საქართველოს პრეზიდენტის უსტატუსო სპეცწარმომადგენელმა, ვალერი ლოშჩინინის "უმცროსმა ძმამ" - ბატონმა ასლანმა ბრძანა, რომ **"არც ერთ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსსა და ჟურნალისტს თავში არ უნდა მოუვიდეს რუსეთის გარეშე აფხაზური კონფლიქტის დარეგულირება".**

როგორც ჩანს, დარეგულირება გადადებულია საქართველოში უარესი დღეების დადგომამდე.

# ერთ მდინარეში - მეორედ...



შიო კოშაძე.

ვასილ გულეური

გორის რაიონის თემის საკრებულოთა თავმჯდომარეების არჩევისთანავე, საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას გორის რაიონის გამგებლად ყოფილი გამგებლის, შიო კოშაძის დანიშვნის შესახებ. "ეს ჩემთვის მოულოდნელი არ იყო," - გვითხრა შიო კოშაძემ. - "პრეზიდენტის მიერ ყველა დანიშვნა ხდება ჩვენს მიერ გაწეული მუშაობის მიხედვით. შეფასება, ალბათ, 2 ივნისის არჩევნების შედეგებით მოხდა, რადგან გორის რაიონში არჩევნები შედარებით წარმატებით ჩატარდა." გამგებელი, რომელიც არჩევნების შედეგებს საკუთარ მუშაობას უკავშირებს, ძველ თანამდებობაზე დაბრუნებით რევოლუციურ ცვლილებებს არ აპირებს. როგორც მან თქვა, ძირითადად, ბიუჯეტის შევსებაზე, კულტურისა და სოფლის მეურნეობის პრობლემებზე იმუშავებს (და, ალბათ, მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაზეც). იგი გამგეობის აპარატში საკადრო ცვლილებებსაც გეგმავს. რაც შეეხება გორის ქალაქის საკრებულოსთან და გორის გამგებელთან ურთიერთობას, შიო კოშაძე კოლეგიალობის მომხრეა, "ყოველგვარი ჩარევისა და ზემოქმედების გარეშე". სამაგიეროდ, ანალოგიურ დამოკიდებულებას მოითხოვს მათგანაც. "მე მივესალმები პირადად ბატონ პაატა ჩხეიძეს. მისთვისაც სიახლეა, აღმასრულებელ სამსახურში არ უმუშავია. მე მხოლოდ საქმიანი ურთიერთობის მომხრე ვარ."

# პოსტარჩევნების პერიოდის ვნებათაღელვა ოზურგეთში

## ანუ როგორ ემსხვერპლა ბიუჯეტის გახალხურებას ოზურგეთის რაიონული საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც კიკბოქსინგის განვითარებისთვისაც იღვწოდა

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთიდან*

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით ერთობ უკმაყოფილო ოზურგეთის რაიონული საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ გიგა ხარაბაძემ, როგორც სჩვევია, ამჯერადაც გული ჟურნალისტრებთან ამოიბერტყა. ყოფილი თავმჯდომარე თავის ყოფილ კაბინეტში, სადაც ჟურნალისტებისთვის არაერთი პრესკონფერენცია გამართულა, ამჯერად მასმედიის წარმომადგენლებს საკრებულოს მიერ ჩატარებული მუშაობის ძირითად მომენტებზე ესაუბრა.

ხარაბაძეს საკრებულოს მუშაობის უმთავრეს მიღწევად ბიუჯეტის გამჭვირვალობა მიაჩნია. ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების საჯაროობას, მისი აზრით, აღმასრულებელი ხელისუფლება ფრიად გაუგულისებია. ექს-თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ ბიუჯეტი ხალხს ეკუთვნის, ხალხისავე ინტერესს უნდა გამოხატავდეს და არა აღმასრულებელი ხელისუფლებისა, მხოლოდ ბიუჯეტის ქურდებს უნდა აფრთხობდეთ ბიუჯეტის გამჭვირვალობა და გახალხურება.

ოზურგეთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე სკეპტიკურად უყურებს ასოცირებული წევრებისგან შემდგარ ამჟამინდელ საკრებულოს, რომლის ამ სახით არსებობა ქვეყნის ინსტიტუციონალურ მოწყობაში უკანგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია, რადგან იგი არ იქნება ბრძოლისუნარიანი და, გამგებლის ნებას დამორჩილებული, მარიონეტი წარმონაქმნი შეგვრჩება ხელთ.

ყოფილი საკრებულოს საქმიანობის აქტივებს მიათვლის ხარაბაძე, ოზურგეთში მომუშავე უცხოელ ინვესტორებთან, ზოგიერთი სადავო საკითხის გადაჭრისათვის საფუძვლის ჩაყრას; კერძოდ: ბერძენი ინვესტორების მიერ ბიუჯეტისათვის დაკლებული 70.000 ლარის ამოღებას; საინფორმაციო ცენტრის შექმნას; ინტერნეტში ოზურგეთის შესახებ გვერდის განთავსებას; სასწრაფო დახმარების მანქანის შესაძენად და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სახურავის აღსადგენად თანხების გამოყოფას. დიდი ყურადღება მიქცევია სპორტის დარგს. საკრებულოს გამოუნახავს საშუალებები საჭადრაკო კლუბის, რაიონის ფეხბურთელთა გუნდის, აგრეთვე, კიკბოქსინგის ფედერაციის დასაფინანსებლად. აუხსნელი მიზეზებით, ხარაბაძის თავმჯდომარეობის ხანაში, კიკბოქსინგი სპორტის პრიორიტეტულ სახეობად იქცა და მას საპატიო ადგილი ეთმობოდა ბიუჯეტის მუხლებში.

გიგა ხარაბაძე, რომელიც ოზურგეთის გამგებლის პოსტისთვის ბრძოლაში 2 ივნისის არჩევნებში დამარცხდა, მიიჩნევს, რომ ოზურგეთში არჩევნები გაყალბდა ხელისუფლების მხრიდან და ეს იყო ყველაზე სამარცხვინო არჩევნები ადგილობრივი დემოკრატიის ისტორიაში. პრესკონფერენციაზე გიგა ხარაბაძე გამოტყდა, რომ მას 3 ივნისს დაუტოვებია მოქალაქეთა კავშირი, რომლის ერთ-ერთი ლიდერიც თავად იყო ოზურგეთში. ამჟამად ყოფილი მოქალაქე "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი და ერთ-ერთი დამფუძნებელია. პრესკონფერენციაზე არცთუ ორაზროვნად გამჟღავნდა, რომ ხარაბაძე მხოლოდ გამჭვირვალე ბიუჯეტის მსხვერპლი არ გამხდარა, უფრო მისი პოლიტიკური ორიენტაცია ეჩვენა გამჭვირვალე ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც სულ სხვა პოლიტიკურ ძალას გაუმიჯნურდა.

დასასრულ, გიგა ხარაბაძემ, ტრადიციული ალა-ფურშეტის დღის წესრიგიდან ამოღების გამო, მოიბოდიშა და აღნიშნა, რომ ეს დროებითი ჩავარდნაა და ისევ მოვა გაზაფხული.

# გამოადგებათ თუ არა ჩრდილოეთ ირლანდიის გამოცდილება ქართველებსა და აფხაზებს

პირველი გვერდიდან

ყველაზე უფრო გამოირჩევა. მაისის დასაწყისში ამ ორგანიზაციამ ჩრდილოეთ ირლანდიის გამოცდილების გასაცნობად, დიდ ბრიტანეთში, საქართველოსა და არაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლების ეკონომიკური ბლოკის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. ასე რომ, ბელფასტსა და ლონდონში 11-19 ივნისს გამართული შეხვედრა ამ ციკლის მეორე ღონისძიება გახლდათ და მასზე უსაფრთხოების საკითხები განიხილებოდა. შესაბამისად, დიდ ბრიტანეთში დაპირისპირებულ მხარეებს ამ სფეროზე პასუხიმგებელ სტრუქტურათა - დაზვერვის, თავდაცვის, უშიშროების, პოლიციის და პროკურატურის მაღალი რანგის მოხელეები წარმოადგენდნენ. პარიტეტულ პრინციპზე იყო წარმოდგენილი, აგრეთვე, მასმედიაც, რასაც ვერ ვიტყვით საკანონმდებლო ხელისუფლებაზე, რომელსაც "ნისლიან ალბიონში" ერთადერთი ადამიანი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი განასახიერებდა.

გაცნობითი ხასიათის ვიზიტის პროგრამა ისეთნაირად იყო შედგენილი, რომ, ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე თითქმის ასწლიანი კონფლიქტის შესახებ, ამომწურავი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლეოდა.

სურათი ძალზე ნაცნობია. ჩრდილოეთ ირლანდიაში, რომელსაც ისტორიულად ოლსტერს უწოდებენ, ორი ურთიერთდაპირისპირებული რელიგიური თემი - კათოლიკეები და პროტესტანტები - ცხოვრობენ. რელიგიური ნიშნის გარდა, მათ სხვადასხვა პოლიტიკური მისწრაფებაც განასხვავებს - კათოლიკეები მხარს უჭერენ ირლანდიის რესპუბლიკასთან გაერთიანებას, პროტესტანტები კი დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენას. დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინააღმდეგობის შემდეგ, ამ მისწრაფების რეალიზებას '"რესპუბლიკელები" ძალის გამოყენებით შეეცადნენ და მძლავრი იატაკქვეშა სამხედრო გაერთიანება "შინფეინი"(ქართულად ნიშნავს "ჩვენ თვითონ") დააარსეს, რომელიც, ირლანდიის განმათავისუფლებელი არმიის (ირა) მხარდაჭერით, წლების განმავლობაში ახორციელებდა ტერორისტულ აქტებს ბრიტანეთის არმიის კონტინგენტისა და პოლიციის წინააღმდეგ. ტერაქტების შედეგად, 30 წლის განმავლობაში 3 ათასამდე ადამიანი დაიღუპა. "შინფეინის" აქტივობა იმდენად საშიში იყო, რომ სამხრეთ არმას საგრაფოში, რომელიც "შინფეინის" საყრდენ პუნქტად ითვლება, სამხედროებისა და პოლიციელების პატრული დღემდე შვეულმფრენების საშუალებით გადაადგილდება.

ამ სურათის შემხედვარე ქართველებს და აფხაზებს თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილებაც კი დარჩათ, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის ბედი გადაწყვეტილია და, დიდი ბრიტანეთის სამეფოს ამ ნაწილს, ან ურთიერთსიძულვილი წალეკავს, ანდა გარდაუვალია მისი ირლანდიის რესპუბლიკასთან შეერთება. მაგრამ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. 18 წლის წინ ჩრდილოეთ ირლანდიაში ჩატარებულმა რეფერენდუმმა ცხადყო, რომ 1,5 მილიონიანი მოსახლეობის მხოლოდ მესამედი უჭერს მხარს დიდი ბრიტანეთის შემადგენლობიდან გასვლას. ხოლო პროტესტანტების გარდა, რომლებიც მოსახლეობის 45 პროცენტს შეადგენენ, დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენას მხარი კათოლიკეებმაც დაუჭირეს. და ამის მიზეზია არა ბრიტანული არმიის ათიათასკაციანი კონტინგენტის შიში, არამედ საკითხის ეკონომიკური მხარე.

ამჟამად დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში მყოფი მილიონნახევრიანი ჩრდილოეთ ირლანდიის ბიუჯეტი დაახლოებით 10 მილიარდ დოლარს შედაგენს, რაც დაახლოებით დასავლეთ საქართველოს სიდიდის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს. ხოლო ბელფასტის 1998 წლის სამშვიდობო შეთანხმებით, რომელსაც ირლანდიის რესპუბლიკისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მოაწერეს ხელი, ჩრდილოეთ ირლანდიაში 100-კაციანი წარმომადგენლობითი ორგანო - ასამბლეა ჩამოყალიბდა, რომელშიც პარიტეტულად არიან წარმოდგენილი დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიები და, მათ შორის, გასამხედროებული "შინფეინი" და "ოლსტერის თავდაცვის ასოციაცია".

**"ჩვენ ამ ნაბიჯზე იმიტომ წავედით, რომ არ დაგვეშვა საზოგადოების შემდგომი მარგინალიზაცია და დაპირისპირებული მხარეებისთვის პოლიტიკური საქმიანობის თანაბარი შესაძლებლობა მიგვეცა,"** – თქვა ჩრდილოეთ ირლანდიის უსაფრთხოების მინისტრმა ჯეინ კენედიმ. სწორედ პარიტეტულ პრინციპზე არიან წარმოდგენილი კათოლიკეები და პროტესტანტები განახლებულ პოლიციაშიც, რომელიც, დიდი ბრიტანეთის კონტინგენტთან ერთად, უსაფრთხოების მთავარი გარანტია ჩრდილოეთ ირლანდიაში. პოლიციის განსაკუთრებული როლის გამო, ოლსტერი ინგლისის ერთადერთი ნაწილია, სადაც არსებობს პოლიციის ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელსაც უფლება აქვს დააკავოს დანაშაულში მხილებული პოლიციელი და საკუთარი სანქციით ჩაატაროს ეჭვმიტანილის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკვა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტი ამოიწურა და უთანხმოებას ბოლო მოეღო. მეტიც, უკმაყოფილო ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეის იუნიონისტმა წევრებმა, ბელფასტის შეთანხმების გაუქმების მოთხოვნით, სარჩელიც კი შეიტანეს დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატაში. მაგრამ უბრალო მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის პოლიტიკურ არენაზე მიმდინარე დებატები გაცილებით ნაკლებად საშიშია, ვიდრე ბომბების აფეთქება და სხვადასხვა სახის პროვოკაციები.

ეს განასხვავებს ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტს ქართულ-აფხაზურისგან და ბელფასტის შეხვედრების მთავარი მიზანიც იმაში მდგომარეობდა, რომ მხარეებს დაენახათ ეს განსხვავება სხვის მაგალითზე, რაკი საკუთარი ამისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

თვალსაზრისი

# ვიდრე მრეწველობა საქართველოს გადაარჩენდეს...

## მრეწველთა პარტია

დავით ზურაბიშვილი

### სათავეებთან

პირველად იყო ლუდი და ეს ლუდი იყო თოფაძის და დღეს „თოფაძე“ არის ლუდი, ოღონდ ის არა, რომელიც იყო პირველად და რომლისგანაც ყოველივე იშვა.

თუმცა. იმას, რაც პირველად იყო და რაც კომუნისტების დროს ლუდის ქარხნებში ჩამოისხმებოდა, ლუდი კი არ ეთქმოდა, არამედ „პივა,“ რომელიც არ იყო რუსული пивоПИВО-ს პირდაპირი ადექვატი. ეს იყო სპეციფიური ფერის ქაფიანი მომწარო სასმელი, რომელიც კარგად მიდიოდა გამხმარ თევზზე, ოღონდ ცივი და ახლადჩამოსხმული. მისი გამოყენების ვადა წუთებით, მაქსიმუმ ერთი საათით განისაზღვრებოდა, რადგან მერე სითხე ფერს იცვლიდა, იმღვრეოდა და ისეთ დამანგრეველ არომატს იძენდა, რომ მისი დალევა ხელიდან წასულ ალკოჰოლიკსაც აღარ უნდებოდა. იყო კიდევ ღმერთების სასმელი „ჩეხური პივა“ (ეს სწორედ ისაა, რასაც დღეს კარგ ლუდს ვეძახით), თვისობრივად სხვა დონის სითხე, რომელიც ან ცეკას სპეცმაღაზიებში იყიდებოდა ლიმიტირებული ოდენობით, ან სამმაგ ფასში იშოვიდი, თუ იცოდი, ვისთვის მიგემართა.

„ჩეხური პივა,“ ნამდვილად კარგი რამ იყო, მაგრამ რიგითი ქართველისთვის არც მაინცდამაინც ხელმისაწვდომი. ამიტომ ხალხი ძირითადად უბრალო „პივას“ სვამდა. ვინც იმ დროს მოსწრებია, ახსოვს. ანკი რა დაავიწყებს. ეს სასმელი ხომ საბჭოთა საქართველოს განუყოფელი ატრიბუტი იყო და საბჭოთა კავშირსვე გადაჰყვა.

მაგრამ, სანამ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა, თბილისში ორთაგან ერთ-ერთი „პივის ქარხნის“ დირექტორი იყო ახალგაზრდა საქმოსანი (იმდროინდელი ტერმინოლოგიით, „დელეცი“) გოგი თოფაძე - ტიპიური თბილისელი, ახლობლების, დროსტარების და სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარული. ის არ ითვლებოდა დიდად გავლენიან ფიგურად და არც განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩეოდა. მაშინ ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ეს კაცი, არცთუ შორეულ მომავალში, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ქართველ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდებოდა. გოგი თოფაძე დღემდე მაღალრეიტინგიან ფიგურად რჩება ქართულ პოლიტიკაში, მიუხედავად იმისა, რომ მისმა პარტიამ, რომელსაც უაღრესად ღირსშესანიშნავი სახელი - „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ - ჰქვია, ადგილობრივი თვითთმმართველობის არჩევნებში ბევრი ვერაფერი შედეგი აჩვენა.

### ერთ-ერთი ჩვენგანი

თოფაძის პოპულარობა ძირითადად ორი ფაქტორითაა გაპირობებული: პირველი, ესაა მისი გარეგნული იმიჯი. შეიძლება ითქვას, რომ ქართველ პოლიტიკოსთა შორის ის ყველაზე სტანდარტული ტიპაჟია - ასეთები მრავლად გვინახავს ქალაქებშიც და სოფლებშიც, სამსახურშიც და სუფრაზეც, ყველა ჩვენგანს ჰყავს მსგავსი ტიპაჟის ნაცნობი, მეგობარი ან ნათესავი. მოკლედ, ის „ერთ-ერთი ჩვენგანია,“ რაც უმნიშვნელოვანესი თვისებაა პოლიტიკოსისთვის.

ამ თვალსაზრისით, თოფაძეს მხოლოდ ლევან გაჩეჩილაძე, შალვა ნათელაშვილი და ჯუმბერ პატიაშვილი თუ შეიძლება შეედარონ, მაგრამ გაჩეჩილაძე ძალიან ახალგაზრდაა და ძალიან თბილისელი, ნათელაშვილი ძალიან ექსცენტრულია, პატიაშვილი ძალიან ნომენკლატურული, თოფაძეში კი ყველაფერი გამორჩეულად სტანდარტულია - ასაკი, მანერები, ლაპარაკი, თვით ენობრივი ნორმების დარღვევებიც, როცა ის „სანამ-ს“ ნაცვლად მუდმივად „მინამ-ს“ ამბობს. ყოველივე ეს რიგით ქართველ ამომრჩეველს მის მიმართ სიმპატიით განაწყობს.

მეორე მხრივ, თოფაძის მაღალი რეიტინგი მის ბიზნეს-იმიჯს უკავშირდება. ეს იმიჯი უცებ არ ჩამოყალიბებულა. გოგი თოფაძე, ზურაბ ტყემალაძე და მათი თანამოაზრეები ჯერ კიდევ 1996 წელსაც იგივეს ამბობდნენ, რასაც დღეს, მაგრამ მაშინ მათ ნაკლებად უსმენდნენ. უფრო ზუსტად, საერთოდ არ უსმენდნენ.

### ხმა მღაღადებლისა

თოფაძე-ტყემალაძის გუნდის ხედვა იმთავითვე სამ ფუნდამენტურ პოსტულატს ეფუძნებოდა:

ა) სავალუტო ფონდი ანადგურებს ქართულ ეკონომიკას;

ბ) საგადასახადო კოდექსი უცხოელ იმპორტიორებზეა მორგებული და ეროვნულ მეწარმეობას ახშობს;

გ) ქართულ პროდუქცია, უცხოურთან შედარებით, შეღავათიანი პირობებით უნდა სარგებლობდეს.

საბოლოო ჯამში სამივე პოსტულატი ერთ ბანალურ კლიშემდე დაიყვანებოდა: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ.“ უბრალოდ, დღეს კარგად იმიტომ არა ვართ, რომ უცხოელები გვავიწროებენ და ჩვენს ქვეყანას თავიანთი ნაგავის გასასაღებლად იყენებენ.

ასეთი მიდგომა 1996 წელს იმავე მიზეზით არ იყო პოპულარული, რა მიზეზითაც ის პოპულარული გახდა 1999 წელს. ეს მიზეზი კი სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა. 1996 წელს ქვეყანაში შეიმჩნეოდა ეკონომიკური ზრდა, ჩამოდიოდნენ უცხოელი ინვესტორები, იყო პერსპექტივის განცდა და მომავლის იმედი. ამ პირობებში საზოგადოება სულაც არ აღიქვამდა ეროვნული გრძნობების ხელყოფად იმას, რომ ქართულის ნაცვლად ბულგარულ და თურქულ ლუდს სვამდა. ბოლოს და ბოლოს, ყველას კარგად ახსოვდა, რა „პივასაც“ ასხამდა ადრე თოფაძის ქარხანა.

სულ სხვა სიტუაცია იყო 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. ეკონომიკის ზრდა ეკონომიკურმა კრიზისმა შეცვალა. ევროპასთან ინტეგრაციაზე კვლავ ბევრი ლაპარაკი იყო, მაგრამ ევროპულ კეთილდღეობას იოტისოდენადაც კი ვერ მივუახლოვდით, არც ევროსაბჭოში შესვლამ აგრძნობინა მოსახლეობას რაიმე შვება, არც ბაქო-სუფსის ნავთობსადენმა და ენერგოკრიზისის დაძლევასაც არ დაადგა საშველი. კრიზისულ ვითარებაში კი ნაციონალ-შოვინისტურ განწყობილებებს ყოველთვის დიდი გასაქანი ეძლევა, თუნდაც ის ძალზე პრიმიტიული პროტექციონიზმის დროშით გამოდიოდეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ „მრეწველთა“ პრეტენზიები გარკვეულწილად სამართლიანი იყო. საგადასახადო კოდექსი ნამდვილად უვარგისი გახლდათ, ნამდვილად ცალკეულ ინტერესთა ჯგუფების სურვილებზე გახლდათ მორგებული და მასში ცვლილებების წამდაუწუმ შეტანაც ამავე მიზეზით ხდებოდა. საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ ნამდვილად ისეთი იყო, როგორც თაღლითი მსახურის დამოკიდებულება მრისხანე ბატონის მიმართ - ყველაფერზე თავის კანტური და მერე ნაწყალობევი თანხების „მოტეხვა.“ თუმცა, ის პრიმიტიული ეკონომიკური პროტექციონიზმი, რასაც მრეწველები სანაცვლოდ სთავაზობდნენ საზოგადოებას, არაფრით უკეთესი არ იყო. ფაქტობრივად, თოფაძე, ტყემალაძე და სხვები საკუთარი ბიზნესისთვის ითხოვნდნენ სახელისუფლო მხარდაჭერას, რაც მათმა შემდგომმა მოღვაწეობამაც დაადასტურა.

### ზესვლა

გოგი თოფაძის წარმატება ბიზნესში დიდწილად იყო გაპირობებული სწორედ მისივე მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობით. ცხადია, ბულგარულ და თურქულ ლუდებს თოფაძის „პივა“ კონკურენციას ვერ გაუწევდა და ძველმა „დელეცმა“ აქ ნამდვილი ბიზნესმენის თვისებები გამოავლინა. მართალია, თოფაძე ბევრს ლაპარაკობდა უცხოელების ეკონომიკურ აგრესიაზე, მაგრამ, როცა საქმეს დაჭირდა, თვითონვე მოიძია ფრანგი ინვესტორი, მისი დახმარებით შეიძინა შესაბამისი ტექნიკა და სულ სხვა ხარისხის ლუდის ჩამოსხმა დაიწყო. ლუდი „ყაზბეგი" ძალიან მალე გახდა პოპულარული სასმელი და აშკარად დაჩაგრა კონკურენტები. პარალელურად გაიხსნა საფირმო სახინკლე-საქაბაბეების მთელი ქსელი. ყოველივე ამან, გოგი თოფაძის, როგორც წარმატებული ქართველი ბიზნესმენის, მიმზიდველი იმიჯი შექმნა.

მეორეს მხრივ, თოფაძეს ძველი „დელეცური“ ჩვევებიც გამოადგა და სახელისუფლო სტრუქტურების დახმარებაც მშვენივრად გამოიყენა. მაგალითად, ფრანგი პარტნიორის, პიერ კასტელის მოძებნაში მას არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს პრეზიდენტი დაეხმარა, ხოლო იმდროინდელი საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელის, დავით სალარიძის შემწეობით, მაკონტროლებელ უწყებებთანაც „მოაყომარა“ ურთიერთობები. მოგვიანებით, როდესაც კასტელთან უთანხმოება მოუვიდა, თოფაძეს უკვე ისეთი სახელი ჰქონდა გავარდნილი, რომ ესეც აქტივში მიეთვალა, უცხოელებს ქართული წარმოება არ ჩააყლაპინაო.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, როდესაც „მრეწველთა“ პარტია დაფუძნდა, თოფაძის პოპულარობა აღმავალი ხაზით მიდიოდა. გარდა ამისა, იმ მომენტისთვის პოლიტიკურ სპექტრში უკვე აშკარად იგრძნობოდა ახალი, ჯანსაღი და ეროვნული ძალის დეფიციტი და „მრეწველებმა“ ეს ნიშაც დაიკავეს. ძალიან მოსწრებულად იქნა შერჩეული პარტიის სახელიც - „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს.“ ამ ფრაზაში ერთბაშად ეტევა წარსულის ნოსტალგიაც, მითოპოეტური პატრიოტიზმიც და დასაქმების მოლოდინიც, და ეს ყველაფერი - გაუხარელი აწმყოს, შელახული ეროვნული ღირსებისა და საყოველთაო უმუშევრობის ფონზე!

მოკლედ, არჩევნები „მრეწველებისთვის“ ყველაზე ოპტიმალურ მომენტში ჩატარდა. მართალია, მათ ცოტა დააგვიანეს პარტიის შექმნა და სულ რაღაც ორ-სამ თვეში ველარ მოასწრეს რეგიონებში დამკვიდრება. მაგრამ თბილისში „მრეწველთა“ პარტიამ, ფაქტობრივად, გაიმარჯვა. „მოქალაქეთა კავშირის“ მიერ კონტროლირებადმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მაშინ ბევრი იჩალიჩა, მაგრამ „მრეწველების“ დატოვება შვიდპროცენტიან ბარიერს მიღმა მაინც ვერ მოახერხა. მათ სანაცვლოდ ცესკომ შალვა ნათელაშვილის ლეიბორისტებს დაუხშო პარლამენტის კარი, თუმცა ჟვანიას და მის გუნდს მაშინ ნამდვილად მცირემადიანი და გარიგებებზე იოლად წამსვლელი ნათელაშვილი ერჩივნა მოზრდილმადიან და პრეტენზიულ „მრეწველებს.“

### უკანასკნელი არჩევანი




პარლამენტში მოხვედრა, გოგი თოფაძის და მისი თანამოაზრეებისთვის პოლიტიკური აღმასვლის პიკი და, იმავდროულად, დაღმასვლის დასაწყისი აღმოჩნდა. ის თვალსაჩინო ნაკლოვანებები, რომელსაც თოფაძის ლუდის ქაფქაფა ბრწყინვალებით დაბრმავებული ამომრჩეველი ვერ თუ არ ამჩნევდა, თანდათანობით იმდენად ცხადი შეიქნა, რომ მათი შეუმჩნევლობა უბრალოდ შეუძლებელი გახდა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პარტიის საარჩევნო სია ისეთ ჭრელ კონგლომერატს წარმოადგენდა, რომ რაიმე სასიკეთო მოლოდინები ნამდვილად არ უნდა აღეძრა. ერთადერთ ნათელ წერტილად მრეწველების სიაში კონსტიტუციონალისტ ვახტანგ ხმალაძისა და ძველი დისიდენტის ვახტანგ ძაბირაძის დუეტი თუ ჩაითვლებოდა, მაგრამ წამყვანი პოზიციები პარტიაში სულ სხვა ხალხს ეკავა. აქ იყვნენ საგადასახადოს ყოფილი შეფი, პოლიციის გენერალი დავით სალარიძე, კიდევ ერთი პოლიციის გენერალი რომან გვენცაძე, ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურა ქართულ პოლიტიკაში, რელიგიური და ეთნიკური ექსტრემიზმის იდეოლოგი გურამ შარაძე, პარტიიდან პარტიაში „მოხეტიალე“ ირაკლი ბათიაშვილი და ფიქრია ჩიხრაძე, „სპორტსმენთა კავშირის“ ლიდერი, ცნობილი მოჭიდავე გურამ საღარაძე (ქართულ პოლიტიკაში სპორტსმენები საერთოდ გამოირჩევიან უკიდურესად რეაქციული და რეტროგრადული შეხედულებებით) და სხვანი და სხვანი. პარტიის აქტიურ მომხრეთა რიგებში იდგა ერთ-ერთი უმსხვილესი კორუფციონერი, სოფლის მეურნეობის მაშინდელი მინისტრი ბაკურ გულუაც.

ბუნებრივია, ამგვარ ერთობას ამომრჩევლისთვის არანაირი ჯანსაღი ალტერნატივის შეთავაზება არ შეეძლო და არც შეუთავაზებია. თავის დროზე, მრეწველთა პარტიამ, ძირითადად, ანტისისტემურად განწყობილი ელექტორატის ხმები წაიღო, ანუ მათი ხმები, ვინც არსებული თამაშის წესების შეცვლას ითხოვდა. პარლამენტში კი თვალნათლივ გამოჩნდა, რომ არანაირი პრინციპული დაპირისპირება შევარდნაძის მთავრობასა და „მრეწველებს“ შორის არ არის და არც შეიძლება იყოს, იმიტომ, რომ ეს ხალხი არსებული სისტემის ნაწილია. უთანხმოებები სისტემის შიგნით ვიწრო-პირადული ინტერესების ზღვარს არასდროს სცილდება. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ დღეს მრეწველებმა საგადასახადო კოდექსში ცვლილებებზე, უკვე ყველამ კარგად იცის, რომ აქ წინა პლანზე აუცილებლად კერძო ინტერესები იქნება გამოტანილი და არა სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესები.

როგორც სისტემის ნაწილი, მრეწველთა პარტია პრინციპულად არ ცნობს საჯარო პოლიტიკას და გაცილებით კომფორტულად გრძნობს თავს კულუარულ მოლაპარაკებებში. ამგვარი აქტივობები კი საბოლოო ჯამში ყოველთვის ბანალურ გარიგებამდე დადის - გამიკეთე ეს, გაგიკეთებ იმას, დამინიშნე ის, ხმას მივცემ ამას და ა. შ. საგულისხმო მაგალითი: მრეწველთა პარტია დიდხანს მოითხოვდა მერების და გამგებლების პირდაპირ არჩევას, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს მოთხოვნა სამი გამგებლის დანიშვნაში გაიცვალა.

მოკლედ, პარტიამ ვერ გაამართლა ამომრჩევლის იმედები. ვერ გაამართლა ვერც წარსულის ნოსტალგიაში, ვერც პატრიოტიზმში და ვერც დასაქმების პრობლემა გადაჭრა. მოკლედ, მათ მრეწველობის გადასარჩენადაც კი ვერაფერი გააკეთეს, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს გადარჩენაზე.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ შარშან, მრეწველთა პარტიას ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა. თუმცა, იმ დროისათვის ყველა სხვა პოლიტიკური პარტია იმდენად იყო დისკრედიტებული, რომ ეს რეიტინგი უფრო უძალლო ქვეყანაში კატის აყეფების იმედს ასახავდა. „მრეწველთა“ პოპულარობა მომენტალურად დაეცა, როგორც კი ქვეყანაში არსებული სისტემის რეალური ოპოზიცია გაჩნდა „ნაციონალური მოძრაობის“ სახით.

საერთოდ, სააკაშვილის ოპოზიციაში გადასვლამ და „ნაციონალური მოძრაობის“ მზარდმა გავლენამ მთლიანად „აჭრა“ პოლიტიკურ ძალთა ის ბალანსი, რომლის დამყარებაზეც ამდენი იმუშავა შევარდნაძემ და რომელიც მას ძალიან აძლევდა ხელს. ამ აჭრილ სიტუაციაში აშკარად გამოიკვეთა ძალთა პოლარიზაციის ტენდენცია. დღეს შეუძლებელია იყო სისტემის ნაწილი და ანტისისტემური ელექტორატის მხარდაჭერა მიიღო. ამ სიტუაციაში კი მრეწველთა პარტია, უბრალოდ, ჩაიკარგა. მათ, ჯერჯერობით, ვერ იპოვეს თავისი ადგილი ახალ რეალობაში და, ალბათ, ვერც იპოვნიან.

მიზეზი მარტივია: ბიზნესი, თავისი ბუნებით, არ შეიძლება იყოს ანტისისტემური, ბიზნესმენი სისტემის მოწინააღმდეგე შეიძლება იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სისტემა მას ფულის კეთებაში უშლის ხელს. აქედან გამომდინარე, „მრეწველებს“ ძალიან გაუჭირდებათ საკუთარი თავის მკაფიოდ დაფიქსირება ანტისისტემურ ფლანგზე. ისინი მარტო მაშინ დაუპირისპირდებიან ღიად ხელისუფლებას, თუ შეატყვეს, რომ მისი საქმე წასულია. მანამდე კი, ყოველთვის შეეცდებიან, ფრთხილად იყვნენ. მეორე მხრივ, მათ ასევე გაუჭირდებათ სისტემასთან სრული იდენტიფიცირების დაფიქსირებაც, რადგან ეს, ჯერ ერთი, წამგებიანია, და, გარდა ამისა, შევარდნაძის ქოლგის ქვეშ მრეწველებზე ადრე სხვა ძალებმა დაიკავეს პრივილიგირებული მდგომარეობა.

„მრეწველთა“ პარტია დღეს ბურიდანის ვირის მდგომარეობაში იმყოფება. შეგახსენებთ, რომ ეს ცნობილი ვირი შიმშილით მოკვდა, იმის გამო, რომ მისგან თანაბრად დაშორებულ მანძილებზე ერთ მხარესაც საჭმელი იდო, მეორე მხარესაც და ვერაფრით მოახერხა არჩევანის გაკეთება. ასე რომ, პარტიის ორჭოფული მდგომარეობის აღსანიშნავად შეიძლება დიდი კითხვის ნიშანი დავსვათ და პარტიის დასახელება ამიერიდან ასე წავიკითხოთ: „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს?“

# თურქეთი ახალი საგარეოპოლიტიკური კურსის ძიებაში

*გთავაზობთ Eurasianet-ის მიერ გამოქვეყნებულ, ლონდონელი ჟურნალისტისა და ექსპერტის **მევლუთ ქათიკის** კომენტარს ბოლო პერიოდში თურქეთის საგარეოპოლიტიკურ კურსში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით*

ბოლო პერიოდში თურქეთის ხელისუფლების ყურადღება აზიისკენ იყო მიპყრობილი - თურქეთის პრეზიდენტის სეზერის ვიზიტი თეირანში და თურქეთ-ირანის სავაჭრო საბჭოს ჩამოყალიბება; სეზერის ვიზიტი ყაზახეთსა და მონღოლეთში; თურქეთის ვიცე-პრემიერის, დევლეთ ბახჩელის, პირველი ოფოციალური ვიზიტი ჩინეთის თურქულენოვანი უიღურებით დასახლებულ სინძიანის ავტონომიურ რაიონში და სხვ. მევლუთ ათიკის აზრით, თურქეთის ხელისუფლების აზიის მიმართულებით გააქტიურება იმის დასტურია, რომ ანკარა 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ჯერ ვერ ჩამოყალიბდა, თუ როგორი უნდა იყოს მისი საგარეოპოლიტიკური კურსი. მართალია, თურქეთი წლების განმავლობაში შეერთებული შტატების საიმედო მოკავშირე იყო, მაგრამ 11 სექტემბრის მოვლენებმა და ამერიკელების მიერ წამოწყებულმა ანტიტერორისტულმა ოპერაციამ აიძულა თურქეთი, ბალანსირების პოლიტიკა გაატაროს.

ქათიკის აზრით, თურქეთი, ერთის მხრივ, საერო და ტოლერანტული მუსულმანური სახელმწიფოს იმიჯის შექმნას, ხოლო, მეორე მხრივ, რეგიონში გავლენის მოპოვებას ცდილობს. 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის "მჭიდრო პირადი ურთიერთობების" დამყარება თურქეთის პრეზიდენტისთვის ნიშანი უნდა ყოფილიყო იმისა, რომ რუსეთსა და აშშ-ს თავიანთი მიზნების მიღწევა თურქეთის გარეშეც შეუძლიათ. ეს აშკარა გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოში ამერიკელი სამხედროების ჩამოსვლას რუსეთის დიდი პროტესტი არ გამოუწვევია. ამავე დროს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (რუსეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი) შემდგომი გაძლიერება ჩინეთს ცენტრალურ აზიაში უფრო აქტიური პოლიტიკის გატარების საშუალებას აძლევს. ეს ყოველივე აიძულებს თურქეთს, რეგიონსა და მსოფლიო პოლიტიკაში საკუთარი როლი განსაზღვროს. დღემდე ეს როლი ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენის მცდელობებით შემოიფარგლებოდა.

ამგვარად, ბოლო პერიოდში მსოფლიოსა და რეგიონში მიმდინარე მოვლენების ფონზე თურქეთი ახალი საგარეოპოლიტიკური კურსისა და როლის ძიების აუცილებლობას ხედავს. თურქეთის ერთ-ერთი ახალი როლი ინდოეთსა და პაკისტანს შორის შუამავლობაა. ამ საკითხთან დაკავშირებით სეზერს ჰქონდა საუბარი რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან, ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ვაჯპაიისთან და პაკისტანის პრეზიდენტ მუშარაფთან. ივნისის დასაწყისში, ყაზახეთში, რეგიონული უსაფრთხოების კონფერენციის დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება სამხრეთ აზიაში დაძაბულობის მოხსნის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების გატარებაზე.

თურქეთის ახალი როლი, გარკვეულწილად, უსაფრთხოების საკითხებზე ბოლო პერიოდში დადებულ ხელშეკრულებებშიც იკვეთება. 10 ივნისს მოსკოვს თურქეთის გენშტაბის ხელმძღვანელი ჰუსეინ ქივრიქოღლუ ეწვია, რომელიც რუსეთის თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვს შეხვდა. მხარეებმა ჩეჩნეთში შექმნილი მდგომარეობა, საერთაშორისო ტერორიზმისა და შეიარაღების მიწოდების საკითხები განიხილეს. მოსკოვიდან ქივრიქოღლუ თბილისში ჩამოვიდა, სადაც ხელი მოაწერა შეთანხმებას საქართველოსთვის 2,8 მლნ. დოლარის ოდენობის დახმარების აღმოჩენაზე, თანხა ორი სამხედრო ბაზის აღდგენას მოხმარდება. მაისში თურქეთ-აზერბაიჯან-საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო თანამშრომლობას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ამავდროულად, თურქეთი ცდილობს ეკონომიკური კავშირების დამყარებას შორეულ აღმოსავლეთთან. აპრილში თურქეთს ეწვია ჩინეთის პრემიერ-მინისტრი. ჩინეთის პრემიერ-მინისტრი დაპირდა თურქეთს, რომ ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარებას, მაგალითად, თურქეთი შეტანილი იქნება იმ სახლემწიფოების ოფიცილაურ სიაში, სადაც ტურისტებისთვის ჩასვლა რეკომენდირებულია. ამის შედეგად ყოველწლიურად თურქეთს, შესაძლოა, 100,000 ჩინელი ტურისტი ეწვიოს. ჩინეთის პრემიერის ვიზიტს მოჰყვა თურქეთის ვიცე-პრემიერის, ბახჩელის, საპასუხო ვიზიტი ჩინეთში. იგი სინძიანის რაიონში ჩადის. სინძიანის რაიონი ჩინეთის ტერიტორიის მეექვსედს შეადგენს. სინძიანში თურქულენოვანი სუნიტი მუსლიმები, უიღურები, ცხოვრობენ. მათი ტერიტორია ჩინეთმა მე-18 საუკუნეში დაიპყრო და მას შემდეგ ისინი დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან. მათი უფლებების ყველაზე აქტიური დამცველი ბოლო პერიოდამდე პანთურქიზმის მთავარი იდეოლოგი, თურქეთი, იყო.

20 ივნისს თურქმა ჯარისკაცებმა დიდი ბრიტანეთისგან გადაიბარეს ავღანეთში სამშვიდობო კონტინგენტის მეთაურობა. ამით რეგიონში თურქეთის როლი გაიზარდა და კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ ფაქტს, რომ თურქეთი აშშ-ის საიმედო პარტნიორია. თურქეთს ავღანეთთან ისტორიულად ახლო ურთიერთობა ჰქონდა – ავღანეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც ოსმალთა იმპერიის დაშლის შემდეგ თურქეთის ახალი სახელმწიფო ცნო, 1920 წლებში თურქეთის პირველ პრეზიდენტს ათათურქს სამხედრო დახმარება აღმოუჩინა და სხვ. დღეს სეკულარულ მუსლიმურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულ თურქეთს, როგორც ჩანს, სურს ავღნეთისთვის მაგალითი გახდეს. ქათიკის აზრით, თურქეთს სურს, ავღანეთის რეკონსტრუქცია თურქული სცენარით წარიმართოს. ანკარაში უკვე გადის მომზადებას 20 ავღანელი დიპლომატი.

თურქეთში „ევრაზიული" შეხედულებების განვითარება ემთხვევა ევროკავშირთან ურთიერთობებში პროგრესის შენელებას. ევროკავშირი თურქეთს გაწევრიანების კანდიდატად ჯერ არ აღიარებს. თურქეთის კოალიციურ მთავრობაში ევროკავშირში გაწევრიანებისთვის აუცილებელი რეფორმების გატარების საკითხთან დაკავშირებით თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ.

თურქეთის აზიისკენ "მობრუნების" მცდელობის მიუხედავად, 1991 წლის სპარსეთის ომის პერიოდიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორად მაინც აშშ-თან სტრატეგიული ურთიერთობა რჩება. აშშ-ანკარას თანამშრომლობა ერაყის წინააღმდეგ დაგეგმილი კამპანიის დროს გადამწყვეტი იქნება. მსოფლიოში ძალთა ახალი კონფიგურაციის პირობებში, როდესაც "აშშ წესრიგს ამყარებს, ხოლო ევროპა წესრიგის აღდგენას, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები კი მშვიდობის უზრუნველყოფას ცდილობენ", თურქეთი ფართო საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს.

*ქათიკის აზრით, რა გავლენა ექნება თურქეთს რეგიონზე და რეგიონს — თურქეთზე, უახლოეს თვეებში გახდება ნათელი.*



*თურქეთის პრეზიდენტი სეზერი და ირანის პრეზიდენტი ხათამი.*

## საერთაშორისო ამბები

### 11 სექტემბრის მოვლენების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო?

**Washington Post.** 20 ივნისს აშშ-ს დაზვერვის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება, რომ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ 10 სექტემბერს მიიღო ორი შეტყობინება, რომ 11 სექტემბერს რაღაცა იგეგმებოდა, მაგრამ არაბულ ენაზე დაწერილი შეტყობინებები 12 სექტემბრამდე არ ითარგმნა. დაზვერვის თანამშრომლების განცხადებით, შეტყობინებები 10 სექტემბერსაც რომ ეთარგმნათ, მოცემული ინფორმაცია საკმარისი არ იყო 11 სექტემბრის მოვლენების თავიდან ასაცილებლად. შეტყობინებები შემდეგი შინაარსის იყო – "მატჩი დაწყების ზღვარზეა" და "ხვალ ნული საათია".

გაზაფხულიდან კონგრესის მიერ წამოწყებული ამერიკული სპეცსამსახურების მიერ 11 სექტემბრის მოვლენების თავიდან აცილების უუნარობის გამოძიების ფოკუსში ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო პირველად მოხვდა. აქამდე კრიტიკა, ძირითადად, გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს წარუმატებელ საქმიანობას ეხებოდა.

ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ გუშინდელი განცხადების შესახებ კომენტარის გაკეთებაზე უარი თქვა. ინფორმაცია მიღებული შეტყობინებებისა და მათი დაგვიანებით თარგმნის შესახებ სააგენტომ დაზვერვის ერთობლივ კომიტეტს წარუდგინა. ამ ინფორმაციას კონგრესის წევრები და დაზვერვის წარმომადგენლები ერთად განიხილავდნენ. სამშაბათსა და ოთხშაბათს სადაზვერვო კომიტეტის მოსმენაზე გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი რობერტ მიულერი, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი ჯორჯ ტენეტი და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორი მაიკლ ჰეიდენი წარსდგნენ.

ინფორმაცია სადაზვერვო კომიტეტში შეტყობინებების საკითხის განხილვის შესახებ CNN-მა პირველად ხუთშაბათს გაავრცელა.

ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლო სადაზვერვო ორგანოა, რომელსაც ელექტრონული ინფორმაციის მიღება-დამუშავება ევალება. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში დაზვერვაზე ყოველწლიურად, საერთო ჯამში, 30 მლრდ. დოლარი გამოიყოფა, აქედან 6 მლრდ. დოლარი სააგენტოს ბიუჯეტს შედგენს. იმის მიუხედავად, რომ ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი თანამედროვე ტექნიკის შეძენაზე იხარჯება, სააგენტოს არა აქვს სათანადო საშუალებები, რომ ყოველდღიურად მიღებული დიდი მოცულობის ინფორმაციის გაფილტრვა მოხდეს. სათანადო ფილტრების არარსებობის პირობებში მიღებული ინფორმაციის უმეტესი ნაწილი დაუმუშავებელი რჩება. ექსპერტთა აზრით, ყურადსაღებია როგორც ტექნიკური, ისე ადამიანური რესურსის ფაქტორები. სააგენტოს ხშირად აკრიტიკებენ სათანადო კვალიფიკაციის არმქონე თანამშრომლების აყვანისა და თანამედროვე ტექნიკის არქონის გამო.

კომიტეტის შემდეგი ღია მოსმენა მომავალ კვირაში იყო დაგეგმილი, მაგრამ გადაიდო. სადაზვერვო კომიტეტის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ღია მოსმენისთვის სათანადოდ უნდა მოემზადონ.

### აფეთქება მაღაროში

**Reuters.** ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ქვანახშირის მაღაროში ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად 111 მაღაროელი დაიღუპა და 24 დაიჭრა. შეიქმნა სამთავრობო ჯგუფი, რომელსაც ინციდენტის მიზეზების გამოძიება დაევალა.

ჩინეთის სახელმწიფო ქვანახშირის მაღაროების უსაფრთხოების ბიურომ გასცა ბრძანება 10 მაღაროს დახურვის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჩინეთს მსოფლიოში ქვანახშირის ყველაზე დიდი და, ამავე დროს, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად უსაფრთხო ინდუსტრია აქვს. 2001 წლის განმავლობაში მაღაროებზე მომხდარი ინციდენტების შედეგად 5000 ადამიანი დაიღუპა. ჩინეთის მთავრობა არაერთხელ ეცადა ათასობით პატარა არალეგალური მაღარო დაეხურა, რომლებიც უსაფრთხოების სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ, მაგრამ მათი უმრავლესობა ადგილობრივი მთავრობების მიერ კვლავ გაიხსნა, რადგან ადამიანების დასაქმებისა და გადასახადების ამოღების წყაროს წარმოადგენენ.

### გონებრივად ჩამორჩენილთა სიკვდილით დასჯა არ შეიძლება

ხანგრძლივი დებატების შემდეგ ამგვარი ვერდიქტი გამოიტანა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ. 9 მოსამართლიდან 6-მა მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას. ამიერიდან შტატებში სულით ავადმყოფთა სიკვდილით დასჯა იკრძალება. აღსანიშნავია, რომ 1989 წელს, ამ საკითხის განხილვის შემდეგ იმავე სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ფსიქიურად დაავადებულთა სიკვდილით დასჯა სავსებით კონსტიტუციურია.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სასჯელის უმაღლესი ზომა დიდი ხნის წინ გააუქმეს. ევროპელები დიდი ხანია გამოთქვამენ აღშფოთებას იმის გამო, რომ ამერიკაში ამ სასჯელს ჯერაც იყენებენ და, სხვათა შორის, არცთუ ისე იშვიათად. რაც შეეხება სულით ავადმყოფთა სიკვდილით დასჯას, ამას ბევრი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია, საერთოდ, ბარბაროსობად მიიჩნევს.

# "ევროპის ციხესიმაგრე": ევროკავშირი უკანონო იმიგრანტების წინააღმდეგ

ევროპაში სამუშაოდ წასვლის ათიათასობით მსურველს დღეის შემდეგ ოცნების ასრულება, შეიძლება, კიდევ უფრო გაუჭირდეს.

სევილიაში შეკრებილი ევროკავშირის სახელმწიფოთა ლიდერები პარასკევს და შაბათს მართავენ მოლაპარაკებას იმის შესახებ, როგორ შეაჩერონ, დაახლოებით, ნახევარი მილიონი უკანონო ემიგრანტი, რომელიც ევროპაში სამუშაოს საძიებლად ყოველწლიურად შედის.

ევროპელი ლიდერების განცხადებით, იმ უამრავი მიგრანტიდან, რომელიც ევროპის ქვეყნებს პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით მიმართავს, აბსოლუტური უმრავლესობა სინამდვილეში სამუშაოს მაძიებელია, რომელსაც საკუთარ სამშობლოში არანაირი პოლიტიკური პრობლემები არა აქვს. მართალია, მათგან მხოლოდ 1-5 პროცენტი იღებს ლტოლვილის სტატუსს, მაგრამ დანარჩენებიც რაღაცნაირად ახერხებენ ევროპაში დარჩენას.

ევროპაში ყოველწლიურად, დაახლოებით, 380 ათასი არალეგალური და 680 ათასი ლეგალური იმიგრანტი შედის, რაც ადგილობრივ მოსახლეობის მზარდ გაღიზიანებას იწვევს. ევროკავშირის მკვიდრნი თავიანთ ქვეყნებში დამნაშავეობისა და უმუშევრობის ზრდას სწორედ ჩრდილოეთ აფრიკიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან შემოსულ ხალხს აბრალებენ. ევროპის რიგ ქვეყნებში მემარჯვენეებისა და ულტრამემარჯვენეების მზრდი პოპულარობა სწორედ იმითაა განპირობებული, რომ ისინი იმიგრანტების წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარებას მოითხოვენ.

იმისათვის, რათა ულტრამემარჯვენეებს მათი მთავარი კოზირი გამოაცალოს ხელიდან, ევროპის პოლიტიკური ელიტა იძულებულია, საზოგადოებრივ აზრს ანგარიში გაუწიოს და უკანონო იმიგრაციასთან ბრძოლას სერიოზულად მოჰკიდოს ხელი. ამისთვის ევროკავშირი, როგორც ჩანს, სამ მთავარ მექანიზმს გამოიყენებს.




*იმიგრანტების საპროტესტო აქცია ევროპაში.*

პირველი მათგანი საზღვრების გამაგრებასა და ერთობლივი პოლიციის შექმნას ითვალისწინებს. ამიერიდან ევროპული ქვეყნების ფლოტი და ავიაცია საზღვრებზე კონტროლს გააძლიერებს. შეიქმნება ერთობლივი პოლიცია, რომელიც აეროპორტებსა და ვაგზლებს გაუწევს მეთვალყურეობას. საზღვრების დაცვის გაძლიერება, რომელიც, სახალხო წარმოდგენით, საზღვრის დამრღვევებთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა, რეალურად ბევრს არაფერს მოიტანს, რადგან უკანონო იმიგრანტთა უმეტესობა ევროპაში სრულიად ლეგალურად, ტურისტული ვიზებით შედის და შემდეგ უკანონოდ რჩება.

მეორე მექანიზმი ის გახლავთ, რომ მოხდეს ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობის უნიფიკაცია. იმიგრანტები ხშირად დეპორტაციის თავიდან არიდების მიზნით ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიან. ასევე ხშირია შემთხვევები, როცა იმიგრანტები მიდიან იმ ქვეყნებში, რომლებიც უფრო მალე იძლევიან მუშაობის დაწყების ნებართვას. ასე, მაგალითად, ინგლისი ამ ნებართვას ნახევარ წელიწადში იძლევა, საფრანგეთი - ერთ წელიწადში, ამიტომ იმიგრანტები საფრანგეთიდან ინგლისში გარბიან.

გარდა ამისა, ნავარაუდევია სავიზო კანონმდებლობის ჰარმონიზაციაც, რათა უცხოელს, რომელსაც შენგენის ერთმა წევრმა ქვეყანამ უარი უთხრა ვიზაზე, არ მიეცეს შენგენის ვიზის სხვა ქვეყნის საკონსულოში მიღების საშუალება.

ევროპის ცალკეულ ქვეყნებშიც მიგრაციის შესახებ კანონმდებლობა და მისი იმპლემენტაციის მექანიზმები უფრო მკაცრი გახდება. ინგლისი აპირებს ლტოლვილთა ბანაკები შორეულ მიყრუებულ ადგილებში ააშენოს, სადაც უკეთ შეიძლება იმიგრანტებისათვის თვალყურის დევნება. დანიაში უმუშევრობის დახმარების, ე.წ. "სოციალის" მისაღებად, უკანონო იმიგრანტებს უკვე 7 წელი მოუწევთ მოცდა. იტალიაში ახალშეტანილი კანონპროექტის თანახმად, უკანონო იმიგრანტებს დაკავებისთანავე გააძევებენ ქვეყნიდან, ამასთან ყველა იმიგრანტს შესვლისთანავე თითების ანაბეჭდებს აუღებენ.

იმიგრაციასთან ბრძოლის მესამე მექანიზმი იმ ქვეყნების წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღებაში ან ეკონომიკური დახმარების შემცირებაში მდგომარეობს, რომლებიც ევროკავშირთან ამ საკითხში თანამშრომლობაზე უარს განაცხადებენ.

უკანონო იმიგრაციასთან ბრძოლის გააქტიურების გარდა, ევროკავშირი უკვე შემოსული იმიგრანტების "გაევროპელებასაც" სერიოზულად მოჰკიდებს ხელს. მულტიკულტურული ევროპის იდეამ პოპულარობა დაკარგა და მას უმცირესობათა ინტეგრირების პოლიტიკა შეცვლის, რაც, მაგალითად, იმას ნიშნავს, რომ თუ აქამდე საფრანგეთი ხელს უწყობდა ალჟირული კულტურის განვითარებას ამ ერის წარმომადგენლებით დასახლებულ არეალებში, ამჯერად დღის წესრიგში მათი "გაფრანგების" საკითხი დადგება

აღსანიშნავია, რომ ევროპა თავის საზღვრებს ძირითადად დაბალი კვალიფიკაციის, ღარიბ იმიგრანტებს უკეტავს. კვალიფიციურ, პროფესიონალ ლტოლვილებს კვლავაც სიამოვნებით ულებენ კარს. კონტინენტის ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის, გერმანია ახორციელებს სპეციალურ პროგრამებს, რომელთა მიზანია აზიის, აფრიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა. ეს პროგრამა, პირველ რიგში, კომპიუტერებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებს ეხებათ.

ზოგიერთი მიმოხილველის აზრით, განვითარებადი ქვეყნებიდან "ტვინების გამოცლის" პოლიტიკა აზრს უკარგავს ამ ქვეყნებისათვის განკუთვნილ დახმარების პროგრამებს. თუ ამ ქვეყნებში კვალიფიციური კადრები აღარ დარჩა, მაშინ მათ ძალზე გაუჭირდებათ ეკონომიკური და სოციალური წინსვლა.

რამდენადაც არ უნდა ეცადოს ევროპა თავისი ქრისტიანული და დასავლური თვითმყოფადობის დაცვას, ეკონომიკური ფაქტორები ადრე თუ გვიან მას მაინც აიძულებს, იმიგრანტთა შემოსვლას შეეგუოს. საქმე ისაა, რომ ევროპაში ძალზე აქტუალურია მოსახლეობის შემცირებისა და "დაბერების" პრობლემები. ერთის მხრივ, შობადობის შემცირებისა და მეორეს მხრივ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის გამო ევროპაში განუხრელად იზრდება ეკონომიკურად არააქტიური ხალხის, პენსიონერების წილი. მათთვის პენსიების გადახდის პრობლემა უკვე მძიმე ტვირთად აწევთ მომუშავე ევროპელებს. ამ პრობლემის შემსუბუქება და ეკონომიკური ზრდის ტემპების შენარჩუნება კი უცხო სამუშაო ძალის შემოსვლის გარეშე ძალზე გართულდება. ევროკომისიის პრეზიდენტის რომანო პროდის თქმით, ძველი კონტინენტისათვის იმიგრანტები ენერგიისა და სიცოხლისუნარიანობის წყაროა.

იმიგრაციის საკითხმა სავსებით დაჩრდილა სამიტის მეორე უმნიშვნელოვანესი თემა – ევროკავშირის გაფართოება. მოსალოდნელია, რომ სევილიაში საბოლოოდ გადაწყდება აღმოსავლეთ ევროპის ათი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი.

სევილიის სამიტს თავისებურად გამოეხმაურა ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია "ეტაც", რომელმაც ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების ჩამოსვლის აღსანიშნავად ორი მანქანა ააფეთქა. არავინ დაღუპულა, ხუთი ადამიანი დაშავდა, მათ შორის, ერთი - მძიმედ.

# ჭორბენაძეს ზამთარში ამერიკელთა იმედი აქვს

გვანცა კვინიკაძე

*საქართველოს მთავრობამ, ბოლო პერიოდში ენერგეტიკის სფეროში მიღწეული შედეგებისთვის, როგორც იქნა, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წარმომადგენლების ქება დაიმსახურა. ქართული მხარე ზამთრის სეზონისთვის ემზადება და ამაში, ტრადიციულად, ამერიკის მთავრობის დახმარების იმედი აქვს. თავის მხრივ, ამერიკელები საქართველოს ხელისუფლებისგან კონკრეტული პრობლემების მოგვარებას და ერთობლივ, კოორდინირებულ მუშაობას ითხოვენ. ამ პირობების შესრულების შემთხვევაში USAID საქართველოს ენერგეტიკის პრობლემების მოგვარებაში ძლიერი დონორი ორგანიზაციებისა და კომპანიების ჩართვის დაპირებას იძლევა.*

**„აშშ-ს დახმარება რომ არა, საქართველო გასულ ზამთარს ვერ გადაიტანდა. იმედი გვაქვს, რომ, კვლავაც ამერიკის თანადგომის წყალობით, წლევანდელ ზამთარს ქვეყანა გაცილებით უკეთ მომზადებული შეხვდება,"** - განაცხადა USAID-ის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრმა **ავთანდილ ჯორბენაძემ**. ზამთრისთვის მზადების გზაზე პირველ რიგში მოსაგვარებელ პრობლემებად იგი ქვეყნის ჰიდრორესურსების მობილიზებას და ელექტროსადგურების შეკეთებას, აგრეთვე, საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან ელექტროენერგიის საფასურის ამოღებაზე კონტროლის გაძლიერებას მიიჩნევს. ჯორბენაძის თქმით, ელექტროენერგიის საფასურის ამოღების დონის ამაღლებისთვის საბიუჯეტო ორგანიზაციებთან სპეციალური ხელშეკრულებები გაფორმდება. რეგიონებში ამ მხრივ არსებული სიტუაციის გამოსწორება გუბერნატორებს დაევალებათ, ხოლო სახელმწიფო წილის მქონე საწარმოებში, ელექტროენერგიის საფასურის გადახდაზე, პასუხი ქონების მართვის სამინისტროს მოეთხოვება. მთლიანად, ზამთრისთვის მზადების ღონისძიებათა გამახორციელებელ ჯგუფს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლაიშვილი და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო გაუწევენ კოორდინაციას.

USAID-ის სამხრეთ კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი **მაიკლ ფარბმანი** „ენერგოდისპეტჩერიზაციისა" და „ელექტროგადაცემის" ირლანდიური კომპანიისთვის გადაცემას სერიოზულ პოზიტიურ ნაბიჯად მიიჩნევს, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ ელექტროენერგიის საფასურის გადახდების გაუმჯობესებას ანიჭებს. მისი აზრით, სანამ ამ სფეროში საგრძნობი პროგრესი არ მიიღწევა, მთლიანად ენერგეტიკაში სერიოზული პოზიტიური ცვლილებების მიღწევა შეუძლებელი იქნება. ფარბმანმა ხელისუფლებას ურჩ გადამხდელებთან უფრო აქტიური მუშაობისკენ მოუწოდა და მთავარ „ურჩად" საქართველოს რკინიგზა დაასახელა. თუმცა, იგი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა **დავით მირცხულავამ** დაამშვიდა. მისი ინფორმაციით, რკინიგზა მთავრობის მკაცრ მოთხოვნებს დაემორჩილა და მაისში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური - 1.5 მილიონი ლარი ბიუჯეტში უკვე გადარიცხა.

მთავრობას საიმედოდ ეჩვენება მდგომარეობა ელექტროენერგიის სხვა მსხვილ მომხმარებლებთან დაკავშირებითაც. ჯორბენაძის თქმით, პრობლემები არ არსებობს „ფეროსთან" და „აზოტთან", ხოლო 120.000 ტონა მანგანუმის გაყიდვაზე „ჭიათურმანგანუმის" მიერ ახლახანს გაფორმებული კონტრაქტი ამ საწარმოსაც მისცემს ელექტროენერგიის საფასურის დაფარვის საშუალებას.

ენერგოსფეროში ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ მიღწევად სახელმწიფო მინისტრი ენერგოსაბაჟოს შექმნას მიიჩნევს, რომელიც, დაახლოებით, ერთ თვეში უნდა ამოქმედდეს. **„აქამდე არავინ იცოდა, რა ოდენობის ენერგორესურსი შემოდიოდა ქვეყანაში ან რამდენი გადიოდა. ენერგოსაბაჟოს მეშვეობით კი ეს პროცესები სრულყოფილად გაკონტროლდება,"** - განაცხადა ჯორბენაძემ.



*ავთანდილ ჭორბენაძე* — ბესო გულაშვილის ფოტო

USAID-ის დახმარება საქართველოს უფრო ფართო, რეგიონული ენერგეტიკული პროექტის რეალიზებაშიც სჭირდება. ამ პროექტის თანახმად, საქართველომ და აზერბაიჯანმა ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, უნდა შექმნან, რისი მიზანიც იაფი ელექტროენერგიის მისაღებად, საქართველოს ჰიდრო- და აზერბაიჯანის თბორესურსების გაერთიანება და რაციონალური გამოყენება იქნება. საკმაოდ მაღალია ამ პროექტთან თურქეთის მიერთების ალბათობაც. სამაგიეროდ, მირცხულავას ინფორმაციით, სომხეთი თავს იკავებს თანამშრომლობისგან, რაც ამ ქვეყნის ირანის ენერგოსისტემასთან მჭიდრო კავშირით აიხსნება.

# ფეხბურთმა თანამეგობრობის მაკონტროლებლების დაახლოება დააჩქარა

სოფიკო ოხანაშვილი

*გუშინ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს მუშა ჯგუფის მიერ შემოწმებულ დოკუმენტებს. ბრაზილია-ინგლისის ნაკრებების საფეხბურთო მატჩის გამო, მათ ეს პროცედურა შესვენებამდე შეასრულეს. ოფიციალურმა ცერემონიამ საზეიმო ვითარებაში ჩაიარა. ყველა კმაყოფილი იყო. შემდეგი სესია ბიშკეკში გაიმართება.*

სესიის ბოლო სხდომაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდნენ EUROSAI-ის პრეზიდენტი სერგეი სტეპაშინი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელთა საბჭოს ექსპრეზიდენტი და უკრაინის საანგარიშო პალატის თავმჯდომარე ვალენტინ სიმონენკო და მოლდოვის საანგარიშო პალატის თავმჯდომარე ვასილ პენტელეი. კოლეგების მსგავსად სესიის მუშაობა სულხან მოლაშვილმაც დადებითად შეაფასა. **„განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დოკუმენტებს, რომლებსაც ხელი მოვაწერეთ. ეს უკვე მეტყველებს სესიის მუშაობის ნაყოფიერებაზე",** – კმაყოფილება ვერ დამალა სულხან მოლაშვილმა. ის შეჰპირდა თავის კოლეგებს, რომ მათ იმედებს არ გაუცრუებს და ღირსეულად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე სესიის მონაწილეებმა დსთ-ს ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელთა საბჭოს პრეზიდენტად აირჩიეს.



*სერგეი სტეპაშინი დეკლარაციას ხელს აწერს* — იური ლობოდინის ფოტო

ბრაზილია-ინგლისის მატჩის შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების კონტროლის პალატების ხელმძღვანელებმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც, ძირითადად, სესიის შესახებ ისაუბრეს. თუმცა, არც მსოფლიო ჩემპიონატი დაივიწყეს. სულხან მოლაშვილის გარდა, რომელიც გერმანიის ნაკრებს გულშემატკივრობს, თავის ფავორიტად ყველამ კორეის ნაკრები დაასახელა, ალბათ, INTOSAI–ს პრეზიდენტის იონგ ნამ ლის პატივსაცემად.

მაკონტროლებლების სესია, ტრადიციულად, განტვირთვით დასრულდა. ძველი თბილისის დათვალიერების შემდეგ სულხან მოლაშვილი სტუმრებს რესტორან „მცხეთაში" გამართული ბანკეტით გაუმასპინძლდა. დღეს კი დელეგაცია კონიაკის ქარხანა "სარაჯიშვილს" ესტუმრება.

# ნათელაშვილი „ეი-ი-ეს თელასს" პირველ ბრძოლას უგებს

ეთერ მამულაშვილი

*საკონსტიტუციო სასამართლო „ეი-ი-ეს თელასსა" და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულების კონსტიტუციურობას ეჭვქვეშ აყენებს. გუშინ სასამართლომ გადაწყვიტა, განსახილველად მიიღოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის კერძო სარჩელი სააქციო საზოგადოება „ეი-ი-ეს თელასის" წინააღმდეგ.*

ლეიბორისტთა ლიდერი თავის სარჩელში, „ეი-ი-ეს თელასთან" დადებული ხელშეკრულების გაუქმების გარდა, მოითხოვდა 1998-1999 წლებში პრეზიდენტის იმ განკარგულებების ანულირებას, რომელმაც ხელი შეუწყო და დააჩქარა „თელასის" პრივატიზების საკითხი. მოსამართლე ბესარიონ ზოიძემ ნათელაშვილის ეს ბოლო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან, მისი თქმით, საკონსტიტუციო სასამართლო მოქალაქის სარჩელის საფუძველზე მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას იხილავს. პრეზიდენტის განკარგულებები კი მოქმედი კანონმდებლობით არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს.

მიუხედავად ამისა, შალვა ნათელაშვილი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებითაც კმაყოფილია: **„შეიძლება ითქვას, რომ დღეს მოფრინდა პირველი მერცხალი, ეს იქნება პირველი დარტყმა ენერგოოკუპანტებზე, რომლებმაც დაგვირღვიეს ილიას პრინციპი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს," დღეს კი შუქი ჩვენი არსებობისა ეკუთვნის უცხოელ ოკუპანტებს, რომლებიც, როცა მოისურვებენ, დენს მაშინ გამოგვირთავენ და ჩაგვირთავენ. როგორც მოისურვებენ, ისე გაგვაძრობენ ტყავს, და შემდეგ იმ ჩვენს გაძრობილ ტყავს დაიკერებენ თავიანთ სავარძელზე და კარგად ინებივრებენ. დღეს კი უკვე დაიწყო ამ პროცესების დასასრული".**

შალვა ნათელაშვილი დარწმუნებულია, რომ მომავალში სასამართლოს შემადგენლობაზე ხელისუფლების მხრიდან ძალიან დიდი ზეწოლა იქნება, თუმცა იგი იმედოვნებს, რომ სასამართლო ამ ზეწოლას გაუძლებს და პროცესის დამთავრებისა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, „ეი-ი-ესი თელასი" დატოვებს საქართველოს. ნათელაშვილი ახცადებს, რომ აეროპორტში ამ კომპანიას თავად გააცილებს. ლეიბორისტთა ლიდერი ამის შემდეგ გაეროს რასიზმისა და დეკოლონიზაციის კომიტეტში „ეი-ი-ეს თელასის" საკითხის დაყენებას გეგმავს. **"ეი-ი-ეს თელასთან გაფორმებულ კონტრაქტში წერია, რომ საქართველოს არ შეუძლია რაიმე კანონის მიღება მათთან შეთანხმების გარეშე. ეს არცერთ კოლონიზატორს არ მოუთხოვია არცერთი მეტროპოლიისთვის. აშშ-ში არსებობს კანონი, რომელიც უკრძალავს მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ფირმებს, აი, ასეთ კაბალურ გარიგებებს ნებისმიერ ქვეყანასთან. ამიტომაც, ამ საქმეს ასე უბრალოდ არ შევეშვებით",** - აცხადებს ლეიბორისტთა ლიდერი.

ნათელაშვილმა მოსამართლეებს, მოსახლეობას და ჟურნალისტებს ბოდიში მოუხადა პირველ სასამართლო პროცესზე მომხდარი ინციდენტის გამო. მაშინ მან პროტესტის ნიშნად სასამართლო დარბაზი სკანდალურად დატოვა და მომდევნო პროცესს აღარ დაესწრო. **„სასამართლოზე აშკარად იყო ზეწოლა სახელმწიფოს ზედა სტრუქტურებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. ამას ჩვენ ვხედავდით და ჩემი რეაქცია სწორედ ამან გამოიწვია."** გუშინდელი სასამართლო პროცესი რიგით მესამე იყო.

„ეი-ი-ეს თელასის" ლობი ირაკლი მელაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა. მისი აზრით, სასამართლოზე პოლიტიკური ზეწოლა განხორციელდა. **„საკონსტიტუციო სასამართლომ ძალიან კარგად იცის, რომ „თელასის" საქმიანობა საქართველოში აბსოლუტურად კანონიერია. სამწუხაროა, რომ სასამართლო ასე იოლად აჰყვა ნათელაშვილის პოპულისტურ ტალღას",** - აღნიშნა „ეი-ი-ეს თელასის" ლობისტმა.

საკონსტიტუციო სასამართლო „თელასის" პრივატიზაციის კანონიერების საკითხის შესწავლას რამდენიმე დღის შემდეგ შეუდგება.

# „ტუ-134" სეხნიას ვერ იტანს

კომპანია „აეროფლოტი – რუსეთის ავიახაზები" სიგარეტ „ტუ-134"-ის მწარმოებლებს საკუთარი სავაჭრო ნიშნის გამოყენებისთვის ჯარიმის გადახდას სთხოვს. თუმცა, დაჯარიმებამდე „აეროფლოტს" სურს, სიგარეტის გამოშვება საერთოდ შეჩერდეს. საავტორო უფლებების დარღვევაში ბრალი თამბაქოს ბულგარულ კომპანიას „ბულგართაბაქ ჰოლდინგ გრუფს" და მის რუს პარტნიორს – თამბაქოს საერთაშორისო კორპორაციას ედებათ. უფრო ზუსტად, მათ სიგარეტ „ტუ-134"-ის კოლოფზე „აეროფლოტის" სიმბოლიკის გამოყენებაში ადანაშაულებენ.

შეგახსენებთ, რომ „ბულგართაბაქი" რუსეთის ბაზარს „ტუ-134" მარკიანი სიგარეტით 1970-იანი წლებიდან ამარაგებს. იმავე სამარკო ნიშანზე ლიცენზია თამბაქოს საერთაშორისო კორპორაციამ მოგვიანებით მოიპოვა. ერთ-ერთ მთავარი დამნაშავის სტატუსს ის ამიტომაც ფლობს.

# ოცდოლარიანი იცვლება

აშშ-ს ბეჭდვის ფედერალური ბიუროს განცხადებით, 2003 წლიდან, შესაძლოა, ხმარებაში ახალი 20-დოლარიანი კუპიურები შევიდეს. ახალი ბანკნოტი სხვა ფერის იქნება და გამყალბებელთა სურვილების ჩასახშობად უსაფრთხოების დამატებითი ელემენტებით აღიჭურვება. როგორც ცნობილია, 20-დოლარიანი ბანკნოტი, ერთდოლარიანის შემდეგ, შტატებში ყველაზე პოპულარულია. ბოლო ხანს შედარებით ხშირად იხმარება 50- და 100-დოლარიანიებიც. 20-იანის შეცვლის შემდეგ, დაახლოებით, 12-18 თვეში 50- და 100-დოლარიანებსაც გამოცვლიან.

ასე რომ, მოკლე ხანში ამერიკული დოლარების ფერთა გამა საგრძნობლად გადახალისდება. ოფიციალური წარმომადგენლების თქმით, გამოვა ვარდისფერი კუპიურებიც. ამ ფერის გაყალბება კრიმინალებს განსაკუთრებით გაუჭირდებათ.

ფალსიფიცირების პრობლემა კი შტატებში ძალიან აქტუალურია. ზოგიერთი მონაცემით, ყოველწლიურად ამერიკულ ბაზარზე, დაახლოებით, 10 მილიონი ყალბი დოლარი შედის. პრობლემის აღმოსაფხვრელად ბეჭდვის ფედერალური ბიურო კუპიურების დიზაინს ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ ახალისებს.

# ირანი ბენზინის წარმოებას ზრდის

წელს ირანი ნავთობპროდუქტების და გაზის ექსპორტის გაზრდას 13.11 პროცენტით აპირებს, ანუ მოცულობა დღე-ღამეში 47 ათას ტონამდე გაიზრდება. ექსპორტი ყველაზე მეტად ნავთს შეეხება. ნავთობის ირანული სამინისტროს განმარტებით, ხსენებული პროდუქტების მოხმარება საგრძნობლად გაიზრდება ქვეყნის შიგნითაც. მთლიანობაში ეს ზრდა ასე დაფიქსირდება – 0.4 პროცენტი. ეს მაჩვენებლი მცირე არც აქამდე ყოფილა. ირანში დღე-ღამეში სხვადასხვა საწვავზე მოთხოვნილება 192.24 ათას ტონას შეადგენს. მეტიც, ყოველდღიურად ირანელები 49 ათას ტონა ბენზინს ხარჯავენ. სწორედ ამ მიზეზის გამო ირანის ნავთობგადამამუშავებელი კომპანიები მოთხოვნებს ვერ უმკლავდებიან. 2001 წელს საზღვარგარეთიდან ნავთობპროდუქტების შეძენისათვის განკუთვნილი ერთი მილიარდიდან 800 ათასი ბენზინზე დაიხარჯა. თვითონ ირანში კი ამ პერიოდში 500 მილიონი დოლარის ბენზინი გამოუშვეს.

ირანელი ეკონომისტების პროგნოზით, 2006 წლამდე ნავთობპროდუქტების იმპორტი 2.5 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იქნება ირანში ნავთობპროდუქტებზე არსებული დაბალი ფასებით.

# გაჭირვებული Levi Strauss

პირველად სამი წლის განმავლობაში კომპანია Levi Strauss & Co-მ სერიოზული დანაკარგი განიცადა – დაახლოებით 81 მილიონი დოლარის ზარალი. სპეციალისტების განმარტებით, ამის მიზეზი ტანსაცმლის 8 ქარხნის დახურვა და ბითუმად მოვაჭრეთათვის ფასდაკლებების დაწესებაა. ამას დაემთხვა 150-მილიონიანი ვალის აღებაც, რამაც კომპანიას დამატებითი ფინანსური პრობლემები შეუქმნა.

არადა, 2001 წლის მეორე კვარტალში Levi Strauss-ის მოგება 44 მილიონი დოლარით განისაზღვრა. ერთ წელიწადში ამხელა კონტრასტი კი ნამდვილად დიდ მნიშვნელობას იძენს. თუმცა, გლობალური ეკონომიკის კრიზისის ფონზე Levi Strauss-ი განსაკუთრებულად დაჩაგრული მაინც არ არის. მის ბედს სხვა კომპანიებიც იზიარებენ.

# სამწუხაროა, მაგრამ ასეა

„გუჩის" ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, რომელთაც დღემდე ვერ გაუგიათ, თუ რატომ შეექმნა კომპანიას ასეთი სერიოზული ფინანსური პრობლემები. თუმცა, ფაქტი სახეზეა - 2002 წლის პირველ მეოთხედში „გუჩის" შემოსავლებმა შარშანდელთან შედარებით 42 პროცენტით იკლო. მსოფლიო ეკონომიკაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, „გუჩიც" თავის პრობლემებს 11 სექტემბრის საბედისწერო შედეგებს აბრალებს. „გუჩის" წარმომადგენლების განცხადებით, ტერაქტების გამო კომპანიის შემოსავლები 35.5 მილიონ ევრომდე დაეცა. შედარებისთვის დავძენთ, რომ შარშან, წლის ამავე პერიოდში „გუჩიმ" 61.4 მილიონი ევრო მიიღო.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 15-21 ივნისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6663 | 0.6435 | 0.0054 |
| US$ | 1.5008 | | 0.9658 | 0.0081 |
| €uro | 1.5539 | 1.0355 | | 0.0084 |
| ¥en | 185.16 | 123.4 | 119.16 | |

### 2002 წლის 21 ივნისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1428 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3274 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4587 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2180 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.4109 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1799 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0704 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4557 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3814 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1930 ლარი |

# კორუფციული რისკი ადვოკატურის კანონში

სოფიკო ჩხაიძე

ადვოკატურის შესახებ კანონში მისაღები ცვლილებების მეორედ მოსმენისას, საქართველოს პარლამენტის წინაშე დილემა დადგა. ერთნი ირწმუნებიან, რომ გამოცდები ყველამ უნდა ჩააბაროს, ვისაც მომავალში ადვოკატის პრაქტიკა სურს, მეორენი მიიჩნევენ, რომ მოქმედ ადვოკატებს ტესტირება არ სჭირდებათ. ზოგიც საერთოდ გამოცდების წინააღმდეგია და მიაჩნია, რომ ადვოკატების ბუნებრივი გადარჩევა უნდა მოხდეს.

გუშინ ანტიკორუფციულმა ბიურომ მიიღო დასკვნა, რომლის ადრესატებიც არიან პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და პარლამენტის წევრები.

დასკვნა, რომელსაც ხელს აწერს ანტიკორუფციული ბიუროს მდივანი კახა უგულავა, ეხება მხოლოდ იმ გარდამავალ დებულებებს, რომლებიც ადვოკატთა ტესტირების საკითხებს არეგულირებს.

განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, გამოცდის ჩაბარებიდან თავისუფლდება ყველა ის პირი, ვისაც კანონის მიღებამდე ჰქონდა საადვოკატო პრაქტიკა. სამაგიეროდ, სავალდებულო ხდება ტესტირების გავლა მათთვის, ვინც მომავალში დაამთავრებს იურიდიულ ფაკულტეტს და ვინც საჯარო სამსახურიდან წასვლასა და ადვოკატობას გადაწყვეტს.

ანტიკორუფციონერების აზრით, ამ პრინციპის საწინააღმდეგოდ მეტყველებს თვით გამოცდების ჩატარების აუცილებლობის არგუმენტაცია. როგორც ცნობილია, გამოცდების ჩატარების გამართლება ხდება მოქმედ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესვლით. აქედან გამომდინარე, ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნის თანახმად, ახალგაზრდები უფრო ინფორმირებულები არიან, რადგან გამოცდებს სწორედ ახალი კანონმდებლობის მიხედვით აბარებენ, ძველი ადვოკატები კი ძველ კანონმდებლობას უკეთ იცნობენ. ამიტომაც ანტიკორუფციულში თვლიან, რომ სამართლიანობა მოითხოვს, გამოცდები საყოველთაო იყოს.

ამასთან, დასკვნაში კორუფციული რისკის შემცველად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, საადვოკატო საქმიანობის წარმოების დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს ადვოკატთა კოლეგიის, სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ან ამხანაგობების მიერ გაცემული ცნობა. ანტიკორუფციული ბიურო ითვალისწინებს საქართველოში არსებულ პრაქტიკას და თვლის, რომ ამგვარი ყალბი ცნობის წარმოდგენა არავისთვის იქნება პრობლემა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ანტიკორუფციული ბიურო მიმართავს პარლამენტს, რომ ადვოკატურის შესახებ კანონპროექტში ცვლილებები ამ სახით არ შეიტანონ. თუ პარლამენტი მათ თხოვნას არ გაითვალისწინებს, ანტიკორუფციონერები გამოიყენებენ თავიანთ უფლებას და პრეზიდენტს კანონზე ვეტოს დადების თხოვნით მიმართავენ.



*კახა უგულავა ადვოკატურის შესახებ კანონში კორუფციულ რისკს ხედავს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# კალაშოვი თავად გამოცხადდა პროკურატურაში

პირველი გვერდიდან

მანამდე კი სამხედრო პროკურატურის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე ისანი-სამგორის სასამართლომ სამთვიანი აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა დაკავებულებს - უშიშროების სამინისტროს თანამშრომელს, მაიორ სიმონ მჭედლიძესა და რუსეთის მოქალაქეს არტურ ლუდკოვს. როგორც ცნობილია, ორივე მათგანი იმ მანქანაში იჯდა, რომელშიც იარაღი აღმოაჩინეს. მჭედლიძემ აღიარა, რომ იარაღიც და მანქანაც კანონიერ ქურდს შაქრო კალაშოვს ეკუთვნოდა.

სამხედრო პროკურატურა რამდენიმე დღე დასაკითხად ელოდა დავით შენგელიას, რომელმაც ამოღებულ იარაღზე გამოთქვა პრეტენზია. თავის მხრივ, პარტიზანთა ლიდერმა ჩვენთან საუბარში უარყო, რომ პროკურატურიდან მას დაკითხვაზე მისვლა სთხოვეს.

**"შენგელია არც მოვიდოდა დაკითხვაზე. მან შესანიშნავად იცოდა, სამხედრო პროკურატურაში რომ მოსულიყო, აქედან ვერ წავიდოდა. ახლა კი უკვე მის დაკითხვაზე გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატმა იზრუნოს,"** — გვითხრა სამხედრო პროკურორმა გია ჯიქიამ, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა იარაღის საქმის გამოძიებას.

სამხედრო პროკურატურაშივე, სრულიად მოულოდნელად, საკუთარი ნებით მივიდა შაქრო კალაშოვი. არადა, მისი დაკითხვაზე მიყვანა, ფაქტობრივად, შეუძლებლად მიაჩნდათ. იგი მოწმის სახით დაკითხეს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, კანონიერმა ქურდმა იარაღთან და დაპატიმრებულებთან ყოველგვარი კავშირი უარყო და ამით, ფაქტობრივად, დაადასტურა დავით შენგელიას განცხადებები.

ამის შემდეგ გამოძიება გენერალურ პროკურატურაში გადააქვთ.

როგორც ჩანს, გენერალურმა პროკურორმა პრეზიდენტის დავალება შეასრულა: ედუარდ შევარდნაძემ, იარაღის საქმის სირთულის გამო, მისი გენპროკურატურაში გამოძიება ბრძანა. გია ჯიქია, თავის მხრივ, დარწმუნებულია, რომ ამ საქმის გამოძიებისას შესაძლებელზე მეტი გააკეთა. მიუხედავად ამისა, როგორც შევიტყვეთ, თანამდებობიდან მის გასათავისუფლებლად მძლავრი სახელისუფლებო ბერკეტები ამოქმედდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ, გავრცელებული ხმების თანახმად, სამხედრო პროკურორის სკამის ბედი კანცელარიის მაღალ კაბინეტებში წყდება, ოღონდ მსჯელობის საგანი მისი პროფესიონალიზმი არ გახლავთ.

**"ასეთი სერიოზული საქმე ჩვენმა უწყებამ კარგად წაიყვანა. ორი კაცი დაპატიმრებულია. ვისი დაკითხვაც შეიძლებოდა, დავკითხეთ. მეტი რა უნდა გაგვეკეთებინა. ჰოდა, თუ შეიძლება, რომ სამხედრო პროკურორი თანამდებობიდან იმის გამო გაათავისუფლონ, რომ "რუსთავი 2"-ის ეთერით გამოვიდა და არა პირველი არხის, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. კი, ბატონო, მომხსნან. მე მაინც მიმაჩნია, რომ იქ მივედი, სადაც უნდა მივსულიყავი,"** — გვითხრა ჯერ კიდევ სამხედრო პროკურორის თანამდებობაზე მყოფმა გია ჯიქიამ.

# დევნა უცხოელებზე

ინგა ალავიძე

*საქართველოში ძალიან ცუდი იმიჯის მქონე ინგლისელის პიტერ შოუს გატაცების ფაქტს საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა. საქართველო კიდევ ერთხელ წარდგა მსოფლიოს წინაშე, როგორც კრიმინალური ქვეყანა.*

პირველი აჟიოტაჟი საქართველოში უცხოელთა დაჩაგვრის ფაქტზე 1998 წელს ატყდა, როცა გაეროს მისიის წარმომადგენელი, ბარბარა ვევიორსკა, სიცოცხლეს გამოასალმეს. მაშინ უცხოელი დიპლომატის მკვლელობისთვის დაპატიმრებულ გიორგი ბრეგვაძეს საჩვენებელი გასამართლება მოუწყვეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა, საქართველოში სტუმრად, თუ დიპლომატიური მისიით ჩამოსულ უცხოელებზე თავდასხმები ამით არ დასრულებულა, პირიქით. ამიტომაც საქართველო უცხოელთათვის საშიშ ზონად გამოცხადდა.

თავის დროზე თბილისის შერიფმა, სოსო ალავიძემ, უცხოელთა წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმების მიზეზად პოლიტიკური მოტივი დაასახელა. **"თბილისში აღმოსავლური სპორტის მიმდევრებით დაკომპლექტებული ჯგუფები მოქმედებენ და უცხოელებს თავს ესხმიან. მათი მფარველების მიზანია, საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე იმიჯი შეელახოს,"** – ასეთი იყო თბილისის ყოფილი პირველი პოლიციელის ახსნა-განმარტება. სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციებით, სოსო ალავიძისა და შემდეგ მისი შემცვლელის, კახა ბაკურაძის კარიერაც სწორედ უცხოელის წინააღმდეგ განხორციელებულმა დანაშაულმა შეიწირა.

ერთი სიტყვით, საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე მართლაც დაუმკვიდრდა კრიმინალური ქვეყნის იმიჯი.

უცხოელებზე გახშირებული თავდასხმების გამო ქართულ კრიმინალისტიკაში დანაშაულის ახალი კვალიფიკაცია გაჩნდა. დანაშაულთა სტატისტიკური აღრიცხვის ცენტრს ახალი გრაფა დაემატა – უცხო ქვეყნების მოქალაქეთა მიმართ ჩადენილი დანაშაული.

გენერალურმა პროკურატურამ სამართალდამცველ სტრუქტურებს მითითებები დაუგზავნა უცხოელ მოქალაქეთა მიმართ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე რეაგირების გააქტიურების მოთხოვნით. მსგავსი მითითება ჩაბარდა თბილისის პროკურატურასაც, რომელმაც ამ პრობლემას სქელტანიანი დასკვნა მიუძღვნა.

თბილისის პროკურატურის მონაცემები ასეთია: თბილისში, 5 თვეში, უცხოელთა წინააღმდეგ 20 დანაშაული მოხდა. კანონდამცველებმა მხოლოდ 3 დანაშაულის გახსნა მოახერხეს. უცხოელებზე თავდასხმები ხშირია თბილისის ისეთ პრესტიჟულ უბნებში, როგორებიცაა: ვაკე-საბურთალო და მთაწმინდა-კრწანისი. თბილისის დანარჩენ უბნებში უცხოელი სტუმრები კრიმინალებს არ შეუწუხებიათ, ალბათ, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ უცხოელები ქალაქის განაპირა რაიონებში იშვიათად მოძრაობენ.

ზემოაღნიშნულ ოცივე შემთხვევაში თავდასხმის ობიექტები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები გახდნენ.

8 იანვარს გაქურდეს საქართველოში აშშ-ს საელჩოს დიპლომატიური ატაშე ვანესა აქერი. მისი დროებითი საცხოვრებელი ბინიდან მოიპარეს 4205 აშშ დოლარის ღირებულების საოჯახო და პირადი ნივთები;

14 იანვარს, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, გაიქურდა ინგლისელი ტრევორ კარტლეჯის ბინა, საიდანაც წაიღეს 5890 ლარის ღირებულების ნივთები;

21 იანვარს გაიძარცვა საქართველოში რუსეთის საელჩოს თანამშრომლის ოლეგ დივანოვის ბინა, საიდანაც 2420 ლარი და 500 აშშ დოლარი წაიღეს;

14 იანვარს გაიქურდა იაპონელი მოქალაქის იუკო აკაგის სახლი. მძარცველებმა 2000 აშშ დოლარის ნივთები გაიტაცეს;

27 იანვარს არაბი ბიზნესმენის, ჰადი საიდის, გაქურდული ბინიდან 1050 ლარის ნივთები გაიტაცეს;

28 იანვარს თურქეთის საელჩოს ატაშეს, ქაზიმ რეფათის, საცხოვრებელი სახლის ეზოდან მოპარეს მანქანა "ვაზ-2110" დიპლომატიური ნომრებით. მანქანას დღემდე ვერ მიაგნეს;

28 თებერვალს გაიტაცეს საქართველოში საფრანგეთის ვიცე-კონსულის მარი ოდილ ფაბის მანქანა, რომელიც 4700 აშშ დოლარადაა შეფასებული. ერთ თვეში ვიცე-კონსულს ხელიდან გამოსტაცეს ჩანთა, რომელშიც 2300 აშშ დოლარი ედო. ახლახან კი მარი ოდილ ფაბს კიდევ ერთი მანქანა მოპარეს. ეს ფაქტი პროკურატურის დასკვნაში, ალბათ, იმიტომ არ შეუტანიათ, რომ მანქანა ვიცე-კონსულს იმ დღესვე დაუბრუნეს, გამტაცებელი კი დააკავეს;

25 მარტს გერმანიის საელჩოს თანამშრომელს ფრანკ ალბერგს მოპარეს 4100 აშშ დოლარის ღირებულების ავტომანქანა;

9 მაისს გერმანელ ტურისტებს, ილზე მოოლეს და ინგრიდ შპრინგორუმს, კუს ტბის ტერიტორიაზე თავს დაესხნენ და წაართვეს პირადი ნივთები.

30 იანვარს გაქურდეს ეუთოს მისიის ოფიცერი, ჩეხი ვლადიმერ ცაპეკი. მისი ბინიდან წაიღეს 3 ათასი აშშ დოლარი;

29 იანვარს გაძარცვეს კომპანია "დაგანდის" პროექტის მენეჯერის ჩანგ ჯინ შენგის სახლი;

6 მარტს თბილისში ჩამოსვლისთანავე სასტუმრო "ქართლში" დაბინავებულ შვეიცარელ ჟურნალისტს, შტეფან ჰილეს, გაუქურდეს სასტუმროს ნომერი. მძარცველებმა წაიღეს 400 აშშ დოლარი და 400 ათასი რუსული რუბლი;

19 მარტს ირანელ ამირ თავასოლის სახლში ფანჯრიდან შევიდა ორი შეიარაღებული ნიღბიანი მამაკაცი. მათ 1500 აშშ დოლარის ღირებულების ნივთები წაიღეს.

ჩამოთვლილი დანაშაულებიდან კანონდამცველებმა მხოლოდ 5 საქმის გახსნა მოახერხეს, დანარჩენი საქმეების ძიება დამნაშავის დაუდგენლობის მოტივით შეწყდა.

30 აპრილს, თბილისში, "ეა" ბანკის ბერძენი აღმასრულებელი დირექტორი გაქურდეს, მანამდე, რამდენიმე თვით ადრე, მასზე კრიმინალური შტურმი სვანეთის გზაზე მიიტანეს. უკვე მეორედ გაქურდულ გეორგიუს პარასკეოპულოს გამომძიებლისთვის უთქვამს: როგორც ჩანს, პანდორამ თავისი ყუთი საქართველოში დაცალაო. ამის თქმის საფუძველს ნამდვილად აძლევდა 1999 წელს მასზე მომხდარი კიდევ ერთი თავდასხმა.

## სასამართლო დარბაზი

# მოქალაქეები მერიის წინააღმდეგ

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ერთი წლის წინ, წერეთლის ქუჩაზე აფეთქებული N 40 სამგზავრო ავტობუსის დაზარალებული მგზავრები, უკვე მეორე ინსტანციის სასამართლოში ეძებენ სამართალს. ავტობუსის აფეთქების შედეგად დაღუპული შვიდი ადამიანის ოჯახის წევრები და სიკვდილს გადარჩენილი დამწვარ-დასახიჩრებულ-დაინვალიდებული მგზავრები სახელმწიფოსგან დახმარებას ითხოვენ.*

უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი-მეტრო "ახმეტელის" მარშრუტით მიმავალი ავტობუსის აფეთქება სალონში გაჟონილმა აირმა გამოიწვია. ავტობუსის იატაკის ქვეშ დამაგრებული, დაზიანებული გაზის ბალონებიდან ამოხეთქილმა აირმა ჯერ ხანძარი გააჩინა, შემდეგ კი ავტობუსი ააფეთქა. შეშინებულმა მძღოლმა კარების გახსნა მოახერხა და გაიქცა. სალონის უკანა ნაწილში მყოფი მგზავრებიდან ზოგმა შეძლო ცეცხლწაკიდებული ავტობუსიდან თავის დაღწევა და მძიმე დაზიანებებით გადაურჩა სიკვდილს. ზოგისთვის კი გადარჩენისთვის ბრძოლა უშედეგოდ დასრულდა. გაქცეული მძღოლი იმავე საღამოს დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციას ჩაბარდა.

იმავე რაიონის სასამართლომ მას შვიდწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

როგორც გამოძიებით გაირკვა, გაზის ბალონები ავტობუსის იატაკს ქვეშ მძღოლს თვითნებურად მიუმაგრებია. ეს სწორედ ის ჟანგბადის ბალონები ყოფილა, რომელთა აირით დატუმბვაც არ შეიძლება. სახანძრო ტექნიკურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ავტობუსზე, რომელიც შპს "N 5 ავტოპარკს" ეკუთვნოდა, ორი წლის განმავლობაში ტექდათვალიერება არ ჩატარებულა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ შპს "N 5 ავტოპარკს," რომლის დამფუძნებელიც და წილის მფლობელი თბილისის მერიაა, თითოეული დაზარალებულისთვის 5 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. მერიამ გარდაცვლილთა დაკრძალვის ხარჯი - ათას-ათასი ლარი გაიღო, დაზიანებულთათვის მკურნალობის ხარჯების გაცემაც დაიწყო, მაგრამ მალევე შეაჩერა.

საქმე ისაა, რომ მერიის მფლობელობაში მყოფი შპს "N 5 ავტოპარკი" დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასრულებს. უკვე მეხუთე თვეა, დაზარალებულები კუთვნილ თანხას ითხოვენ. გუშინ სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაზარალებულთა ადვოკატმა სასამართლოს განუმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული 5 ათასი ლარი დაზარალებულთათვის ერთი კაპიკის ტოლფასია. **"შვიდი ოჯახი მარჩენალის გარეშე დარჩა, ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, რამდენიმე ოჯახი მრავალშვილიანია. დანარჩენ დაზარალებულებს სერიოზული მკურნალობა – ოპერაციები და ძვირადღირებული მედიკამენტები სჭირდებათ. მატერიალური ზარალის თანხებს საბოლოოდ დავადგენთ და მტკიცებულებებსაც წარმოვადგენთ,"** - განუცხადა სასამართლოს ადვოკატმა თემურ გოგსაძემ.

გუშინდელ პროცესზე სასამართლო კოლეგია, დაზარალებულთა სააპელაციო საჩივრის პარალელურად, აფეთქებული ავტობუსის მძღოლის სააპელაციო საჩივარსაც განიხილავდა.

წინასწარ გამოძიებაშიც და პირველი ინსტანციის სასამართლოშიც ის თავს დამნაშავედ ცნობდა, სააპელაციო საჩივრით კი აცხადებს, რომ უდანაშაულოა და გათავისუფლებას ითხოვს.

**" ძიების დროს ყოფილმა ადვოკატმა და გამომძიებელმა შეცდომაში შემიყვანეს. მითხრეს, ყველაფერი შენს თავზე უნდა აიღოო. მეც ვაცხადებდი, რომ დამნაშავე ვიყავი. ახლა კი ჩემი უდანაშაულობის დამტკიცება მინდა,"** – განუცხადა სასამართლოს განსასჯელმა, რომელიც სექტემბრამდე თავს ვერ გაიმართლებს. დაზარალებულების საკითხიც სექტემბრამდე ვერ გაირკვევა, რადგან სასამართლო კოლეგიის წევრები, რომლებიც ამ ტრაგიკულ შემთხვევას განიხილავენ, შვებულებაში გადიან.

# მილიონები ფოსტალიონების ხელში...

სამმა გერმანელმა ფოსტალიონმა 8 მილიონი ევროს ღირებულების საფოსტო მარკები მოიპარა. გამოძიების მონაცემებით, ფოსტის სამმა თანამშრომელმა, რომელთა შორის ყველაზე უმცროსი 38 წლისაა, უფროსი კი — 51-ის, მარკები მაინის ფრანკფურტის საწყობიდან მოიპარა. საწყობში 7,6 მილიონი ევროს ღირებულების 15 მილიონი მარკის დანაკლისია აღმოჩენილი; ძარცვის ვერსია გამოირიცხა.

ქურდობაში ეჭვმიტანილთა ბინებსა და სამუშაო ადგილებზე ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღეს რიგი ნივთმტკიცებები. სავარაუდო დამნაშავეთა კვალზე პოლიცია მაშინ გავიდა, როცა იანვარში ლიტვის ოთხი მოქალაქე დააპატიმრეს. ისინი 232 ათასი ევროს ღირებულების საფოსტო მარკების რეალიზებას ცდილობდნენ.

# სასამართლოს ჰუმანური გადაწყვეტილება

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ ჰუმანური გადაწყვეტილება მიიღო. ამიერიდან, იქ სისრულეში აღარ მოიყვანენ სულით ავადმყოფთათვის გამოტანილ სასჯელის უმაღლეს ზომას. უზენაესი სასამართლოს დადგენილებით, გონებრივად ჩამორჩენილთა სიკვდილით დასჯა ეწინააღმდეგება ქვეყნის უზენაეს კანონს – კონსტიტუციას.

# ვანდალური ქურდობა ნოვოსიბირსკის ზოოპარკში

თბილისელებს ზოოპარკში ცხოველების მოპარვითა და დახოცვით ნამდვილად ვერ გააკვირვებ. მეტიც, სულ რაღაც 10 წლის წინ დღე არ გავიდოდა, ვოლიერში ბარკალჩამოჭრილი ცხოველი არ ეპოვათ. ანალოგიურ შემთხვევასთან ჰქონდათ საქმე ნოვოსიბირსკელებსაც.

ნოვოსიბირსკის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ქურდებს, რომლებმაც ქალაქის ზოოპარკიდან უნიკალური იაპონური წერო მოიპარეს, მოკლეს და ხორცი არაყზე გაცვალეს.

48 წლის მამაკაცმა და 15 წლის მოზარდმა ქურდობა რამდენიმე თვის წინ ჩაიდინეს. მათ გატეხეს საზაფხულო ვოლიერის ბოქლომი და უნიკალური იაპონური წეროების წყვილიდან მამრი მოიპარეს. ამისათვის უფროს დამნაშავეს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, არასრულწლოვანს კი პირობითი სასჯელი.

სხვათა შორის, ქურდებმა დაკავებისთანავე აღიარეს დანაშაული: "ჩვენ არ ვიცოდით, რომ ასეთი იშვიათი ჩიტი თუ იყო. თანაც, თავიდან სხვა ფრინველის მოპარვა გვინდოდა, მაგრამ ის გაგვექცა", — გამოუტყდნენ დამნაშავეები სამართალდამცველებს.

ნოვოსიბირსკის ზოოპარკის წარმომადგენლებმა განსასჯელებს ზარალის ანაზღაურება არ მოსთხოვეს. სამაგიეროდ, სარჩელი შეიტანეს სასამართლოში იმ ფირმის წინააღმდეგ, რომელმაც ინციდენტი ვერ აიცილა თავიდან და ვერ უზრუნველყო ზოოპარკის დაცვა.

იაპონური წერო უნიკალური ფრინველია — თეთრი შეფერილობის, თავზე კაშკაშა წითელი ქუდით. ეს სახეობა გადაშენების საშიშროების წინაშე დგას და საერთაშორისო წითელ წიგნშია შეტანილი. ნოვოსიბირსკელ წყვილს კი ციმბირში ცხოვრების 10 წლის მანძილზე არაერთხელ უბარტყია და მათი ბარტყები რუსეთის სხვადასხვა ზოოპარკებში ბინადრობენ. ახლა კი, მართალია, ეულად დარჩენილ იაპონურ წეროს მამრი სასწრაფოდ ჩამოუყვანეს, მაგრამ, თურმე, ისინი ჯერაც ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს.

ვანდალური ქურდობა კი ნოვოსიბირსკის ზოოპარკში პირველი არ ყოფილა. რამდენიმე წლის წინ იქ კატისებრი "ლემური" და მაიმუნი "საიმირი" მოიპარეს. თუმცა, მათი დაბრუნება მალევე მოხერხდა.

# დაკავებულია ჩეჩნების ბანდა

კავკასიის მინერალურ წყლების კურორტზე ლიკვიდირებულია გამომძალველთა ბანდა, რომელიც ადგილობრივ მეწარმეებს ატერორებდა. ბანდა 2001 წელს შეიქმნა ჩეჩენი ეროვნების პირის მიერ, რომელმაც რამდენიმე თანამემამულე შემოიერთა. ბანდის დანაშაულებრივი საქმიანობა კარგად იყო დაგეგმილი და მკაცრი კონსპირაციის პირობებში მიმდინარეობდა. მსხვერპლზე თავდასხმისას ბოროტმოქმედები იყენებდნენ ცეცხლსასროლ და ცივ იარაღს.

დაშინებული მეწარმეები მძარცველებს ათიათასობით დოლარსა და ასობით ათას რუბლს აძლევდნენ და იძულებულნი იყვნენ, სამართალდამცველთათვის არ მიემართათ.

ბანდის წევრების დანაშაულებრივი მოღვაწეობა განსაკუთრებული ცინიზმით გამოირჩეოდა. ისინი შეიარაღებული თავდასხმების შემდეგაც კი არ ასვენებდნენ მსხვერპლს, ფსიქოლოგიურ ტერორში ამყოფებდნენ და, პერიოდულად, ართმევდნენ მორიგ შემოსავალს.

# სდექ! დაგიცავ!




მაია ჭალაგანიძე

დღევანდელ ნომერში სიახლეა, ინტერაქტიული გამოკითხვა ერთადერთი კითხვით - **როგორ გგონიათ, პირველ რიგში, რა სჭირდება საქართველოში ჩამოსულ უცხოელ სტუმარს?**

სავარაუდო პასუხები: **1. კარგი სასტუმრო.**

**2. გოგირდის აბანო.**

**3. პურმარილი.**

სანამ ინტერაქტივის პასუხები იქნება, მინდა გაიხსენოთ ძველი, უძრაობის ხანა. თუ სწორად მახსოვს, რუსეთსა და უკრაინაში სტუმარს – პურითა და მარილით ეგებებოდნენ, საქართველოში კი ჩოხაახალუხიანი ყმაწვილი და ქართულ კაბაში გამოწყობილი მორცხვად თავდახრილი ქალი ხვდებოდა... ეს იყო წინათ... როგორც იქნა, ეს მავნე ჩვევა გადავაგდეთ...

და, სხვათა შორის, არც ინტერაქტივის სავარაუდო პასუხებია სწორად მოცემული.

უცხოელ სტუმარს სჭირდება კახა ლანჩავა - შსს-ს დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელი. ის სასწრაფოდ გააფორმებს ხელშეკრულებას კლიენტთან. მის პრეისკურანტშია მსოფლიო სტანდარტების დონის ეკიპირება, აღჭურვილია იარაღით, კავშირგაბმულობის მრავალმხრივი საშუალებითა და უახლესი ტრანსპორტით. ხოლო განყოფილების მუშაკები სრულყოფილად ფლობენ სამხედრო და კლიენტის სხეულზე გადაფარების ხელოვნებას.

არ გეგონოთ, ეს შენაერთი აფხაზეთს ან სამაჩაბლოს იბრუნებს.

ისინი უფრო მოკრძალებულნი არიან და აქვე, აეროპორტის "ვიპ"-იდან პირდებიან რობერტ დე ნიროსა თუ ვუპი გოლდბერგს საფუძვლიან დაცვას...

ვისგან? აი, ამის შესახებ შენაერთის ცნობის ფურცელში არაფერი წერია, თუმცა უხილავი გამტაცებლებისგან კლიენტების დასაცავად სრულ მზადყოფნაშია სწრაფი რეაგირების ჯგუფი. იმედი მაქვს მათი კეთილშობილების და იმისიც, რომ ბრტყელტერფიანობის გამო ომის დროს შინ არ დარჩენილან. აქვე იმის იმედსაც გამოვთქვამ, რომ ამ წერილის მერე ჩვენი ოფისის შტურმით ასაღებად არ მოვლენ.

ჩვენ არც უცხოელები ვართ და არც აეროპორტში ვდგავართ ტყვიაგაუმტარი ჟილეტების მოლოდინში.

თუმცა, თბილისში ჩამოსულ სტუმრებს ეს ბროშურა რომ წაეკითხათ, ბოლო 5 თვეში 21 გაძარცვულ-დაყაჩაღებული არ გვეყოლებოდა, რადგან ისინი აეროპორტიდანვე გაიქცეოდნენ უკან...

ვფიქრობთ, სტუმარმა კარგ სასტუმრომდე რომ მიაღწიოს, ბარგი დაყაროს და გოგირდის ცხელ აბაზანაში ჩაწვეს, მშობლიური პოლიციის ამ განსაკუთრებული შენაერთის დახმარება მართლა სჭირდება და ეს სახუმარო ნამდვილად არ არის. ამიტომ, ახლა, სერიოზულად...

თბილისის აეროპორტის "ვიპ" დარბაზში გავრცელებული სარეკლამო ბროშურები, რომლითაც უცხოელებს ტერორისტებისგან დაცვას სთავაზობენ, პირდაპირი მნიშვნელობით, პროკლამაციაა შინაარსით: კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება მკვლელებისა და ტერორისტების ქალაქში!

ხოლო ის ფაქტი, რომ ეს შენაერთი შსს-ს ეკუთვნის, ძველ თბილისში გავრცელებულ ერთ ანცობას მახსენებს: მეშუშეებს დაქირავებული ჰყავდათ ბიჭები, რომლებიც ვითომ – თამაშში, შუშას ჩაამტვრევდნენ და გარბოდნენ... ათიოდე წუთში იმავე ადგილზე, ტექსტით: "აბა, კარგი შუშა!" - თავად მეშუშე გამოივლიდა და გარკვეულ საფასურად ჩამსხვრეულ მინებს ცვლიდა... ასე აცხოვრებდნენ ერთმანეთს მეშუშე და მისი ბიჭები.

ჰოდა, საქართველოს იმიჯი სტრასბურგის სასამართლოში ჩივილით კი არა, აქვე, ახლოს, თბილისის აეროპორტში ილახება.


ОТДЕЛ ОХРАНЫ ИНОСТРАННЫХ ГРАЖДАН ДЕПАРТАМЕНТА ОХРАНЫ

პროფესია რეპორტიორი

# პროტესტანტი ამერიკულ მედიაში


ფრენკ სმითი

ეკა კვესიტაძე
*ვაშინგტონიდან*

*პირველი ჟურნალისტი, ვისთანაც შეხვედრა მომიწყო სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო პრესცენტრმა, ფრენკ სმითი იყო. სმითი ცნობილი ჟურნალისტია, რომელსაც ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე დაწერილი ბევრი სკანდალური სტატია ეკუთვნის.*

*ის ვაშინგტონში არ უყვართ.*

*როგორც თვითონ ამბობს, ბევრი, უბრალოდ, ვერ იტანს, რადგან არ ეკუთვნი ამერიკის ძირითადი დინების მედიას და ხშირად აკრიტიკებს ამერიკის საგარეო პოლიტიკას.*

## "გაუგებრობები" ვაშინგტონთან

მისი პირველი სტატია - "დუარტეს საიდუმლო მეგობრები", უსიამოვნო აღმოჩნდა ვაშინგტონისთვის. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საიდუმლო ტელეგრაფის გაშიფვრით, ფრენკ სმითმა შეძლო დაემტკიცებინა, როგორ ცდილობდა რეიგანის ადმინისტრაცია, ერთმანეთის მიყოლებით გაენადგურებინა ოპოზიციური მუშათა მოძრაობა ელ სალვადორში.

კოლუმბიაზე მუშაობის დროს კი, ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტიდან და კოლუმბიიდან მოპოვებული ფაქტებით აჩვენა: ამერიკული დახმარება, რომელიც კოლუმბიაში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისთვის იყო გამოყოფილი, როგორ ხმარდებოდა სამხედრო "კილერების" გაძლიერებას, რომლებიც დაუნდობლად ხოცავდნენ ყველას, ვინც ნარკობიზნესში იყო გარეული.

ბოლო წლებში საგარეო პოლიტიკის საბჭოში ის ერაყში ამერიკის პოლიტიკის განხილვაში მონაწილეობდა და აკრიტიკებდა ამ პოლიტიკას.

## "შანსი, რომ იტირო"

ეს სტატია ფრენკ სმითმა მას შემდეგ დაწერა, რაც ერაყელი სამხედროების ტყვეობიდან გათავისუფლდა. 18 დღე ის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. მანამდე, სულ რამდენიმე დღით ადრე კი, ერაყელ ჯარისკაცებს უკვე ნაწამები და მოკლული ჰყავდათ ქურთი პარტიზანი და არაბი ფოტო-ჟურნალისტი.

ერაყიდან სიცოცხლის ფასად გამოგზავნილი რეპორტაჟებისთვის ის პულიტცერის პრემიაზე იყო წარდგენილი, თუმცა ამ პრემიის მფლობელი ვერ გახდა.

დღეს ფრენკი ვაშინგტონში თავის ძაღლთან ერთად ცხოვრობს, "ჰუმან რაით ვოთჩისთვის" მუშაობს და ლათინურ ამერიკასა და ერაყში გატარებულ წლებზე წიგნს წერს, სადაც ციხეში თავისი წამების ისტორიასაც აღწერს.

## მიულებელი ფრენკი

მისი სტატიები "ნიუ-იორკ ტაიმსში," "ვაშინგტონ პოსტში," "უოლ სტრიტ ჯოურნალში," "ფორეინ ეფეარში" იბეჭდება, მაგრამ ის არც ერთი მათგანის შტატიანი თანამშრომელი არ არის.

**-მათ მე არ ვჭირდები, მათ სჭირდებათ ჟურნალისტები, რომელთაც საკუთარი აზრი არ გააჩნიათ და იმას დაწერენ, რაც მათ უნდათ,-** ამბობს ფრენკი,– **როცა ვაშინგტონ პოსტში მივედი, მითხრეს, რომ ჩემთვის მხოლოდ "მოსაზრების გვერდის" რედაქტორის ადგილი ჰქონდათ.**

***-მაგრამ, ის ხომ უფრო პრესტიჟული ადგილია, ვიდრე რეპორტიორობა?***

**-არ მაინტერესებს, რა არის პრესტიჟული, მე მაინტერესებს ვწერო იმაზე, რაც რეალურად ხდება და არავინ შეზღუდოს ჩემი თავისუფლება.**

ამერიკულ მედიაში დღეს ორი მთავარი მიმართულებაა -ეგრეთ წოდებული, "მეინ სთრიმი"(ძირითადი დინება) და რადიკალური პრესა.

"მეინ სთრიმს" თითქმის ყველა წამყვანი გაზეთი და ტელევიზია ეკუთვნის, ხოლო რადიკალურ ფრთას ის გამოცემები წარმოადგენენ, რომლებიც ამერიკის საგარეო პოლიტიკის ყველა ნაბიჯს აკრიტიკებენ.

**-მე არ ვეკუთვნი არც ერთ, არც მეორე ფრთას, მე არ ვიზიარებ "მემარცხენე" პრესის პოზიციას, რადგან ის ძალინ რადიკალურია და ხშირად არასწორი. მაგრამ, ჩემთვის ასევე მიუღებელია წამყვანი მას-მედიის სწორხაზოვანი, პროპაგანდისტული პოზიცია ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე** – ამბობს ფრენკი,– **ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ქუჩაში იაროს ტრასფარანტით, სადაც ბუში ყველაზე ცუდ კონტექსტში იქნება მოხსენიებული და მას პრობლემა არ შეექმნება. მაგრამ, რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, აქ სულ სხვა სიტუაციაა და ის ძალიან ვიწრო ჩარჩოში გაქცევს**

**-** *ტელევიზიები?*

**- ტელევიზიები კიდევ უფრო საშინელებაა. სი-ენ-ენი ადრე უკეთესი იყო, მაგრამ უკვე შესამჩნევად შეიცვალა.**

ფრენკ სმითი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც სუდანიდან და ავღანეთიდან გამოგზავნილ რეპორტაჟებში ამტკიცებდა, რომ ტანზანიასა და კენიაში ამერიკის საელჩოების აფეთქების უკან მდიდარი საუდელი, ოსამა ბინ ლადენი იდგა.

**-თუმცა, მაშინ ბინ ლადენის თემა, მაინცადამაინც, არავის აღელვებდა, რადგან, აქტუალური ჯერ კიდევ არ იყო. აქ კი ჟურნალისტებს მხოლოდ "ცხელ" თემებზე უყვართ წერა,"**– ამბობს ფრენკი.

## ჟურნალისტები ჟურნალისტების დასაცავად

ფრენკ სმითის კიდევ ერთი სამუშაო ადგილი ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტია, რომელიც 1981 წელს შეიქმნა. ის არასამთავრობო ორგანიზაციაა და მსოფლიო მაშტაბით ჟურნალისტების უფლებების დარღვევის ფაქტებს აღნუსხავს.

ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის წევრები ამერიკის ცნობილი ჟურნალისტები არიან, სმითი კი ამ ორგანიზაციაში ვაშინგტონის წარმომადგენელია.

2001 წელს ამ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოშვებულ უზარმაზარ წლიურ მოხსენებაში საქართველოს ერთი თავი აქვს დათმობილი. "**კორუფციის , ორგანიზებული დანაშაულის და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, საქართველოში ჟურნალისტებს დიდი საფრთხის ქვეშ უხდებათ მუშაობა. ეს საფრთხე კი, ძირითადად, პრეზიდენტ შევარდნაძის კარგად შეიარაღებული მთავრობიდან მოდის,"** -წერია მოხსენებაში.

ფრენკი ამბობს, რომ მათ უფრო მეტი ინფორმაცია სჭირდებათ იმაზე, თუ რა ხდება ქართულ მედიაში და თავადაც უნდა საქართველოში ჩამოსვლა. 80-იან წლებში საქართველოში თავისი პირველი სტუმრობიდან კი ყველაზე კარგად ის დაამახსოვრდა, როგორ გამომწვევად ექცეოდნენ ქართველი კაცები მასთან ერთად ჩამოსულ ამერიკელ ქალებს.



განცდების სამყაროში B4
მსვლელობა ფილარმონიისკენ B7
TV პროგრამა B8

www.24hours.ge
24 საათი
B



REUTERS

# ბრაზილიური სამბა პიკს აღწევს, ტორსიდა კი მეხუთე ტიტულს მოითხოვს

აკა ტონია

**ბრაზილია:**

Gazete esportiva: *“ბრაზილიამ არგენტინელების შური იძია!”*

Globonews: *“ეს უკვე ძალიან კარგი იყო. მეხუთე ტიტულისკენ გზაზე ახლა მხოლოდ გერმანია გვიდგას წინ”*

**ინგლისი:**

Daily Telegraph: *“მსოფლიო ჩემპიონობის ოცნება გაქრა! სამყაროს დასასრული მილიონობით ინგლისელისთვის!”*

The Sun: *“მსოფლიოს (ჩემპიონატის) დასასრული! ბრაზილია ინგლისის ოცნებებს ანგრევს”*

The Guardian: *“ინგლისი ტურნირიდან გამოაბუნძულეს”*

Soccernet: *“ყველაფერი დამთავრდა, შიძუკაში ოცნება დასამარდა!”*

**იტალია:**

Gazzetta dello Sport: *“ეს უნდა ყოფილიყო მსოფლიო ჩემპიონატის ულამაზესი მატჩი, მაგრამ რა მოსაწყენი 90 წუთი იყო! მაშინ, როდესაც 2:1-ის შემდეგ საინტერესო თამაში უნდა დაწყებულიყო, მსაჯმა უსამართლო წითელი ბარათი ამოიღო და, ნახვამდის, ლამაზო ფეხბურთო!”*

Corriere della Sera: *“ბრაზილია ინგლისელებს შინ გზავნის და ფინალში ადგილს იჯავშნის!”*

L’Unita: *“ბრაზილიამ ინგლისი დასაჯა”*

Il Resto del Carlino: *“ბრაზილიამ ლომები მოათვინიერა!”*

**ესპანეთი:**

Marca: *“სიმენის შეცდომისა და ინგლისელთა უსუსურობის შედეგად ბრაზილია ნახევარფინალშია!”*

As: *“ისევ და ისევ ბრაზილია! ბრაზილია მეხუთე ტიტულის გზას ადგას”*

El Mundo: *“რონალდინიოს ბრაზილია ნახევარფინალში გაჰყავს!”*

**გერმანია:**

Bild: *“Bye, bye Beckham!”*

Express: *“ბრავო, ბრაზილია! რონალდინიოს გენიოსობამ ინგლისელთა ილუზიები დაამსხვრია”*

Die Welt: *“ბრაზილია მეხუთე ტიტულის გზას ადგას”*

მდინარე ტემზის სანაპიროზე სამარისებური სიჩუმე იყო, კოპაკაბანაზე კი დილიდან კარნავალი გაჩაღდა. წარმოუდგენელია, სადმე, რამეში განსხვავებული განწყობა ყოფილიყო.

გერმანიის კანცლერი შრიოდერი იძულებული გახდა, ინგლისის პრემიერ-მინისტრი ბლერი დაეწყნარებინა. ბლერმა ითხოვა, სევილიაში მიმდინარე ევროკავშირის სხდომა ერთი საათით გადაეწიათ, რათა ინგლისი-ბრაზილიის მატჩისთვის ეყურებინა. თამაშის შემდეგ კი განაცხადა: “ძალიან დათრგუნული ვარ...”

მატჩის წინ ერთმა ინგლისელმა თავისი ქვეყნის ნაკრების მსოფლიო ჩემპიონობაზე ტოტალიზატორში 150000 ევრო დადო. რა ბედი ეწია მას, ჯერაც გაურკვეველია.

შეხვედრას თვალს ადევნებდნენ ავტოსპორტის წარმომადგენლებიც. გერმანიაში მყოფმი ფორმულა 1-ის საერთაშორისო ფედერაციის შეფი, ინგლისელი რონი ეკელსტონი გუშინ არც კი მიესალმა ბრაზილიელ პილოტ ბარიკელოს, რომელიც მატჩის შემდეგ პილოტთა კაბინაში ბრაზილიის ნაკრების 10-ნომრიანი ყვითელი მაისურით ცეკვავდა.

მექსიკელი ფელიპე რისო რამოსის სასტვენის ხმა ერთდროულად მატჩისა და ბრაზილიელთა მასობრივი ექსტაზის დაწყებას ნიშნავდა. როდესაც მეოთხედფინალის ეს მატჩი დასრულდა, ბრაზილიის დროით დილის 5:30 საათზე, სახლებიდან, ბარებიდან და რესტორნებიდან ათეულათასობით ადამიანი სიმღერითა და ცეკვით ქუჩაში გამოცვივდა.

რიოსა და სან-პაულუს ელიტურ უბნებში უამრავი ადამიანი გაუჩერებლად სკანდირებდა: “პენტა, პენტა”! ხალხი მეხუთე ტიტულის მოგებას მოითხოვდა. ჯერ კიდევ გაუნათებელ ქუჩებში მხურვალე კარნავალი იკრეფდა ძალებს.

ბრაზილიური მედიის თანახმად, მშვიდობიანი აქციები გაიმართა ქვეყნის ყველაზე მიყრუებულ კუთხეებშიც კი. ერთ-ერთი რადიოჟურნალისტი იუწყებოდა, რომ თვით ამაზონის ჯუნგლებშიც ზეიმობდნენ ადგილობრივი ინდიელები.

რიო-დე-ჟანეიროს “ბატეკოდ” წოდებულ ფეხზე სადგომ სასადილოებში ხალხი სამბას რიტმში გადაწყვეტილ სახელმწიფო ჰიმნს მღეროდა. გუშინდელ დღეს ადგილობრივი პოლიცია იუწყებოდა “მხოლოდ სიხარულზე და არავითარ შეხლა-შემოხლაზე”.

### მედია სელესაოს აქებს

“სელესაოდ” წოდებულმა ბრაზილიის ნაკრებმა, დიდი ხნის განმავლობაში პირველად, დაიმსახურა აქამდე კრიტიკულად განწყობილი ბრაზილიური მედიის ქება. “ეს უკვე ძალიან კარგი იყო, ახლა მხოლოდ გერმანია დაგვრჩა,” – აცხადებდა ტელემაუწყებელი “Globonews” მატჩის შემდეგ.

საინფორმაციო სააგენტო “Folha”-ს მიაჩნია, რომ გუშინდელ მატჩში ბრაზილიის ნაკრები საუკეთესო იყო.

### ბუკმეკერები ბრაზილიელთა სასარგებლოდ ფსონებს აღარ იღებენ

ლონდონური ტოტალიზატორი “William Hill”-მა ინგლისთან გამარჯვების შემდეგ აღარ იღებს ფსონებს ბრაზილიის ჩემპიონობაზე.

### ფაქტები

... ინგლისის ნაკრებმა უკვე მეხუთედ ვერ გადალახა მეოთხედფინალის ბარიერი – არც ერთ სხვა გუნდს არ წაუგია ამ ეტაპზე სამზე მეტად.

... მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ინგლისის ნაკრებმა მხოლოდ მეორედ წააგო მატჩი მას შემდეგ, რაც ანგარიში თავად გახსნა. პირველად ეს მოხდა 1970 წლის ტურნირზე, როდესაც ინგლისი გერმანიასთან დამარცხდა ანგარიშით 2:3, მაშინაც ნახევარფინალში.

... ბრაზილია წლევანდელ ტურნირზე ერთადერთი ნახევარფინალისტია, რომელიც 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობდა. სამხრეთამერიკელთათვის ეს ზედიზედ მესამე ნახევარფინალია.

... წლევანდელ ჩემპიონატზე ბრაზილია ერთადერთი გუნდია, რომელმაც თავისი ხუთივე მატჩი ძირითად დროში მოიგო. ასეთი რამ მათ უკანასკნელად 1970 წლის ტურნირზე შეძლეს, როდესაც ექვსივე მატჩი ძირითად დროში მოიგეს და ოქროს თასს დაეუფლნენ.

გაგრძელება B2 გვერდზე

# ბრაზილიური სამბა პიკს აღწევს, ტორსიდა კი მეხუთე ტიტულს მოითხოვს




## ინგლისი 1:2 ბრაზილია




პირველი გვერდიდან

**გოლები:** *1:0 ოუენი (23`), 1:1 რივალდო (45`), 1:2 რონალდინიო (50`)*
**მსაჯი:** *რისო რამოსი (მექსიკა)*
**სტადიონი:** *შიძუკა*
*47436 მაყურებელი*

**სვენ-გორან ერიქსონი** (ინგლისის ნაკრების მწვრთნელი): *"რასაკვირველია, იმედგაცრუებული ვარ. სამწუხაროდ, ის უპირატესობა, რომელიც 1:0 ანგარიშმა მოგვიტანა, ვერ შევინარჩუნეთ. რონალდინიოს გაძევების შემდეგ რიცხობრივ უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. მიუხედავად იმისა, რომ 11-ნი ვიყავით, ბოლოს მაინც დავიღალეთ. ბრაზილიის დაცვა კარგად გამოიყურებოდა, ჩვენ კი ბურთს დიდი ხნით ვერ ვიჭერდით. ამაში თვით ათმა ბრაზილიელმა გვაჯობა. ამ ჩემპიონატზე ბევრი რამ ვისწავლეთ, მაგრამ დღეს იმედგაცრუებულები ვართ. შეგვეძლო, უკეთესადაც გამოვსულიყავით."*

**ლუის ფელიპე სკოლარი** (ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი): *"ჩვენს ბანაკში დიდი სიხარული სუფევს. მივაღწიეთ იმ ერთადერთს, რასაც ვფიქრობდით: შემდეგ ეტაპზე გავსულიყავით. რონალდინიოს წითელი ბარათი ნამდვილად უსამართლო იყო. ვარჯიშებზე ჩემს გუნდს ხშირად ვათამაშებდი 10-კაციანი შემადგენლობით. ახლა ყველა მიხვდა, თუ რატომ ვაკეთებდი ამას. ჯერ არასოდეს მინახავს ბრაზილიის ნაკრები, რომელსაც ასეთი მებრძოლი სული ჰქონოდა, როგორც ჩვენ დღევანდელ მატჩში. მინდა მივმართო ბრაზილიელ ხალხს: გჯეროდეთ ჩვენი, ჩვენ შორს წავალთ."*


REUTERS

**დევიდ ბექჰემი** (ინგლისის ნაკრების კაპიტანი): *"ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ახალგაზრდა გუნდით. ბრაზილია წლევანდელი ტურნირის საუკეთესო გუნდია. მასთან წაგება არ არის სასირცხვილო. არ შეიძლება, დღევანდელი მარცხი დევიდ სიმენს დავაბრალოთ, აქამდე ის ტურნირის საუკეთესო მეკარე იყო."*

**ტედი შერინგემი** (ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი): *"ქება და დიდება ბრაზილიას. ის უკეთესი გუნდია და დამსახურებულად გაიმარჯვა. გატანილი გოლის გარდა, მხოლოდ 1 თუ 2 შანსი გვქონდა. ასეთი მატჩის მოსაგებად ცოტა მეტის გაკეთებაა საჭირო."*

**რონალდო** (ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი): *"ვამაყობ ჩვენი შედეგით. ეს ძნელი იყო, რადგან ჩვენ ცოტა დრო გვქონდა დასვენებისთვის. ინგლისი ძლიერი მეტოქეა. ახლა ჩვენ ნახევარფინალის მეტოქეს ველით. სასურველი მეტოქე არ მყავს, სულ ერთია."*

# ბუნდესნაკრებმა „კაიზერ ფრანცი" არ გააწბილა

**გოლები:** 1:0 მიხაელ ბალაკი (38`)
**მსაჯი:** ჰიუ დალასი (შოტლანდია)
**სტადიონი:** "ულსან მუნსუ ფუტბალ სტადიუმი"
37337 მაყურებელი

გერმანული და მსოფლიო ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერი მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალური ეტაპის დასრულების შემდეგ პირადი საქმეების გამო კორეა-იაპონიიდან სამშობლოში გაემგზავრა. თუმცა, გამგზავრებამდე ბუნდესნაკრებს და მის მთავარ მწვრთნელს რუდი ფიოლერს ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, მითითებები დაუტოვა: "მუნდიალზე ნახევარფინალების წინ დავბრუნდები, სადაც აუცილებლად უნდა დამხვდნენ ჩემი მეგობარი რუდი და მისი გუნდი". "კაიზერ ფრანცის" ეს მითითება ფიოლერმა და გერმანიის ნაკრებმა პირნათლად შეასრულეს.




## გერმანია 1:0 აშშ




თუმცა, ამ წყვილში ფავორიტად შერაცხული გერმანიის ნაკრები უშუალოდ თამაშში მაინცდამაინც ფავორიტის შესაფერისად ვერ გამოიყურებოდა. რუდი ფიოლერის მიერ აწყობილ გერმანული მექანიზმის დაცვის ხაზს რამდენჯერმე გაუჩნდა სერიოზული ბზარი, მაგრამ ამ ჩემპიონატის უდავოდ საუკეთესო მეკარე ოლივერ კანი ამჯერად ამერიკელთათვის გახდა გადაულახავი ბარიერი. ის, რომ გერმანელთა პასივში მხოლოდ ერთი გაშვებული გოლია და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ამ შეხვედრაშიც "მშრალად" შეინახა საკუთარი კარი, ოლივერ კანის გარდა, შოტლანდიელი არბიტრის ჰიუ დალასის დამსახურებაცაა. მსაჯმა შეხვედრის მეორე ნახევარში აშკარა თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა ამერიკელთა სასარგებლოდ მაშინ, როდესაც ლინკემ საკუთარი კარის ხაზიდან ბურთი ხელით გამოიტანა. მოგეხსენებათ, ამ ჩემპიონატზე მსაჯების უხეში შეცდომების გამო არაერთი ევროპული გუნდი დაზარალდა. იტალიასა და პორტუგალიაში დღესაც დარწმუნებულნი არიან, რომ მათი გუნდები არაობიექტური მსაჯობის მსხვერპლნი გახდნენ. ჰიუ დალასის ეს წამიერი "დაბრმავება" ევროპული გუნდების მიმართ ერთგვარად სამართლიანობის აღდგენის ჟესტადაც შეიძლება მოინათლოს, თუმცა, ამით აშშ-ს ნაკრები რატომ უნდა დაზარალებულიყო, ვერ გეტყვით.

გერმანია, ისევე როგორც ბრაზილია, ნახევარფინალშია. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ფეხბურთის სპეციალისტთა უმრავლესობა ამ ორი გუნდის მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი და ორივეს ნაადრევ ფიასკოს უწინასწარმეტყველებდა. გუშინდელი დღის შემდეგ კი ცხადია, რომ სწორედ ბრაზილია და გერმანია არიან ჩემპიონატზე გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები.


REUTERS

**რუდი ფიოლერი** (გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): *"ამერიკელებმა, შეიძლება ითქვას, სიცოცხლე გაგვიმწარეს. დიდი ხნის განმავლობაში ვერ ვახერხებდით თამაშის ტემპის დაგდებას. მხოლოდ მას შემდეგ, არც ანგარიში გავხსენით, როგორც იქნა, მოვახერხეთ სიტუაციის დარეგულირება.*

*მინდა, შევაქო ჩემი ბიჭები - მათ ბოლომდე იბრძოლეს და არაფერი დათმეს. მუნდიალის დაწყებამდე არავის სჯეროდა, რომ ჩვენ ნახევარფინლამდე მივიდოდით. მართალია, გერმანიის ნაკრები ისეთ სანახაობრივ თამაშს ვერ აჩვენებს, როგორსაც, მაგალითად, ბრაზილიელები, რომლებიც გულშემატკივრებს ლამაზი ფინტებით ხიბლავენ, მაგრამ, არა მგონია, ამისთვის ვინმემ გაგვკიცხოს.*

**ბრიუს არენა** (ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების მთავარი მწვრთნელი): *"ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებული ვარ, ამავე დროს - ამაყიც. ჩვენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს შეუპოვარი წინააღმდეგობა გავუწიეთ. შეგვეძლო, მოგვეგო კიდეც, გვქონდა გოლის გატანის რამდენიმე კარგი შანსი. გერმანელებმა ღმერთს მადლობა უნდა შესწირონ, ოლივერ კანი რომ ჰყავთ. ეს საოცარი მეკარე რომ არა, იქნებ მუნდიალი კიდევ ერთი ექსჩემპიონის გარეშე დარჩენილიყო."*

**ფრანც ბეკენბაუერი:** (გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი): *"სიტყვები არ მყოფნის. ასეთ მატჩს არ ველოდი. როცა ანგარიში წავიყვანეთ, ვფიქრობდი, რომ ამერიკელები ნამდვილ შტურმს მოგვიწყობდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. არ შეიძლება, ყოველთვის მარტო ოლივერ კანის იმედზე იყო. ის შესანიშნავი მეკარეა, მაგრამ ყოველთვის ვერ შეძლებს გუნდის გადარჩენას."*

**მიხაელ ბალაკი** (გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი): *"ყველას კარგად მოეხსენება, რომ გერმანიის ნაკრები სტანდარტულ მდგომარეობებს კარგად იყენებს. ახლაც იმედი გვქონდა, რომ სწორედ ამ გზით შევძლებდით გოლის გატანას. როგორც ნახეთ, გაგვიმართლა.*

*ოლივერ კანმა, მართლაც, ალლუმი მოაწყო. ეს მატჩი მისი ბენეფისია. მიხარია, რომ გერმანიის ნაკრებს ასეთი საოცარი მეკარე ჰყავს".*

# ერთ დროს შეეძლო სიმენსაც...

დერეკ ფოლი
იაპონია კორეიდან
სპეციალურად
"24 საათისათვის"

საბედნიეროდ, ბრძოლას თასისთვის ბრაზილია შემორჩა და არა ინგლისი. სამხრეთამერიკელები ისეთი უძლეველნი ჯერაც არ არიან, საკუთარ კარში გოლი რომ არ გაუშვან, მაგრამ, სამაგიეროდ, გოლის გატანის ნიჭს თავადაც გულუხვად ავლენენ. გუშინ ამ ნიჭის დემონსტრირება რივალდომ და რონალდინიომ იტვირთეს. შთამბეჭდავი იყო გოლი, რომლითაც ანგარიში გათანაბრდა და გენიალური იყო გოლი, რომელმაც ბრაზილია დააწინაურა. რონალდინიომ ეს დარტყმა მართლაც ბრწყინვალედ შეასრულა.

თუმცა, ასე არ ფიქრობდნენ ინგლისელები. მატჩის დასრულების შემდეგ მათ რონალდინიოს გოლის თემაზე მწვავე დებატებიც გამართეს და ამტკიცებდნენ, რომ ბრაზილიელ ფეხბურთელს, უბრალოდ, გაუმართლა. თუმცა, მინდა, ამ კამათში ბოლო სიტყვა დავუტოვო შიზოუკას სტადიონზე მყოფ ბრაზილიელ კომენტატორს, რომელმაც მითხრა: "ვერაფერს გეტყვით "სენჟერმენში" მის მიერ გატარებულ პერიოდზე, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ასეთი სანახაობის მოწყობა მას ბრაზილიურ "გრემიოში" თამაშისას შეეძლო".

ბუნებრივია, ერთ დროს შეეძლო სიმენსაც. თუმცა, 36 წლის გოლკიპერი უკვე მოტეხილი ჩანს, ბურთზე მისი რეაქცია კი – შენელებული. შედეგად მივიღეთ ინგლისის კარში გატანილი ორი გოლი და ბრაზილიის გამარჯვება.

შემდეგ წითელი ბარათი უჩვენეს რონალდინიოს იმ ერთი, წვრილმანი უხეშობისთვის, რომელიც მან ეშლი კოულის წინააღმდეგ გამოიჩინა. კოულმა ცოტა იგორავა და შემდეგ თამაშშიც ჩაერთო, თანაც, უპრობლემოდ. ასე რომ, ცხადია, შეცდომა წითელი ბარათით დასასჯელი ნამდვილად არ იყო.

შემდეგ კი მოხდა ის, რაც ბრიტანელებისთვის კიდევ დიდხანს ძნელი მოსანელებელი იქნება: მათ ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა, უამრავი დრო, მიზანი და თავდაჯერებაც, მაგრამ...

შექმნილი სიტუაციის გაანალიზებისას ყოველთვის მახსენდება სცენა ცნობილი ფილმიდან "ძმები ბლუზები", როცა დენ აკროიდი და ჯონ ბელუში მანქანაში სხდებიან და ეკროიდი უსერიოზულესი ხმით ამბობს: "გვყავს მანქანა, გვაქვს მისია, ბენზინით სავსე ავზი და ნახევარი კოლოფი სიგარეტი". ბელუში მას აწყვეტინებს: "ჰოდა, დავარტყათ1"

აი, ზუსტად ასეთი შემართება და ენთუზიაზმი აკლდა გუშინ ინგლისს. თუმცა, ასევე აკლდა ინოვაცია და ხიბლიც. მთელი მეორე ტაიმი მათ ისე გაატარეს, რომ გოლის გატანა არც უცდიათ. არადა, ჩვენს წინაშე იყო ნაკრები, რომელიც ბრაზილიის დამარცხების პრეტენზიას აცხადებდა.

სად იყო დიდებული დევიდ ბექჰემი? რატომ გამოიყურებოდნენ უიმედოდ ემილ ჰესკი, დარიუს ვესელი და ტედი შერინგემი? რატომ დარჩა ინგლისი "მანჩესტერ იუნაიტედის" რეზერვისტების იმედად (მართალია, ნიკი ბატი ნორმალურად გამოიყურებოდა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით პოლ სკოულსზე)? ერთი სიტყვით, გუშინ ინგლისმა ისე ითამაშა, რომ ბრაზილიელები ვერც შეაშინა – არსად იყო საფრთხე, რომ ინგლისი საერთოდ აპირებდა გამარჯვებისთვის ბრძოლას.

ერთი სიტყვით, გუშინ ინგლისი დამარცხდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე დარწმუნებით არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ბრაზილია საუკეთესო ფორმაშია. თუმცა, აზრი, რომ რივალდო-რონალდო თითო გოლს შემდეგ თამაშშიც გაიტანენ, მაინც ძლიერია. ეს მათ აუცილებლად უნდა შეძლონ - გუნდს ხომ რონალდინიო არ ეყოლება. ბრაზილიელებთან თამაშის ბედნიერება კი სენეგალს ან თურქეთს ექნება.

ახლა სენეგალელებზე ვისაუბროთ. გულწრფელად რომ გითხრათ, იაპონიაში სენეგალელთა გამარჯვება არავის სურს, ფავორიტი ის არ არის.

თუმცა, სენეგალი წლევანდელი ჩემპიონატის თავისებური კოლორიტია. ეს არის სახასიათო სახეებით, ენთუზიაზმით სავსე გუნდი. მხოლოდ სამი სენეგალელი ფეხბურთელი თამაშობს საფრანგეთში, ორი მეკარე კვლავაც სენეგალშია და ფორვარდი პეპ თიავი შვეიცარიულ "ლოზანაში" თამაშობს.

თუმცა, უცნაურობებისგან სენეგალელებმა მაინც ვერ დაიზღვიეს თავი. ფანების მიერ "სერიულ მკვლელად" წოდებული ელ ჰაჯი დიუფი ფეხბურთის ასოციაციას "მოყვარულს" უწოდებს და აცხადებს, რომ ძალიან ცოტა მოსამზადებელი თამაში ჩაატარებინეს. საინტერესოა, რომ საფრანგეთში მყოფმა სენეგალელმა ლეგიონერებმა თავად გადაწყვიტეს ჩემპიონატისთვის მზადება და დათქვეს, რომ თვეში ერთხელ პარიზში შეიკრიბებოდნენ. ასეც იქცეოდნენ, თუმცა, განწყობის ასამაღლებლად ეს შეხვედრები, სტადიონის ნაცვლად, ბარებსა და რესტორნებში ეწყობოდა. სამწუხაროდ, არავის აღუბეჭდავს ფირზე, როგორ და რით ერთობოდნენ პარიზში "სერიული მკვლელი" და მისი თანამემამულე ფადიგა. ეს უკანასკნელი ერთხელ ბელგიაში ციხეშიც მოხვდა - ფანის ცემისთვის.

ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, ამ შეხვედრებმა შედეგი მაინც გამოიღო და სენეგალის ნაკრებმა აფრიკულ თასზე ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია – მათ წააგეს მხოლოდ ფინალი, ისიც, პენალტების სერიაში.

ახლა კი ისმის კითხვა – შეუძლიათ თუ არა მათ თურქების დამარცხება? ეს დღეს გაირკვევა. მისი გასვლის შემთხვევაში კი წარმოიდგინეთ ბრაზილია-სენეგალის შეხვედრა – ტრიბუნებზე ერთმანეთში არეული ათასი ფერი, მუსიკალური ინსტრუმენტების გამაყრუებელი ხმა. ეს, ალბათ, ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური თამაში იქნება...

*ანონსი*

# კორეელები კორიდაზე

სამხრეთ კორეა - ესპანეთი

*სავარაუდო შემადგენლობები:*

**სამხრეთ კორეა:** *ჯე ვუნ ლიი, ჯინ ჩეულ ჩოი, ჰონგი, ტე იუნგ კიმი, სონგი, ნამ ილ კიმი, იუნგ პვო ლი, იო, პარკი, ანი, სეული.*

**ესპანეთი:** *კასილასი, პუიოლი, იერო, ელგერა, რომერო, ლუის ენრიკე, ბარახა, მენდიეტა, რაული, მორიენტესი.*




სამხრეთ კორეის ნაკრებს თამამად შეიძლება მუნდიალის აღმოჩენა ეწოდოს. გუს ჰიდინკის მოუღლელი ფეხბურთელები ფიზიკური მომზადებით და საბრძოლო შემართებით აშკარად აღემატებიან ყველა იმ გუნდს, ვისთანაც კი აქამადე უთამაშიათ. მათთვის არ არსებობენ ავტორიტეტები, არ იციან, რა არის დაღლა, არასოდეს ეცემიან სულით და მაშინაც კი არ კარგავენ იმედს, როცა მატჩს აგებენ. კორეელებს მუდამ გამარჯვება სწყურიათ, დიდი სურვილი აქვთ, ოცდამეერთე საუკუნის პირველი მუნდიალის ტრიუმფატორები გახდნენ, გუს ჰიდინკის ფეხბურთელებმა კარგად იციან, რომ მათ ზურგს უკან დგას მთელი კორეა, რომელიც ეროვნული გუნდის წარმატებებით სუნთქავს, იციან, რომ გულშემატკივართა იმედების გაცრუების უფლება არა აქვთ.

ძნელია ფანატიზმთან ბრძოლა. კორეელები საკუთარ კედლებში თამაშობენ და ათიათასობით გულშემატკივრის ყიჟინა მათ გამარჯვებისთვის შთააგონებს. კორეელები უკან არ იხევენ, მხოლოდ წინ მიდიან და არასოდეს ფიქრობენ, რომ, შესაძლოა, დამარცხდნენ. ისინი გამარჯვების სინდრომით არიან დაავადებულნი. კორეულმა ფანატიზმმა უკვე შეიწირა პოლონეთის, პორტუგალიისა და იტალიის ეროვნული ნაკრებები. ჰიდინკის გუნდი მეოთხედფინალში გავიდა, იქ კი მას ხოსე ანტონიო კამაჩოს ესპანეთის ნაკრები ელოდება მთელი თავისი ვარსკვლავებით, უდიდესი საფეხბურთო ტრადიციებით და, ბოლოს და ბოლოს, სანაკრებო დონეზე რაიმე ტიტულის მოგების მწველი სურვილით.

რაც უნდა პარადოქსული იყოს, ესპანელებს, რომლებმაც საკლუბო დონეზე ყველაფერი მოიგეს, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა, მსოფლიო თასი არასოდეს აღუმართავთ. ესპანეთის ნაკრები ყველა ჩემპიონატზე, ფავორიტად თუ არა, უაღრესად სახიფათო ძალად მაინც ითვლება, მაგრამ სერიოზულ წარმატებას მაინც ვერაფრით აღწევს.

წლეულს ესპანეთის ნაკრები იმაზე შორს წავიდა, ვიდრე სკეპტიკოსები ვარაუდობდნენ. ჯგუფური ეტაპი კამაჩოს გუნდმა ბრწყინვალედ გადალახა, სამივე თამაში მოიგო და პირველ ადგილზე გავიდა. მეოთხედფინალში ესპანელებს, ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ ირლანდიელთა დაძლევა, მაგრამ პენალტები მეტოქის ფეხბურთელებზე უკეთ დაარტყეს და მიკ მაკარტის გუნდი შინ გაუშვეს. ამ წარმატებით გახალისებული რაული და კომპანია, რომელიც მეოთხედფინალში იტალიასთან შეხვედრას ელოდა, უცებ კორეელთა პირისპირ აღმოჩნდა. და ისევ დაისვა კითხვა: შეძლებენ ესპანელები კიდევ უფრო წინ წასვლას?

კორეის ნაკრებს ესპანელებისთვის აქამდე არასოდეს მოუგია. ეს გუნდები გასულ მუნდიალებზე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 1990 წელს უდინეში ესპანელებმა გაიმარჯვეს, 1994 წელს კი დალასში ამ გუნდების შერკინება ფრედ დასრულდა. კორეელები თანდათანობით შედეგს აუმჯობესებენ, ვინ იცის, წლეულს იქნებ მოიგონ კიდეც?

ხოსე ანტონიო კამაჩო მატჩის წინ საგონებელში იყო ჩავარდნილი. გუნდის საუკეთესო ფორვარდმა რაულ გონსალეს ბლანკომ ირლანდიასთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და შეიძლებოდა, რომ გუნდი მოედანზე მის გარეშე გასულიყო. ესპანელეთა საბედნიეროდ, რაული გამოჯანმრთელდა, მაგრამ კამაჩო დარწმუნებული არ არის, რომ "რეალის" თავდამსხმელი საბრძოლო ფორმაშია და აღარ იცის, გარისკოს თუ არა. უკანასკნელი მონაცემებით, რაული მატჩის სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

ესპანელებს მძიმე მატჩი ელით. კორეელები საოცრად სწრაფები არიან და მეტოქეს ადვილად ახვევენ თავბრუს. იტალიელთა კარში გატანილი "ოქროს გოლის" ავტორი ანი, რომლის იტალიური საკლუბო კარიერა სწორედ ამ გოლს შეეწირა, ესპანელთა გამწარებასაც აპირებს, რაც, სხვათა შორის, სულაც არ არის შეუძლებელი. ესპანელთა დაცვა არც ისე სტაბილურია. ევროპელებმა მიმდინარე მუნდიალზე უკვე ხუთი გოლი გაუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ კარს სამი თერთმეტმეტრიანის მომგერიებელი იკერ კასილასი იცავს.

მაშ ასე, ესპანური კასტანეტები უკვე ჩხაკუნობს, კორეული დოლებიც ყრუდ გუგუნებენ, კორიდაზე ხარი და ტორეადორი გადიან. ესპანელთა საფეხბურთო ავტორიტეტი კორეელებისთვის წითელი მანტიის აფრიალების ტოლფასია, კორეელები ძლიერებს არ ეპუებიან, ისინი კერპებს ამსხვრევენ. მაყურებელი მოუთმენლად ელის ბრძოლის დაწყებას. ვისი ვარსკვლავი აელვარდება ამ საღამოს, ვინ გაიმარჯვებს: ხარი თუ ტორეადორი?

# დაკარიდან ოსაკამდე

სენეგალი – თურქეთი

*სავარაუდო შემადგენლობები:*

**სენეგალი:** *სილვა, კოლი, მ. დიოპი, დაფი, სისე, დიატა, ფაიე, ფადიგა, ბ. დიოპი, დიუფი, კამარა.*

**თურქეთი:** *რუშთუ, უნსალი, კორკმაზი, ფათიჰი, ალპაი, თუგაი, ბასთურქი, ერგუნი, უმით დავალა, შაში, შუქური.*




სენეგალის ნაკრები ყველაზე დიდი სენსაციების ავტორია.

როცა მუნდიალის სიმბოლური ნაკრები შედგება, მასში აუცილებლად მოხვდებიან სენეგალელი ფეხბურთელები. უპირველესად ეს, ალბათ, პეპ ბუბა დიოპი იქნება, 193-სანტიმეტრი სიმაღლის, სწრაფი და ტექნიკური არსენალით მდიდარი ფეხბურთელი. დიაო და ფადიგა კი იქაური ვიეირა და ზიდანი არიან. აღნიშვნის ღირსნი არიან მცველები კოლი და დაფი. მათ ისიც იციან, საკუთარი ფლანგები საიმედოდ როგორ დაკეტონ და იმის ძალაც აქვთ, 90 წუთის განმავლობაში ფლანგებიდან გამუდმებით შეუტიონ. ტონი სილვა კვალიფიციური მეკარეა, რომელიც ერთადერთხელ, შვედებთან მატჩის მე-11 წუთზე შეცდა. საკმაოდ პლასტიკური და კარგი ფორვარდია ელ ჰაჯი დიუფი. ანრი კამარამ მუნდიალი სათადარიგოთა სკამზე დაიწყო, თუმცა, მერე ისე ჩაერთო თამაშში, როგორც ჯოკერი - ორი საგოლე გადაცემა ურუგვაისთან მატჩში და ორი გოლი შვედებთან შეხვედრაში.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეტსიუს გუნდში თითქმის არავინაა 30 წლის. აფრიკელი ფეხბურთელების ნიჭიერებაზე უკვე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, მაგრამ, ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სენეგალის ნაკრები ყველაზე მაღალი კლასის გუნდია შავი კონტინენტის ისტორიაში. იგი აფრიკის ყველაზე "ევროპული" გუნდია. დანიისა და ურუგვაის კარში გატანილი გოლები კონტრშეტევათა სახელმძღვანელოებში შევა. და მათი კიდევ ერთი ღირსება: როგორ უნდა მიხვიდე საკუთარი საჯარიმოდან მეტოქის საჯარიმომდე 3-4 გადაცემით ანუ 10-12 წამში.

თავდაჯერებულობა, თვითკმაყოფილება და ინდივიდუალიზმი აფრიკული ფეხბურთის თანდაყოლილი ლაქებია. სენეგალელთა ეს ლაქები მხოლოდ ერთხელ - ურუგვაისთან მატჩის მეორე ტაიმში გამოჩნდა. დღეს სენეგალის ნაკრები აფრიკული ფეხბურთის ისტორიაში მეორედ ითამაშებს მეოთხედფინალში. პირველად, როგორც ფავორიტი.

ის, რომ დღეს ტურნირზე მხოლოდ ერთი მასპინძელია შემორჩენილი, თურქების დამსახურებაა. მერვედფინალში იაპონიის ნაკრები პირველად შეხვდა ევროპულად ორგანიზებული დაცვის მქონე გუნდს და ნაქები იაპონური უპირატესობა – სისწრაფე, ამ შემთხვევაში გამოუსადეგარი აღმოჩნდა. პროგრამა მინიმუმი თურქთათვის ჯგუფიდან გასვლა იყო, მაგრამ, მომდევნო მეტოქეების გარკვევის შემდეგ, მათთვის არც ნახევარფინალში გასვლაა შეუძლებელი. თუმცა, ერთია იაპონიის ნაკრების დამარცხება და მეორე – სენეგალისა. ჯერჯერობით, ვერც თურქთა უპირველესი ფორვარდი ჰაკან შუქური ამართლებს მასზე გაცემულ ავანსებს, თუმცა, არაერთხელ განუცხადებია, როცა საჭირო იქნება, გოლს აუცილებლად გავიტანო. ვფიქრობთ, დღეს სწორედ ასეთი დღე იქნება.

ალბათ, დღევანდელი დაპირისპირება ყველაზე ძნელად პროგნოზირებადია ყველა მეოთხედფინალს შორის. ორივე გუნდმა იმაზე მეტს მიაღწია, რასაც მათგან ელოდნენ, მაგრამ, მადა ჭამაში მოდისო და, მსოფლიოს ოთხ უძლიერეს გუნდში მოსახვედრად არც ერთი დაზოგავს თავს და არც მეორე.

*ქართული ფეხბურთი*

# პატარკაციშვილი მხარს უჭერს პეტრიაშვილს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები 23 აგვისტოს გაიმართება. გუშინ ბიზნესცენტრში შედგა პრეზიდენტობის კანდიდატის, დავით პეტრიაშვილის წინასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია. შეხვედრას, ცნობილ მსაჯებთან და ფეხბურთელებთან ერთად, ქართველი ბიზნესმენები ბადრი პატარკაციშვილი და ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ვანო ჩხარტიშვილი ესწრებოდნენ. პატარკაციშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ, თავის მეგობრებთან ერთად, მხარს უჭერს და დახმარებას გაუწევს დავით პეტრიაშვილს. კანდიდატის პროგრამა საკმაოდ ვრცელია, რომელშიც გამოხატულია ხუთი ძირითადი პუნქტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნული ჩემპიონატის აღორძინების პროექტი, რომელიც სავსებით რეალურია.

ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ჟორდანიას გუნდი წლების განმავლობაში ყურადღების ცენტრში იყო. დავით პეტრიაშვილის კანდიდატურა კი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. უფრო დაწვრილებით პეტრიაშვილის საარჩევნო პროგრამისა და მისი მხარდამჭერების შესახებ "24 საათის" ორშაბათის ნომერში ვისაუბრებთ.



*დავით პეტრიაშვილის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*დაიჯესტი*

## ინამოტოს იტალიაში ელიან

იაპონიის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იუნიჩი ინამოტო ივნისის ბოლოს დატოვებს ლონდონის "არსენალს". ამას ორი იზეზი აქვს. უმთავრესი ისაა, რომ თავად კლუბი უპირებს ფეხბურთელს ტრანსფერზე დაყენებას და, მეორეც ინამოტოს თამაში უნდა და არა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა.

როგორც ცნობილი გახდა, ინამოტოს შეძენა რამდენიმე იტალიურ კლუბს სურს. ჯერჯერობით საუბარია "პერუჯასა" და "ატალანტაზე", თუმცა, როგორც ამბობენ, ფეხბურთელით უფრო ძლიერი კლუბებიც არიან დაინტერესებული. ინამოტო ჰოლანდიის "ეინდჰოვენსაც" მონდომებია, თუმცა, საეჭვოა, იტალიაში თამაშს ინამოტომ ჰოლანდიაში ბურთაობა ამჯობინოს.

## რომაელი გვარდიოლა

ესპანელმა ხოსეპ გვარდიოლამ წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება "რომაში" და მომავალი სეზონიდან ამ კლუბის ღირსებას დაიცავს. ახლა უბრალო ფორმალობაღა დარჩა მოსაგვარებელი – კონტრაქტზე ხელის მოწერა.

თავად გვარდიოლას თქმით, ძალიან გაუჭირდა "ბრეშასთან" განშორება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივამ და მაღალმა ანაზღაურებამ თავისი ქნა. ამჟამად ფეხბურთელი მშობლიურ ბარსელონაშია, რომში კი 14 ივლისს უნდა ჩავიდეს. სწორედ ამ პერიოდისთვისაა დაგეგმილი კონტრაქტზე ხელის მოწერაც.

## იტალია მალდინის გარეშე

კაპიტნები მიდიან, კაპიტნები მოდიან... პაოლო მალდინის წასვლის დროც დადგა. მისთვის სამწუხაროდ, წარუმატებელი გამოდგა დიდი კაპიტნის ბოლო მატჩი ნაკრებში, რომლის ღირსება მან 126-ჯერ დაიცვა. კორეელმა ანმა ხომ სწორედ მალდინის შეცდომის წყალობით გაიტანა ოქროს გოლი, რომელმაც იტალიელებს მუნდიალზე ასპარეზობა ნაადრევად შეაწყვეტინა.

როგორც ცნობილი გახდა, მალდინის ადგილს დაიკავებს მისი ამპლუის მოთამაშე ფაბიო კანავარო. "მე მზად ვარ, ასეთი პასუხისმგებლობა ავიღო საკუთარ თავზე, მაგრამ ერთი რამ მაინც უჩვეულოა ჩემთვის – ნაკრების ყველაზე უხუცესი წევრი ვარ, - განაცხადა ახალმა კაპიტანმა, – ახლა ჯერ კარგად უნდა დავისვენოთ, შემდეგ კი ნაკრების მომავალზე ვიფიქროთ, ნაკრებისა, რომელმაც გულშემატკივარი უნდა გაახაროს დიდი წარმატებებით".

## არგენტინა ახალ მწვრთნელს ელის

გუშინ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ხულიო გრონდონას განცხადებამ კიდევ უფრო გააღვივა ჟურნალისტთა ეჭვები ნაკრების მთავარ მწვრთნელად ხოსე პაკერმანის დანიშვნის შესახებ. გრონდონას თქმით, მას ასეთი განცხადება არასდროს გაუკეთებია, რადგან პაკერმანს ნაკრებში მენეჯერის თანამდებობა უკავია. "ყველაფერი ახლო მომავალში გადაწყდება. ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, მე პირადად შევხვდები პაკერმანს და ნაკრების მწვრთნელის ვინაობაც მერე გაირკვევა", - განაცხადა გრონდონამ ჟურნალისტებთან საუბარში.

## ფიგუს ბრალს სდებენ

რა დრო დაუდგა ლუიშ ფიგუს? საფეხბურთო სამყაროს ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურას ბრალს სდებენ იმაში, რომ მან კორეელები მოისყიდა. საქმე ისაა, რომ კორეელი ნახევარმცველის ლი იანგ პოს განცხადებით, შესვენებაზე ფიგუ მას გამოელაპარაკა და მატჩის ფრედ დასრულება შესთავაზა. ამ დროს პორტუგალიელმა უკვე იცოდა პოლონეთისა და აშშ-ს მატჩის პირველი ტაიმის შედეგი.

"ჩვენ გვერდიგვერდ მივდიოდით გასახდელისკენ. სწორედ ამ დროს გამომელაპარაკა ფიგუ და მატჩის ფრედ დასრულება შემომთავაზა. ამ შემთხვევაში ჩვენ, ორივენი, გავდიოდით მერვედფინალშიო. უცებ ვერც გავიგე, რას მეუბნებოდა, რადგან არ ვიცოდი მეორე მატჩის ანგარიში, მაგრამ, რომ მცოდნოდა კიდეც, მაინც ბოლომდე ვიბრძოლებდით მოსაგებად", - განაცხადა კორეელმა.

ახლა საუბარი იმაზე, მართლა აპირებდა ფიგუ კორეელთა მოსყიდვას თუ, უბრალოდ, იხუმრა, შორს წაგვიყვანს, თუმცა, ფიფა ამ ინფორმაციამ ძალიან დააინტერესა და, როგორც გუშინ გავრცელებული ინფორმაცია ცხადყოფს, გამოძიებასაც აპირებს.

## ფიფა ბილეთებით ვაჭრობს

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ფიფას ზოგიერთი ჩინოსანი "შავ ბაზარზე" ბილეთების გაყიდვასთან დაკავშირებულ საქმეში აღმოჩნდება გარეული. ჯერჯერობით არაფერია დაზუსტებული, მაგრამ რაღაც გზებით ფიფას აღმასკომის კატარელი წევრისთვის განკუთვნილი ბილეთები ბაზარზე ინგლისელი ფანების ხელში აღმოჩნდა.

ფიფას წესების თანახმად, აღმასკომის თითოეულ წევრს მთელი ჩემპიონატის განმავლობაში 500-მდე ბილეთი ეკუთვნის. იმის გათვალისწინებით, რომ ფიფას აღმასკომი 24 წევრისგან შედგება, ადვილი დასაანგარიშებელია, რა რაოდენობის ბილეთი შეიძლება აღმოჩენილიყო ბაზარზე.

"ჩვენ ყველაფერს გამოვიძიებთ. ჯერჯერობით არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არა გვაქვს, მაგრამ, თუკი დანაშაული ჩადენილია, ჩვენ მას გამოვიძიებთ", - ნათქვამია ფიფას მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

## ანი მადრიდში?

გრძელდება აჟიოტაჟი კორეელი ფეხბურთელის ანის ირგვლივ, რომელმაც იტალია-კორეის მატჩში "ოქროს გოლი" გაიტანა და "სკუადრა აძურა" მუნდიალს მიღმა დატოვა. ამ გოლმა ანის იტალიური კარიერა დაასამარა. "პერუჯას" პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი აღარ აპირებს კორეელის უმბრიულ კლუბში დატოვებას. ანი, ალბათ, დიდხანს არ დარჩება უკლუბოდ. მისი შეძენის სურვილი მადრიდის "ატლეტიკოს" სკანდალურად ცნობილმა პრეზიდენტმა ხესუს ხილმა გამოთქვა.

"ატლეტიკო" წლეულს პრიმერა დივიზონში გადავიდა. კლუბის პრეზიდენტს რიკელმეს, მენდიეტას და ლოპესის ყიდვა აქვს განზრახული და სეზონის ბოლოს ჩემპიონის ტიტულის მოგება უნდა.

## რონალდო დაშავდა

აზიური მუნდიალის პირველ ნახევარფინალისტ ბრაზილიის ნაკრებს ინგლისთან მატჩში ნაადრევად გამოაკლდა "ფენომენად" წოდებული ფორვარდი რონალდო, რომელსაც ინგლისელ მცველებთან ბრძოლაში კუნთი დაეჭიმა.

ტრავმის მიუხედავად, რონალდო თავს უაღრესად ბედნიერად გრძნობდა და ხალისით ესაუბრებოდა ჟურნალისტებს. "კუნთი დამეჭიმა და თამაშის გაგრძელება ველარ შევძელი. გულით მინდოდა, მეექვსე გოლი გამეტანა ამ ჩემპიონატზე. ახლა ხომ უკვე ყველა დარწმუნდა, რომ ბრაზილიის ნაკრები ძლიერი და კარგი გუნდია. ჩვენ მაშინაც კი ვუტევდით, როცა ათი კაცით დავრჩით. ნახევარფინალში აუცილებლად ვითამაშებ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ გუდნი ფინალში გავიდეს", - განაცხდა რონალდომ.

## „ტრაპი„ აღარ უყვართ

კორეასთან წაგების შემდეგ იტალიის ნაკრების თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი უცებ პერსონა ნონ გრატა გახდა. მიუხედავად იმისა, რომ "სკუადრა აძურა" მუნდიალიდან გავარდა, ტაპატონი მაინც არ გადადგა თანამდებობიდან.

იტალიურმა სპორტულმა საიტმა "სპორტალმა" ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა, რომელშიც დაახლოებით სამი ათასამდე იტალიელი ტიფოზი მონაწილეობდა. რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: სწორად მოიქცა თუ არა ტრაპატონი, როცა მუნდიალის შემდეგ პოსტი არ დატოვა? გამოკითხულ ტიფოზთა 52 პროცენტი მიიჩნევს, რომ "ტრაპი" უნდა გადამდგარიყო.

## უიღბლოები მიდიან

მუნდიალზე განცდილი ფიასკოს შემდეგ ბევრმა მწვრთნელმა დატოვა დაკავებული თანამდებობა. პირველი, ვინც გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა, სლოვენიის გუნდის თავკაცი სრეჩკო კატანეცი იყო.

სლოვენიელის კვალს მიჰყვნენ პოლონეთისა და პორტუგალიის ნაკრებთა მთავარი მწვრთნელებიც. პორტუგალიელი ანტონიო ოლივეირა და პოლონელი ირჟი ენგელი, მუნდიალზე ნაჩვენები საშინელი შედეგის გამო, თავიანთ თანამდებობებს დაემშვიდობნენ.

ოლივეირას მდგომარეობა უიმედო იყო, ირჟი ენგელს კი იმედი ჰქონდა, რომ პოსტს შეინარჩუნებდა, მაგრამ მაინც მოუხდა ნაკრებიდან წასვლა.

# განცდების სამყაროში



ემოციები, ემოციები!

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

კახა ფაჩუაშვილი

სიმდიდრის მოყვარულებო, გახდით ბუკმეკერები! ეს არის ყველაზე პოპულარული ფრაზა ტოტალიზატორის მოთამაშეთა შორის. წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე იმდენი სენსაცია მოხდა, რომ კონკრეტული შედეგის პროგნოზირება, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება. ამიტომ მოთამაშეები თავს იკავებენ და უფრო ეგრეთ წოდებულ "ცოცხალს" ეტანებიან.

მეტი კუთხური, მეტი ჯარიმა და პირველ ტაიმში პირველი შეცვლა – ეს არის თბილისელების ყველაზე საყვარელი ფსონი. როგორც ტოტალიზატორ "ლეგში" და "ტოტო 2000"-ში გვითხრეს, მოთამაშეები წაგებას "ცოცხალზე" დადებული ფსონებით აბათილებენ, ამიტომ ტოტალიზატორის მოგება არცთუ ისე დიდია.

ყველაზე დიდ წაგებას ტოტალიზატორები სწორედ მეტი კუთხურებისა და მეტი ჯარიმების გამო განიცდიან, თუმცა, არის შემთხვევები, როცა მოთამაშეთა დაუდევრობის მიზეზით ტოტალიზატორები ერთბაშად დიდ "კუშს ტეხენ" და ის მოჩვენებითი მარცხი გამარჯვებად გადაექცევათ ხოლმე. ამას წინათ ერთმა ჩემმა ნაცნობმა იტალიის გამო 500 დოლარი წააგო. თუმცა, ეს თანხა სიმბოლურია იმასთან შედარებით, რასაც ტოტალიზატორის სტაჟიანი მოთამაშეები ხარჯავენ.

ცხელი ზაფხული დაუდგათ ტოტალიზატორებს და მის სტუმრებს. თბილისში ნამდვილი ბუმია ატეხილი. გაჭირვებული ცხოვრების ფონზე, თბილისელთა ერთ ნაწილს ტოტალიზატორი ფულის შოვნის იმედად წარმოუსახავს. სამარშრუტო ტაქსებისა არ იყოს, ბუკმეკერობა ერთ-ერთ სარფიან საქმედ გადაიქცა. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც თავიანთ პროგრამებს უცხოური ტოტალიზატორის ფსონებზე დაყრდნობით ადგენენ.

მოთამაშეთა კატეგორია კი ჭრელია. არიან გამოცდილი, სტაჟიანი მოთამაშეები, რომლებიც ტოტალიზატორის საერთაშორისო მაფიის მაქინაციებსაც ულებენ ალღოს და ხშირად ჩაწყობილი თამაშების შედეგებიც გამოუცვნიათ; არიან მოყვარულები და ის ხალხი, ვინც ამ საქმით ოჯახს არჩენს. მოთამაშეთა ეს კატეგორია ინფორმაციულად ყველაზე განათლებულია.

ბევრ მათგანს სახლში საკუთარი კომპიუტერი და ინტერნეტი აქვს. ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალს მსოფლიო ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს და ამ საქმეში ენციკლოპედიური განათლება აქვთ. ეს ხალხი ნამდვილი პროფესიონალია და ტოტალიზატორში თამაში პროფესიად გადაუქცევია. ინგლისი-ბრაზილიის გუშინდელი მატჩი სწორედ ამ პროფესიონალთა თავშეყრის საბაბი გახდა.

ბატონი ნოდარი, რომელმაც გვარი არ გაგვიმხილა (პროფესიონალ მოთამაშეებს არ უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა), თითქმის ათი წელია, ტოტალიზატორში თამაშობს. წაგების სიმწარეც უნახავს და გამარჯვების სიტკბოც.

**"ტოტალიზატორი ნამდვილი დაავადებაა. თუ შეგეყარა, ვერაფრით მოიშორებ. ყველაზე დიდი ფული სამი წლის წინათ, ჩემპიონთა ლიგაზე მოვიგე – 10500 ლარი, მაგრამ "ცუდ პალასაზე" დავჯექი. 4000 ლარი ერთ კვირაში წავაგე, დანარჩენი - მომდევნო ერთ თვეში. ერთადერთი ხეირი, რაც ამ მოგებიდან მივიღე, კოსმეტიკური რემონტი იყო. ამით დავამშვიდე ოჯახი. მეუღლემ დღემდე არ იცის, რომ 10500 ლარი მოგებული მქონდა**", – ამბობს ჩვენი ნაცნობი ნოდარი.

ინგლის-ბრაზილიის მატჩზე ყველაზე მეტი თანხა ბრაზილიის მოგებაზე დაიდო. აგრეთვე მეტ ჯარიმასა და მეტ კუთხურზე. ყოველ შემთხვევაში, ტოტალიზატორში ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდეს. ჩვენმა ნაცნობმა ჯარიმებზე, ნაკლებ კუთხურებსა და კიდევ ერთ ფსონზე ითამაშა, რომელსაც არ ამჟღავნებს. როგორც ჩანს, ეს მისი პროფესიული ალღოს ნაყოფია და არ სურს, დროზე ადრე გამოამზეუროს. მოთამაშეები ხომ ძალიან ცრუმორწმუნენი არიან.

**"წინასწარ რამდენჯერაც ვთქვი, იმდენჯერ წავაგე, ამიტომ მირჩევნია, გავჩუმდე. თუ მოვიგე, მაშინ ხომ ყველა გაიგებს, თუ არადა, ბოღმას გულში ჩავიკლავ. დიდი ხანია, არ მომიგია. რაც ჩემპიონატი დაიწყო, მხოლოდ ერთხელ, პორტუგალიის თამაშზე გავიხარე. ისე, მაგრად ძუნწობენ. ამდენ ფულს იგებენ და ფსონებს მაინც ამცირებენ. ალბათ, თვითონაც არ სჯერათ იმ სენსაციების, რაც ხდება".**

ამასობაში გუნდები მოედანზე გამოვიდნენ.

- ვინ იგებს?

**- ვერ გეტყვი. სანამ არგენტინა და საფრანგეთი თამაშობდნენ, მათ მოგებაზე ვდებდი. მერე მივხვდი, რომ უცნაურობები ხდებოდა და შედეგზე თამაშს მოვეშვი. იტალიის გამოვარდნა მეტისმეტი იყო. მგონი, ფეხბურთში რაღაც ძირეულად შეიცვლება.**

- რა უნდა შეიცვალოს?

**- შეიძლება ჩემპიონატის სისტემა. ან სიმძიმის ცენტრი ევროპიდან აფრიკისკენ.**

- მაგრამ ფავორიტები ისევ თამაშობენ. დიდი შანსია, ბრაზილიამ ჩემპიონატი მოიგოს.

**- კი, მაგრამ მომავალში ფავორიტებს უფრო გაუჭირდებათ. აუ! მოვიდა. ახლა ტვინს გახვრეტს.**

- ვინ არის?

**- მეგრელი ანზორაა. დაელაპარაკე და თვითონ დარწმუნდები.**

შენობაში დიდულვაშიანი, დიდცხვირა, ჭარმაგი კაცი შემოვიდა.

**- ბრაზილია ჩემპიონია!**

– **ან არის და ან არა!** – იყო პასუხი.

– **ჩემპიონია-თქვა, გეუბნები მე შენ!** – არ ცხრება ანზორი, – **ჰა, აიღე სიგარეტი და გაჩუმდი.**

**- რა გინდა, კაცო, ბოლოს და ბოლოს,** – შეეპასუხა ახალგაზრდა კაცი.

**- არაფერი. ჩემპიონია-თქვა, გეუბნები.**

ახალგაზრდა მიხვდა, რომ კამათს აზრი არ ჰქონდა და თავი დაანება. ამასობაში რივალდომ დაარტყა.

– **ხომ გეუბნებოდი,** – ახმაურდა ანზორი, **- მეორედ გოლს გაიტანს.**

თამაში თანდათან დაიძაბა. ანზორს ყურადღებას აღარ აქცევენ. ინგლისელებმა უკან დაიხიეს. თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და ამით მეტოქეს უპირატესობა დაუთმეს. როგორც ჩანს, ბრიტანელები მწვრთნელის დავალებას ასრულებენ. რივალდოს დარტყმას რობერტო კარლოსის საჯარიმო მოჰყვა. **"უჰ შენი!"** – გადაიარა აღელვების ტალღამ.

**- ინგლისმა რა იცის ბრაზილიასთან თამაში,** – ისევ ანზორი.

- რატომ?

**- სულ აგებს და მიტომ. თანაც, ძალიან ცხელა.**

- სიცხეში ინგლისი ვერ თამაშობს?

**- ვერ თამაშობს, აბა რა. ვის გაუგია სიცხეში ინგლისის თამაში?**

- ბრაზილიაზე გექნება დადებული.

**- რა, არ უნდა დამედო?**

ამ დროს ოუენმა ლუსიოს საჩუქრით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ტოტალიზატორი ლანძღვა-გინებამ აიკლო. მოთამაშეთა დიდ ნაწილს ბრაზილიის მოგება აძლევდა ხელს.

- უნდა დაგედო, აბა რა.

**- ბრაზილია არ თამაშობს. ნახავ შენ, რაღაცაში იქნება საქმე.**

- ბევრს აგებ?

**- 100 ლარი დავდე.**

- კარგი ზარალი მოგსვლია. დიდი ხანია, რაც თამაშობ?

**- აფხაზეთიდან რაც წამოვედი, მას მერე. ცოლმა რომ გაიგოს, გული გაუსკდება. იმას ელიავაზე ვგონივარ.**

- ელიავაზე მუშაობ?

**- არა. ცოლმა იცის ასე. ხანდახან პატარა ლუკმა-პურს ვშოულობ.**

- რითი ცხოვრობ?

**- ნათესავი მყავს მოსკოვში. ხან ის მეხმარება, ხან მე ვშოულობ რაღაცას, ხან ტოტალიზატორში ვიგებ და ასე...**

- დიდი ფული თუ მოგიგია?

**- დიდ ფულს ვინ მოგაგებინებს. ეტყობა, არ იცი შენ ტოტალიზატორის ამბავი. "სეკა" ხომ გითამაშია. თავიდან რომ მოიგებ და მერე ტანსაცმელს გაგაძრობენ, ასეა აქაც. ერთი რომ იგებს, ასი აგებს. ამით ცხოვრობენ ესენი.**

ბექჰემმა ცენტრში დაკარგა ბურთი. რონალდინიოს დრიბლინგი და რივალდოს საფირმო დარტყმა - 1:1. გამაყრუებელი ყიჟინა. ტოტალიზატორი ქაოსმა მოიცვა.

**- ხომ გითხარით, ბრაზილია ჩემპიონია,** – აღელდა ანზორი. – **კიდევ გაიტანს. ა, ნახავთ, თუ არა.**

მეორე ტაიმის 56-ე წუთი. რონალდინიო საჯარიმოს ასრულებს. ულამაზესი დარტყმა. სიმენი შეცდა და ბრაზილიის ნაკრები დაწინაურდა – 2:1. ტოტალიზატორი ინგრევა. ემოციებზე აღარაფერს ვამბობ. ერიქსონი შეცდა, როცა ბრაზილიელებს მოედნის ცენტრი დაუთმო. ბრიტანელებმა სასურველ კალაპოტში გადაწყობა ვეღარ მოახერხეს და ბრაზილიის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა.

ჩვენმა ნაცნობებმა მოიგეს. ნოდარის გასაიდუმლოებული ფსონი წითელი ბარათი ყოფილა. ალბათ, გახსოვთ, გოლის შემდეგ რონალდინიო უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გააძევეს. ბრაზილიამ კიდევ უფრო განიმტკიცა ფავორიტის სტატუსი. ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ ბრიტანეთის ცნობილმა ბუკმეკერულმა კანტორამ უილიამ ჰილმა ბრაზილიის ჩემპიონობაზე ფსონების მიღება შეწყვიტა.

თბილისის ტოტალიზატორები თავისი გაქანებით საქვეყნოდ ცნობილ უილიამ ჰილისა და მის მსგავსთა კანტორებს ვერ შეედრება, მაგრამ საქართველოს მასშტაბებით მაინც გვარიან სარგებელს იმკის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტოტალიზატორებში მოგების ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელია, მაგრამ, არაოფიციალური ინფორმაციით, თბილისში მოქმედ ერთ-ერთ დიდ ტოტალიზატორს, მარტო საფრანგეთისა და არგენტინის წარუმატებლობაზე, ასიათასობით ლარის მოგება მიუღია.




ევრო – ფეხბურთი

## ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის კენჭისყრა

გუშინ შვეიცარიაში, უეფას შტაბ-ბინაში, ევროპული საკლუბო ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიება – ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის კენჭისყრა გაიმართა.

ამ ეტაპზე უეფას თასზე აშკარად არ გაუმართლა თბილისის "ლოკომოტივს", რომელსაც მეტოქედ დანიური "კოპენჰაგენი" ერგო. თბილისის "დინამოს" კი ესტონური ტვმკ გაუწევს მეტოქეობას. სხვა გუნდები ასე დაწყვილდნენ:

| |
|---|
| ლიტექსი (ბულგარეთი) – ატლანტისი (ლიტვა) |
| ენკამპი (ანდორა) – ზენიტი (რუსეთი) |
| ატირაუ (ყაზახეთი) – პუხოვი (სლოვაკეთი) |
| გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) – ვისლა (პოლ.) |
| პობედა (მაკედონია) – მიდტიულანდი (დანია) |
| პრიმორიე (სლოვენია) – ზვარტნოცი (სომხეთი) |
| ვენტსპილსი (ლატვია) – ლუგანო (შვეიცარია) |
| ჰაპოელი (ისრაელი) – პარტიზანი (ალბანეთი) |
| ლიმასოლი (კვიპროსი) - ფერენცვაროში (უნგრეთი) |
| ჰაიდუკი (ხორვატია) – გოტა (ფარერები) |
| ბრანი (ნორვეგია) – სუდუვა (ლიტვა) |
| ამიცა (პოლონეთი) – ტნს (უელსი) |
| მეტალურგსი (ლატვია) – კარნტენი (ავსტრია) |
| ვადუცი (ლიხტენშტ.) – ლივინგსტონი (შოტლანდია) |
| შლემა უონდერერზი (მალტა) – პოლონია (პოლ.) |
| ანორთოსისი (კვიპროსი) – გრევენმახერი (ლუქს.) |
| ლევადია (ესტონეთი) – მაკაბი (ისრაელი) |
| ლეიშოესი (პორტუგალია) – ბელასიკა (მაკედონია) |
| სტაბეკი (ნორვეგია) – ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) |
| სიგმა (ჩეხეთი) – სარაევო (ბოსნია) |
| ზიმბრუ (მოლდოვა) – გიოტებორგი (შვედეთი) |
| უშპეშტი (უნგრეთი) – კლაკსვიკი (ფარერები) |
| მიუპა (ფინეთი) – ოდენსე (დანია) |
| დინამო (მინსკი, ბელარუსი) – ცსკა (ბულგარეთი) |
| სერვეტი (შვეიცარია) – სპარტაკი (სომხეთი) |
| დიურგარდენი (შვედეთი) – შამროკი (ირლანდია) |
| ვარტექსი (ხორვატია) – დუნდალკი (ირლანდია) |
| გომელი (ბელორუსი) – ჰიკ (ფინეთი) |
| ნისტრუ (მოლდოვა) – აბერდინი (შოტლანდია) |
| ვესტმანაიარი (ისლანდია) – აიკ (შვედეთი) |
| რაპიდი (რუმინეთი) – გორიცა (სლოვენია) |
| დომანიანო (სან მარინო) – ჟიჟკოვი (ჩეხეთი) |
| კაირათი (ყაზახეთი) – ცრვენა ზვეზდა (იუგოს.) |
| მეტალურგი (უკრაინა) – ბირკირკარა (მალტა) |
| ბანგორ სიტი (უელსი) – სარტიდი (იუგოსლავია) |
| სენეცი (სლოვენია) – სიროკი (ბოსნია) |
| ტირანა (ალბანეთი) – ნაციონალი (რუმინეთი) |
| ავენირი (ლუქსემბურგი) – იფსვიჩი (ინგლისი) |
| ფილკირი (ისლანდია) – მუსკრონი (ბელგია) |

პირველი მატჩები გაიმართება 15 აგვისტოს, განმეორებითი – 29 აგვისტოს.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, აქ ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავს ქუთაისის "ტორპედო" და, როგორც ვვარაუდობთ, პირველი ეტაპის დაძლევა არ უნდა გაუჭირდეს. მისი პირველი მეტოქე ფარერის კუნძულების "ბ 36" იქნება. მათ შორის გამარჯვებულს კი პრაღის "სპარტასთან" მოუწევს ძალების მოსინჯვა. სხვა წყვილები კი ასე გამოიყურება.

### პირველი ეტაპი:

| |
|---|
| ტამპერე (ფინეთი) – პიუნიკი (სომხეთი) |
| სკონტო (ლატვია) – ბერი თაუნი (უელსი) |
| პორტადაუნი (ჩრდ. ირლანდია) – ბელშინა (ბელარ.) |
| დუდელანჟი (ლუქსემბურგი) – ვარდარი (მაკედ.) |
| ფბკ კაუნასი (ლიტვა) – დინამო (ალბანეთი) |
| ფლორა (ესტონეთი) – აპოელი (კვიპროსი) |
| ჟელეზნიჩარი (ბოსნია) – აკრანესი (ისლანდია) |
| ჰიბერნიანსი (მალტა) – შელბურნი (ირლანდია) |
| ტორპედო (საქართველო) – ბ 36 (ფარერები) |
| შერიფი (მოლდოვა) – ჟენისი (ყაზახეთი) |

### მეორე ეტაპი:

| |
|---|
| ზალაეგერშეგი (უნგრეთი) – ზაგრები (ხორვატია) |
| ბრიუგე (ბელგია) – დინამო (რუმინეთი) |
| ზილინა (სლოვაკეთი) – ბაზელი (შვეიცარია) |
| ჰამარბი (შვედეთი) – პარტიზანი (იუგოსლავია) |

# ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი კორეა-იაპონიაში?

## "დია" მიზანში ახვედრებს

გუშინ სოციოლოგიურმა სამსახურმა "დიამ" სპეციალურად "24 საათისთვის" თბილისელი გულშემატკივრების სატელეფონო გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვაში 540-მა რესპოდენტმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხვამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართველი გულშემატკივარი ფეხბურთის საკითხებში უაღრესად განათლებულია და, მსოფლიო ჩემპიონატმა რაგინდარა სიურპრიზი მოუმზადოს, თბილისელებს პროგნოზის უნარი მაინც შერჩებათ.

ვინ გაიმარჯვებს მეოთხედფინალურ მატჩში ბრაზილია-ინგლისი. გამოკითხულთა 64% უპირატესობა ბრაზილიელებს მიანიჭა.

38 პროცენტმა განაცხადა, რომ სამხრეთამერიკელები 2:1 მოიგებდნენ.

ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი. ყველაზე დიდი დივიდენდები აქაც ბრაზილიელებს ერგოთ. გამოკითხულთა 51 პროცენტს მიიჩნევს, რომ მსოფლიო ჩემპიონი სწორედ ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდი გახდება. თუ ეს პროგნოზიც გამართლდა, "დიას" და ქართველ გულშემატკივრებს სიამაყის საფუძველი ნამდვილად ექნებათ.

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

ვინ გაიმარჯვებს მეოთხედფინალში: სენეგალი თუ თურქეთი, კორეა თუ ესპანეთი? როგორი ანგარიშით დასრულდება მეოთხედფინალების ძირითადი დრო?

### პასუხობენ თბილისელი გულშემატკივრები

სოციოლოგიურმა სამსახურმა "დიამ" 19-21 ივნისს სპეციალურად გაზეთ "24 საათისათვის" ჩაატარა თბილსელი გულშემატკივრების სატელეფონო გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 770-მა რესპოდენტმა.

### ვინ გაიმარჯვებს მეოთხედფინალურ მატჩში სენეგალი-თურქეთი?

სენეგალი-59%
თურქეთი-41%

**როგორ დასრულდება სენეგალი-თურქეთის ძირითადი დრო?**

| გამოკითხულთა | | |
|---|---|---|
| 21 პროცენტი | სენეგალი 2 | თურქეთი 1 |
| 11 პროცენტი | სენეგალი 2 | თურქეთი 0 |
| 10 პროცენტი | სენეგალი 1 | თურქეთი 0 |
| 4 პროცენტი | სენეგალი 3 | თურქეთი 2 |
| 4 პროცენტი | სენეგალი 3 | თურქეთი 1 |
| 1 პროცენტი | სენეგალი 3 | თურქეთი 0 |
| 17 პროცენტი | თურქეთი 1 | სენეგალი 0 |
| 13 პროცენტი | თურქეთი 2 | სენეგალი 1 |
| 2 პროცენტი | თურქეთი 2 | სენეგალი 0 |
| 11 პროცენტი | თურქეთი 1 | სენეგალი 1 |
| 4 პროცენტი | თურქეთი 0 | სენეგალი 0 |
| 2 პროცენტი | თურქეთი 2 | სენეგალი 2 |

### ვინ გაიმარჯვებს მეოთხედფინალურ მატჩში ესპანეთი-კორეა?

ესპანეთი-60%
კორეა-40%

**როგორ დასრულდება ესპანეთი-კორეა-ს ძირითადი დრო?**

| გამოკითხულთა | | |
|---|---|---|
| 20 პროცენტი | ესპანეთი 2 | კორეა 1 |
| 10 პროცენტი | ესპანეთი 3 | კორეა 1 |
| 10 პროცენტი | ესპანეთი 2 | კორეა 0 |
| 9 პროცენტი | ესპანეთი 1 | კორეა 0 |
| 8 პროცენტი | ესპანეთი 3 | კორეა 0 |
| 4 პროცენტი | ესპანეთი 3 | კორეა 2 |
| 16 პროცენტი | კორეა 1 | ესპანეთი 0 |
| 9 პროცენტი | კორეა 2 | ესპანეთი 1 |
| 4 პროცენტი | კორეა 3 | ესპანეთი 1 |
| 3 პროცენტი | კორეა 2 | ესპანეთი 0 |
| 1 პროცენტი | კორეა 3 | ესპანეთი 2 |
| 3 პროცენტი | კორეა 1 | ესპანეთი 1 |
| 1 პროცენტი | კორეა 0 | ესპანეთი 0 |
| 3 პროცენტი | კორეა 2 | ესპანეთი 2 |

## ტოტალიზატორი "კოვა"

### ცოცხალი

| ესპანეთი - კორეა | | | | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 440 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 441 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 442 | 1 კუთხური | 1.65 | | 1.85 |
| 443 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 444 | 1 გოლი | 1.65 | | 1.85 |
| 445 | 1 გაფრთხილება | 1.80 | | 1.70 |
| 446 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 447 | ბარათების რაოდენობა | 4და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 5- 3.00 | 6და მეტი- 1.90 |
| 448 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.75 | | (31-90)- 1.75 |
| 449 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.90 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.90 |
| 450 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |
| 451 | რაული * | გაიტანს 2.20 | | ერთ-ერთი 1.40 |

| თურქეთი - სენეგალი | | | | 16:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 460 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 461 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 462 | 1 კუთხური | 1.75 | | 1.75 |
| 463 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 464 | 1 გოლი | 1.75 | | 1.75 |
| 465 | 1 გაფრთხილება | 1.75 | | 1.75 |
| 466 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 467 | ბარათების რაოდენობა | 4და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 5- 3.00 | 6და მეტი- 1.90 |
| 468 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.75 | | (31-90)- 1.75 |
| 469 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.80 | (2-3) 1.80 | (4-6) 3.00 |
| 470 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |

| ჯგუფური ცოცხალი | | | | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 475 | კუთხურები 2 თამაშში | 20და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 22და მეტი- 1.90 |
| 476 | ბარათები 2 თამაშში | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 12და მეტი- 1.90 |
| 477 | გოლები 2 თამაშში | 4და ნაკლ.- 1.75 | ზუსტად 0- 0.00 | 5და მეტი- 1.75 |

### მსოფლიო ჩემპიონატი

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ზურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 005 | 22-06-2002 | 11:30 | ესპანეთი-კორეა | 2.00 | 2.90 | 3.60 | 1.18 | 1.61 | 1.29 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 007 | 22-06-2002 | 16:30 | თურქეთი-სენეგალი | 2.60 | 2.80 | 2.60 | 1.35 | 1.35 | 1.30 | 1.80 | 2.5 | 1.70 |

### გასვლა

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 104 | 22-06-2002 | 11:30 | ესპანეთი-კორეა | 1.55 | 2.10 |
| 106 | 22-06-2002 | 16:30 | თურქეთი-სენეგალი | 1.80 | 1.80 |

## ტოტალიზატორი "ტოტო - 2000"

### ცოცხალი

| espaneTi - korea | | 22/06 | | 11 30 | |
|---|---|---|---|---|---|
| kodi | pozicia | Sedegebi | | | |
| 561 | Itaimis Sedegi | 1 205 | X 165 | 2 290 | * |
| 562 | vin daiwyebs | 1 190 | | 2 190 | |
| 563 | pirvel auts moawvdis | 1 190 | | 2 190 | |
| 564 | pirvel kuTxurs moawvdis I taimSi | 1 170 | | 2 190 | |
| 565 | pirvel kuTxurs moawvdis II taimSi | 1 170 | | 2 190 | |
| 566 | pirveli moxvdeba TamaSgareSi | 1 190 | | 2 190 | |
| 567 | pirveli dajarimdba | 1 190 | | 2 190 | |
| 568 | karSi dartymebis raodenoba | 10da nak 180 | 11--12 300 | 13da meti 180 | |
| 569 | metjer daartyams karSi | 1 120 | Tanabrad 300 | 2 240 | |
| 570 | kuTxurebis raodenoba | 10da nak 180 | 11 350 | 12da meti 180 | |
| 571 | met kuTxurs moawvdis | 1 155 | Tanabrad 350 | 2 205 | |
| 572 | meti kuTxuri taimebSi | I taimi 190 | Tanabrad 350 | II taimi 170 | |
| 573 | TamaSgare mdg. raodenoba | 5 da nak 195 | 6 350 | 7 da meti 165 | |
| 574 | metjer moxvdeba TamaS. mdgom | 1 150 | Tanabrad 300 | 2 210 | |
| 575 | jarimebis raodenoba | 34 da nak 190 | 35-36 350 | 37 da meti 170 | |
| 576 | metjer dajarimdeba | 1 200 | Tanabrad 500 | 2 160 | |
| 577 | I yviTels baraTs miiRebs | 1 185 | | 2 175 | |
| 578 | met yviTels baraTs miiRebs | 1 195 | Tanabrad | 2 165 | |
| 579 | yviTeli baraTebis raodenoba | 3 da nak 195 | 4 300 | 5 da meti 165 | |
| 580 | wiTeli baraTi | ki 300 | | ara 115 | |
| 581 | penali | ki 300 | | ara 115 | |
| 582 | I Secvlas gaakeTebs | 1 180 | | 2 180 | |
| 583 | I Secvla taimebSi | I taimi 250 | Sesvenebaze 220 | II taimi 170 | |
| 584 | I gols gaitans | 1 165 | | 2 195 | |
| 585 | vin gaitans | orive 170 | | erTerTi 180 | |
| 586 | I taimSi gatanili golebi | 1da nak 115 | | 2da meti 200 | * |
| 587 | golebis raodenoba | 0-1 300 | 2-3 170 | 4-6 300 | * |
| 588 | meti goli taimebSi | I taimi 300 | Tanabrad 280 | II taimi 190 | * |
| 589 | I goli gava | 1-30wT. 175 | 31-90wT. 180 | ar gava 550 | * |

| senegali - TurqeTi | | 22/06 | | 16 30 | |
|---|---|---|---|---|---|
| kodi | pozicia | Sedegebi | | | |
| 591 | Itaimis Sedegi | 1 250 | X 160 | 2 250 | * |
| 592 | vin daiwyebs | 1 190 | | 2 190 | |
| 593 | pirvel auts moawvdis | 1 190 | | 2 190 | |
| 594 | pirvel kuTxurs moawvdis I taimSi | 1 180 | | 2 180 | |
| 595 | pirvel kuTxurs moawvdis II taimSi | 1 180 | | 2 180 | |
| 596 | pirveli moxvdeba TamaSgareSi | 1 190 | | 2 190 | |
| 597 | pirveli dajarimdba | 1 190 | | 2 190 | |
| 598 | karSi dartymebis raodenoba | 10da nak 180 | 11--12 300 | 13da meti 180 | |
| 599 | metjer daartyams karSi | 1 180 | Tanabrad 300 | 2 180 | |
| 600 | kuTxurebis raodenoba | 10da nak 180 | 11 350 | 12da meti 180 | |
| 601 | met kuTxurs moawvdis | 1 180 | Tanabrad 350 | 2 180 | |
| 602 | meti kuTxuri taimebSi | I taimi 190 | Tanabrad 350 | II taimi 170 | |
| 603 | TamaSgare mdg. raodenoba | 5 da nak 195 | 6 350 | 7 da meti 165 | |
| 604 | metjer moxvdeba TamaS. mdgom | 1 190 | Tanabrad 300 | 2 170 | |
| 605 | jarimebis raodenoba | 35 da nak 185 | 36-37 350 | 38 da meti 175 | |
| 606 | metjer dajarimdeba | 1 180 | Tanabrad 500 | 2 180 | |
| 607 | I yviTels baraTs miiRebs | 1 180 | | 2 180 | |
| 608 | met yviTels baraTs miiRebs | 1 180 | Tanabrad | 2 180 | |
| 609 | yviTeli baraTebis raodenoba | 3 da nak 200 | 4 300 | 5 da meti 160 | |
| 610 | wiTeli baraTi | ki 300 | | ara 115 | |
| 611 | penali | ki 300 | | ara 115 | |
| 612 | I Secvlas gaakeTebs | 1 180 | | 2 180 | |
| 613 | I Secvla taimebSi | I taimi 250 | Sesvenebaze 220 | II taimi 170 | |
| 614 | I gols gaitans | 1 180 | | 2 180 | |
| 615 | vin gaitans | orive 170 | | erTerTi 180 | |
| 616 | I taimSi gatanili golebi | 1da nak 115 | | 2da meti 200 | * |
| 617 | golebis raodenoba | 0-1 300 | 2-3 170 | 4-6 300 | * |
| 618 | meti goli taimebSi | I taimi 300 | Tanabrad 280 | II taimi 190 | * |
| 619 | I goli gava | 1-30wT. 175 | 31-90wT. 180 | ar gava 550 | * |

* -ით აღნიშნული პოზიციები არ ებმება ერთმანეთს
ერთ მოთამაშეზე მეორე ყვითელი ბარათი ითვლება მხოლოდ წითლად
ცოცხალზე მოგებები გაიცემა ფიფას ოფიციალური ოქმის (fifaworldcup.yahoo.com) გამოქვეყნების შემდეგ

ამბები

## საით ყოფილან ჩვენებურები

დავით ბუხრიკიძე

კულტურის სამინისტროში ტრადიციაც დამკვიდრდა – ხელოვნებაში წარმატებულ ახალგაზრდებს დროდადრო თავს უყრიან და საერთაშორისო არენაზე დაღვრილი ოფლის შესახებ ანგარიშს თხოვენ. ამგვარი შეხვედრა გუშინაც მოეწყო. მედიის სამსჯავროზე ახალგაზრდა დრამატურგი ლაშა ბუღაძე და ევროპული დრამატურგიის ადეპტი დავით საყვარელიძე წარსდგნენ. კულტურის სამინისტრომ მათი ვოიაჟი, შესაბამისად, მოსკოვსა და მილანში დააფინანსა. ლაშა ბუღაძემ მონაწილეობა მიიღო 24 მაისიდან 17 ივნისამდე მოსკოვში გამართულ ახალგაზრდა დრამატურგთა საერთაშორისო სემინარზე, სადაც მისი ახალი პიესის – "პოლიტიკური პიესის" კითხვა და განხილვა გაიმართა.

დავით საყვარელიძე კი ხუთთვიან შემოქმედებით მივლინებაში იმყოფებოდა მილანსა და ვენაში. იგი სტაჟირებას სახელოვან "პიკოლო თეატრში", რეჟისორ ლუკა რონკონისთან გადიოდა. ხუთნაწილიან თეატრალურ ექსპერიმენტში, რომლის სახელწოდებაა "უსასრულობანი", "სუყომ" უშუალო მონაწილეობა მიიღო და ერთ-ერთი ნოველაც დადგა. აღსანიშნავია, რომ რეჟისორს უჩვეულო დრამატურგიასთან – მათემატიკოსის მიერ დაწერილ თეორიულ მასალაზე მოუწია მუშაობა და არა პიესაზე. ამავე დროს, საყვარელიძე ვენაში გამართულ ცნობილ საერთასორისო ფესტივალზეც იმყოფებოდა. აქ მას რეჟისორთა და დრამატურგთა სემინარში მოუწია გამოსვლა. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კი ნატალი საროტის პიესაზე მოუწია მუშაობამ, რომელიც საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით დაიდგა სამეფო უბნის თეატრში.

პრესკონფერენციაზე, ჟურნალისტებს ვლადიმირ სპივაკოვის საერთაშორისო ფონდის მიერ ორგანიზებულ მუსიკალურ ფესტივალში გამარჯვებული, ჩელისტი ანა ხუბაშვილიც წარუდგინეს. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მეხუთე კლასის მოსწავლე პროფესორ თამარ გაბარაშვილის კლასში ეუფლება ამ ურთულესი ინსრუმენტის საიდუმლოებას. ნიჭიერმა მუსიკოსმა ფესტივალზე "ახალი თაობა – ოცდამეერთე საუკუნე" ლაურეატის წოდება მოიპოვა.

გაითვალისწინა რა, ამგვარ პრესტიჟულ ღონისძიებებში ქართველი ახალგაზრდა რეჟისორებისა თუ მუსიკოსების მონაწილეობა, კულტურის სამინისტრომ სპეციალური პროგრამა შეიმუშავა სახელწოდებით - „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა." სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში დააფინანსა ანა ახობაშვილის გამგზავრება საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე.

რაც შეეხება ლაშა ბუღაძეს, მისი წარმატება მოსკოვში, ადვილი შესაძლებელია, კვლავაც გაგრძელდეს. ზემოხსენებული პიესა – „პოლიტიკური პიესა" – შესაძლოა რუსულ თეატრებში მალე დაიდგას. დრამატურგის ახალი პიესები და ნოველები მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა კრიტიკოსმა მაია მამალაძემ თარგმნა.

## კაილის ახალი რეკორდი

კაილი მინოუგიმ კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა, რასაკვირველია, არა სირბილსა და სიგრძეზე ხტომაში. პირველად უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში, 56 ათასი ბილეთი სამ საათში გაიყიდა. წინა რეკორდი ასევე ავსტრალიელ მუსიკოსებს ეკუთვნოდათ, Pearl Jam-დან.

ვარსკვლავები

## მუდამ მშვენიერი იზაბელა როსელინი

ანა კორძაია-სამადაშვილი

ვარსკვლავებს თითქოს ასაკი არ ემატებათ. ამიტომ უცნაური მოსასმენია, რომ იზაბელა როსელინი, ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ფოტომოდელი და მსახიობი, 50 წლისა გახდა.

1952 წელს ინგრიდ ბერგმანს და რობერტო როსელინის ორი ქალიშვილი შეეძინათ – ინგრიდი და იზაბელა. ითვლება, რომ მრავალი სახელის მქონე ადამიანს მრავალი ანგელოზი მფარველობს. ამას დანამდვილებით ვერავინ იტყვის, ერთი რამ კი ცხადია: მოსიყვარულე დედ-მამის ქალიშვილი, იზაბელა ფიორელა ელეტრა ჯიოვანა როსელინის ცხოვრება დღემდე წარმატებული იყო.

მისი დებიუტი შედგა ვინსენტე მინელის მელოდრამაში "ნინა". ამ ფილმში დედასთან ერთად თამაშობდა, მონოზნის ეპიზოდური როლი მიანდეს. მაგრამ აღიარება ფრანგული კოსმეტიკის ფირმა "Lancome"-თან დადებულმა ხელშეკრულებამ მოუტანა: მისი სახე თოთხმეტი წლის განმავლობაში ფაქტიურად ქალთა ყველა მნიშვნელოვან ჟურნალს ამშვენებდა. იზაბელა როსელინი მამაკაცებისთვის ოცნებად და ქალის სილამაზის იდეალად იქცა.

ინგრიდ ბერგმანისა და რობერტო როსელინის ქალიშვილი ალბათ ისედაც არ იქნებოდა უნიჭო, მაგრამ მისი კინოწარმატება მნიშვნელოვანწილად მაინც უჩვეულო სილამაზემ განაპირობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი სახეები ფილმებში White Nights - მიხაილ ბარიშნიკოვთან ერთად და Zelly & Me, რომელშიც იმხანად თავის ცხოვრების თანამგზავრთან, დევიდ ლინჩთან ითამაშა. ლინჩთანავე ითამაშა მომღერალი ფილმში Blue Velvet, რომელმაც "ოსკარი" მიიღო. თავად ლინჩს რაც შეეხება, ის ალბათ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და სკანდალური შემოქმედია, არამარტო რეჟისორი, არამედ მხატვარი, ფოტოგრაფი, მოქანდაკე და ავეჯის დიზაინერიც გახლავთ. ცხადია, მასთან ურთიერთობამ დიდი გავლენა იქონია იზაბელაზე და მის მიერ შექმნილი იმიჯი 90-იან წლებამდე გაყვა: კილერი ქალი (Wild At Heart), კუდიანი, რომელიც მარადიული სიჭაბუკის დაპირებას იძლევა ("სიკვდილი უხდება"), არნახულად ლამაზი უნგრელი ანა მარია, ბეთჰოვენის შეყვარებული და მეგობარი ("ლუდვიგ ვან ბ. – ჩემი უკვდავი სატრფო")... ლინჩმა კი ამ წლებში გახმაურებული ტელესერიალი "Twin peaks" გადაიღო, უკვე მშვენიერი იტალიელის გარეშე.

1979-1983 წლებში იზაბელა მარტინ სკორსის მეუღლე იყო, შემდეგ ძირითადად გარი ოლდმანთან ერთად ხედავდნენ ხოლმე. უნდა ითქვას, რომ გარი ოლდმენს საერთოდ ჩინებული გემოვნება აქვს, შემდეგ უმა თურმანის მეუღლეც გახლდათ.

ამჟამად იზაბელა მეორე ქმართან, ჯონატან ვიდემანთან და აყვანილ შვილებთან – რობერტოსა და ელეტრასთან ერთად ცხოვრობს ნიუ-იორკში და ისევ ისეთი მომხიბვლელია, როგორსაც მრავალი წლის განმავლობაში Vogue, Elle, Marie Claire, Harper's Bazaar და Vanitiy Fais გარეკანზე ვხედავდით ხოლმე.


იზაბელა როსელინი

## ქართული სუფრა, ხელოვნება და სამოქალაქო საზოგადოება

### პლაკატების კონკურსის შედეგები გამოცხადდა

თამარ მურვანიძე


უშანგი ხუმარაშვილის „თბილისი 2002"
მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ფონდ "ჰორიზონტის" მიერ ორგანიზებული პლაკატების კონკურსის პირობების შესახებ აპრილის ბოლოს გამოცხადდა, საკონკურსო მასალების წარდგენის ბოლო ვადა 12 ივნისი იყო. სულ რაღაც ექვსი დღის შემდეგ ექვსკაციანი ჟიური შეიკრიბა და უმაღლეს სასწავლებლებში გავრცელებული ათბალიანი სისტემისა და დაშიფრული პლაკატების საფუძველზე შედეგებიც გამოავლინა, როგორც თავად ჟიურის წევრებმა აღნიშნეს - ობიექტური შედეგები.

პლაკატების კონკურსს "ჰორიზონტი" უკვე მეორე წელია აწყობს. ჟიურის წევრები ამბობენ, რომ კონკურსის დონე ამ ერთ წელიწადში უკვე ამაღლდა და, თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში საპლაკატო ხელოვნება სულ უფრო და უფრო სერიოზულ სახეს მიიღებს, ბოლოსდაბოლოს, ჩვენც ხომ უნდა დავეწიოთ მსოფლიოს...

ჟიურის წევრები შეთანხმებულად მუშაობდნენ, ჯერ ერთხმად აირჩიეს თავმჯდომარე ნინო ზაალიშვილი, მერე საკონკურო მასალების შეფასების კრიტერიუმები დაადგინეს; გადაწყდა, რომ ნამუშევრებს მათი მხატვრულობის, პლაკატის სპეციფიკის დაცვისა და საკონკურსო თემის ორიგინალური ინტერპრეტირების საფუძველზე შეარჩევდნენ. კონკურსის თემატიკა კი ასეთნაირად იყო ფორმულირებული: "სამოქალაქო საზოგადოება – ოცნებიდან რეალობამდე". მართალია, ერთი შეხედვით კონკურსი სამოქალაქო საზოგადოების პრობლემებზე ჩანდა გათვლილი, მაგრამ, როგორც კონკურსში გამარჯვებულმა ზურაბ ნაცვლიშვილმა განმარტა, თემატიკა მაქსიმალურად აბსტრაჰირებული იყო, რათა ავტორები არ შეეზღუდათ არც ტექნოლოგიური და არც შინაარსობრივი ჩარჩოებით. ასე რომ, პროფესიონალ თუ არაპროფესიონალ მონაწილეებს ფართო არჩევანის შესაძლებლობა მიეცათ. მათ შეეძლოთ ნებისმიერი ნამუშევარი გარკვეულწილად მაინც მიესადაგებინათ ამ დევიზისათვის.

როგორ მიუსადაგეს ქართველმა მხატვრებმა შემოთავაზებული დევიზი თავიანთ ნამუშევრებს თუ ნამუშევრები – დევიზს, ამას ახლა უკვე ჟიურის გარდა თბილისელი დამთვალიერებელიც შეაფასებს. 21 ივნისს საუკეთესო ნამუშევრები "ძველ გალერეაში" გამოიფინა და აქვე გამოცხადდა კონკურსის შედეგებიც. პრიზები ასე გადანაწილდა:

1 ადგილი, 300 ლარი – ზურაბ ნაცვლიშვილი: "შავი და თეთრი რენუარი";

2 ადგილი, 250 ლარი – გიორგი დუნდუა "ჩემი სახლი";

3 ადგილი, 200 ლარი – ლადო ბაშარული: "თანამედროვე ფრესკები";

ჟიურის წევრმა სანდრო რაზიკაშვილმა კონკურსისთვის ჟიურის სიმპათიის პრიზი დააწესა – ორიგინალური დიზაინის მქონე საათით ალ.გალელი (ალექსანდრე თოდუა) დაჯილდოვდა პლაკატისათვის: "ენა, მამული, სარწმუნოება". "ძველი გალერეის" პრიზი - 100 ლარი შეხვდა უშანგი ხუმარაშვილის პლაკატს "თბილისი-2002"; ჟიურის თავმჯდომარეს გულიც კი დაწყდა, ამ პლაკატმა პირველი ადგილი რომ ვერ აიღო, სხვა თემატიკა რომ ყოფილიყო, ეს ნამუშევარი პირველობას ალბათ არავის დაუთმობდაო.

ჟიურის წევრები მონაწილეებზე მეტად განიცდიდნენ, რომ პრიზები ყველას არ შეხვდა, მათი დიდი სურვილიც ის იყო, იქნებ მომავალში საპრიზო ფონდი გაიზარდოსო.

სხვა მხრივ, დაჯილდოების ცერემონიალმა ხალისიანად ჩაიარა. იმდენი იხუმრეს, პრემია გადათვალეთ, რამე არ აკლდესო, რომ ბოლოს კონვერტებიც კი აერიათ და მესამე ადგილისთვის განკუთვნილი პრიზი კინაღამ მეორე ადგილის მფლობელს შეხვდა. ეს მხიარული განწყობა კონკურსის მონაწილეებს, ჟიურის წევრებს და სტუმრებს ალბათ ლიტერატორ ლევან ბრეგაძის იმ ლექციიდან გამოჰყვათ, რომელიც ასევე "ჰორიზონტის" კამპანიის ფარგლებში ჩატარდა ტექნიკურ უნივერსიტეტში და რომელსაც "ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება" ერქვა.

კონკურსის ყველა მონაწილეს, ზომა-წონის მიუხედავად, "ჰორიზონტის" XL ზომის მაისურები და კალმისტრები დაურიგდა.

გამოფენა "ძველ გალერეაში" 23 ივნისამდე გაგრძელდება. მართალია, ჩვენში ზაფხული ჯერ არ დამდგარა, მაგრამ "ჰორიზონტის" საზაფხულო აქციები (სრული სახელწოდებით: "ჰორიზონტის" არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია) გრძელდება: 24 ივნისს კლუბ "სარდაფში" ფოტოგამოფენა გაიხსნება, რომლის საფუძველზეც კატალოგი მომზადდება; უახლოეს ხანებში კი კინოს სახლში ვიდეოკლიპების ჩვენებაა დაგეგმილი.

## ინდური მუსიკა მომავლის მუსიკაა

### „ბომბეის ოცნებების„ პრემიერა ლონდონში

თამარ სუხიშვილი

როგორც ამბობენ, ლონდონის სცენას ასეთი შოუ არ ახსოვს, ამიტომ ეს დღე არასოდეს დაავიწყდებათ ბრიტანელებს. 19 ივნისის საღამოს ლონდონის აპოლო-ვიქტორიას თეატრში ენდრიუ ლოიდ ვებერის პრემიერა გაიმართა. ახალი მიუზიკლი რომანტიკული სახელწოდებითაც იზიდავს მაყურებელს, მას "ბომბეის ოცნებები" ჰქვია. რომანტიკა კი, მითუმეტეს აღმოსავლური რომანტიკა, დასავლეთში ძვირად ფასობს, გამონაკლისი არც "ბომბეის ოცნებები" ყოფილა, სპექტაკლის დადგმაში 7,2 მილიონი ევრო დაიხარჯა.

19 ივნისს აპოლო-ვიქტორიას თეატრში ბრიტანეთის ხელოვნების თითქმის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი შეიკრიბა, ბევრი მათგანი პრემიერაზე ინდურ სარიში გამოწყობილიც კი გამოცხადდა. წარმოდგენამ სრული ანშლაგით ჩაიარა. აპლოდისმენტები სპექტაკლის მსვლელობის დროსაც არ წყდებოდა.

"ბომბეის ოცნებების" დადგმა არა მარტო გაბედული ნაბიჯი, არამედ ერთგვარი რისკიც იყო. ვებერის მრავალრიცხოვან კრიტიკოსებს საკბილო მიეცათ. საყოველთაოდ ცნობილი "კატების" არანაკლებ ცნობილ ავტორს კი ახალი საფიქრალი გამოუჩნდა: როგორ გამოეყენებინა დასავლეთისთვის სრულიად უცხო, აზიური კულტურის თავისებურებები, აღმოსავლური ეფექტები ისე, რომ ბრიტანეთში მცხოვრები არააზიელებისთვის შოუ გაუგებარი და მიუღებელი არ ყოფილიყო. მართალია, ვებერი შოუს რეჟისორი არ არის (რეჟისორია სტივენ პიმლოტი), მაგრამ ის უკლებლივ ყველა რეპეტიციას ესწრებოდა. მსახიობებს მარტო მისი გამოჩენაც კი ამხნევებდათ და მუშაობის დროს ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. ისინი ისე შეიჭრნენ როლებში, რომ სპექტაკლის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლადაც კი მიაჩნდათ. "ჩვენ ამ ორიგინალური იდეის ნაწილად ვიქეცით, იდეისა, რომელმაც 42 აზიელი მსახიობი ერთად შეგვყარა. მთლიანად ჩავიძირეთ ბომბეის ოცნებათა სამყაროში და სხვა არაფერი გვინდოდა," – ამოვიკითხე ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლის, რამონ ტიკარამის ინტერვიუში.

წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ ასეთი სიყვარულითა და ენთუზიაზმით წამოწყებული პროექტი წარუმატებლად დასრულებულიყო, თანაც მაშინ, როცა ამ საქმეს, არც მეტი არც ნაკლები, ლოიდ ვებერი ედგა სათავეში... ასეც მოხდა. ბოლივუდურმა ექსპერიმენტმა გაამართლა. "მართალია, რეპეტიციებზე გადავიღალეთ, მაგრამ ვიცოდით, რომ წინ უფრო დიდი სიამოვნება გველოდა, ერთი კვირა მაინც ხალხი ბედნიერი იქნება," – ამბობდნენ მსახიობები. ერთკვირიანი ბედნიერება კი ნამდვილად არ არის ცოტა.

მსახიობი ტიკარამი, კომპოზიტორი რაჰმანი და სხვები – ეს ის ადამიანებია, რომლებმაც ლონდონის სცენა შეაზანზარეს და რომლებიც, როგორც ამბობენ, მსოფლიოსაც შეძრავენ.

"ბომბეის ოცნებები" სანახაობრივად ძალიან მომგებიანი წარმოდგენაა, აქ არის ექსტრავაგანტული ცეკვა, ორიგინალური მუსიკა, მისტიკა. მიუზიკლი გვიამბობს, თუ როგორ შეუყვარდა ღარიბ ინდოელ ბიჭს კინომაგნატის ქალიშვილი და როგორ გახდა ის კინოვარსკვლავი.

ვებერმა ე.წ. "ოქროს შუალედს" მიაგნო. სპექტაკლში მოხერხებულადაა შეზავებული ერთმანეთთან დასავლური და აღმოსავლური ელემენტები. მინიშნებები, სახე-სიმბოლოები მთლიანად დასავლურია, ტექსტი - ინგლისური, გარდა განსაკუთრებული ეფექტის შექმნისთვის შემოტანილი რამდენიმე სიტყვისა. მიუზიკლის მაგიური მუსიკა კი მთლიანად აზიურია, უფრო კონკრეტულად – ინდური, რადგან, როგორც ვებერი ამბობს, ინდური მუსიკა მომავლის მუსიკაა. მიუზიკლს საფუძვლად ინდოელი კომპოზიტორის, რაჰმანის მუსიკა უდევს, რომელიც თავის სამშობლოში ძალიან პოპულარულია, დასავლეთში კი მისი სახელი ნაკლებადაა ცნობილი. რაჰმანი ბომბეიში მდებარე ინდური კინოცენტრის, "ბოლივუდის" 50-ზე მეტი ფილმის მუსიკის ავტორია. მისი ალბომების 200 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული, ამ მონაცემებით იგი მადონასა და ბრიტნი სპირსსაც უსწრებს წინ. ამასთან, ისიც უნდა გაცნობოთ, რომ 24 ივნისს გამოვა მიუზიკლის უკვე პოპულარული სინგლი Shakalaka Baby. ამ სიმღერას მთავარი გმირი ქალის როლის შემსრულებელი პრეეია კალიდასი მღერის.

ჯერ სულ რაღაც სამიოდე დღის სპექტაკლს უკვე უამრავი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა. "მე მიყვარს მუსიკა, მიყვარს ბოლივუდი, თანაც ინდოელი ცოლი მყავს – ეს სამი მიზეზი, მგონი, საკმარისია სპექტაკლზე ჩემი მოსვლისათვის," – ამბობს მსახიობი მაიკლ კეინი, რომელიც შოუს ნახვის შემდეგ აღფრთოვანებას ვერ მალავს.

მაყურებელმა "ბომბეის ოცნებები" ვებერის გამარჯვების ფორმულად მონათლა.



მსახიობები: პრეეია კალიდასი და ენდრიუ ლოიდ ვებერი
REUTERS

# მსვლელობა ფილარმონიისკენ

წიგნის ფესტივალის ბოლო დღე

ვერა ნეფარიძე


ბაზრობა სრული დატვირთვით მუშაობს
ლევან ხერხეულიძის ფოტო

დღეს ფილარმონია კიდევ ერთხელ იქნება თბილისელების თავშეყრის საუკეთესო ადგილი. თბილისის მეოთხე საერთაშორისო წიგნის ფესტივალი დღეს უკანასკნელად მიიღებს სტუმრებს და მომავალ წლამდე დაემშვიდობება წიგნის მოყვარულებს. გუშინდელი დღე კი პრეზენტაციების სიმრავლით გამოირჩეოდა. დილის თერთმეტი საათიდან აქ საზოგადოებას ყოველ ნახევარ საათში ახალი გამოცემის შესახებ აუწყებდნენ.

გუშინ ყველაზე დიდხანს შევყოვნდი ფილარმონიაში და დავრწმუნდი, "შევლა" სულ ცოტა, ორი საათით მაინც ღირს, რომ ზოგადი წარმოდგენა შეგექმნას წიგნის ფესტივალზე. სამაგიეროდ, აღმოაჩენ, რამდენი ქართული (არა მარტო ქართული) გამომცემლობის არსებობა არ გცოდნია.

შუადღე გუშინ გამომცემლობა "ნეკერის" სამი წიგნის პრეზენტაციით დაიწყო. არც ისე დიდი ხანია, რაც "ნეკერმა" ბაჩანა ბრეგვაძის თორმეტტომეულის გამოცემა დაიწყო. გუშინ ამ წამოწყების მერვე ნაწილის, კერძოდ პლატონის "პარმენიდეს" ბრეგვაძისეული თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა. როგორც აღმოჩნდა, წიგნს რამდენიმე ღირსება აქვს: ჯერ ერთი, დიდი ფილოსოფოსის ეს ნაშრომი აქამდე არ ყოფილა ქართულად ნათარგმნი; ამასთანავე, წიგნში საზოგადოება პირველად გაეცნობა ბაჩანა ბრეგვაძის ნარკვევს რუსთაველისა და პლატონის ურთიერთმიმართებაზე. უფრო სწორად, ესაა ცნობილი ქართველი მთარგმნელის მოსაზრება, თუ რამდენად ძლიერია პლატონის ზეგავლენა რუსთაველის შემოქმედებაზე. მეორე გამოცემა, რითაც გუშინ პარმენ მარგველაშვილის "ნეკერმა" თავი მოიწონა ქართველი მკითხველის წინაშე, ესაა გამომცემლის შედგენილი "დავით კაკაბაძის არქივიდან". წიგნში შესულია ქართველი მხატვრის იშვიათი ფოტოები და აქამდე გამოუქვეყნებელი კრიტიკული წერილები. მესამე წიგნი კი, რომელსაც ჩემმა ერთ-ერთმა თანამოსაუბრე კოლეგამ სეპარატისტული გამოცემა უწოდა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი აღმოჩნდა. ლექსიკონი ენათმეცნიერმა ოთარ ქაჯაიამ შეადგინა. სხვათა შორის, ამ წიგნის ავტორმა შარშან გერმანელ მეცნიერთან, ჰანც ფენდრიჰთან ერთად მეგრულ-გერმანული ლექსიკონიც გამოსცა.

მორიგი პრეზენტაცია "თეთრი გიორგის" ეკუთვნოდა. გამომცემლობის სტენდთან რამდენიმე ცნობილი კინემატოგრაფისტის შეკრება კი, იმის მაუწყებელი იყო, რომ გამომცემლებს ქართველ კინემატოგრაფისტთა წრეებში ცნობილი პიროვნების, ზაირა არსენიშვილის რომანი "ვა, სოფელო!" უნდა გაეცნო წიგნის მოყვარულებისთვის.

დღის ყველაზე მნიშვნელოვანი პრეზენტაცია, რომელსაც ფილარმონიაში ყველა მოუთმენლად ელოდა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას" უკავშირდება. ფესტივალის პროგრამაში გაპარული შეცდომის გამო, ყველას ეგონა, რომ გუშინ გამომცემლობა "15 საუკეთესო მოთხრობის" პრეზენტაციასთან ერთად მის ერთ-ერთ გამარჯვებულ ავტორს დააჯილდოვებდა. სინამდვილეში ეს იყო მხოლოდ ახალი წიგნის პრეზენტაცია. ამ წიგნით გამომცემლობა ქართული წიგნის სამყაროში კიდევ ერთი ნოვაციის ავტორი გახდა – "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" ყოველწლიურად წლის ანთოლოგიას შესთავაზებს მკითხველს. თხუთმეტი საუკეთესო მოთხრობის საუკეთესო ავტორს კი წლის ბოლოს დააჯილდოვებენ. ასე გადაიწია კიდევ ერთი ლიტერატურული სანახაობის ვადამ დეკემბრის ბოლომდე; იდეის ავტორმა კი, დაგეგმილი დაჯილდოვების მომლოდინე საზოგადოება ფილარმონიის მეორე სართულზე, პრეზენტაციის არაოფიციალურ ნაწილზე, ალაფურშეტზე მიიწვია.

დღის დანარჩენ პრეზენტაციებს რაც შეეხება, ესენია: გამომცემლობა "ინტელექტის" "შამილის ტყვე ქალები"; გიორგი ეკიზაშვილისა (გამომცემლობა "სანი") და ვაგიფ მამედოღლის (გამომცემლობა "ინტელექტი") ლექსების კრებული. ცნობილი სახეების გარეშე, რასაკვირველია, არც ფესტივალის გუშინდელ დღეს ჩაუვლია. მოზარდების განსაკუთრებული ჩოჩქოლი ფოიეში უცნობის (როგორც დავასკვენი "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" სტენდს ეძებდა) გამოჩენას მოჰყვა. ქართველი პოპ-ვარსკვლავი დიდხანს არ გაჩერებულა წიგნის მოყვარულთა საზოგადოებაში, ჩემთვის გაურკვეველი წიგნის შეძენისა და ავტოგრაფების უხვად დარიგების შემდეგ, ნიღაბჩამოცლილმა მომღერალმა ფილარმონია დატოვა. მისგან განსხვავებით, სტენდებს შორის დიდხანს მოძრაობდნენ შოუ-ბიზნესის კიდევ ორი ცნობილი წარმომადგენელი, დები ფოცხიშვილები. ასეთი იყო ფესტივალის მესამე დღე. უფრო მნიშვნელოვან მოვლენებს ალბათ დღეს, ფესტივალის დახურვაზე უნდა ველოდოთ.

## ამბები

### ექვსი წლის ქართველმა პიანისტმა იტალიაში გრან-პრი მოიპოვა

ქართველმა პიანისტმა ირმა გიგანმა იტალიის ქალაქ ბოლონიის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსზე გრან-პრი მოიპოვა. იგი კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილე იყო.

ირმა გიგანი სულ ექვსი წლისაა. როგორც მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილმა „მედია-ნიუსთან" საუბრისას განაცხადა, ეს პატარა პიანისტი-ვირტუოზი ბახის, მოცარტის, შოპენის, ჩაიკოვსკისა და სხვათა ურთულეს ნაწარმოებებს ასრულებს.

ირმა გიგანი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სპეციალური სამუსიკო გიმნაზიის I კლასის მოსწავლეა. აღსანიშნავია, რომ იგი ცნობილი პოეტის, ჯანსუღ ჩარკვიანის შვილიშვილია. პატარა პიანისტი ჯერ კიდევ იტალიაშია და სამშობლოში მალე დაბრუნდება.

თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდია პრემიერისთვის ემზადება

კონსერვატორიის საოპერო სტუდია კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტის" პრემიერას წარმოადგენს. ოპერის დამდგმელი რეჟისორია მაია გაჩეჩილაძე, დირიჟორი — რევაზ ტაკიძე.

საოპერო სტუდია კონერვატორიაში 1952 წლიდან ფუნქციონირებს და იქ მრავალი გამოჩენილი მუსიკოსი აღიზარდა. სტუდიაში სპექტაკლები კარგა ხანია არ დაუდგამთ, რადგან იქ ხანგრძლივი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა.

„ჯადოსნური ფლეიტის" პრემიერა 27 ივნისს გაიმართება.

### პრეზენტაცია "კავკასიურ სახლში"

ოთხშაბათს „კავკასიურ სახლში" ჰოლანდიური ფონდის - „ჰორიზონტის" მიერ დაფინანსებული რამდენიმე პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ჰოლანდიის ელჩი საქართველოში, ჰარი მოლენარი და „ჰორიზონტის" წარმომადგენელი ჰოლანდიიდან, მიკე ოლდენბურგი.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო „კავკასიური სახლის" მიერ გამოცემული წიგნები კავკასიელ ხალხთა ფოლკლორის შესახებ, რომელიც „ჰორიზონტმა" დააფინანსა. გაიმართა კონცერტი, სადაც „კავკასიურ სახლთან" არსებულმა გოგონათა ანსამბლმა „ლარგომ" სიმღერები ჩეჩნურ, ოსურ, აფხაზურ და დაღესტნურ ენებზე შეასრულა.

„კავკასიური სახლის" დირექტორის, ნაირა გელაშვილის თქმით, ფონდი 1997 წლიდან თანამშრომლობს „კავკასიურ სახლთან". მათი მიზანია კავკასიელი ხალხების დაახლოება და კულტურული ურთიერთობების გაღრმავება. სულ ახლახან „ჰორიზონტმა" სვანეთში რვა საყდარი აღადგინა. გარდა ამისა, ფონდმა დააფინანსა კომპაქტდისკის გამოცემა, რომელზეც ჩაწერილია სიმღერები სხვადასხვა კავკასიურ ენაზე. ნაირა გელაშვილის თქმით, ფონდი მათთან ურთიერთობას მომავალშიც გააგრძელებს.

### კონკურსი ლიტერატორებისთვის

საერთაშორისო ასოციაცია და ინტერნეტ ჟურნალი "კვალი" ლიტერატურულ კონკურსს აწყობს. საკონკურსოდ მიიღება პროზაული და დრამატული ნაწარმოებები. პრემირებული და საუკეთესო ნაწარმოებები გავრცელდება ინტერნეტში და გამოიცემა წიგნად. მონაწილეობის მსურველმა საკონკურსოდ მხოლოდ ერთი, გამოუქვეყნებელი ნამუშევარი უნდა წარადგინოს. გამარჯვებულებისთვის დაწესებულია ფულადი პრემიები: პირველი ადგილი – სამი ათასი ლარი; მეორე ადგილი – ორი ათასი ლარი; მესამე ადგილი – ათასი ლარი. შედეგები ფართო საზოგადოებისთვის დეკემბრის შუა რიცხვებში იქნება ცნობილი.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიაკითხეთ მისამართზე: www.kvali.com/konkursi

### მერაბ სეფაშვილის სოლო კონცერტი ლოკომოტივის სტადიონზე

პოპულარული ქართველი მომღერალი მერაბ სეფაშვილი უახლოეს ხანებში თაყვანისმცემლებს სოლო კონცერტს შესთავაზებს. მერაბ სეფაშვილი კონცერტს „არტ-იმედის" დახმარებით გამართავს. იგი ამ საპროდიუსერო ფირმის ყველაზე პოპულარული კონტრაქტორია.

მერაბ სეფაშვილის სოლო კონცერტი ლოკომოტივის სტადიონზე ღია ცის ქვეშ გაიმართება. აღსანიშნავია, რომ მან თავისი ბოლო კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართა, სადაც, მომღერლის თქმით, მისი ყველა თაყვანისმცემელი ვერ მოხვდა.

ლოკომოტივის სტადიონზე მერაბ სეფაშვილის სოლო კონცერტის მსვლელობისას „არტ-იმედი" მსმენელს მრავალ სიურპრიზს ჰპირდება. კონცერტი ივნისის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

## ანონსი

### პატარა ბალერინები და დიდი კონცერტი



24 ივნისს 12.00 და 19.00 საათზე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მაკა მახარაძე თავისი პატარა ბალერინებით წარმოგიდგენთ თბილისის კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდიის სპექტაკლს – "კოპელია" (ლეო დელიბი).

სპეციალურად სტუდიისთვის სპექტაკლი დადგა თამაზ ვაშაკიძემ. სცენოგრაფია ვანცა ყიფშიძისა. კოსტიუმების მხატვარი ანა კალატოზიშვილი.

30 ივნისი (21.00) - ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
„მაგთი-GSM" წარმოგიდგენთ:
21.00 სთ - „მწვანე ოთახი" (საქართველო)
21.40 სთ - ტანია მარია და „ევა ბრაზილ კვარტეტი" (ბრაზილია)

2 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„GMT-გზები" წარმოგიდგენთ:
ბობ მინცერი და თბილისის ბიგ-ბენდი (აშშ-საქართველო)
აშშ-ის საელჩოსა და გადამხდელთა კავშირის მხარდაჭერით

3 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„ლუკოილი" წარმოგიდგენთ
ელ ჯერო და ბენდი (აშშ)

3 ივლისი (21.00) კლუბი „ჯოი"
„რუსთავცემენტი" წარმოგიდგენთ
ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (აშშ)
ბობ მინცერის კვარტეტი (აშშ)

4 ივლისი (21.00) კლუბი „ჯოი"
„ნესკაფე" წარმოგიდგენთ
იგორ ბრილი და მაია ბარათაშვილი (რუსეთი, საქართველო)
22.00 დენის როლინზის „ბედხოენ ენდ კომპანი" (დიდი ბრიტანეთი)

5 ივლისი (21.00) - კლუბი „ჯოი"
„კენტი" წარმოგიდგენთ
ჯაზ-კვარტეტი (სომხეთი) ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (საქართველო)
ალფრედ „პი ვი" ელისის ანსამბლი (აშშ)




თბილისის მე-6 საერთაშორისო ჯაზ - ფესტივალის პროგრამა

# ყველაზე მდიდრები და გავლენიანები



ბრიტნი სპირსი

REUTERS

ჟურნალმა "ფორბსმა" ყველაზე გავლენიანი ვარსკვლავების სია გამოაქვეყნა და თავში ბრიტნი სპირსი მოაქცია. სპირსმა პირველობა შარშანდელ გამარჯვებულს, ტომ კრუზს ჩამოართვა.

"ფორბსი" ამ ცნობილ და პრესტიჟულ ასეულს მედიაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით ადგენს. როგორც აღმოჩნდა, სპირსი პრესაში პოპულარობით პირველობს, თორემ, შემოსავლების მხრივ, მხოლოდ 25-ე ადგილს სჯერდება. გასულ წელს მისი მოგება 39.2 მილიონი დოლარი იყო. ჯორჯ ლუკასისა კი – 200 მილიონი.

გავლენიანთა ათეულში შეღწევა მოახერხეს: გოლფის ჩემპიონმა, ტაიგერ ვუდსმა, რეჟისორმა სტივენ სპილბერგმა, სუპერვარსკვლავმა მადონამ, როკ-ჯგუფმა U2, ჯგუფმა N Sync, მერაია ქერიმ, ოფრა უინფრიმ, მაიქლ ჯორდანმა და ტომ ჰენქსმა.

რაც არ უნდა საოცარი იყოს, კვლავაც გავლენიანი ვარსკვლავის სტატუსს ფლობს სკანდალური ბილ ქლინთონიც, ის მე-18 ადგილზეა, ძირითადად, იმ ლექციების წყალობით, რომლითაც, ბოლო ხანს, ირჩენს თავს. "ფორბსის" შეფასებით, ქლინთონმა ბოლო 12 თვის განმავლობაში 25 მილიონი დოლარი იშოვა.

"ფორბსის" მენეჯერის დენის ნილის განმარტებით: "ქლინთონი ამ ერთ წელიწადში უფრო გამდიდრდა, ვიდრე რვაწლიანი პრეზიდენტობის დროს. ის კვლავაც აგრძელებს ამერიკული საზოგადოების მოჯადოებას... ეს კაცი თავიდანვე გამოირჩეოდა სუპერვარსკვლავის თვისებებით და მისი ეს ნიჭი პოლიტიკის საზღვრებსაც სცდება".

ლიტერატურულ სამყაროში კი კვლავაც პირველობს სტეფან კინგი, თუმცა, მხოლოდ ფინანსების მხრივ – ის ყველაზე შემოსავლიანი მწერალია, 52.4 მილიონი დოლარის მოგებით. ფინანსებში "ჰარი პოტერის" ავტორს აჯობა მწერალმა მერი ჰიგინს კლარკმაც – მან 43.6 მილიონი დოლარი მოიპოვა. სამაგიეროდ, ჯეი ქეი როულინგი კოლეგებს პოპულარობის მხრივ ჯაბნის. გაიყო დების, ვენუს და სერენა უილიამსების გზაც. ვენუსმა (ის მე-60 ადგილზე გავიდა) 11 მილიონი დოლარი მოიპოვა, სერენამ კი – 8 მილიონი დოლარი.

# ჯოელი მერაია ქერის ნაკვალევზე

ბილი ჯოელი სილვერ ჰილის ფსიქიატრიულ კლინიკას კონექტიკუტში საკუთარი ნებით "ჩაბარდა". "ჯოელი კლინიკაში ათ დღეს გაატარებს. ეს გადაწყვეტილება მან მიიღო პირადი პრობლემის გამო, რომელიც ბოლო ხანს აწუხებდა", - აცხადებს მუსიკოსის წარმომადგენელი. თავად კლინიკაში კი, პაციენტის კონფიდენციალობის დაცვის მიზეზით კომენტარისგან თავს იკავებენ.

როგორც ჩანს, ავადმყოფობა იყო იმის მიზეზიც, რომ ბილი ჯოელმა გადადო უმნიშვნელოვანესი საგაზაფხულო ტური, რომელიც მას ელტონ ჯონთან ერთად უნდა ჩაეტარებინა. მისი აგენტის თქმით, ამ დროს ჯოელს სასუნთქი გზების ინფექცია და ლარინგიტი აწუხებდა. როგორც წინასწარ ვარაუდობენ, ელტონ ჯონი და ჯოელი საერთო კონცერტს შემოდგომაზე გადადებენ.

სილვერ ჰილის ფსიქიატრიული ცენტრი კი, ბილი ჯოელის გარდა, სხვა ვარსკვლავების თავშესაფარიც გამხდარა. შარშან ზაფხულს ფიზიკურ და მენტალურ "ჭრილობებს" იქ მერაია ქერიც იშუშებდა.

## TV პროგრამა 22 ივნისი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.50 სერიალი "პოლტერგეისტი"
10.50 მულტსერიალი
12.00 სერიალი "ნიკიტა"
12.50 მხ.ფილმი 14.20 სიმფსონები
14.50 მხ. ფილმი
16.50 ჯაზი
18.00, 00.00 კურიერი
18.20 მხ.ფილმი
20.00 ჯეოპოპი
21.00 კურიერი P.S.
22.00 ფსიქო. მხ.ფ. "სექსუალური უმანკოების დაკარგვა" რეჟ. მაიკ ფიგისი
00.15 მხ.ფ. "იდეალური მკვლელობა". მთ.როლებში: მაიკლ დუგლასი, გვინეტ პალტროუ
02.00 ღამის ჯაზი

### პირველი არხი

08.00, 15.00, 00.00 მოამბე
08.15 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი"
08.40 "გემრიელად მიირთვით, გავშვებო"
08.55 "მსოფლიოს ველური ბუნება"
10.00 "დილის პაემანი"
11.00 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა
11.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი
13.30 ტელე-სინე-ვიდეო
14.05 სატელევიზიო სპექტაკლი "სახრჩობელაზედ"
15.15 "თქვენთვის, თქვენზე და თქვენს შესახებ"
15.30 "საუკუნის გიგანტები"
16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი
18.25 "შეხვედრები ფიქრის გორაზე"
19.00 "ვესტნიკი"
19.40 ტელეზღაპარი
20.00 ტაიმაუტი
21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი (ვიდეოჩანაწერი)
22.45 "ქიმერიონი"
23.25 მეალომანია
00.10 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.30 მხ. ფილმი "ომის დემონები"

### მეორე არხი

19.00 ფეხბურთი.
21.00 მიზანი
21.30 ახლო ხედი
22.00 "მოამბე" მეორე არხზე
22.15 მხ.ფილმი "ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთში"

### ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "ბოთეები"
12.00 პროგრამა "სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 მულტფილმი
16.00 ლაბირინთი
16.30 სერიალი "მოქალაქე უფროსო"
17.30 თქვენი ადვოკატი
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 ცეროდენა ვარსკვლავები
20.00 თინეიჯერი
21.35 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში"
22.00 ...და ღმერთმა შექმნა ქალი
22.40 თეატრალური შეხვედრები
23.40 მსოფლიო სპორტი

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 10.05, 11.55, 20.20, 22.20, 23.55 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "საყვარელი"
10.15 მხ.ფ. "კრიმინალით მოვაჭრე"
20.25 მხ.ფ. "დუბლიორი"
22.30 მხ.ფ. "დაქირავებული მკვლელის დღიური"

### პირველი სტერეო

07.30 "ცხოვრება სიტყვაში"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
13.00 "ცენტრი" განმეორებით
14.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
14.45 "მო" განმეორებით
15.40 "სწ.მედია" მხ.ფ. "ჰარი პოტერი და ფსიქოლოგიური ქვა"
18.00 "სველი ხაზი" განმეორებით
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძიროგანა
22.00 "პაპარაცები" განმეორებით
23.00 პრეს-პრესი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "სპეც აგენტი კორკი რომანო", "სავარჯიშო დღე", "ღამე მაკულას ბარში"
02.00 "ღამურა" მხ.ფ. "მიხსენი და დამიფარე". მთ. როლებში კიმ ბესინჯერი, რუფუს სიუელი
03.30 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "მუნრეიკერი"
14.00 მხ.ფ. "სირბილი"
17.00 მხ.ფ. "ზღვის გემო"
19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
19.20 მხ. ფილმი "ბინგო ბონგო"
21.00 მხ.ფილმის გაგრძელება
21.30 მხ.ფ. "მებრძოლთა კლუბი"
01.00 მხ.ფ. "ამერიკული ისტორია იქსი"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 ლიმონი და ლიმონათი
09.35 მულტფილმი "ალექსი" მე-15 სერია
10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა"
11.20 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-15 სერია
11.50, 22.10, 23.30, 00.20 მუსიკა
12.05 მხ. ფილმი "ბოროტი და ლამაზი"
14.00 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
14.45, 17.45 მულტფილმი "მხიარული მელოდიები"
16.20 მთავარი თემა

17.00, 19.40 დისქავერი
18.00 დოკ. ფილმი "უცნობი ჩაპლინი" მე-3 ნაწილი
19.00 გადაცემა "ჭკუის კოლოფი"
21.10 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
21.20 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.20 მხ. ფილმი "მტერთან საწოლში". მთ. როლში ჯულია რობერტსი
00.40 მხ.ფ. "სახელმწიფო" მთ. როლებში ჯიმ ჰეკმანი, უილ სმიტი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 "მსოფლიოს თასი-2002"
09.40 მხატვრული ფილმი "რომაელთა დამმარცხებლები"
11.00 მსოფლიო ხელოვნების დიდოსტატები "პიკასო"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული ფილმი "შერეკილები"
13.30"ექსკლუზივი"
14.00 მელოდრამა "ვალსი"
]15.30 "მზე აქ შემიჩერებია"
16.15 მულტსერიალი "ტომი და ჯერი"
16.40 ისტორიული ფილმი "რანი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "ყველანი ვართ პატარები"
19.40 კომედია "მეხსიერებით თამაში"
21.40 "ფოკუსი"
22.00, 00.– საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.40 "პერსონა"
23.10 "Улово"
23.40"მსოფლიოს თასი-2002"
00.40 მხატვრული ფილმი "და მთელი სამყარო ცოტაა"
03.30 დეტექტივი "დანაშაულის ისტორია"
05.20 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

18.00, 21.45,23.00,01,55 ანონსი
18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.25 აფიშა
18.30 მუსიკალური ტაიმაუტი
18.45 "სახლიდან გაუსვლელად"
19.00 "აჩიკუდა"
19.25 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით.
19.50 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
20.40 "სახლიდან გაუსვლელად"
21.55 კალათბურთი. ნ.ბ.ა.
21.40 "ღამის კაპრიზი" - თემა -თაობები
22.30 რაგბი. ზელანდია - ირლანდია 2
23.55 "სახლიდან გაუსვლელად"
00.10 მხ.ფ.ჟანრებში: - "ბედნიერი შემთხვევა"
02.10 მუსიკალური ტაიმაუტი.
02.25 პრესის მიმოხილვა.

### ОРТ

07.45 х.ф. "ДЕЛО ДЛЯ НАСТОЯЩИХ МУЖЧИН".
09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости.
09.15 "Незнайка на луне"
09.35 Ералаш
09.45 Слово пастыря.
10.00 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
11.45 ФУТБОЛ. 1/4 ФИНАЛА.
13.35 Фильм "Бессмертный гарнизон"
15.30 Дисней-клуб.
16.10 "Серебрянный шар". Валентина Серова.
16.55 х.ф. "БЕРЛИНСКИЙ ЭКСПРЕСС" 1-я с .
18.30, 19.20 Шутка за шуткой.
20.00 Концерт группы "Любэ"
21.00 "Кто хочет стать милионером?"
22.00 Время
22.30 х.ф. "ПЕРЕКРЕСТОК".
00.40 х.ф. "ЧЕРНАЯ ВДОВА".

### РТР

07.20 х.ф. "ГОСУДАРСТВЕННЫЙ ПРЕСТУПНИК"
08.50 Диалоги о рыбалке.
09.25 Док. фильм "Крылья над Берлином"
10.15 Военная программа.
10.30 Золотой ключ.
10.50 Здоровье и жизнь
11.25 Доброе утро, страна!
12.00 Телеигра "Сто к одному"
13.00 Наука и техника
14.00 х.ф. "ВТОРЖЕНИЕ"
16.00, 21.00 Вести
16.20 ФУТБОЛ. 1/4 ФИНАЛА.
18.30 Вести-Москва. Итоги недели.
19.00 Моя семья
19.55 Аншлаг
21.25 Зеркало
22.00 х.ф. "ТИХИЕ ОМУТЫ"
00.40 х.ф. "ОБЫЧНЫЕ ПОДОЗРЕВАЕМЫЕ" (США)
02.45 Дневник чемпионата мира по футболу.
03.40 Чемпионат мира по автогонкам "Формула-1". Гран-при Европы.

### НТВ

07.35 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО"
09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.
09.15 фильм "КОНЕК - ГОРБУНОК"
10.20 Доктор Бранд. "Без рецепта".
11.20 "Чистосердчное признание"
11.50 "Женский взгляд" С. Немоляева.
12.25 Квартирный вопрос.
13.25 фильм "ПРАЗДНИК"
15.15 Путешествия натуралиста.
15.55 Вкусные истории.
16.00 Своя игра.
17.25 Профессия -репортер.
17.55 "Продолжение следует".
18.55 Док. сериал "Неизвестная планета".
20.45 фильм "ОХОТА НА ЗОЛУШКУ".
21.55 фильм "СМЕРТИ ВОПРЕКИ" (США)
23.55 Суперпоединок: Борреро против Моралеса.
01.15 фильм "ЛУНА В СТОЧНОЙ КАНАВЕ" (Франция).

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"





**"...მე მუდამ მადევს მხარზე ვეება უსინათლოს ხელი, არავინ იცის, მე დამყავს იგი თუ ის დამატარებს, ხელს მხარზე მადებს და გაქვავებულ ქალაქებში ადამიანთა გასაცოცხლებლად დავიარებით"**

ქეთევან სადღობელაშვილი

*„1880 წელი, 1 იანვარი.*

*დიაგნოზს რომ ვუსვამდი იმ ავადმყოფობას, რასაც კაცობრიობა ჰქვია, გავიფიქრე - დასკვნების გამოსატანად ყველაზე უფრო ნიშანდობლივ თვისებებს მწერლობა და მწერლები გვიმჟღავნებენ-მეთქი. ამაზე უკეთ ვერსად შევისწავლით მიზეზებს, განვითარებასა თუ დროის განმასხვავებელ ნიშნებს, საუკუნის ხასიათსა და სნეულებებს ან, უბრალოდ, ადამიანურ სამყაროს" - უოლტ უიტმენი.*

*ვისაც უიტმენის ამ მიგნებაში ეჭვი ეპარება, მომდევნო სტრიქონების წასაკითხად თავს ნუღარ შეიწუხებს, ვინც რჩება, გამოგვყვეს ადამიანთან, რომელიც თავის სამყაროში ისე დახეტიალობს, რომ ადგილიდან ფეხს არ იცვლის. მანძილი - თავიდან მაგიდამდე!*

- მაგიდასთან რაც ხდება, ყოვლად აღუწერელი მდგომარეობაა, ვერ გეტყვი, ვინ საიდან მოდის, რა უნდათ... ადრე სულელურ სახელს - მუზას ეძახდნენ ამას, მე რატომღაც ბედისწერა უფრო მგონია. პირველი მოთხრობა სამი წლისამ დავწერე, როცა არც წერა ვიცოდი, არც კითხვა, ახალი ნაავადმყოფარი ქუჩაში არ გამიშვეს, ნაწვიმარი იყო და წარმოვიდგინე, თითქოს ყველას ჯიბრზე გუბეებში დავდიოდი... (იქნებ ეს იყო პირველი ტყუილი - ქ.ს.).

დღემდე მეშინია მაგიდასთან მისვლა, სულ აქეთ-იქით ვიყურები, ვინმე ხომ არ აკაკუნებს, ტელეფონი ხომ არ რეკავს, ყველანაირად ვაჭიანურებ წერის დაწყებას, იცი, ეს რას მაგონებს? ადრე, ვიოლინოზე რომ ვუკრავდი, კონცერტზე ორჯერ მაინც უნდა გავსულიყავი. როგორ ვღელავდი, იცი, სულ ვკანკალებდი, მასწავლებელმა იცოდა ეს და თვითონ მიწყობდა ვიოლინოს. როგორც კი გაისმებოდა პირველი ხმა, ვმშვიდდებოდი, აქაც ასეა, მაგიდასთან, პირველ სტრიქონს რომ გავიყვან, მერე შემიძლია გადაბმით, 12 საათზე მეტი ვიმუშაო. პროტოტიპები, როგორც წესი, არა მყავს. ერთადერთი მოთხრობაა "იქამდე", რომელიც ავტობიოგრაფიულია. საერთოდ, გამოგონილი ამბავი უფრო დამაჯერებელი მგონია, ვიდრე რეალური.

ერთი პერიოდი კაფკათი ვიყავი აღფრთოვანებული, რადგან ადამიანის მწერად გადაქცევა უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ადამიანის ცხვირ-პირისა და ჭამა-სმის აღწერის პროცესი. საერთოდ, წარმოდგენა უფრო მეტი სინამდვილეა, ვიდრე სინამდვილე. კაფკა, სხვათა შორის, პატიოსანიც აღმოჩნდა, სიკვდილის წინ დაიბარა – ჩემი ნაწერები დაწვითო. ალბათ, მოერიდა, ასეთ მძიმე ამბებს რომ ტოვებდა.

***- თქვენ არ გაგჩენიათ საკუთარი ნაწარმოებების კრემაციის, შეცვლის ან დახვეწის სურვილი?***

- პირველ მოთხრობაში ასეთი გაცვეთილი შედარება მაქვს - "დრო სხვადასხვანაირად გადიოდა, ხან მთის მდინარესავით, ხან დუნედ". სასაცილოა, მაგრამ არ შევცვალე, წელი ხომ აწერია და ჩაეთვალოს იმ წლის გულუბრყვილობას, ეს უფრო ბუნებრივი მგონია.

*"ვერანაირ ტყუილს ვერ მოიგონებ, სადმე სხვაგან რომ არ არსებობდეს", - ავტორი იგივე.*

***- არის თუ არა ლიტერატურა ყველაზე მართალი ტყუილი და ხართ თუ არა კარგი მატყუარა?***

- მოდი, ფანტაზიას მოფერებით დავარქვათ ტყუილი. ისე, ცოდვას ვამბობ, რადგან ყოველგვარი ტყუილი აკრძალულია. მრცხვენია, როგორ ვაკადრო მკითხველს, რომ ტყუილში ვითრევ, იქნებ ეს გართობაა, თამაშია, დასვენებაა, ან ცოტათი ურთიერთგაზრდაა, რადგან მწერალიცა და მკითხველიც ერთი ჯიშისანი არიან. თუ მკითხველს ისეთივე აღქმა აქვს, როგორც მწერალს, მაშინ ორივე კარგი მატყუარა გამოდის, რადგან ის იღებს იმ ტყუილს, რასაც მწერალი სთავაზობს. რა გამოდის აქედან – ვინც არ იჯერებს კარგ ნაწარმოებს, ის არ არის კარგი მკითხველი.

***- მახსოვს, როგორ აქტიურად ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ თქვენ სხვის სამყაროებში შეიჭერით და ბევრი რამ მოიპარეთ... მოკლედ, თურმე, თავს დაესხით სამხრეთამერიკულ მწერლობას და პირწმინდად გაძარცვეთ ის.***

- (აღშფოთებულია) სხვათა შორის, ოთარ ჭილაძეც გარიეს მაგ ამბებში. ამ დროს, კი არ უკვირდებიან, რომელი როდის დაიწერა. 1969 წელს წავიკითხე მარკესი, 1966 წელს მქონდა დაწყებული "სამოსელი..." და უფრო ადრე "საქმე". მარიო ვარგას ლიოსას რომანი, რომელშიც კანუდოსის ამბებია აღწერილი, სულაც 1982 წელს დაუწერია.

***- თქვენ საიდან ამოქექეთ კანუდოსის ამბები?***

- "ვოკრუგ სვეტა"-ში წავიკითხე ორი თუ სამი გვერდი კანუდოსელ მწყემსებზე, რომლებიც ტირან მემამულეებს გაექცნენ და ამის გამო დაიწყო ომი, თუმცა, ის მწყემსები ყმები არ ყოფილან...

***- კი მაგრამ, საქართველოში, ან ადრე, ან მოგვიანებით, არაფერი ხდებოდა ისეთი, კანუდოსელ მწყემსებზე მეტი სტიმული რომ მოეცა თქვენთვის?***

- რაღაც უფრო საერთაშორისო ამბავია და არც ის ადგილია შემთხვევითი, რომელიც ლუკას სახარებიდან ავიღე, სადაც წერია, რომ "შორს, სოფელში" წავიდა დომენიკო ანუ სხვა ქვეყანაში. როცა მეკითხებიან, რატომ არ არის ქართული გარემო და გვარსახელებიო, ვპასუხობ – რანაირად შეიძლება, სხვა, შორეული ქვეყნების სასტუმროებში ადმინისტრატორს მაყვალა ერქვას და შვეიცარს ბიჭიკომეთქი. ეს არგუმენტი აჩერებს ყველას. ხო მაგარი არგუმენტია?

***- ფიქრობთ, რომ ამბავი, რომელიც ნებისმიერი ადამიანისგან შორს, უცხო გარემოში ხდება, უფრო მიუწვდომელია, იდუმალებით მოსილი და, ამდენად, დამაინტრიგებელი მკითხველისთვის?***

- ჰო, ჰო, უფრო ზოგადია, უფრო საერთოსავითაა, ვიდრე ის, რომ დაწერო, როგორ ჩახვედი სოფელში ბებიასთან. მერე, ბევრი მოქმედი გმირია ჩემთან, მარტო სახელები ვისაც აქვს, სულ ცოტა, ორასამდეა. ორასი ქართული სახელია ძნელი საპოვნელი და უცხოურს არ იკითხავ?

ხშირად ფეხბურთის გუნდის შემადგენლობებში ვეძებდი სახელებს. "ვატერპოლოოში" რომ რექსაჩია, ადრე "ბარსელონას" ფეხბურთელი იყო, ძალიან მომეწონა გვარი და გამოვიყენე. მერე მართლა მწვრთნელი არ გახდა?

***- მე მგონი, თქვენ წინა ცხოვრებაში რომელიღაც ესპანურენოვანი ქვეყნიდან იყავით...***

- არა, არა, ქრისტიანულად წინა ცხოვრება აკრძალულია, თუმცა, ხალხს რაღაც გენები შეიძლება ჰქონდეს გადმოყოლილი. სხვათა შორის, ერთ კაცს, თურმე, ტრეპანაცია გაუკეთეს და თავში რაღაც წერტილს შეეხნენ. იმ კაცს რომელიღაც გადაშენებულ ენაზე დაუწყია ლაპარაკი. ასეთი გენები შეიძლება გადმოგყვეს, მაგრამ, ინდოელები რომ ამბობენ, ადამიანის სული ცხოველში გადადისო, არ მგონია მართალი.

***- როცა თქვენი შვილი დაიღუპა, მაშინ თქვით, ღმერთმა იმიტომ დამსაჯა, რომ უამრავი ადამიანის სიკვდილი დავუშვი ჩემს ნაწარმოებებშიო...***

- ჰოო, ვთქვი, რა ვიცი, დიდი მწუხარებისას იმდენ რამეს წარმოიდგენს ადამიანი... მანამდეც, ანა-მარიაზე მეკითხებოდნენ ხოლმე, რატომ არის რომანში ასე ხანმოკლედო და ვპასუხობდი – შეიძლება, ბედნიერება ხანგრძლივი იყოს-მეთქი. იქნებ ამ ნათქვამმაც რაღაცნაირად იმოქმედა, რადგან ჩემი ბედნიერებაც არ აღმოჩნდა ხანგრძლივი.

ისე, მართლა არ არსებობს მწერალი, ეგ ეჭვი რომ არ აწუხებდეს. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ქრისტიანულიც ბევრი მაქვს, თუნდაც, სანტოსი რომ თავის მტერს აპატიებს და გაუშვებს...

***- დოგმების მიხედვით რომ იმოქმედოს მწერალმა, გამოდის, წერას თავი უნდა დაანებოს. დონ-დიეგო, რომელიც ჩემი უსაყვარლესი ადამიანია, თავს იკლავს...***

- და ამას აკეთებს ძმათა ხათრით... ბოლოს და ბოლოს, წიგნში ხდება ის, რაც ცხოვრებაში და, თანაც, ეკლესიამ საოცარი სითბოთი მიმიღო. ამ ტრაგედიამდე არ ვყოფილვარ ეკლესიური. კი, პატივისცემით შევდიოდი ეკლესიაში, მაგრამ ბევრი რამ არ ვიცოდი. მაშინ, ფაქტობრივად, მეუფე დანიელმა გადამარჩინა. ძალიან დატვირთული იყო, მაგრამ სულ დადიოდა ჩემთან. ერთი ამბავი გამახსენდა: რამდენიმე წლის წინათ წმინდა ნინოს ნაკვალევზე ვიყავი მამა პავლესთან ერთად (ახლა მთავარეპისკოპოსია - მეუფე ნიკოლოზი). საათი არ მქონდა და მორიდებით დრო ვკითხე. დახედა მაჯას და 5-ს აკლია 20 წუთი და ყველაფერი გენნნიალლლურრრადააო – მითხრა. სახტად დავრჩი, თურმე ყველაფერი წაკითხული ჰქონდა.

***- საკუთარ თავს მწერალს კი არა, გადამწერს უწოდებთ... ვისგან იწერთ?***

- ამ სამყაროს ერთადერთი შემოქმედი სულიწმინდაა და ყველა მისგან იწერს. მწერალი რომ დაწერს და თავი მოაქვს, მე დავწერეო – მსგავსი სისულელე არ გამიგია. ანდა, რომ ჰგონიათ, რაღაცას მიაღწიესო... ხელოვნება არის ის, სადაც ვერაფერს აღწევ...

***- ანუ "დიადი ვერასოდეს!.."***

- დიახთ!

***- ადრე, მახსოვს, როგორი ჩაკეტილი, ძნელად დასაყოლიებელი იყავით. უარს ამბობდით შეხვედრებზე, ინტერვიუებზე...***

- ჰო, ჰო, გინდა თქვა, რომ სიბერეში ავმჩატდი, მსუბუქი ყოფაქცევის გავხდი, არა? ისე, სულ მიკვირდა, როსკიპებს რატომ ეძახიან მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს. მსუბუქი კი არა, უმძიმესი ყოფაქცევის არიან...

***- საკუთარ თავს თუ თვლით უმძიმესი ყოფაქცევის პატრონად?***

- რა ვიცი, ხანდახან. ისე, კატეგორიული ვარ, გავჯიუტდები და არაფრით გავაკეთებ იმას, რასაც უსამართლოდ ვთვლი. არქეოლოგიაში ვიმუშავე 13 წელი. ერთი თანამშრომელი მყავდა, ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მაგრამ, ვიცოდი, რომ სხვას მოექცა ცუდად და ამიტომაც არ ვესალმებოდი. გადაირია კაცი, ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე. 13 წელი არ მივსალმებივარ – აი, ასეთი კატეგორიული ვარ.

***- მოგწონთ, როცა მწერლები ბუნდოვან-ბურუსით მოცულები არიან, იდუმალები, უხორცოები...***

- აჰ, აჰ, ეგრე ეგონათ ჩინეთში მაო ძე დუნი, თითქოს ხორცი არ ჰქონდა. უბრალოება არის ადამიანის უმაღლესი მდგომარეობა. მარტო ივანე ჯავახიშვილის უბრალოება რად ღირს – თავმდაბალი, რაფინირებული, ინტელიგენტი. მწერალი თუ გაიპრანჭება და ვინმეს ზემოდან დახედავს, წასულია მისი საქმე.

***- ახლობლებსაც ისევე სათუთად ექცევით, როგორც თქვენს გმირებს? გამახსენდა, ერთხელ გულწრფელად თქვით – ამქვეყნად ყველაზე მეტად ჩემი საქმე მიყვარსო.***

- პრაქტიკული არა ვარ, მაგრამ სხვებს ვუფრთხილდები, უფრო სწორად, ურთიერთობებს ვუფრთხილდები. რა შუაშია თითქოს, მაგრამ ერთი ამბავი გამახსენდა: ნასვამი მოვედი შინ. ხომ წარმოგიდგენია, რანაირი მთვრალი უნდა ვყოფილიყავი. ბებიაჩემმა ბორჯომიანი ჭიქა გამომიწოდა და: არ მინდა, იშტარ, ვეღარ დავლევ-მეთქი, ვუთხარი (იშტარა მყავდა, ერთი ამხანაგი). დილით მესმის ბებიაჩემის ბურტყუნი – გაზარდე ახლა შვილიშვილი, ვინცხა იშტარაში ვერევიო და, არ იცი, როგორ გადამიხადა? პაემანზე მივდივარ, დროზე უნდა ვიყო სოლოლაკში. ყველას გასაკვირად, ძალიან პუნქტუალური ვარ. ბებიაჩემი მაჩერებს – რაღაც მინდა გკითხო, მაგრამ, ვიცი, არ მეტყვიო... მაწამა, მაწამა და, ბოლოს, პაემნის დროს რომ გადავაშორე, მეუბნება: გურამ, მოთხრობებს ვინ გიწერსო? რომ დავეშვი კიბეებზე მუშტების ქნევით, მომაძახა: ხო გეუბნებოდი, მაინც არ მეტყვიო.

გაგრძელება C2 გვერდზე









ბესო გულაშვილის ფოტოები

C1 გვერდიდან

***- როცა ფლობერისთვის მოპასანს თავისი პირველი მოთხრობები მიუტანია, ფლობერს უთქვამს: ამის დამწერი ნიჭიერი კაცია, დანარჩენს მარტოობა ასწავლისო...***

- მარტოობაზე ძვირფასი არაფერია. ესაა ფანტაზიისა და წარმოსახვის პირველი მეგობარი, რომელთანაც შეგიძლია იფიქრო, იოცნებო, შეთხზა. ნაღდ მარტოობას რა სჯობია. მე საათსაც ვერ ვიკეთებ წერისას - სხვა ხმაურზე აღარაფერს ვამბობ. ქუჩის ხმაურს რაღაცნაირად შევეჩვიე, მაგრამ ერთი ამბავი მაგიჟებს. ხომ არსებობს თანამდებობები - ქალაქის მთავარი არქიტექტორი, მთავარი თერაპევტი და, რა ვიცი, რა აღარ. მომილოცე, ჩემს ქუჩაზე ცხოვრობს ქალაქის მთავარი დეგენერატი, რომელიც თავის სავაჟკაცოდ შეღერებულ შვილს ამარაგებს თურქული ასაფეთქებლებით. საახალწლო სამზადისს იწყებენ სექტემბრის შუა რიცხვებიდან. "ვაჟკაცი" დღედაღამ აივანზეა და ისვრის. იმ ხმაზე ვგიჟდები. ამნაირადვე გამოვყავარ წყობიდან ვითომ კარგი გაზეთის კარგ ჟურნალისტებს. ერთმა ჟურნალისტმა ისეთი ტყუილები დამიწერა, არც დამესიზმრებოდა. რომელიღაც პარტიებთან არიან შეკრულები და წერენ, ვითომ მე მათი პარტია მიყვარს. ჟურნალისტებისგან ჩემსავით გამწარებულ ერთ ახლობელს ვუთხარი – იმდენი მიხვედრა როგორ არა აქვთ, საერთოდ ნუ მოვლენ, ისე დაწერონ, რაც უნდათ, ვინ მოსთხოვს პასუხს. მაინც თავისას თუ წერენ, რაღად უნდათ ვითომ ჩვენთან საუბარი...

***- უცხოეთში არის ასეთი შესანიშნავი ტრადიცია – ცოცხალი მწერლები ერთმანეთზე წერენ შესანიშნავ ესეებს, რეცენზიებს, ამჩნევენ და სტიმულს აძლევენ ერთმანეთს. აი, თქვენ, სიცოცხლეშივე შეგიძლიათ აღიაროთ თქვენი თანამედროვე?***

- მე სამი ქართველი შემოქმედი მიყვარს მარადიული ბავშვობის გამო. ტოლსტოი ამბობს, რომ ბავშვის აღქმა დაბადებიდან 5 წლამდე მეტია, ვიდრე ხუთიდან ოთხმოცამდეო. დაბადებიდან ხუთ წლამდე ბავშვი პირველად დაინახავს მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, წვიმას, თოვლს, მერე რაღა უნდა ნახოს ოთხმოცამდე. ჩემს უსაყვარლეს სამ შემოქმედს ბავშვობიდან ჰქონდა გამოყოლილი ის, რომ ყოველი თოვლი მათთვის პირველი თოვლი იყო. ესენი არიან: ვაჟა ფშაველა, ფიროსმანი და გალაკტიონი...

***- ცოცხლები?***

- რეზო ინანიშვილი ჩემთვის ცოცხალია. რეზოს მოთხრობებზე დღემდე დენი მივლის. ვინც მიყვარს, ის სულ ცოცხალია...

***- როდის გახსენებენ თავს თქვენი გმირები, ვინც უკვე იყო, იცხოვრა, დარჩა წიგნებში და ყოველი ახალი მკითხველისთვის თავიდან იწყებს არსებობას?***

- ძალიან ახლობლები არიან, ჩემიანები. ისე მიყვარს გახსენება, ფიქრი, ძველი განცდები... ანა-მარია რომ კვდებოდა, მაშინ თბილისის ზღვაზე ვცხოვრობდი, ბოლო სართულზე. როგორც კი დავწერე, ანა-მარიამ სული დალია-მეთქი, სინათლე გამოირთო და აშკარად გავიგონე, სხვენში რაღაც ხრაშუნობდა. ისედაც დათრგუნული ვიყავი, ნაცემივით. სულ გავფაციცდი, სანთელი ავანთე და გარეთ გავედი. სხვენზე ქარი დათარეშობდა. ვიფიქრე, შევიშალე-მეთქი. ისევ გავიგონე ნაბიჯების ხმა, თანაც, მაშინ სინათლე არ ითიშებოდა. მეორე დღეს ჩემებისთვის უთქვამთ მეზობლებს, ალბათ, როგორ შეგაწუხეთ, წუხელ ტელეფონის ხაზებს ვასწორებდითო. რატომ მოუნდათ ამის გაკეთება ღამის 3 საათზე, არ ვიცი. მე კიდევ რა არ ვიფიქრე, ანა-მარიას სიკვდილს რომ დაემთხვა, თორემ, სხვა ადგილი რომ ყოფილიყო, ნაკლებად იმოქმედებდა.

***- ტოლსტოის განცდები გამახსენდა ანა კარენინას სიკვდილის გამო...***

- ფლობერსაც ხომ ზუსტად ისეთივე მოწამვლის ნიშნები ჰქონდა, როგორც ემა ბოვარს...

***ესე იგი, ადამიანის "აბსურდულ" სურვილებში რეალობაც ურევია?***

- რა თქმა უნდა, ოღონდ დამაჯერებელი უნდა იყოს. დამაჯერებლობა ქმნის რეალობის შეგრძნებას, ოღონდ, ვერ გეტყვით, როგორ ხდება ეს, როგორ მოდის სიუჟეტი. ამ დროს აბსოლუტურად შეურაცხადი ხარ, თუმცა, პასუხისმგებლობა და თვითდისციპლინა აუცილებელია.

შტანგისტები სიმძიმეებს რომ წევენ, თურმე, სულ სამი ცდა აქვთ. ამ დროს მწერლობას უზარმაზარი შეღავათები გააჩნია, აიღე და გადაწერე 20-ჯერ, 30-ჯერ. არიან მწერლები, მარტო ერთხელ წერენ და ეტყობათ კიდეც. მე, როგორც წესი, 4-5-ჯერ და, ყველაზე მეტი, 25-ჯერ გადამიწერია. დიალოგები უფრო მიადვილდება. რასაც პირველად ვწერ, ის რომ მერე არ დავამუშაო, ალბათ, ჩემისთანა სულელი მწერალი არ იქნება ამქვეყანაზე. პირველი ვარიანტი სულსწრაფია, მეჩქარება, აზრი არ გამექცეს, მერე უფრო მშვიდად მივყვები. ნასვამი არასოდეს ვჯდები საწერად. იცი, როგორ განვიცდი, რომ ვსვამ? ამ ბოლო წლებში ვერ ვმუშაობდი, გათბობა ხო არა გვაქვს და, ისე ციოდა, კალმისტარს ვერ ვიკავებდი ხელში. ამიტომ ხშირად ვსვამდი. შინ ღვინოში წყალს მირევენ ხოლმე. სხვათა შორის, რელიგიურად ეგ გაუმართლებელია, იმიტომ რომ ღვინის შელახვა და შებილწვა წყლით არ შეიძლება.

***- ცოტა უცნაურია, სიგარეტსაც რომ არ ეწევით დღეს...***

- მაგაზე ოთარ მამფორიამ იცი, რა მითხრა? "პახმელიაზე" ვარ და, შემხვდა ოთარი. სიგარეტი მომაწოდა. აჰ, "პახმელიაზე" ვერ ვეწევი-მეთქი. აბა, გენაცვალე, დაგინებებია თავიო – მითხრა.

***- თქვენი ახალი რომანი "ლოდი, ნასაყდრალი" ფრაგმენტულად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. ერთიორმა ადამიანმა მითხრა, გურამ დოჩანაშვილი ისე გაერთო ქართული სიტყვის ექსპერიმენტით, რომ მკითხველი დაავიწყდაო...***

- შეიძლება ცოტა ზედმეტი მომივიდა, მაგრამ იქ ისეთი ადგილებია, რომელიც მხოლოდ ღვლარჭნილი ენით უნდა აღწერო. მაგალითად, მეტროში ერთმანეთის ფეხებზე რომ დგანან და ცხვირი ცხვირზე აქვთ მიდებული ტორტნაჭამ ქალს და ხაშნაჭამ კაცს. ანდა, პატივმოყვარეობაზე მაქვს ადგილი, იქ ისეთი კორიანტელია, მტრისას. თუმცა, სხვაგვარი ადგილებიცაა – გამჭვირვალე, სადა. მინდა ვაჩვენო, რომ ქართულ ენას აქვს უზღვავი შესაძლებლობები, რომელიც გამოუყენებელია. ვინც მწერლობას დააპირებს, მინდა ვურჩიო, რომ აუცილებელია შრომა, სამშობლოსა და ენის სიყვარული... უჰ, უჰ, პლაკატური გამომივიდა, მაგრამ ნაღდია... და კიდევ სიბრძნე.

***- თქვენ, რა, ბრძენი ხართ?***

- აჰ, არა, არა... ისე, კარგი ნათქვამია – ღმერთმა ყველაზე სამართლიანად ჭკუა გაანაწილა, რადგან არავინ ამბობს, რომ ჭკუა აკლია...

***- რა დარჩება თქვენი სამყაროსგან წლების შემდეგ?***

- რა ვიცი, რა ვიცი... ეგოისტი ვარ და, მინდა, ყველაფერი დარჩეს. იმიტომ რომ, ბოროტება, რომელიც ცუდად იმოქმედებს ადამიანებზე, მე არსად გამიჭაჭანებია.

***ჩანართი:*** *თინათინი, რომელიც იმ ასაკისაა, როცა ბაბუამისმა პირველი მოთხრობა "დაწერა" (ანუ 3 წლის), ბაბუას გიჟს ეძახის. თუ ამ სიტყვის განმარტებას მოსთხოვთ, დაუფიქრებლად გიპასუხებთ – იმიტომ, რომ ჩემზე გიჟდება.*

### ამბის ბოლო

### *"გინახავთ ქვეყნად ამბავი, რომ ჰქონებოდეს ოდესმე ბოლო"*

***მინაწერი:*** *უცბად ისე მომინდა თიხის ქალაქში – კანუდოსში, ისე მომენატრა დომენიკო და დონ დიეგო...*

*ნეტავ, ვინ მომპარა ჩემი "სამოსელი პირველი"...*



„სამოსელი პირველის" მსხვერპლი



მწერლის მაგიდა

აბა იმათ, დღეინდელმა სოფლიბიჭებმა, ძაან იციან დიდი თევდორეს, მღვდლის, ამბავი, არც ის იცოდნენ წესით, უნდა, რომ, სამშობლოსათვის, სხვაგვარად მეტყველ ავად მომხდურთა ჩახოცვაც რომ არაა ცოდვა, და როცა, შემოსეულებისგან, იმათი ავზნიანის ხელით სახლ-კარი – დაქცეული, კერა – გადაბუგული, წვრილი ბალღების მარჩენალი ფურდედო, და თხა, ხარ-კამეჩი, ცხვარი – გარეკილი, და კიდევ კარგი რომ ჯალაბი – სადღაც ტყეღრეში გახიზნული, მაგრამ, ვაზი – აჩეხილი. აი ის ვაზირომ, იმის კარგა მსხმოიარობისთვის, როგორ მოვლილი, შვილივით ნაზარდი, და დაუსეტყვავიც, თუა, გლეხურად ჩუმი სიხარულისაგან, ერთიც ასეთი გამოცანა: მამა – დაგრეხილი, დედა – დაჭყლეტილი, შვილი გადარეული, რა არი ესა და – ვაზი, ყურძენი და ღვინოა, საამათო, და, მართლა-ამათი, იიჰ, - გინდაც ბრუნდეძირიანი, დიდი ამბავი... მაგრამ, აჩეხილი! სახლკარმოშლილებს, ყველაფერზე მეტად ვაზი ენანებათ, რომელი სეტყვა – აჩეხილია, და, მტევნისა ნაცვლად შხამი, ბალღამი ეწურებათ გულს, ქოხი რა – რამდენად უფრო მხოლოდღა სახელდახელოდ გასამართია, შენ აჩეხილი ვაზის როგორი ძნელი მონაცვლეობა, თქვი, და თუ როგორმე ისევ, ახალშენს კვლავაც გაახარებენ, მაგრამ ისევაც, ისევ! – ამათგან როგორ ძნელწლობით ამოზრდილი და ახალთახალი და ჯერაც მჩატედ მსხმოიარე და გინდაც ბრუნდისძირიანობით როგო ლამაზი ვენახის ასაჩეხად ისევ დაძრულან, წამოშავებულან, რომ სულ გაავერანონ იქაურობა, რომ მერამდენედ დაახვედრონ შემობრუნებულ როგორ მომვლელთ წალკოტის ნაცვლად – წლობით პარტახი, ისევ და ისევ ჩამობნელებულან ჯერხომ ქუდზეკაცების ამოსახოცად და მერე ამათ ცოლ-შვილის წარსატყვევნად, ცხრა-ას მთისიქით გასაყიდად, და, საიდან და გინდაც საიდან გესლიანგულით წამოღოღებულებს, უწყვეტი ბოლმა მოერეკებათ, რომელი ჭირი და ხოლვერა არი ამათიდარი, და მუდამ აღჭრილ დიდგულზედ არიან, აეთრევიან, აიყრებიან და წამოშლილან, მოდიან გამზადებულები, გაშმაგებულები, ენით ალოკვილ მჭრელ და მჭრულა იარაღებით, სხვა რა აქვთ საქმე, და, თრიალეთგამოვლილები, ჩვენებს, ჩვენივებს და ჩვენსვ მიწაზე ფეხშიშველად მდგართ უნდათ დაატყდნენ მოულოდნელად, თანაც როგორი გაშმაგებით, და მოკლე, ფარულ გზებს ამიტომაც დაეძებენ, მეწინავეთა რაზმს აგზავნიან ფონისა და ბილიკების შესატყობად, და აღმოსაჩენად, მოდიან, ჩვენზე, და ჩვენსაზე, რა შავმდინარედ, მოედინებიან, და გზად ერთი მღვდელირამ შეეყრებათ, სახელად თევდორე; მოხუცებულა უკვე ლამის, რომელიცა, რომ, ფეხიელა, შორითა სოფლის სანუკვარი სალოცავისაკენ, თრიალეთისკე, მიდის, უნდა ილოცოს კარგა იქა, მერე, მობრუნდეს, ახლა, კი, ჯერ მხოლოდ მიდის, მაგრამ გზად მისსავ თრიალეთზე გადმოთრეული მაინცდამაინც ჩალმიანები შეეყრებიან, მადლის ცხრაწყაროგადმოოხრებულები და წყლისაშემრგებნი, - შხამად!, -

ბევრნი არიან,

მრავალები,

მღვდელი თევდორე კი – მარტოკაა, მაგრამ ეს, - თვალით,

ესენი კი მზვერავებია, თავიანთებური დაკვალიანების მაძებარებია, გზის მსუნავები, რაღა, მთავარი ხროვა სადღაც უკან, კლდეებში შეფარებული, უცდით, დამალულებია, მაგრამ ადრე თუ გვიან ვიღაცა მაინც მოჰკრავთ თვალს და აალდება მთებზე ზვინი, ბორცვებზე – ბულული, დაჩვეულებია მტერს, მთავარია, რომ, დრო გავიდეს, რათა შეემზადონ, რაც შეიძლება, სწრაფად, მაგრამ იმათაც ეჩქარებათ, სული უკაწკაწებთ, ოღონდ სუ სხვა რამეზე – ბოროტებასა და საშოვარზე – სულსწრაფებნია, მოუღერებენ მოკაკვულ ხმალს ბერიკაც თევდორეს, მღვდელს ჯვარის გარდა არაფერი აქვს, რასღა გახდება, მაგრამაც ღმერთი – მისკენაა; დაჰბრძანებენ რომ, ურჯულოვ, მოკლე და ჩუმი გზა გვასწავლეო, და მასაც, მღვდელსაც რა დარჩენია, როგორ საწადი სალოცავისა ნაცვლად, სულ სხვაგანისკე, მიდის, მიჰყვებიან, წინ წაუგდიათ, ცოდოა, როგორ, და მაგრამ აკი ღმერთით სასოება – თევდორესაკენაა, და ისეთს რამეს აზრს ჩააგონებს რომ – შვება, და საითკენ მიჰყავს ეს ექვსფეხიანები? – ცხენებზედ არიან, - საითკენა და, გამოუსავლეთში, და თევდორე მღვდლის გულში აბა რა ან ვინ ჩაიხედება გარდა ქრისტესი, შესავედრებელის, და თვით სულიწმიდასაც,

მფარველს, იმასაც მიჰყავს, ქრისტეს ტყუპისცალს, რადგან ორივენი, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, არიაან, იყვნენ, და ერთიც უბრალო ქართველი მღვდლის უხარია, სულს, - თითო თავისი და მას მიმყოლი ფლოქვებიანი ნაბიჯები ხომ, მთად ახიზნული თითო ბავშვია; ხოლოღა თავიანთური ჭკვითა და ხშირთქმით – რჯულიანებმა, აკი ძალიანაც იციან ბავშვებისა და ქალების ხოცვა თუკი გასაყიდად დანაცრული თვალში არ მოუვათ, უსარკო რჯულძაღლს კიდევ რა უჭირს, სარკეებიანი რჯულაფთრებია და წამდაუწუმ იმართლებენ, იმხნევებენ თავს, ხოლო თევდორე? ჯერ გინდაც თუ ბილიკს დასდგომია და ქვე-იხედება, მაინც ზეითკე აქვს გულისყური და, ბალღები აკი ხომ კარგებია, თვით ქრისტესაგან როგორ მონაფერებულები, თვალხილულადაც; ადრე; მუდამ; პატარები და უმწეოები, მინდობილები, ღვთისაარიან, ეს მერეა რომ, რაღაცეები ხვდებათ, ახლა კი, როგორ ნაკლებად ცოდვილები,

გურამ დოჩანაშვილი

# თევდორე მღვდელი

ნაწყვეტი რომანიდან „ლოდი, ნასაყდრალი"



ილია ჭრელაშვილის ნახატი

დიდცოდვილთაგან, როგორაც კი ეს შეუძლიან რაც შეიძლება შორს, - მღვდელს აქ ტყუილიც ეპატიება, - ვითომც სოფლებისა და ბავშვებისაკენ მაგრამ იმათგან რაც შეიძლება შორს, ძალიანაც შორს შეჰყავს უღრან ტყეში ჩალმიანები, იცის თევდორემ, კარგად იცის თავისი ყოველი ნაბიჯის ფასი, მნიშვნელოვანი, როგორ, და უხარია და ოღონდ არ იმჩნევს რომ მისგან ყოველი გაწელილი გინდაც წუთი რომ, მისიანების, გადარჩენაა, და, მიდის ასე, ფეხიერი, ქვეითი ვითომ, მართალ გზაში; დიდი ამბავი, თუკი კი არა, მართლა რომ მოჰკვლენ, და თუმც ის მერე რა რომ შებერიკაცებულია, სული ტკბილია, მაინც, არადა, თურმე, რა კარგი იყო, სულ ყველაფერი, მზეს ვინ მოსთვლის და, გინდაც რამდენჯერ აწვიმდა, რამდენი ათოვდა, სულ ხომ კარგები რამ ჰყოფილა, ესაა, მაგრამაც, ახლა, უფრო სჯობიან, ასეთი ვითომდაც ტყუილა და ცრუდსიარული, მაგრამ – სამშობლოსათვის, ის მერე რა რომ, სიცოცხლის გემო, გინაც მწარი, ტკბილი ყოფილა, მაგრამ ქრისტე, და ღვთისმშობელი და მისით სამშობლო, უფრო, უტკბესი, კაცო.

და მიაბიჯებს, -

მიდის.

ხოლოღა თვალებს თუკი ძლიერ გადმოუბრიალებენ,

და ზურგში ისრით უბიძგებენ, ოღონდ ჯერ უმშვილდოთ, მხოლოდ ხელით, ახედავს იმათ და,

ცოტაც,

ცოტაცო,

და,

ისევ,

მიდის და,

ასდევნებიან და,

მოკლეთ, -

მიდიაან.

ბნელში რომ ბანაკს დასცემენ და პირველ ღამეს რომ გაათევენ თევდორესათვის წრფლად მართალ გზაში, სამ-ოთხი კაცი, არა, კაცი კი არა, ეე, არამედ ჩამოორფეხებულები, თავზე ადგანან, ძაან ფხიზლობენ, გაგვეპაროსო, არ, თევდორე მღვდელს კი, აბა რომელი უკეთესობისკენ რა გააპარებს რადგან ორფლოქვოსნები კი არა თვით ღვთისმშობელი უდგას თავთით, რადგან იმისკე, გაპარულია, უკვე, იმის წინარე, ზის, და აბა რომელი გამპარავია, უბრალოდ კი ზის, და თუმც მტრების ავხმალსავით არა მაგრამ, წელში გახრილა, ხნოვანიც კია, მაგრამ სუმუდამ ლოცვამ უფრო იცის მიწისკენ ასე შეჩვევა და მოხრა, და მაგრამ ულამაზო სულაც არარი, ეს, რადგან, ადრევეც, მუხლმოყრილი და მლოცველი მუდამ, და ხანდახან თუ ალაპყრობდა თავისი მიწიდან ხელებსა და თვალს მაღლისაკენ სადღაც, როგორ უხილავ და როგორ ყველგან, ყოველივეში, -

ღვთისკე,

ისე კი, სუ დამხობილი ილოცებოდა, თავის მიწაზე, და ახლაც როგორ იმისია, მოხრილა ისევ ვითომ მიწისკენ და, ღვთისკენაა, აემ მიწითაც, უმფრო, რადგან თავისი სამშობლო, ღვთისმშობლისმიერი, გინდაც ერთსოფლით თვალწინ უდგას და ახსენდება კიარა, ახსომს, იმის დანახვას აბა რომელი მზე და ბიჭური თვალი აბა რად უნდა სულაც, ისე კი, ეს აქაური მზე გინდა, მთვარე, ქარი გინდა თუ ჩუმი წნორები, დაბალი ღელე,თუ, ზეცა, გინდ აქაურიც ახლანდელი უდაბური ტყე თუ წისქვილი სულაც თუ რომელიღაცა ლიტონობამდეც უბრალო ბუჩქი? – სუსამშობლოა, ვისი და, იმისი, თევდორესი, და ბევრი ჩვენის,ც,

სხედს ასე, მოხრით ტანკენარი რადგანაც, ღვთისკე,

რიჟრაჟისას კი, ისევ ხელ-ისრით წამოაგდებენ მართლმეგზურს, ზეზე, - აბა!, ჩქარაო!, - და იმასაც. – თევდორე მღვდელს, სწორედ ეს უნდა, რადგან, -

სამშობლოსათვის სიკვდილისაკენ,

მამულ-დედულზე თავგადადებული, თავისი ნებით ოღონდაც ღვთისაგან, -

და მიდის, მიაბიჯებს,

თანაც მტრებიანა,

რომლებ-ისინი აბათუ საით მიედინებიან, გაუშვი იმათ იცოდნენ ვითომ და მარტო, თუმც, ესეც კი ვერ იციან, ჯერ, და რაღაც იჭვი კი აქვსთ ერთგვარულ გულში, მაგრამ ეს ჩვენებურნი ანუ იმათებურად რჯულძაღლები სულელებიც კი ჰგონიათ რადგან მაგათი ღმერთი ტყუილებს აკი იკრძალვინებაო და, მაგრამ, სამშობლოსათვის, ეშმაკეულის საწარწყმედო ტყუილიც რომ შეიძლება, ოღონდაც მართლა თავგანწირვული, ასე დაწვლილვით ველარ იციან ჩვენი, ეს ღმერთი, მაგრამაც ერთი მართლაცრო ვაი და ვაიუშველებელი ცხენზემჯდომი-რამ, რომ მოუღერებს შენ გაკაკული ეძახე და, ჭექასავით მეხდამტეხ ქუხილივით ხმალს, კარგარამ უცხო სანახავია, ესა, - აბა სად თევდორე და სად ის ბეხლეწი, თანაცრო, ცხენზე, თანკიდე – აღმართულის ხმლითა, მაგრამ, თევდორე სულაც არ შედრკება, ის მერე რარო, ტანმორჩილია, სიმაღლე სიგრძით ვის გაუზომავს, ესა თევდორე, ტანით მომცრო, მაღალი არის დევეერხანაზედ, რამდენად, თანაც, ესა, - თავდადებული, ჩვენი,

ისევ, მიდიან.

და, იქამდისინ რომ მივა საქმე, არ გვინდა შენი მისაკვალავი მოკლეგზები და ბილიკები და არცარაფერი ოღონდკი უკანვე დაგვაბრუნეო, ისეთს ძალიანს ჰნერვიულობენ, განა ნერვები იმათაც არა აქვსთ, ადამიანებსავითაცაა, ისინიც, თევდორე მღვდელს კი, ადამიანები აკი როგორ არ უყვარან, მაგრამ ოღონდაც თავისი, ქრისტიანეები, და ცხოვრებაში რიგიანები; არეულებიც, რაც გინდა იყოს, მისი საყდრის შვილებია, ჯერჯერობით გინდ განზედ მცქირალნი, ეს ახალ მთვარესავით მაგრა დაკაკულ-ხმლიანები კი, არ იცის მღვდელმა ან ვისილანი შვილებია თუგინდაც დედით-მამიანა ანაცდა ვისაგან გამოგზავნილები იმ წყეულს გარდა, სდუმს მღვდელი, ბაგით ჩუმადაა, ანდა ამ სუსხვაენიანებთან გინდ ჩიქორთულად ისეთი რა უნდა თქვას, საქმე ხომ აკი უკვე გააკეთა, ისეთ უღრანში შეიტყუა მოხერხებულ გზათ-მაძებრები, ადამიანთზე მონადირე ეს ეს ძაღლ-ბებრები, სულაც რომ გულით მოინდომოს, იქიდან მაინც ვეღარ გამოაღწევინებს ამ საშოვარ ამხედრებულ ჩალმაზე – მათებურ ქუდზე – კაცებს, ერთი გზად ისღა იცის ერთმაც უბრალო სოფლის, მღვდელმა რომ, - მართალია და, სწორეს არი, ამ ცხადლივ ტყიურ უსიერობით იმათთვის ჯოჯოხეთში რომ შეიყვანა ჯერაც მიმომხვრნი, თან – ცოტაც ზემოთა დაბლითურში, რადგანაც მაღლით – თავად იესოს გაანდო ურთიერთზრახვა, ეს, და, როცა იქნება და საბოლოოდ რომ მიუხვდებიან ამ ხნიერ მღვდელსა, ვითომც დამყოლს, თან როგორ უმძრახს, თურმე მჩქროლავი გულის ნადებს, აბა იმათი კბილთაღრჭიალი იქ უნდა ნახოთ, მაგრამ თევდორეს

არ ეშინიან – მართალია, და...

ქრისტესიარი, და...

და ხოლო მერე კი, ბოოლოს, რაღაც ძალიან ვერაგულ უფსკრულს მიბჯენილნში, ამასღა ამბობს, - :

ეგ არი და გორის ციხეო, -

არ ეშინია, მეთქი,

რადგან სწორედ იმასთან, ვისთანაც როგორ უნდოდა ყოფნა, და მერე რარიგ ძალიან უნდოდა. –

სუმუდამ,

მარადის,

მართლა, და მართლად, -

და ახლა სწორედ იმასთანაა,

მის სიახლოვეს,

იმასთან

არი, და

ამათ?, - ამათ ულრინონ რამდენრამთვენიც უნდათ, თან ზოგი მითომდაც ჭკვიანი კი, ხმასაც კი უტკბობს, კვლავაც თარჯიმნის პირით, - გამოგვრევია, თარჯიმნულად, და ვაი რომ არათუ თითოდ, ასეც-ჩვენური, მაშ განაღ აბა ქართველი მღვდელი თევდორე იმას როგორღა გაიგებდა ჩალმიანებისაგან რომ მიდი, გაგვიძეღ სწორბილიკზეო, ანაცდა თითონ როგორ ეტყოდა იმათ აიეგ არი და გორიციხეო, ჰოდა, თარჯიმნის იმპირით ხმასაც უტკბობენ, სხვა არაფერი გვინდა შენი ოღონდკი აქედან გაგვიყვანე მარტო იქამდე საიდანაც მოგვიყვანეო, - მაშ თარჯიმანმა სწორი გზებისა აბა რა იცის მარტო არამედ მხოლოდღა ორნივ ენები და ისიც ხოლო საყველპუროო, - და, უმატებენ, უფიანდაზებენ ვითომ, სუ ოქრო-ვერცხლით აგავსებთო... – აიი, ჩემეეფ დაგაჯილდოებინებენო – ამას თარჯიმანივე უმატებს ოღონდაც მართლა თავისი შემრკთალი ენით, ბორკილურია, რადგანაც ისიც იმისიც დედაც-მამითაც ნამდვილი ქართველია ვითომ ოღონდაც მომაჰმადიანო, ენა ტკბილი აქ, ვითო, მაგრამ ამეებს დაიჯერებს გინდაც ასეთად მოკატუნებულ ჩალმოსანთა წინ?, მაგის ჩიტია თევდორე მღვდელი? ის მერე რა რომ, ახლა, მღვდელია და ანაფორაშია, ბალღობაში ხომ აკი დასდევდა ჩიტებს, ისიც, და იმათი ენა კარგადაც ახსომს, ის მერე რა რომ ამბალღობაში იმათ დევნისას, თავაწეული, მწარედ წაიქცა, სახით. დასდევდა მაინც, და იმათ მაღლაფრენას რო შენატროდა ახლა ჩიტია თითონაც და მერე ვისი, სამშობლოსათვის – თავადქრისტესი. ეს სიცოცხლე კი, სუყველასათვის ხომ ტკბილია, მაინც რაგინდ ვერანი, ხომ აბა რომელს არ გვინდა, არა?, თევდორესაც, ჰსურს,

მაგრამ მეტი საქმე თევდორემღვდელს არა აქვს ურჯულოებს რომ წაუმღეროს ბეერიკააცი ვაარ, ნუუ მაამკლაავო, - თევდორეღვდლისა ერთი სიკვდილი აბა იმდენი რომელი ძნელია, - ერთიღ ტკივილი... დიდი ამბავი; - მთელი ცხოვრება, თვით ქრისტე ტკიოდა; თან, ზედ გარდაცვალების წინ, კარგა ხვდება რომ ტყუილა კიარ მიდიოდა იმ მონატრებულ სალოცავისკენ, და ჩალმოსნებმა კი თავიდან ვითომც უქციეს მხარი, გზაში, მაგრამ, სწორედაც სალოცავშივე მიიყვანეს, კი, თან უნებურად და თან ძალათი, და, შეუგნებელის ძალაუნებლიეთობით აკი ისინიცა კი სჩადიან ხანდისხანობით, კარგსა, - უფსკრულთან უფრო მადლია, სალოცავი;

მერე კი, აჩეხილს, დანაკუწებულს და გინდაც როგორ ალაგ-ალაგებ მიმოფანტულს – აღარაფერი ვეღარ ტკიოდა – თუკი ტურები მიესევიან, დიდი ამბავი, ესეც, - იესუსთანაა, უკვე, დაბლა კი, ღეჭონ რამდენიც უნდათ, იმ ერთი წამის გინდაც რადიდ ტკივილით ხომ მაინც მუდამ იქნება, მართლა, სუმუდამ, და თანაც სწორა – თევდორესავით, ის მერე რა რომ ბალღობიდანვე ჩიტების დევნისას მწვავე დაცემით ცხვირმოქცეული, მუდამ იქნება სწორე, მართლა, სუმუდამ. ამ დიდ ტანმომცრო ბერკაც მღვდელივით, და ბალღობისას რომ იყო კიდე აი ისეთიც. როგოცოცხალი, აბა სიკვდილი და ჩაკვდომა თქვენ აქჩამოსული სხვებიანთებისა უნდა ნახოთ – აქეთ ეცა და იქით ეცაში, წანწალ-წანწალში ოღონდ გამოუსვლელეთიდან, საავოდ საგზალი აკი ისედაც ხომ სუმბუქად ჰქონდათ წამოღებული, რადგან ჩვენიანების ნაოფლარი თვალსაზრისულა იმედად ჰქონდათ მაგრამ, ჯერრო ცხენები შემოეჭმევათ, მერე კი... ღირს კი, სათქმელად? ეჰ –

ერთიმეორე,

სუპირველი კი, აი, ენებიცოდნე თუმც ხომ აკი ენების ცოდნა რა კარგი რამეა და მშვენიერი და ყველაფერი, მაგრამ თუკილა ძლიერათ გშიან, გაგიგონიათ ალბათ, თუ კუჭი კუჭობსო, ძაანაც ძნელიაო, და სუპირველად, ჯერ, მართლაც ურჯულო თარჯიმანი შემოეჭმევათ, ტანსაცმლიანა, ეჰ, ლამის თითქმის ნამდვილი ქართველი იყო მაგრამ იმისი ვერცხლი თუღა სტკენთ კბილებს, სხვამხრივ, კარგია, ისე კი, რადგან გული თუ ავგულობს რა იყო და კუჭიც თუ კუჭობს და ქადაც რა იყო არამედ თარჯიმანიცკი ორივე ხელით იჭმევაო, და თუკილა ნეტა-ასეთურ საშოვარზედ აშლილებს მართლათუ ისე ჰშიანთ რომ მარილის მოყრა და პილპილი ყოფილ თარჯიმანს სულაც არ უნდა და არაფერი, -

აფთრებს ვინ მისცათ გემოვნება,

ლეშზედ არიან, გინდაც მობრძავზე,

და ერთიმეორეს ვერაკარგა ამთვალიერებენ,

ვიღასღა ახსოვს სალბილიკები,

სწორაფონები,

და ასე შემდეგ,

ანუ ა. თან შ.,

მოკლედ, ამისა შემდგომ იმათ დიდხანსცა მომლოდინე მთავარ ხროვას კი, გამჟღავნებულებს, თან დიდად მეწინავე რაზმის-იმათით იმედგადაწურულებს, და ამიტომაც უცხოდ ერთობლივ ბჭობა-ყაყანის შემდგომ ნაგვიანევურ ჰაიჰარათი, დაძრული, არის ერთიც ასეთი წყნარი სოფელი შუაგულ საქართველოში, ქვიშხეთი, იმასთან განაპირას დაამარცხებენ, ერთიც გინდაც რიგითი მღვდლის წყალობით როგორ მალიმალ შელაშქრებულები, თავზექუდშეყრილები, კაცებია და, ქუდები ჰხურავთ, ქუდზეკაცნია, და საკადრისად დასახვედრად, მტრის, მუდამ გამზადებული სუეს ჩვენები, ძველები, რამ-სალოცავით გადარჩენილები, ოჯახებიც ხომ ისევა ჰყავთ და ვაზიც აბადიათ, იოჯახებენ, კვლავ, და უხარიანთ – როგოო, როგორ ძალიან ბედნიერებენ ამა მორიგი – ჰოიმეე ბიჭო!? – უბედურების აცილებას, და ეს განა მარტო აქ, დაბლაღა არი სიხარული,

აარაა, კაცო, მაღლასაც, ცაში, ერთიც ძალიან იმათი და იმათგან მაინც თავისით წასული და თავის თავისაც გარდა მერედა თვით ვისი-ს, დიადი დახმარებითა და მის ნალურსმნალ ფერხთან აღწეული, აბა რომელმა ვიცით თუ რომ აბა როგორი ბედნიერებით ზეიმობს იქა, მათი დამყურე ადრე ამჩვენში უბრალო ღვდელი, "მღვდელი გამწმედელი, გინა მფარველი". მღვდელი თევდორე, ისევაც ბავშვი, როგორჩვილური ნაღდ-სიხარულით უხარიან ქრისტესი კარგ, ბალღს, და მეტიც უფრო – ის მერე რა რომ ადრეულა სიყმაწვილეში, ყმაწვილობისას ჩიტების დევნით წაქცეული და ცხვირმოქცეული, ხოლო ახლა კი, მისი სწორმღვდლობით რამდენად მეტი, სამაგიეროდ, - ქრისტებაია,

და აბა ვინა თქვა ბერი თევდორე აღარ ახსოვთო. ღვთის ბერიკაცი, სიხარულია ისევ კვლავი და აღტაცება და რა მაღალი ბედნიერება ულირსისათვის უსათნოეს იმ მაღალ ლექსში სახელად რომ, უბრალოდ, "თევდორე", ჰქვია, ულირსის გულით ორ გამორჩეულ თანამედროვე პოეტისაგან ერთ-ერთის მიერ შექმნილი და მხოლოდ უხმოდ დაწერილი კი არა, არამედ...ნაგალობევი!, ჰო, და, როგორ გვახარებს თუნდაც ამ ვითომც ერთის პატარა სიტყვით – ხარება, მაგრამ "ხარება – სიხარულის თქმა". ბოლო "ესე არს ყოვლისგან ჭმუნვისაგან თავისუფლება", ძალას გვკრებს, როგორ, და მონატრებულ ბედნიერებას, საჩვენოს ანუ, გვაწვდისვე, როგორ, ურდოების გზებს ძველთევდორეთი ახლაც, როგორ ხშავს... – შენს გახარებამ!, მღვდელო თევდორე... ხარობენ რაღა ერთიც ჩვენიენით. ღვთისმშობლის მიწა, შემოენახათ; შემოგვენახა? – კი, თევდორესი და მკვიდრ ძმათა მისთა, მადლით, დღესაც ჩვენ-ჩვენ ენაზედ ვლაპარაკობთ და ვფიქრობთც, ისე კი, ცხადი არი რომ იცოცხლე სჯობს თუ რომ კარგად, უფრო, ფიქრებიცა და ლაპარაკიც, უფრო-ს ამქვეყნად რა გამოლევს, სახიერია, ღმერთი, რაც ტანჯვები გვაქვს, სახიერებით, ისიც უფრორე, მაგრამ ემ მტკვარმა ისეთი მაინც რა დააშავა, აბა რათ უნდოდა იმდენი სისხლი და თანაც, ვისთა, მერე როგორი, ამმღვრევი და ამამღვრეველი იმ ღრძოთ-ურდოთა, ბალღამით ნაკაზმ, თათარიახნით, მტრისას, ჩვენი მდინარე კი უფრო ადრე რამდენად უფრო ხალასად ბევრად უბრყვილო, იყო, მაგრამ ელექებოდა მაინც, ჩვენში აი ის ავად შეჟღენთილი, რაღაც, რაღაც კი არა და მტერს, და მტრისას, მაგრამ ეგება იმ ავ შენაჟღენთს ეგება ადგილასაც აღაბრუნებდა, თან ჩვენთან მდინარე, სხვაგანაც, ჩადის, და ღვთის შეწევნით, რაღაცეებით მაინც გვედგა სული, თუნდაც ცალკენტ-ხალხური თევდორეებით, იმ ჩვენს სოფელში კი,

ნეტა რა ხდება,

როგორ ძალიან მივივიწყეთ,

მოგვესაკლისა,

ერთიც ჩავხედოთ...

ვაჰ!? –

ამაზედ მეტი რა უნდა მოხდეს!

# მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა

*საქართველოში ახალი მედიცინის გარიჟრაჟია. ეს არის მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა, რომლის შესახებ მსოფლიო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ალაპარაკდა.*

## 80-იანი წლები

სამედიცინო ინფორმაცია სულ უფრო და უფრო იზრდება. მსოფლიოში ყოველწლიურად 40 000 სამედიცინო ხასიათის ჟურნალი და 2 000 000 სტატია იბეჭდება. შესაბამისად ისეთი სამედიცინო დასკვნებისა და რეკომენდაციების რიცხვიც მატულობს, რომლებიც მტკიცებულებებით არ საბუთდება. ახალ სახელმძღვანელოებშიც კი მოძველებული ცნობები იბეჭდება. მედიცინაში დომინირებს ექიმის პირადი გამოცდილება, ავტორიტეტი.

აშშ-ში ქვეყნდება გამოკვლევა იმის შესახებ, რომ წელიწადში სამედიცინო შეცდომების გამო უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე სიმსივნის, შიდსისა და ავტოკატასტროფებისაგან. დგება არჩევანის პრობლემა:

*როგორი მედიცინა ავირჩიოთ* – ტრადიციული თუ ალტერნატიული, მეცნიერული თუ ხალხური, დასავლური თუ აღმოსავლური.

*როგორი მიდგომა ავირჩიოთ* – დამყარებული პრაქტიკაზე, ინტუიციაზე, გამოცდილებაზე, ლოგიკაზე თუ მტკიცებულებებზე.

## ახალი დისციპლინა

მწიფდება პირობები იმისთვის, რომ შეიქმნას ახალი მედიცინა – მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა, რომელიც ყველა ამ პრობლემას მოაგვარებს.

ახალი დისციპლინის აუცილებლობაზე საუბარს იწყებენ კლინიცისტები, ჯანდაცვის ორგანიზატორები, იურისტები, პაციენტები. ყალიბდება პირველი დეფინიციები:

- *მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა ითვალისწინებს ყოველი პაციენტის მკურნალობისას მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარებული თანამედროვე სამედიცინო მტკიცებულებების კეთილსინდისიერად გამოყენებას;*
- *მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა არის სამკურნალო თუ ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მისაღებად საუკეთესო მეცნიერული მტკიცებულებების კეთილსინდისიერად გამოყენების პროცესი.*
- *საუკეთესო მეცნიერული მტკიცებულება არის შესაბამისი სარწმუნო კვლევისაგან მიღებული უახლესი ინფორმაცია დაავადების გამომწვევის მავნე ზემოქმედების, დიაგნოსტიკური ტესტების სიზუსტისა და ჯანდაცვის სხვადასხვა ფორმების ეფექტურობის შესახებ.*

## მტკიცებულებების შემკრებ-გამანაწილებელი

დიდი ინგლისელი ეპიდემიოლოგი არჩი კოქრანი 1972 წელს გამოცემულ წიგნში საუბრობდა იმის შესახებ, რომ საზოგადოებას ეჭვი შეეპარა მკურნალობის ეფექტურობაში. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მსოფლიოში არ არსებობდა ყველასათვის ხელმისაწვდომი ზუსტი და სანდო ინფორმაცია.

მოგვიანებით კოქრანი უფრო დაკონკრეტდა: **”სირცხვილია, რომ ექიმებმა დღემდე ვერ შეძლეს აქტუალური კლინიკური კვლევების ანალიზის ურთიერთგაზიარებისა და გაცნობის პერიოდულად განახლებადი სისტემის შექმნა.”** (Cochrane A. L., 1979)

1987 წელს, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, კოქრანმა ორსულობისა და პერინატალური პერიოდის პირველი სისტემური მიმოხილვა “სამედიცინო შეფასებებისა და კლინიკური კვლევების ისტორიაში პირველ საფეხურად“ მონათლა და სხვა სპეციალობის ექიმებსაც მოუწოდა, გამოეყენებიათ აღნიშნული გამოცდილება.

იმავე წელს გამოვლინდა მრავალი მეცნიერული მიმოხილვის დაბალი ხარისხი. ამასთან დაკავშირებით კოქრანი წერდა, რომ სამედიცინო მეცნიერული მიმოხილვა ფაქტების სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე უნდა აიგოს, რაც მუდამ განახლებადი პროცესი უნდა იყოსო.

მისი ოცნება რამდენიმე წლის შემდეგ ასრულდა. შეიქმნა კოქრანული თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია, მოიძიოს და გაამრავლოს ზუსტი და სანდო ინფორმაცია მეცნიერული კვლევებისა და სამედიცინო ქმედებების შედეგების შესახებ. ორგანიზაციის საქმიანობა მედიცინის ყველა სფეროს მოიცავს.



იური ლობოდინის ფოტო

პირველი კოქრანული ცენტრი ოქსფორდში შეიქმნა, რისთვისაც დიდი ბრიტანეთის მთავრობამ სოლიდური თანხა გამოჰყო. მის დამფუძნებლებს იმედი ჰქონდათ, რომ იდეა მთელ მსოფლიოში გავრცელდებოდა და არც შემცდარან. ექვსი თვის შემდეგ სერიოზული მსჯელობა ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა.

1993 წელს პირველი კოქრანული კოლოქვიუმი შედგა, რომელშიც მონაწილეობდნენ 9 ქვეყნის 73 წარმომადგენელი. სწორედ მაშინ დაფუძნდა ზემოთხსენებული კოქრანული თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია.

მას შემდეგ ყველა მსურველი ქვეყნისთვის გახდა ხელმისაწვდომი ინფორმაცია უახლესი და უზუსტესი სამედიცინო-პრაქტიკული და მეცნიერული მიღწევების შესახებ. თუმცა მარტო სურვილი საქმეს ვერ შველის. ამისთვის საჭიროა, ქვეყანას ჰქონდეს საერთაშორისო კონტაქტები, კომპიუტერული ქსელი, ტელემედიცინა და ჰყავდეს დასავლური განათლების ადამიანები, რომლებიც მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის დანერგვის ორგანიზებას გააკეთებენ.

## პირველი მერცხალი

მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის დანერგვა დაიწყო ბავშვთა მრავალპროფილიან საავადმყოფოში “რესპუბლიკა.” კლინიკის დირექტორი ირაკლი სასანია: **“ ჩვენ კლინიკაში დავნერგეთ უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემა, რაც ექიმებს საშუალებას აძლევს, მიიღონ მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის უახლესი ინფორმაცია. ვცდილობთ, გადმოვაქართულოთ ის სტანდარტები და ალგორითმები, რომლებსაც თანამედროვე მედიცინაში ყოველდღიურ პრაქტიკაში იყენებენ. ჩვენი მიზანია, ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისი, რაც ნიშნავს ადექვატურ, უსაფრთხო და ეფექტურ მომსახურებას, რომელიც მაქსიმალურად უპასუხებს თანამედროვე მედიცინის მიღწევებს, დებულებებს და პაციენტის მოთხოვნებს.”**

ასეთივე ოფიციალური ნოვატორია ინფექციური პათოლოგიების ცენტრის მთავარი ექიმი შოთა გოგიჩაიშვილი, მაგრამ მასთან ის შესაძლებლობები (კომპიუტერული ცენტრი, ინტერნეტი), რაც “რესპუბლიკას” აქვს, ჯერჯერობით არ არის.

# საქართველო ყოველწლიურად ორასამდე სრულფასოვან მოქალაქეს კარგავს


*ვუშველოთ პატარა სიცოცხლეს!*
ზაზა ფარუაშვილის ფოტო

*ეს დაავადებაა უცებ არ კლავს, ქოლერასავით და პარტახტიანი ტიფივით საშინელ შთაბეჭდილებას არ ტოვებს, მაგრამ შედეგები გაცილებით მძიმე აქვს. მისი მსხვერპლი მახინჯდება ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩება. ამ დაავადებას წარმატებით ებრძვიან განვითარებულ ქვეყნებში და, როგორც ჩვენი სპეციალისტები აცხადებენ - აქაც. მიუხედავად ამისა, საქართველოში, ყოველწლიურად, 200-მდე ახალშობილი ამ დაავადებით იბადება. სამწუხაროდ, ექიმები ამის შესახებ ძალიან გვიან იგებენ.*

ამ დაავადებას საქართველოსთვის უკვე ნაცნობი სახელი - ჩიყვი, იოდის დეფიციტით გამოწვეული ფარისებრი ჯირკვლის უკმარისობა ჰქვია. საზოგადოებას თავი მან 1997 წელს შეახსენა, როდესაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ქვეყანაში პირველი საყოველთაო ეპიდემიოლოგიური კვლევა ჩატარდა. შედეგი შემაძრწუნებელი იყო. მოსახლეობის 57,7 პროცენტს ჩიყვი აღმოაჩნდა. ხუთი წლის შემდეგ ქართველი ენდოკრინოლოგები აცხადებენ, რომ ჩვენს ქვეყანას შეუძლია ამ საშიში დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგით იამაყოს. მათ ასეთი პათოსის საფუძველს ბოლო ეპიდემიოლოგიური კვლევის მონაცემები აძლევთ.

კვლევა, 2001-2002 წლებში გაეროს ბავშვთა ფონდის, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ორგანიზაცია Kiwanis-ის მიერ საქართველოში შემოტანილი იოდირებული ზეთის კაფსულების დარიგების პარალელურად გაკეთდა. პრეპარატი იოდის დეფიციტით დამძიმებული რაიონების მკვიდრმა 3-დან 16 წლამდე ასაკის ყველა ბავშვმა, ორსულმა და მეძუძურმა ქალმა მიიღო. კაფსულების დარიგებამდე ამ კონტინგენტში ჰიპოთირეოზის, ფარისებრი ჯირკვლის უკმარისობის მაღალი დონე დაფიქსირდა. მაგალითად, ცაგერის სკოლაში დაავადებულთა რიცხვი 95 პროცენტს აღწევდა. პრეპარატის მიღების შემდეგ მაჩვენებელმა 27 პროცენტამდე დაიწია. მსგავს შედეგებს მიაღწიეს აჭარაში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, შიდა ქართლში, იმერეთსა და კახეთში.

შედეგი თვალსაჩინოა, მაგრამ იოდირებული ზეთის კაფსულების მოქმედება ექვსიდან თორმეტ თვემდე გრძელდება. ამის შემდეგ ორგანიზმი დეფიციტს ისევ განიცდის მანამ, ვიდრე მაშველად სხვა საშუალება არ მოევლინება. ეროვნული ნუტრიციოლოგიის ცენტრის თავმჯდომარე, იოდის დეფიციტით გამოწვეულ დარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის კოორდინატორი ზურაბ სეხნიაშვილი ამას მშვენივრად აცნობიერებს: **“კაფსულები ჩიყვის ლიკვიდაციის საკითხს ვერ გადაწყვეტს. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სასწრაფო დახმარების საკმაოდ ძვირი კამპანია, გადაუდებელი თერაპიაა. ჩიყვის საბოლოოდ დასაძლევად მასობრივი პროფილაქტიკის გაშლაა აუცილებელი.”**

პროფილაქტიკაში, უპირველესად, მარილის საყოველთაო იოდირება და დაავადებულთა საჭირო პრეპარატებით უზრუნველყოფა იგულისხმება. ეს ყველაფერი გამოჯანმრთელების რეალურ შესაძლებლობას იძლევა, თუმცა, არიან ადამიანები, რომლებსაც ნორმალურ ცხოვრებას ვეღარც იოდიანი მარილი და ვეღარც უფასოდ მიღებული წამალი დაუბრუნებს. ზურაბ სეხნიაშვილი: **“გართულებული შემთხვევები, ძირითადად, თანდაყოლილ ჰიპოთირეოზს მოჰყვება. მას მოაქვს გონებაჩამორჩენილობა და ასეთი შემთხვევები არის. იოდდეფიციტი იმით არის საშიში, რომ ცივილურ ქვეყნებშიც კი, ყოველ 3-4 ათას ახალშობილზე ერთი თანდაყოლილი ჰიპოთირეოზით იბადება, მძიმე ენდემიურ კერებში კი, ისეთში, როგორიც საქართველოა, ეს რიცხვი 10-12-ჯერ იზრდება. ცივილიზებურ ქვეყნებში საჭირო ტესტირებას ახალშობილს პირველივე დღეებში უტარებენ და, თუ მაჩვენებელი მაღალია, ეს შემთხვევა არავის გამოეპარება. ჩვენ ამას, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ. საქართველოში, ყოველწლიურად, 50 ათასი ბავშვი იბადება, თითო ტესტირება კი 12 ლარი ჯდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი პროგრამის თანხები ტესტირებაზე უნდა წავიდეს. ხოლო შემდეგ, სანამ კლინიკურად დადგინდება, დაავადებულია თუ არა ადამიანი ჩიყვით, წლები გადის. ის წლები დაკარგულია, ის ბავშვი ჩამორჩენილია და სრულფასოვანი მოქალაქე ვეღარ იქნება. შეიძლება, მკურნალობის დაწყების შემდეგ ფიზიკური განვითარება აღიდგინოს, მაგრამ ფსიქიკურად სრულფასოვანი ვერ გახდება.”**

აპარატურა, რომელმაც ახალშობილში ჰიპოთირეოზის ჰორმონის დონე უნდა განსაზღვროს, საქართველოში არის. ქართველ ენდოკრინოლოგებს არ აქვთ ტესტ-ნაკრებები და ფული, რომ წელიწადში 200-მდე ბავშვის ჯანმრთელობა სერიოზული კითხვის ქვეშ არ დააყენონ. რომელიმე სხვა ქვეყნისთვის, იქნებ, “200” საგანგაშო რიცხვი არც ყოფილიყო, მაგრამ ჩვენი ქვეყანა დეპოპულაციის ზღვარზე დგას, შობადობის მაჩვენებელი აქ სიკვდილიანობის მაჩვენებელს უტოლდება და თითოეული ჯანმრთელი ახალშობილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის განმარტებით კი, ახალშობილებში ჰიპოთირეოზის ჰორმონის განსაზღვრის საშუალება საქართველოს ჯერჯერობით არ აქვს. **“იოდის დეფიციტით გამოწვეულ დარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი სულ 400 ათასი ლარია. აქედან გამომდინარე, მის ფარგლებში ამგვარი სკრინინგის ჩატარება გამორიცხულია. რა თქმა უნდა, ეს ღონისძიება საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ჩვენი რესურსები ამას, ჯერჯერობით, ვერ წვდება. შეიძლება, ამ საქმეშიც დონორები დავიხმაროთ. მათი საშუალებით საქართველომ ბევრი სერიოზული პრობლემის გადაწყვეტა მოახერხა,”** - აცხადებს ამირან გამყრელიძე.

# რას აუქმებენ სამედიცინო უნივერსიტეტში

მას შემდეგ, რაც ექიმის თეთრი ხალათის ჩაცმა საქართველოში მხოლოდ თორმეტწლიანი მომქანცველი შრომით გახდა შესაძლებელი, მითქმა-მოთქმა სამედიცინო სასწავლებლების შესახებ არ შეწყვეტილა. ამჯერად, ექიმთა წრეში აქტიურად ალაპარაკდნენ, სამედიცინო უნივერსიტეტი პედიატრიის ფაკულტეტს აუქმებსო. კარს მომდგარი გამოცდების წყალობით, ამ ინფორმაციამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აბიტურიენტების მშობლებისთვისაც შეიძინა.

მოარული ხმების მიხედვით, პედიატრიული ფაკულტეტის გაუქმებას მსოფლიო ბანკი ითხოვდა, თანაც - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან. ამის გაგონებისას, ამ უწყების შეფს, ამირან გამყრელიძეს გაეღიმა: **“ამაზე მსჯელობა დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ თავად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან. ვგულისხმობ, საერთოდ, სწავლების სისტემის შეცვლას და არა კონკრეტულად პედიატრიის ფაკულტეტს. პირველი კურსიდანვე სპეციალიზაცია, როგორც ჩვენთან არის, მსოფლიოში არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს. მოქმედებს ზოგადი სისტემა - სამედიცინო ფაკულტეტი, რომელზე 5 წლის განმავლობაში სწავლისას, ადამიანი ზოგად სამედიცინო განათლებას იღებს. სპეციალიზაცია სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ხდება. თუ გინდა იყო პედიატრი, კიდევ ოთხი წელი ემზადები პედიატრიაში და ხდები ექიმი-პედიატრი. მედიცინაში სწავლების სამი მიმართულებაა: ზოგადი მედიცინა, სტომატოლოგია და ფარმაცია. დანარჩენი - ქირურგია, პედიატრია, მეან-გინეკოლოგია და ასე შემდეგ, სპეციალობებია. ასეთია მედიცინის კლასიკური მოდელი.”**

ამასთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი განმარტავს, რომ სწავლების სისტემის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს. რაც შეეხება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, იქ ასეთი ცვლილებისთვის არ ემზადებიან. **“პედიატრიის ფაკულტეტი არ გაუქმებულა. მეტსაც გეტყვით, ჩვენი უნივერსიტეტი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის დამფუძნებელია და ასოციაციის ბევრმა წევრმა თავისთან სწავლების ჩვენგვარი სისტემა დანერგა,”** - აცხადებს თბილისის სამედიცინო უნივერისტეტის რექტორი რამაზ ხეცურიანი.

მოკლედ, სამედიცინო უნივერსიტეტში არაფერსაც არ აუქმებენ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

# რას მკურნალობენ ინფექციურში უფასოდ

ზაფხულის ეპიდსიტუაციის პროგნოზი ყოველწლიურად ერთმანეთის იდენტურია. ეპიდემიისგან თავის დასაღწევად, პროფილაქტიკა ყველაზე კარგი საშუალებაა.

დაავადების შემთხვევაში კი თბილისელებმა ინფექციური პათოლოგიების ცენტრს უნდა მიმართონ. რაიონში მცხოვრებმა მოსახლეობამ კი - ინფექციური პათოლოგიების რეგიონულ ცენტრებს. იმის გასაგებად, თუ რისი მკურნალობა ეკუთვნის პაციენტს უფასოდ, ცენტრის მთავარ ექიმს შოთა გოგიჩაიშვილს მივმართეთ, რომელმაც გვითხრა: ”**თბილისში, ჩვენს დაწესებულებაში ყველა სახის ინფექციური დაავადების ჰოსპიტალური შემთხვევა სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება. რაც შეეხება ამბულატორიულ მკურნალობას, უფასოდ ეკუთვნით მხოლოდ იმ პაციენტებს, რომლებიც ჩვენთან ცენტრში არიან აღრიცხვაზე, გარდა ამებიაზით და ნაწლავური ინფექციებით დაავადებულებისა, რადგან იმავე პროგრამის თანახმად, მკურნალობა მათაც უფასოდ უტარდებათ.”**

მალარიით და ლეიშმანიოზით დაავადებულთა მკურნალობა პარაზიტოლოგიის სამედიცინო კვლევით ინსტიტუტში ასევე უფასოდ ხდება.

# სინჯარაში ტყუპები ისახებიან



ერთ სინჯარაში როგორ ჩავეტიეთ?!

ორ წელიწადზე მეტია, რაც ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში ინვიტრო ანუ ხელოვნურად განაყოფიერების მეთოდი დამკვიდრდა და დღეისთვის უკვე 28 ბავშვია დაბადებული. მათგან 8 - წელს გაჩნდა, ბავშვს კიდევ 9 ფეხმძიმე ელოდება. რამდენიმე თვეში ერთ-ერთი მათგანი სამ ტყუპის - ორი გოგონასა და ერთი ვაჟის - დედა გახდება. ინვიტრო განაყოფიერების საშუალებით სამი ტყუპი შარშანაც დაიბადა. ალექსანდრე, გიორგი და ივანე მეგრელიშვილები უკვე ექვსი თვის პატარები არიან. ამ მეთოდით მსოფლიოში უკვე მილიონამდე ბავშვია დაბადებული (ხელოვნურად ჩასახვის მეთოდი საქართველოში მხოლოდ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში გამოიყენება).

როგორც ინსტიტუტის სპეციალისტები ამბობენ, სინჯარაში განაყოფიერებული კვერცხუჯრედის დედის საშვილოსნოში გადატანის შემდეგ ხელოვნური და ბუნებრივი გზით განაყოფიერებულ ემბრიონებს შორის განსხვავება მთავრდება. "სინჯარის ბავშვები" ზუსტად ისევე იბადებიან და იზრდებიან, როგორც ბუნებრივად ჩასახული პატარები. ორსულობის პერიოდი ერთნაირად მიმდინარეობს, თუმცა გარკვეული სხვაობა მაინც არის. ბავშვის ხელოვნურად ჩასახვისას ტყუპები გაცილებით ხშირად იბადებიან, ვიდრე ბუნებრივი ორსულობის დროს. ინსტიტუტის ინვიტროგანაყოფიერების განყოფილების ექიმის ნატა ხონელიძის თქმით, ხელოვნური განაყოფიერების დროს, შედეგის წარმატებულად დამთავრებისთვის ექიმები იმდენს ცდილობენ, რომ ხშირად ერთის ნაცვლად რამდენიმე ემბრიონი წარმოიქმნება. მრავალნაყოფიანობის შემთხვევაში კი როგორც ორსულობის, ასევე მშობიარობის დროს მეტი გართულებაა მოსალოდნელი.

ხონელიძის თქმით, ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი უშვილობის ყველა პათოლოგიის დროს გამოიყენება. იმ შემთხვევაში კი, თუ დონორი პირის ჩარევა გახდა საჭირო, მის დახმარებაზე თანხმობისთვის მეუღლეებმა ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან ხელშეკრულება უნდა გააფორმონ (მსგავსი ხელშეკრულება ინსტიტუტმა უკვე ექვსამდე წყვილთან გააფორმა).

როგორც ინსტიტუტში გვითხრეს, ხელოვნური განაყოფიერების დროს პირველ ცდაზე 100 ქალიდან 30-35 პროცენტი ფეხმძიმდება. ზოგჯერ კი შედეგის მისაღწევად 3-4 ცდაც არ კმარა. ეს კი საკმაოდ სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული, ბევრისთვის საერთოდაც მიუწვდომელია. ხელოვნურად განაყოფიერების ერთი ცდა ინსტიტუტის პაციენტებს 800-დან 1700 დოლარამდე უჯდებათ. თანხის რაოდენობა ინვიტროგანაყოფიერებისთვის საჭირო მედიკამენტების ეფექტურობის მიხედვითაა განსაზღვრული. შედეგის წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში პაციენტი თანხას მაინც იხდის. მიუხედავად ამისა, ინსტიტუტის ექიმები ირწმუნებიან, რომ ინვიტროგანაყოფიერების მეთოდი ასე იაფი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის.

# ლიზის გაუტკივარება მოწონებია

**"მთელი ორსულობის განმავლობაში ვამბობდი – თუ სამშობიარო ტკივილს ვერ გავუძელი, გაუტკივრების პრეპარატებს გამოვიყენებ. ექიმების პროფესიონალიზმში ეჭვი არ შემპარვია, ამიტომაც არც ამ მეთოდის გამოყენებას გამოვრიცხავდი. როცა ტკივილი ჩემს თავზე გამოვცადე, ბევრი აღარ მიფიქრია და გაუტკივრება მოვითხოვე. არანორმალური ტკივილი აღარ მიგრძვნია და დედობის ნამდვილი სიხარული განვიცადე. რა თქმა უნდა, შვილი იმიტომ არ გიყვარს, რომ ტკივილებით იბადება. ჩემი შვილი ჯანმრთელია, მეც თავს კარგად ვგრძნობ და ახლა ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, რომ ყველა შვილი გაუტკივრების მეთოდის გამოყენებით მეყოლება,"** – გვითხრა მომღერალმა ლიზა ბაგრატიონმა, რომელმაც თვენახევრის წინათ გაუტკივარების მეთოდის გამოყენებით ბიჭი შვა.

ნორმალური მშობიარობა ძალზე მტკივნეული პროცესია, თუმცა ნებისმიერი ქალი, რომელსაც ეს ტკივილი განუცდია, დაგვეთანხმება – უკეთესია, იგი არ არსებობდეს. ქართველი სპეციალისტების განცხადებით, დღეს ქალთა 30 პროცენტი არჩევანს უმტკივნეულო მშობიარობაზე აკეთებს. თანამედროვე მეან-გინეკოლოგია კი ამ მტკივნეულ პროცესს ლამისაა პათოლოგიად მიიჩნევს. სად არის ის "ოქროს შუალედი", როცა შესაძლებელია უმტკივნეულო მშობიარობის ყველა პლუს-მინუსი გათვალისწინებული იყოს, ქალმა ნაკლები ტკივილი იგრძნოს და ამით არც მისი ჯანმრთელობა დაშავდეს. მსგავსი რამ ჯერჯერობით არ არსებობს.

ცხადია, ექიმი მშობიარეს სურვილზეა ორიენტირებული. თუ ქალი ვერ იტანს ან ფიქრობს, რომ ვერ აიტანს ტკივილს, ის მაინც უნდა იცოდეს – ნებისმიერი პრეპარატი, რომელიც გაუტკივრებისათვის იხმარება, პლაცენტარულ ბარიერს გადალახავს და ასე თუ ისე ნაყოფის მდგომარეობაზე მოქმედებს. თუმცა, მშობიარობის სწორი პრინციპებიდან გამომდინარე, მათი ზემოქმედება ნაყოფზე მინიმუმამდე დადის.

თანამედროვე გინეკოლოგიაში მშობიარობის გაუტკივრებისათვის ხშირად იხმარება ისეთი სპაზმის მოსახსნელი პრეპარატები, როგორიცაა ნო-შპა, ბარალგინი და სხვა. ისინი აჩქარებენ მშობიარობას, აადვილებენ საშვილოსნოს ყელის გახსნას. ნარკოტიკული ანალგეტიკებიდან კი ყველაზე ფართო მოხმარებაში პრომედოლი და პედატინია, რომელთა კომბინირება სხვა პრეპარატებთანაც შეიძლება. **"მათი გამოყენებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული უარყოფითი მხარეებიც. ანალგეტიკები ბავშვის სუნთქვის ცენტრის დათრგუნვას იწვევენ. ამიტომ ნაყოფს დაბადებისას შესაძლოა მედიკამენტოზური დეპრესია ჰქონდეს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ბავშმა ვერ იტიროს",** - გვითხრა სამშობიარო სახლის "ჰერას" სამეანო განყოფილების გამგემ სოსო ღოღობერიძემ. იმისათვის, რომ ქალი და ახალშობილი გართულებებისაგან დაზღვეულები იყვნენ, ანალგეტიკები მშობიარობამდე ორი საათით ადრე უნდა გაკეთდეს.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში გავრცელდა მშობიარობის გაუტკივარება ეპიდულარული ანასთეზიით. ქალს მალათშორის სივრცეში უმაგრდება ძალზე მცირე დიამეტრის კათეტერი, რომელშიც ადგილობრივი ანესთეზია (ან ნარკოტიკული ანალგეტიკები) შეჰყავთ. ესეც ქალისთვის ძალზე სარისკო პროცედურაა, რადგან დაზიანდება თუ არა ადამიანის ზურგის ტვინი, მხოლოდ ექიმის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

გაუტკივრების ერთ-ერთი უარყოფითი მომენტი ისიც არის, რომ ამ შემთხვევაში ქალი ძალზე კომფორტულად გრძნობს თავს და მას უხანგრძლივდება მშობიარობის მეორე პერიოდი. მშობიარეს ჭინთვების შეგრძნება არ აქვს. მეანს უჭირს გამოიანგარიშოს, რა პერიოდულობით აქვს შეტევები. **"ამ შემთხვევაში აუცილებელია ქალი იმყოფებოდეს კარდიომონიტორული დაკვირვების ქვეშ. კარდიოტომოგრაფი უნდა აფიქსირებდეს ნაყოფის გულისცემას და დედის საშვილოსნოს ტონუსს. ექიმმა კი ჭინთვების პროცესი გაუტკივარების შემცირებით უნდა დაარეგულიროს",** - ამბობს სოსო ღოღობერიძე. გარდა ამისა, გაუტკივრების პრეპარატები არტერიულ წნევას აქვეითებენ. ეს კი საშიშია, რადგან არსებობს გარკვეული ზღურბლი წნევისა, რომლის დაქვეითებისას ნაყოფთან პლაცენტით ჟანგბადის გადასვლა ფერხდება.

# კლინიკა მათთვის, ვისაც პოლისი არ ერგო

წარმოშობით გერმანელი 43 წლის სვეტლანა ვილჰელმი 26 წელიწადია, თბილისში, ლესელიძეზე, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. მეუღლე ექვსი წლის წინათ გარდაეცვალა. სვეტლანა ოთხი შვილის დედა და მეორე ჯგუფის ინვალიდია. უკანასკნელი ცამეტი წელიწადია, მაღალი შაქარი აქვს. პრეპარატი, რომელიც მას მუდმივად ესაჭიროება, 15 ლარი ღირს. თუმცა, უკვე მეხუთე თვეა, რაც სვეტამ წამლის მიღება შეწყვიტა. **"ჩვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი ჩემი 14-ლარიანი პენსიაა. 15 ლარს ერთ ფლაკონ წამალში, ძალიანაც რომ მინდოდეს, ვერ გადავიხდი. წამალს ვინ ჩივის, ხშირად პურსაც ვერ ვყიდულობ. მერვე წელიწადია, მე და ჩემი ოთხი შვილი საპატრიარქოს უფასო სასადილოთი ვსარგებლობთ და ამით ვცოცხლობთ. აქ ხშირად სუპით გვიმასპინძლდებიან, ზოგჯერ - ლობიოთი, განსაკუთრებულ დღეებში ბორშიც გვაქვს."**



უპოვართა სავანეში.



ბოლო დროს სვეტლანას ჯანმრთელობა გაუუარესდა - შაქრის მომატებასთან ერთად გულის არეში ტკივილებიც დაეწყო. ექიმებმა გულის უკმარისობა დაუდგინეს, საავადმყოფოში დაწოლა და მკურნალობა ურჩიეს. **"საავადმყოფოში წოლისა და მკურნალობის ხარჯებს ჩემი ორი წლის პენსიაც არ ეყოფა",** - თქვა სვეტლანა ვილჰელმმა.

საპატრიარქოს თერაპიული კლინიკის არსებობის შესახებ სვეტამ მეგობრობისგან შეიტყო. მას უთხრეს, რომ კლინიკა უფასოდ ემსახურებოდა ყველაზე გაჭირვებულ მოქალაქეს. საავადმყოფოში მისვლისა და გამოკვლევის შემდეგ, სვეტას ექიმებმა დარჩენა და უფასო მკურნალობა შესთავაზეს. **"უკვე მერვე დღეა, აქა ვარ. ვიტამინებს, გადასხმებს და ყველაფერს, რაც კი საჭიროა, ექიმები უსასყიდლოდ მაძლევენ და მიკეთებენ**."

ექვსი შვილის მამა, 62 წლის ლევან ჯეგაძე ამ კლინიკაში გუშინ დილით შემოიყვანეს. ექიმებმა ფილტვების ქრონიკული ანთება დაუდგინეს. ის უსინათლო, მეორე ჯგუფის ინვალიდია და, 14-ლარიანი პენსიის გარდა, სხვა შემოსავალი არ გააჩნია. **"მესამე კლასში ვიყავი, როცა სამუდამოდ დავბრმავდი. ჩემი მეუღლეც უსინათლოა. 35 წელიწადს უსინათლოთა კავშირში ვმუშაობდი. დღეს მეც და ჩემი მეუღლეც თოთხმეტი ლარის ამარა ვართ. წამლისა და მკურნალობის ფული არა მაქვს და, ეს კლინიკა რომ არა, ნამდვილად მოვკვდებოდი."**

საპატრიარქოს თერაპიული კლინიკა უპოვართათვის წელიწადნახევრის წინათ ამოქმედდა. ავადმყოფები, რომელთაც ეს კლინიკა ემსახურება, ძირითადად ინვალიდები, მარტოხელები, მრავალშვილიანები და საპატრიარქოს თანამშრომლები არიან. კლინიკა თერაპიული პროფილის ყველა ავადმყოფს იღებს. საავადმყოფო თვეში, საშუალოდ, 10-12 პაციენტს ემსახურება. სტაციონარული მკურნალობის გარდა, კლინიკა ამბულატორიულ მომსახურებასაც სთავაზობს პაციენტებს. მთავარი ექიმის, რეზო თაბუკაშვილის განცხადებით, წლეულს კლინიკამ 50-მდე ავადმყოფი დააკმაყოფილა. **"მართალია, ეს ციფრი არცთუ ისე შთამბეჭდავია, მაგრამ, იმედი გვაქვს, და ამის პერსპექტივაც არის, რომ მომავალში უფრო მეტს მოვემსახურებით. ჩვენთან ის კატეგორია მოდის, რომელთაც, გაუგებარი მიზეზების გამო, სახელმწიფო პოლისები არ შეხვდათ. პოლისს სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია იძლევა, რაც უფასო სამედიცინო გამოკვლევას და მკურნალობას ითვალისწინებს."**

საავადმყოფოს პაციენტთა უმრავლესობა ხანდაზმულები არიან. მათი ასაკი 60-დან 75 წლამდე მერყეობს. ავადმყოფები კლინიკას ხშირად გულსისხლძარღვთა დაავადებების გამო აკითხავენ.

კლინიკასთან ფუნქციონირებს აფთიაქი, რომელიც ავადმყოფებს უფასოდ ურიგებს მათთვის საჭირო მედიკამენტებს.

# რა კავშირია კონტრაცეპტივს, კიბოსა და თრომბს შორის

*ბრიტანეთში სკანდალური სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. მოსამართლეები იმ ქალების კოლექტიურ განცხადებას იხილავენ, რომლებიც თავს ჩასახვის საწინააღმდეგო აბებისგან დაზარალებულებად მიიჩნევენ. მოსალოდნელი განხილვის შესახებ ოფიციალური განცხადება 122 ქალის ოჯახების ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ორშაბათს გააკეთეს. მოპასუხე მხარის როლში ერთბაშად სამი ფარმაცევტული კომპანიაა -* Schering Healthcare, Organon Laboratories *და* Wyeth. *"დამნაშავე" პრეპარატების სიაში აღმოჩნდა: "ფემოდენი", "მარველონი", "მერსილონი", "მინულეტი", "ტრიადენი", "ტრიმინულეტი". ყველა ამ, ეგრეთ წოდებულ მესამე თაობის კონტრაცეპტივს სწორედ ეს კომპანიები აწარმოებენ, მწარმოებლები აპირებენ სერიოზულად დაიცვან თავიანთი უფლებები, აცხადებენ რა, რომ მითითებული პრეპარატები ძველი თაობის პრეპარატებზე მეტ რისკს არ შეიცავს.*

ზუსტად ამ თეზისს ემყარება მომჩივანთა დაცვა. სამედიცინო პროდუქტების შეფასების ევროპის სააგენტოსა და ბრიტანეთის ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტთა დასკვნების მიხედვით, მესამე თაობის ორალური კონტრაცეპტივები შედარებით ზრდის ვენური თრომბოემბოლიების რისკს. ყველა ქალი, რომელმაც ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოში ფარმაცევტულ კომპანიებზე სარჩელი შეიტანა, სწორედ სისხლძარღვების თრომბით დაზარალდა. მათ ფილტვის არტერიის, ტვინისა და ღრმა ვენების თრომბოზი, ინსულტი დაუფიქსირდათ. ამ შემთხვევათა დაახლოებით 10 პროცენტი პაციენტის გარდაცვალებით დასრულდა. მათი ადვოკატების აზრით, მომხმარებელთა დაცვის აქტის თანახმად, ასე საშიშ პრეპარატებს აუცილებლად უნდა ახლდეს გაფრთხილება. ეს, მიუხედავად იმისა, რომ საერთო ხასიათის გაფრთხილებას ნებისმიერი კონტრაცეპტივი შეიცავს.

კონტრაცეპტივებთან დაკავშირებით კიდევ ერთი სკანდალი გორდება. ნორვეგიის ტრომსოს უნივერსიტეტის, შვედეთისა და საფრანგეთის მეცნიერთა დასკვნებით, ჩასახვის საწინააღმდეგო ორალური ჰორმონალური საშუალებების გამოყენებისას, იზრდება მკერდის კიბოს განვითარების რისკი. მკვლევარები თითქმის ათი წელი, 1991-დან 1999 წლის ჩათვლით, აკვირდებოდნენ 30-დან 49 წლამდე ასაკის 103 ათასი ქალის მონაცემებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას. ამ ხნის განმავლობაში მკერდის კიბო დაუდგინდა 1008 ქალს. რისკი 26 პროცენტით იზრდებოდა, თუკი ქალი ოდესმე იყენებდა ორალურ კონტრაცეპტივს. მათი ხანგრძლივი გამოყენების შემთხვევაში, დაავადების რისკი 58 პროცენტს აღწევდა. მათთვის კი, ვინც კონტრაცეპტივებს 45 წლის განმავლობაში იყენებდა, რისკის პროცენტი 144-ს უტოლდებოდა. მეცნიერები ხაზს უსვამენ, რომ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა თანამედროვე კონტრაცეპტივებს ხმარობდა.

საქართველოში ორალური, მათ შორის ჰორმონალური კონტრაცეპტივები 1985 წლიდან შემოვიდა. ჩვენში აქტიურად იყენებენ "მარველონსა" და "მერსილონს". ჟორდანიას სახელობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიაჩნიათ, რომ ეს რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი, ყველაზე ცივილური და უსაფრთხო საშუალებაა. არჩილ ხომასურიძე, ინსტიტუტის დირექტორი: **"ნორვეგიელი, შვედი და ფრანგი მეცნიერების კვლევები ჩემთვის ცნობილია, მაგრამ მათ მოსდევდა პროფესიონალების გაღრმავებული კომენტარიც, რომელიც ამტკიცებს, რომ კონტრაცეპციის დადებითი შედეგები გაცილებით მეტია, ვიდრე უარყოფითი. კონტრაცეფცია, უწინარეს ყოვლისა, აბორტის ალტერნატიული საშუალებაა. აბორტზე მეტად კი ქალის ჯანმრთელობას არაფერი ვნებს. აბორტი პირდაპირ კავშირშია მკერდის, საშვილოსნოს კიბოსთან, სხვა გართულებებთან."**

არჩილ ხომასურიძის დაკვირვებით, ჰორმონალური კონტრაცეპტივები არათუ იწვევს მკერდის სიმსივნეს, პირიქით, მის პროფილაქტიკას ახდენს. **"ჩვენი ინსტიტუტის იმ პაციენტებში, რომლებიც ჰორმონალურ კონტრაცეპტივებს ხმარობდნენ, მკერდის პრობლემები გაცილებით ნაკლებია იმ ქალებთან შედარებით, ვინც ჩასახვის საწინააღმდეგო ამ საშუალებებს არ იყენებდა",** - ამბობს იგი. რაც შეეხება კავშირს კონტრაცეპტივებს, კიბოსა და ჯანმრთელობის სხვა გართულებებს შორის, ქართველი მეცნიერის აზრით, გართულება შეიძლება არასწორად, ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუთვალისწინებლად დანიშნულმა პრეპარატმა გამოიწვიოს. **"უკუჩვენება ყველა წამალს აქვს, მათ შორის კონტრაცეპტივსაც. ამიტომ, მათი მიღება კვალიფიციური ექიმის დანიშნულებით უნდა მოხდეს. ამის გარეშე ნებისმიერი დანიშნულების აბი შეიძლება პრობლემატური აღმოჩნდეს"**, - აცხადებს ხომასურიძე.

ჟორდანიას სახელობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სპეციალური ეპიდომიოლოგიური კვლევა კონტრაცეპტივების მომხმარებელ ქალებში არ ჩაუტარებიათ. ამას სერიოზული ფინანსები და კარგად დამუშავებული მეთოდოლოგია სჭირდება. საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით, იქ ერთს აცხადებენ - 1885 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ქალებში მკერდის კიბოს შემთხვევათა მატება არ დაფიქსირებულა. ფაქტობრივად იგივე მონაცემებს იძლევა 1999 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საერთაშორისო დონორების დახმარებით ჩატარებული მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევაც. ამ დოკუმენტის მიხედვით, მკერდის სიმსივნეები ქვეყანაში რამდენადმე შემცირდა. 1989 წლის მაჩვენებელი 37,4-ს შეადგენდა, 1999 წლისა კი - 35,6-ს. რამდენად შეიძლება ეს კონტრაცეპტივების გამოყენებას დაუკავშირდეს, ჯერ ძნელი სათქმელია.

# სამედიცინო დაზღვევის წარმოშობა

***მსოფლიოში სადაზღვევო საქმიანობის ჩანასახის წარმოქმნა მე-17-მე-18 საუკუნეებში კაპიტალიზმის აღმოცენებას უკავშირდება. მრეწველობის, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის განვითარებამ თავისთავად წარმოშვა კერძო საკუთრების დაცვისა და შენარჩუნების პრობლემა, რაც სხვადასხვანაირად კეთდებოდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო დაზღვევის ფორმა, რისთვისაც შეიქმნა კიდეც პირველი სადაზღვევო ამხანაგობები. შემდგომში ისინი ბირჟებთან და ბანკებთან ერთად ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის განუყოფელ ნაწილად გადაიქცნენ.***

სოციალურ სფეროში თავდაპირველად სიცოცხლისა და უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა ხდებოდა, რასაც პატარ-პატარა კერძო კომპანიები აკეთებდნენ. კლიენტურა თანდათან იზრდებოდა და ძირითადად ყველას ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის დაზღვევა სურდა, რამაც თავისთავად წარმოაჩინა დაზღვევის პრიორიტეტული მიმართულებები.

ავადმყოფობისა და ინვალიდობის შემთხვევაში საკუთარი ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის სურვილმა მშრომელები გააერთიანა და შეიქმნა ურთიერთდახმარების სათვისტომოები, "საძმოები" და სხვადასხვა ასოციაციები , რომლებიც სადაზღვევო ოპერაციებს დამოუკიდებლად აწარმოებდნენ.

ევროპის ქვეყნებში მუშათა სოციალური დაცვის ამგვარი მექანიზმი მე-18-მე-19 საუკუნეებში მოქმედებდა. გერმანიაში კი ასეთი სისტემა პროფესიული სადაზღვევო ფონდების სახით დღესაც შენარჩუნებულია.

საფრანგეთში 5000-ზე მეტი ურთიერთდახმარების სათვისტომო მოქმედებდა. ხალხი უმუშევრობას, ავადმყოფობას და პენსიაზე გასვლას აზღვევდა. ზოგიერთ სათვისტომოს ჯანმრთელობის ცენტრები გააჩნდა და დაქირავებული ექიმებიც ჰყავდა, მაგრამ ძირითადად კერძო ექიმების ვიზიტის ანაზღაურება ხდებოდა. ასე შეიქმნა სადაზღვევო ამხანაგობები ბრიტანეთში, ავსტრიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში, რუსეთში, სკანდინავიისა და სხვა ქვეყნებში, თუმცა ასეთი გაერთიანებები მუდმივ ფინანსურ დეფიციტს განიცდიდნენ და დაზღვეულთა რაოდენობაც შეზღუდული იყო.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ბევრ ევროპულ ქვეყანაში მიიღეს კანონი დაზღვევის შესახებ, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სადაზღვევო შენატანები მანუფაქტურებისა და ფაბრიკების მფლობელებსაც უნდა გადაეხადათ. მისი სიდიდე სხვადასხვა ქვეყანაში 25-დან 40 პროცენტამდე განისაზღვრა.

მოგვიანებით სადაზღვევო ფონდების შევსებაში სახელმწიფოც ჩაერთო, რომელმაც ძალაუნებურად სადაზღვევო სისტემის კონტროლიც დაიწყო. რაც უფრო მეტი იყო დოტაცია, მით უფრო ძლიერი იყო კონტროლი.

ბრიტანეთში, შვეციაში, დანიაში, ირლანდიაში და რამდენიმე სხვა ქვეყანაში ჯანმრთელობის დაზღვევის რეგულირების სურვილმა შექმნა სახელმწიფო (საბიუჯეტო) ჯანდაცვის ფორმირების წინაპირობა, რასაც "ბევერიჯის" მოდელს უწოდებენ.

გერმანიაში, ავსტრიაში, ნიდერლანდებში, შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებში "ბისმარკის" მოდელი გავრცელდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სადაზღვევო ფონდებში მნიშვნელოვან წილს მრეწველები იხდიდნენ.

***დიდი ბრიტანეთის*** ნაციონალური დაზღვევის რეფორმა მსოფლიოში საუკეთესოდ არის აღიარებული. "ნაციონალური დაზღვევის აქტი" ბრიტანეთში 1911 წლის 15 იანვარს მიიღეს. დადგინდა, რომ ყველაზე დაბალი ანაზღაურების მქონე მოქალაქენი ყოველგვარი სადაზღვევო გადასახადების გარეშე დაეზღვიათ. ამ კატეგორიაში შედიოდნენ ის ადამიანები, რომელთა დღიური შემოსავალი 1,5 შილინგს არ აღემატებოდა.

მათ სასარგებლოდ ფულს იხდიდნენ მაღალანაზღაურებადი მუშები, მრეწველები და სახელმწიფო. დანარჩენებისთვის ურთიერთდახმარების პრინციპი მოქმედებდა, რასაც, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო დაფინანსებაც ემატებოდა. ამრიგად 1911 წლის აქტით ბრიტანეთში საზოგადოებრივი სოლიდარობის პრინციპი დაკანონდა – მდიდარი ეხმარება ღარიბს, ჯანმრთელი – ავადმყოფს.

სადაზღვევო შენატანები ბრიტანეთშიც და კონტინენტური ევროპის ქვეყნებშიც საფოსტო უწყებებში იკრიბებოდა. გადამხდელების მიერ სპეციალური მარკების შეძენის შედეგად მოგებული თანხა სადაზღვევო კომისრების ხელიდან სადაზღვევო კომისიებს გადაეცემოდა.სწორედ ეს კომისიები ანაწილებდნენ მიღებულ თანხებს (ფაქტობრივად გადასახადებს) ურთიერთდახმარების ყველა არსებულ საზოგადოებას შორის. თანხის ნაწილი ცენტრალური სადაზღვევო ორგანოების შენახვასა და სარეზერვო ფონდის შევსებას ხმარდებოდა.

1913 წელს ბრიტანეთში ეროვნული სადაზღვევო რეფორმა ჩატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავადმყოფობისა და ინვალიდობის დაზღვევა დაიწყო. თანდათანობით ინვალიდობისა და ავადმყოფობის დაზღვევის ბრიტანული სისტემა დაზღვევის იდეალურ ფორმას – "დაზღვევა შესატანების გარეშე" – უახლოვდებოდა, რაც 1948 წელს გატარებული რეფორმითა და ეროვნული საბიუჯეტო ჯანდაცვის სამსახურის შექმნით დასრულდა.

***საფრანგეთში*** ჯანმრთელობის დაზღვევის ორგანიზაციის და მოხუცებისა და ინვალიდებისთვის პენსიების დანიშვნის საკითხი ჯერ კიდევ კონტვენტმა წამოჭრა, რომელმაც შექმნა რეესტრი – "ეროვნული ქველმოქმედების წიგნი". შემდეგ "მეორე წლის 22 ფლორეალის" კანონმა განსაზღვრა კიდეც მათი კატეგორია, ვინც ამ რეესტრში ჩაეწერებოდა, მაგრამ ფინანსური მოსაზრებების გამო, კანონის შესრულებაზე თავად კონვენტმა თქვა უარი. საფრანგეთი ამ საკითხს მხოლოდ 100 წლის შემდეგ დაუბრუნდა.

1913 წლის ივლისში საფრანგეთმა მიიღო კანონი, რომელიც მუშებს პროფესიული დაავადებებისა და უბედური შემთხვევებისგან აზღვევდა. ამ კანონის თანახმად მეწარმე ვალდებული იყო, დათხოვილი მუშისთვის გათავისუფლების დღიდან მთელი კალენდარული წლის განმავლობაში ფულადი დახმარება გაეწია.

ამ საკითხით დაკავებულ კომისიაში შედიოდნენ დეპუტატები, სადაზღვევო სამსახურების წარმომადგენლები, მუშები და მეწარმეები.

***შვეციის*** პარლამენტში მუშათა სოციალური დაზღვევის კანონი პირველად 1883 წელს შეიტანეს, მაგრამ რიქსდაგს კანონი არ მიუღია. 1907 წელს შვეციის მთავრობამ პროფესორ ლინდსტედის ხელმძღვანელობით შექმნა კომისია, რომლის მიერ შემუშავებული კანონი "ინვალიდობის, ავადმყოფობის, სიბერის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" შვეციის რიქსდაგმა 1913 წლის 21 მაისს მიიღო. კანონის თანახმად თექვსმეტიდან სამოცდაექვს წლამდე ასაკის ყველა მოქალაქე ვალდებული იყო, დაზღვეულიყო, რათა სიბერის ჟამს (67 წლის ზემოთ), ინვალიდობის შემთხვევაში და ავადმყოფობის დროს მატერიალურად უზრუნველყოფილი ყოფილიყო. სადაზღვევო შენატანს იხდიდნენ თავად დაზღვეულები, სადაზღვევო საზოგადოებები და სახელმწიფო.

დაახლოებით ამავე პერიოდში დაიწყო სოციალური დაზღვევის კანონპროექტზე მუშაობა ავსტრიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, პორტუგალიასა და სხვა ქვეყნებში.

***გერმანიას*** სამართლიანად მიიჩნევენ საავადმყოფო სალაროების სამშობლოდ. აქ სადაზღვევო კანონი 1883 წელს მიიღეს და მაშინვე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საავადმყოფო სალაროების ფორმირება დაიწყეს. მალე ცხადი გახდა მსხვილი სალაროების უპირატესობა და 1885 წელს წვრილი სალაროების პირველი გაერთიანებებიც შეიქმნა. მალე ისინი ადგილობრივ (საქალაქო) დაწესებულებებად გადაიქცნენ. მათ შორის ყველაზე მსხვილი იყო ლეიფციგის, დრეზდენის, მიუნხენის და შტუტგარტის სალაროები. მაგალითისთვის, ლეიფციგში მოქმედებდა 18 ადგილობრივი და ერთი სათემო სალარო. მათი გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა გერმანიის ყველაზე მძლავრი საავადმყოფო სალარო არამარტო ლეიფციგის, არამედ მისი შემოგარენისთვისაც. სალაროსთან ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 429 ექიმს, 13 პოლიკლინიკას, 143 ვიწრო სპეციალობის ექიმს, 28 სტომატოლოგს, 59 აფთიაქს, 29 ოპტიკურ მაღაზიასა და სხვა დაწესებულებებს.

სალარო აფინანსებდა ცანდერის ინსტიტუტსაც, სადაც არსებობდა რენტგენის კაბინეტი და ტარდებოდა ელექტროთერაპია და შუქით მკურნალობა. დასვენებისა და ავადმყოფთა რეაბილიტაციისათვის სალაროს საკუთარი სანატორიუმებიც გააჩნდა.

**საავადმყოფო სალაროების ვალდებულება კანონის მიხედვით იყო შემდეგი:**

- *უფასო მკურნალობით უზრუნველყოფა;*
- *ავადმყოფობის დროს ფულადი დახმარების გადახდა;*
- *ფეხმძიმე და მშობიარე ქალებისათვის მატერიალური დახმარება;*
- *დახმარება დასამარხი ხარჯების ასანაზღაურებლად.*

დაზღვეულთა ოჯახის წევრებს ერგებოდათ უფასო მკურნალობა და მშობიარობა, ასევე ფეხმძიმობის დაზღვევა, მაგრამ სალაროთა უმრავლესობა მხოლოდ ამით არ იფარგლებოდა. ისინი თავიანთ მოღვაწეობას აფართოებდნენ და პროფილაქტიკურ ღონისძიებებსაც ატარებდნენ (სანატორიუმები, პანსიონატები დასასვენებელი სახლები), შრომის უნარმოკლებულთათვის სპეციალურ ფონდებს გამოყოფდნენ და ამით სიღარიბისა და ინვალიდობის დაუზღვევლობის კომპენსაციას ახდენდნენ.

სალაროების ბიუჯეტის 2/3 მუშების შენატანებით ივსებოდა, 1/3 – მეწარმეთა შენატანებით.

ამგვარად ისტორიულად ჩამოყალიბდა ისეთი სადაზღვევო სისტემა, რომელიც დაზღვეულებს სრული არჩევანის საშუალებას აძლევდა. სურვილისამებრ შეიძლებოდა მიმართვა კერძო პრაქტიკოსთანაც, სადაზღვევო კომპანიის მიერ დაქირავებულ ექიმთანაც და სადაზღვევოში აღრიცხვაზე მყოფ ვიწრო სპეციალისტთანაც.

P.S. **საქართველოს** პარლამენტმა 1997 წლის 2 მაისს მიიღო კანონი "დაზღვევის შესახებ" და ქვეყანაში გაჩნდა სადაზღვევო ამოცანა – ხალხი+დაზღვევა=X. ჩვენი მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობისათვის იქსის მნიშვნელობა დღემდე უცნობია. დღეს საქართველოში 22 კერძო სადაზღვევო კომპანიაა, მაგრამ მათი სადაზღვევო პაკეტები იმდენად მცირე მოცულობისაა, რომ დაზღვევასა და დაუზღვევლობას ჯერჯერობით თითქმის ერთი ფასი აქვს. თანაც, მამა-პაპური დაზღვევისაგან განსხვავებით, როცა ხალხი ჭირში ერთმანეთს ნაღდად და უშუალოდ ეხმარება, სადაზღვევო კომპანიები საკმაოდ რთული წინადადებებით ლაპარაკობენ და ვისაც შესაბამისი განათლება არა აქვს, შეიძლება ვერც გაიგოს, რას სთავაზობენ. ამასთან ერთად კიდევ რამდენიმე ფაქტორი მუშაობს, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს იმას, რომ საქართველოში კერძო დაზღვევა ვერ ვითარდება:

საქართველოში საბაზრო ფასები განვითარებულ ქვეყნებისაგან განსხვავებით იმდენად იაფია, რომ, ჯიბეგაფხეკილობის მიუხედავად, მოსახლეობა მაინც პოულობს საკუთარი ხარჯების დაფარვის საშუალებას (მაგალითისთვის აშშ-ში ჯანდაცვა იმდენად ძვირია, რომ საკუთარი მკურნალობის საფასურს შეძლებული მოქალაქეც კი ვერ იხდის). ამიტომ საქართველოს მოქალაქე, ჯერჯერობით, იძულებული არ არის, რომ სადაზღვევო კომპანიას მიმართოს.

- მოსახლეობა არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სახის დაზღვევა არსებობს ქვეყანაში.

- მოსახლეობას არა აქვს შემოსავალი.

განსხვავებული ვითარებაა სახელმწიფო დაზღვევის მხრივ, რომელიც მოსახლეობის სავალდებულო დაზღვევას გულისხმობს. ამის შედეგად სახელმწიფო აკონტროლებს საზოგადოებრივ ჯანმრთელობას და ზღუდავს სოციალურად საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელებას. ოფიციალური ცნობით სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევა საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს, თუმცა მწირი ბიუჯეტის პირობებში ეს სადაზღვევო პაკეტიც მცირე მოცულობისაა.

ამ პრობლემის გარშემო აჭარის წარმომადგენლობაში სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებმაც იმსჯელეს, მაგრამ დაზღვევის განვითარების პერსპექტივებზე ვერაფერი თქვეს. სამაგიეროდ კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ დაზღვევაში დიდი ქაოსია.

**P.P.S. თემის გაგრძელება შემდეგ ნომერში.**



*დიდი ბრიტანეთის ნაციონალური დაზღვევის რეფორმამსოფლიოში საუკეთესოდ არის აღიარებული.*

# ცხენოსნობის ეროვნული სახეობები თამაში არაა...

რაიტერთერაპცია (იგივე რაიტთერაპია, აგრეთვე - იპოთერაპია) სწრაფად იმკვიდრებს თავის ადგილს მედიცინასა და ცხენოსნობაში. სამკურნალო ცხენოსნობა თანამედროვე მედიცინის ახალი დარგია, მაგრამ მისი საწყისები ისევე ძველია, როგორც მხედრული ხელოვნების ისტორია. საქართველო ამ დარგის ერთ-ერთი მესაძირკვლე ქვეყანაა (არის ასეთი გაელვებანი ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაშიც), და ეს ექიმისა და სპორტსმენის ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲬᲕᲔᲠᲐᲕᲐᲡ სახელს უკავშირდება. მისი გატაცება ამ სახეობით წმინდა სპორტული მიზნებით დაიწყო (სპორტსმენი მხედრისა და მისი ოთხფეხა პარტნიორის ფსიქო-ბიოლოგიური კავშირების კვლევა); შემდეგ კი სხვადასხვა გარემოებით ჯანგატეხილი ადამიანების, დაბადებითვე დაყოლილი ანომალიებით შეჭირვებული ბავშვების მკურნალის მოწოდებამ გადაძლია და მისი პროფესიის - სამკურნალო მედიცინის ძირითად მიმართულებად სწორედ ეს დარგი იქცა. რაიტთერაპიაზე ჩვენშიც უკვე საკმაოდ დაწერილა. არაა მარტივი გადმოსაცემი და მეც ამჯერად ახალი ქართული გაზეთისთვის უბრალო საუბრისწინა გაცნობით დავკმაყოფილდები. საბაბი კი აპრილის მიწურულს მოსკოვში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია იყო, სადაც მიწვეული იყვნენ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მანონ ლორია და ბ-ნი დიმიტრი - შოთაძის სახ. სამედიცინო აკადემიის რექტორი, საქართველოს რაიტთერაპიის ფედერაციის პრეზიდენტი, მსოფლიო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი. მასთან ინტერვიუს აქვე გთავაზობთ.

- უცხოეთში მიწვევა არ გაკლიათ, მით უმეტეს რუსეთში...

**- ჰო, რუსეთთან სხვა ურთიერთობა გვაქვს. უკვე 10 წელია, რაც საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ფიზიკური რეაბილიტაციის, რაიტთერაპიისა და სპორტული მედიცინის კათედრა მოსკოვში ატარებს გამსვლელი მეცადინეობების ციკლს თემაზე - "რაიტთერაპია ფიზიკური რეაბილიტაციის სისტემაში". ეს ამ დარგის მოსკოვში დამფუძნებელი ექიმი ქალის ნოემა რობერტის წამოწყებაა...**

- თბილისში ნომად ვიცნობდით.

**- მაშინ ყველა ბიბლიური სახელი როდი ვიცოდით. ნოემა (ებრაულად "მშვენიერი"), ასული სიმონისი, აშქენაზი ებრაელია (დასავლელი, ევროპელი "რუსი"). თბილისში დაიბადა და გაიზარდა. აქ დაამთავრა სკოლა და სამედიცინო ინსტიტუტი; 40-იან წლებში "სპარტაკის" საცხენოსნო სკოლაში ვარჯიშობდა. ერთხანს თბილისის ნაკრები გუნდის წევრიც იყო. ქმარიც თბილისელი ჰყავს, ცნობილი ხუთჭიდელი ანატოლი პევცოვი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. 60-იანი წლებიდან მოსკოვში ცხოვრობენ. მათი ვაჟი ვარსკვლავად აღიარებული მსახიობია, დიმიტრი პევცოვი. იქ ნოემამ შექმნა რაიტთერაპიის ცენტრი, ახლა ფედერაციის თავმჯდომარეცაა და მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენთან, თბილისთან.**

- მახსოვს, 90 წელს იყო ჩამოსული და გამაოცა მისმა სუფთა ქართულმა მეტყველებამ.

**- ასეა. იმდროინდელ საუკეთესო თბილისელ ახალგაზრდებთან მეგობრობდა. არაფერი დავიწყებია; ცხადია, ეს დიდი ნიჭიცაა, კულტურაც და დიდი სიყვარულიც. კონფერენციაზე მონაწილეობდნენ უკრაინის, ბელორუსის, საფრანგეთის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნები; ძალზე ბევრნი იყვნენ რუსეთის დიდი ქალაქების, ავტონომიური ერთეულების წარმომადგენლები. აქ იყვნენ ექიმები, მეთოდისტები, ინსტრუქტორები, ამ საქმით დაინტერესებული სხვადასხვა ორგანიზაციები. ამდენადაც კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო - წმინდა ზოგადმეცნიერული, მეთოდურ საკითხებს ცვლიდა ცალკეული კლინიკური შემთხვევების ანალიზი.**

**ჩვენ სიურპრიზიც გველოდა: შეუგროვებიათ და წიგნად გამოუციათ ჩვენი კათედრის მუშაკთა ნაშრომები, სტატიები, მეთოდური რეკომენდაციები. ეს წიგნი სხვა ლიტერატურასთან ერთად იყიდებოდა, შემოსული თანხა კი ინვალიდთა ფონდში ირიცხებოდა. ამ ქველმოქმედებაში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა, ჩვენი ღატაკი ჯიბის პატრონებმა. საკონფერენციო დარბაზის ფოიეში მოწყობილი იყო გამოფენა-გაყიდვა ინვალიდი ბავშვების ნამუშევრებისა. მე ვიყიდე ერთი 16 წლის ქალიშვილის ნაქარგი სურათი ცხენისა. თავი მოიკლა, ფულს არ მართმევდა, რადგანაც თვითონ ვარჯიშობს ცხენოსნობაში. ნოემამ ძლივს დაიყოლია.**

- ძველ ნაცნობებს თუ შეხვდით?

**- ბევრნი იყვნენ. პოლონეთის რაიტთერაპიის ფედერაციის პრეზიდენტმა მარიან იაროშევსკიმ ადრე გაიარა აქ ჩვენი კათედრის კურსი, რომელიც თვითონ მან ასე შეაჯამა: "აქამდე თურმე ჩვენ წყალს ვნაყავდით, ნამდვილი რაიტთერაპია თქვენთან ყოფილაო". ამას არც მოვიგონებდი, თქვენი გულისტკივილი რომ არ შემოგეჩივლათ. უცხოელებში დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობამ, რომ თბილისის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში რამდენიმე წელია, იკითხება რაიტთერაპიის კურსი (პროფესორი ჯუნა ზალდასტანიშვილი უძღვება); მოითხოვეს კიდეც ამ კურსის პროგრამა. პარიზის ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროფესორმა რენე გარიკმა გვთხოვა, დოსიე გამოგვიგზავნეთ, საპატიო დოქტორად უნდა აგირჩიოთო. მე ვუპასუხე, სორბონის ნაკლებ უნივერსიტეტს არ დავთანხმდები-მეთქი. ამასაც გულის გამოსაკეთებლად გეუბნებით...**

- რაიტთერაპიის ძირითადი იარაღი ცხენია. რამდენადაც ვიცი, იყო ამ სულიერი კომპონენტის შეცვლის ცდები.

**. - ეს ცდები იმთავითვე განწირული რომ იყო, ამას მაშინვე ვეტყოდით (თუკი გვკითხავდნენ); მაგრამ მექანიზაციის, ავტომატიზაციის ბუმი უჭკვიანეს ხალხსაც აცდუნებს. დიახ, იყო ცდები, ცხენი შეეცვალათ ტრენაჟორით, მექანიკური "ცხენით". ჯერ გერმანელებმა დაიწყეს და გააკეთეს კიდეც, მერე იაპონელებმა სრულყვეს. მაგრამ ეს ცდები კრახით დამთავრდა; ვინაიდან რაიტთერაპიაში არა მარტო ცხენის მოძრაობით აღძრულ მექანიკურ რხევებს აქვს სამკურნალო მნიშვნელობა, არამედ ფსიქო-ფიზიოლოგიურ, ფსიქო-ზოოლოგიურ და ბიომექანიკურ თავისებურებებს, მათი ეფექტის მიღწევა კი ცოცხალი ცხენის გარეშე შეუძლებელია.**

**ასე რომ, აქ უკვე ბუნებას ვერ გადავახტებით. მას ვერავითარი ურთულესი და უძვირფასესი მექანიზმი ვერ შეცვლის.**

**ამიტომაც ოხვრით ვიგონებ იმ დროს, როდესაც რაიტთერაპიის გაერთიანება "მუსტანგში" 18 ცხენიც კი გვყავდა. 3 ჭკვიანი და მშვიდი ბედაური კორდაზე სამუშაოდ გამოდიოდა (როდესაც წრის შუაში მდგარი მწვრთნელი გრძელი საბელით წარმართავს მხედრიანი ცხენის მოძრაობას). უკვე ინდივიდუალური ვარჯიშებიც გვქონდა დანიშნული. მოკლედ, შორს არ იყო ის დრო, როცა ჩვენივე ძალებით განვახორციელებდით ჩვენს მიერვე შემუშავებულ კრედოს: ზოგი დაავადების დროს ცხენოსნობისთვის მიგვემართა არა როგორც სამკურნალო ფიზკულტურის ფორმისათვის, არამედ როგორც სპორტისთვის, ამ ცნების პირდაპირი მნიშვნელობით.**



*დიმიტრი წვერავა*

ნოდარ ებრალიძის ფოტო

# ნუ მიატოვებთ შვილებს

## ექიმის შეცდომა

ერთ ქუთაისელ ქალბატონს ტუჩის ნაპრალიანი ბავშვი ჰყავდა, რომელსაც ოპერაცია გაუკეთეს თსსუ-ს პედიატრიული საავადმყოფოს ყბასახის ქირურგიის განყოფილებაში, სახისა და ყბების განვითარების ნაკლის მქონე ბავშვების დისპანზერიზაციის მკურნალობისა და რეაბილიტაციის ცენტრში. ბავშვს დეფექტი გაუსწორეს და გაწერეს. რამდენიმე ხნის შემდეგ იმ ქალბატონს ისევ გაუჩნდა ტუჩის ნაპრალით დაავადებული ბავშვი, ოღონდ ამჯერად ექიმებმა უთხრეს, ეს არაოპერირებადი შემთხვევააო. დედამ შვილი მიატოვა.

გავიდა წელიწადნახევარი და იმ ქალბატონს, როგორც იქნა გაახსენდა, რომ პირველი შვილის ოპერაციის დროს საავადმყოფოში გაცილებით უფრო მძიმე ფორმებით დაავადებული ბავშვები ნახა. გამოიყვანა შვილი ბავშვთა სახლიდან და საავადმყოფოს მიმართა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და სულ ფუჭი გამოდგა წელიწადნახევრის ტანჯვა.

ეს ამბავი ზემოთ აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ გვიამბო: **"არ არსებობს სასისა და ტუჩის ნაპრალის ისეთი ფორმა, რომლის ოპერაციასაც ჩვენ არ ვაკეთებდეთ. ამიტომ იცოდეს ყველამ, რომ ამის გულისთვის შვილს ნუ მიატოვებს. არის შემთხვევები, როცა ორსულს ექოსკოპიური გამოკვლევის შედეგად ეუბნებიან, რომ ნაყოფს ტუჩის ან სასის ნაპრალი აქვს და ეს აბორტის მიზეზი ხდება. ნურც ამას გავაკეთებთ და ბავშვს ტყუილად ნუ დავღუპავთ. ისეთი შემთხვევაც ბევრი იყო, როცა დედამ ჩვილთა სახლში დატოვებული ბავშვი ჩვენი ოპერაციის შემდეგ უკან დაიბრუნა".**

## ჩერნობილის კიდევ ერთი საჩუქარი

როგორც ბატონმა ზურაბმა გვითხრა, საქართველოში ახალშობილთა შორის სასისა და ტუჩის თანდაყოლილი ნაპრალით დაავადებულთა რიცხვმა ჩერნობილის ატომური კატასტროფის შემდეგ მოიმატა. ადრე ეს საკმაოდ იშვიათობა ყოფილა. ამჟამად კი ყოველ 810 ახალშობილზე ერთი ასეთი ბავშვი იბადება.

ზურაბ ვადაჭკორია: **"ისიც მინდა ვთქვა, რომ ხალხი ტუჩის ნაპრალს ეძახის კურდღლის ტუჩს, სასის ნაპრალს - მგლის ხახას. ორივე მიუღებელია, ვინაიდან ადამიანის ცხოველებთან შედარება არ შეიძლება. სხვათა შორის, ესეც გამხდარა შვილების მიტოვების მიზეზი. საერთოდ, რა ხდება არ ვიცი, მაგრამ ქართველი დედები უფრო ტოვებენ შვილებს, ვიდრე ჩვენთან მცხოვრები სხვა ეროვნების ქალები. ამ დაავადებასთან დაკავშირებით საქართველოში ძირითადი პრობლემა სწორედ ესაა - ბავშვზე უარის თქმის პრობლემა; თორემ დანარჩენი ყველაფერი მოგვარებულია, ოპერაციები კეთდება, ფულს სახელმწიფო იხდის".**

## მკურნალობა

სასის ნაპრალით დაავადებული ბავშვები ძუძუს ვერ წოვენ, ვინაიდან ცხვირისა და პირის ღრუ გაერთიანებული აქვთ და პირის ღრუში გამოწოვისთვის საჭირო წნევას ვერ ქმნიან. ასეთ ბავშვებს საჭმელს ზონდებით აძლევენ. ოპერაცია 2 წლის ასაკში კეთდება. ეს გარდაუვალია, ვინაიდან დაავადება იმუნურ სისტემას აქვეითებს. ორგანიზმში გაუფილტრავი ჰაერი შედის. მაღალია ინფექციური დაავადების რისკი და სხვა. ტუჩის ნაპრალის ოპერაცია სამი თვის ასაკში კეთდება. შემდეგ უკვე ბავშვთა რეაბილიტაცია იწყება. ამ პროცესში ერთვებიან ლოგოპედები. არსებობს ლოგოპედიური ბაგა-ბაღი, სკოლა-ინტერნატი, სადაც ხდება ასეთი ბავშვების სოციალური რეაბილიტაცია.

## ბოიარსკის ულვაშები

აღნიშნული დაავადებები, თურმე, ძალიან ბევრ ცნობილ ადამიანს ჰქონია, მათ შორის აბსოლუტური უმრავლესობა მომღერლები გამხდარან. ერთ-ერთ მათგანს, მიხაილ ბოიარსკის კი ულვაშები იმიტომ მოუშვია, რომ პატარა ნაოპერაციები იარა დაემალა.

ზურაბ ვადაჭკორია: **"სპეციალისტებში ცნობილია, რომ ასეთი დაავადების მქონე ადამიანები ძალიან კარგად მღერიან. მეცნიერებამ ეს ფენომენი ვერ ახსნა. ჩვენს უკრაინელ კოლეგას, საქვეყნოდ ცნობილ პროფესორ ვერნადსკის თავისი ნაოპერაციები ბავშვების მთელი გუნდი ჰყავდა ჩამოყალიბებული და ძალიან კარგადაც მღეროდნენ".**

ასეა, ცუდი კარგის გარეშე არ არსებობს!

# მორიგი საფრთხის წინაშე

ოფიციალური მონაცემებით საქართველოში ნარკომანთა 67 პროცენტი C ჰეპატიტით არის დაავადებული. **"ეს იმის წინაპირობაა, რომ ერთი ორი წელიწადში ეს ნარკომანები თუ პრინციპულად არ შეცვლიან თავის ცხოვრების წესს, თუ უარს არ იტყვიან ნარკოტიკების მიღებაზე ან უკიდურეს შემთხვევაში სტერილური შპრიცებით გაკეთებაზე არ გადავლენ, ნარკომანების იმ 67 პროცენტი რომლებსაც დღეს C ჰეპატიტი აქვთ, ერთი-ორი წლის შემდეგ შიდსით იქნებიან დაავადებულნი."** –გვითხრა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ახლახანს დაბრუნებულმა შიდსის ცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ ცერცვაძემ. რომელიც, ამერიკაში ნარკომანიის პრობლემასთან მიძღვნილ "კონფესუს" კონფერენცია ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ერთადერთი წარმომადგენელი გახლდათ.

ნარკომანიის პრობლემის გამოსავალის ამერიკაში მაძიებელი ცერცვაძე ორ ვარიანტს გვთავაზობს:პირველი ყველასატვის კარგად ნაცნობი C ჰაპატიტისა და შიდსის პრევენციაა-ნარკომანიასთან ეფექტური ბრძოლაა. მეორე კი ნარკომანები რომლებიც მაინც აგრძელებენ ნარკოტიკების მიღებას მხოლოდ ერთჯერადი გამოყენების შპრიცები იხმარონ.მართალია, ეს არ იმოქმედებს საკუთრივ ნარკომანიაზე და ეს ცუდია, მაგრამ მნიშვნელოვნად შეამცირებს შიდსის და C ჰაპატიტის დაავადებებს.

შიდსის ცენტრში შიდსით ინფიცირებული 376 ადამიანია დაფიქსირებული. აქედან, 36 ახალი შემთხვევაა წელს დაფიქსირდა. რაც შეეხება C ჰაპატიტით დაავადებულებს არანაირი სტატისტიკა არ არსებობს. თუმცა, ფაქტია რომ მათი რიცხვი ათასებს უტოლდება. ჩნდება კითხვა რატომ არის დიდი სხვაობა შიდსით და C ჰეპატიტით დაავადებულებს შორის? ცერცვაძის თქმით პასუხი მარტივია, C ჰეპატიტის ეპიდემია 15 წლის წინ დაიწყო,შიდსის კი სულ რამდენიმე წლის წინ.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს თითქმის 5 წელია პარლამენტში წარდგენილი აქვს კანონპროექტი "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ." განმრთელობის დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე თვლის, რომ კანონის მიღება მნიშვნელოვნად გაუადვილებს როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებს კანონიერად მოახდინონ ქვეყანაში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვა და აღმოუჩინოს დახმარება ნარკომანიით დაავადებულ პირებს. ამ საკითხს პარლამენტის მხრიდან დღემდე არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ამირან გამყრელიძე იმედოვნებს, რომ კანონპროექტს პარლამენტი ამ კვირაში განიხილავს.

# საზაფხულო რეკომენდაციები

## მოერიდეთ ალკოჰოლს

უკანასკნელ წლებში გლობალურმა დათბობამ გამოიწვია არასტაბილური კლიმატური პირობები - გვალვები და თავსხმა წვიმები, ინტენსიური შტორმები, ძალიან მაღალი ტემპერატურა, ამინდის არასეზონური ცვლილებები და ინტენსიური და მკაცრი წვიმები, რაც, ბუნებრივია, მოქმედებს ადამიანთა საზოგადოებაზე და მათ ჯანმრთელობაზე არასასურველ ზეგავლენას ახდენს.

გარემოს ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურის პირობებში თქვენი ჯანმრთელობის დასაცავად მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

1. მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე.

გაფრთხილებთ: თუ იცავთ დიეტას, რომელიც ზღუდავს სითხის ჭარბად მიღებას, მაშინ აუცილებლად დააზუსტეთ თქვენს ექიმთან, რა რაოდენობამდე შეგიძლიათ გაზარდოთ სითხის მოხმარება.

და კიდევ, მოერიდეთ ალკოჰოლის მიღებას, რადგანაც ის ზღუდავს ორგანიზმის შეგუებას გარემო პირობებთან.

2. რამდენადმე უნდა გაზარდოთ მარილისა და მინერალების მოხმარება.

ორგანიზმიდან ოფლის ჭარბად გამოყოფას თან ახლავს მარილისა და მინერალების გამოყოფის გაზრდა; ამდენად, აუცილებელია დანაკარგის შევსება და რეკომენდებულია საკვებ რაციონში მათი შემცველობის გაზრდა. თუმცა, სხვადასხვა დაავადება ზღუდავს მარილის მოხმარებას, მაგ., ჰიპერტონია, თირკმლის ქრონიკული დაავადებები. ამ შემთხვევაში აუცილებელია მარილის მოხმარების ზღვრული დონე შეათანხმოთ თქვენს მკურნალ ექიმთან.

3. ატარეთ ზაფხულის შესაფერისი ნაჭრის სამოსელი - ნაჭერი უნდა იყოს მსუბუქი, ღია ფერის და თავისუფლად შეკერილი. ცხელ დღეებში გემოვნებით შერჩეული თავსაფარი ("შლიაპა") დაგეხმარებათ, დაიცვათ თავი გადახურებისაგან.

4. გამოიჩინეთ სიფრთხილე ცხელ გარემოში მუშაობისას.

თუ მაღალი ტემპერატურის პირობებში მუშაობისას შენიშნეთ, რომ სიცხე აუტანელი ხდება და თავს ვერ გრძნობთ კარგად, სასწრაფოდ შეწყვიტეთ ყოველგვარი აქტივობა, მიაშურეთ გრილ გარემოს ან ჩრდილს და ეცადეთ, მოეშვათ, დაისვენოთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგრძნობთ თავის ტკივილს, სისუსტეს ან გონების გაფანტვას.

5. შეეცადეთ, იყოთ გრილ გარემოში, გარემოში, რომლის კონდიცირება ხდება. თუ თქვენ ამის საშუალება არა გაქვთ, შეგიძლიათ რამდენიმე საათით მიაშუროთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, სადაც ტემპერატურის რეგულაცია ხერხდება.



*მოერიდეთ ალკოჰოლს, მიირთვით მაკარონი.*

6. გარემოში აქტივობისთვის ფრთხილად შეარჩიეთ დრო. თუ თქვენ იძულებული ხართ, დროის გარკვეული მონაკვეთი გაატაროთ ღია ცის ქვეშ (საველე მუშაობა და ა.შ.), ეცადეთ, თქვენი გარემოში აქტიურობა მოხდეს დილით ადრე ან საღამოს.

*დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი*

# რა დაავადებები გვემუქრება ზაფხულში

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პროგნოზით, 2002 წლის ზაფხულის თვეებისთვის მოიმატებს ცოფის, ჯილეხის, ლეიშმანიოზის და მალარიის შემთხვევები.

შარშან მალარიით დაავადების 437 შემთხვევა გამოვლინდა, წელს სპეციალისტები ამ ციფრის 700-მდე გაზრდას ვარაუდობენ. დაავადების გავრცელების განსაკუთრებით მაღალი რისკია ლაგოდეხის, სიღნაღის, გარდაბნის, დედოფლისწყაროს, მარნეულის რაიონებსა და ქალაქ რუსთავში.

პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა ანტიმალარიული პრეპარატები.

ლეიშმანიოზის დაავადების გავრცელების ყველაზე აქტიური ზონა ქვემო ქართლი და კახეთია, თბილისში კი ვაკე, მთაწმინდა და ორთაჭალა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცნობით, ზაფხულის ბოლოს, აგვისტოში ცხოველების ჯილეხით დაავადების და, შესაბამისად, ადამიანთა დასნებოვნების საფრთხე მოიმატებს. განსაკუთრებული რისკის ზონები აქაც ქვემო ქართლი და გარე კახეთია, ასევე წყალტუბოს, სამტრედიის და ზუგდიდის რაიონები.

საქართველოში ჯილეხის 1600-მდე კერა არსებობს. განსაკუთრებული რისკის ზონებია: ქვემო ქართლი, გარე კახეთი, წყალტუბოს, სამტრედიისა და ზუგდიდის რაიონები. ცხოველების ჯილეხით დაავადების ალბათობა აგვისტოში მატულობს. ჯილეხით დაავადებულთა უმრავლესობა, როგორც წესი, ავადმყოფი ცხოველების დაკვლა-გატყავებაში უშუალოდ მონაწილე პირები იქნებიან.

ზაფხულის პერიოდში ჩვეულებრივ იზრდება სხვადასხვა ცხოველების (განსაკუთრებით ძაღლების) მიერ ადამიანთა დაკბენის შემთხვევები. სპეციალისტების რჩევით, ცოფისა და ჯილეხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ცხოველების დროული აცრა.

# ჰიგიენის ისტორიიდან

## არც ისე უწყინარი ტამპონები

80-იანი წლების დასაწყისში მეცნიერებმა ტოქსიკური შოკის სინდრომის არანორმალური მატება შეამჩნიეს. ასეთ შოკს ძირითადად დამწვრობა იწვევს, მაგრამ 800 დაავადებულ ქალს, რომელთაგან 38 დაიღუპა, დამწვრობა არ ჰქონია. ისინი არც კატასტროფაში მოხვედრილან. თითოეული მათგანი ჰიგიენური ტამპონების RELE–ს (კორპორაცია Procter & Gamble) მომხმარებლები იყვნენ.

ყველაფერი კი 30-იან წლებში დაიწყო, როცა ამერიკელმა ექიმმა ერლემ ჰაასმა, ტამპონების გამოყენების უფლებაზე პატენტი მიიღო. ცოტა ხანში პატენტი გერტრუფს ტენდერიხმა, კომპანია "ტამპაქსის" ფუძემდებელმა შეიძინა. ტამპონების წარმოება ევროპაში დაიწყეს.

ჰიგიენური ტამპონების პირველი პარტია დიდი კომფორტულობით არ გამოირჩევა. ეს იყო დაპრესილი, ჩვეულებრივ სახვევში მოთავსებული ბამბა. მათ თოკიც არ ჰქონდა. იმისათვის, რომ ჰიგიენურ საშუალებათა "მამებს" კონკურენციისთვის გაეძლოთ, იძულებულები იყვნენ თავიანთი პროდუქციის სრულყოფაზე ეზრუნათ. ბამბა ვისკოზით შეცვალეს, მათ თოკიც და აპლიკატორიც გაუჩნდა. ზოგიერთი ტამპონი 6-საათიან "დატვირთვას" უძლებდა, შემდეგ - 12-საათიანს. სწორედ ეს გახდა ქალთა დაავადების მიზეზი. ორგანიზმში დიდხანს დაყოვნებული ტამპონი მიკრობების გავრცელების კერად იქცა.

სამწუხაროდ, ტოქსიკური შოკის პირველი სიმპტომები ჩვეულებრივ ინფექციურ დაავადებას ჰგავს. მდგომარეობა ჩვეულებრივ გაციებას მოგვაგონებს. მატულობს სხეულის ტემპერატურა, ადამიანი თავს სუსტად გრძნობს. მიკრობები ანთებით პროცესს არ იწვევს, მაგრამ ძლიერდება ტოქსინების მოქმედება, რომლებიც საშვილოსნოს გავლით ორგანიზმში ხვდება. სისუსტეს გულის რევა და თავბრუს ხვევაც ემატება, რაც ლეტალური შედეგით სრულდება.

ამის გამო ცნობილმა კომპანიამ ძლიერი აბსორბაციის მქონე ტამპონების გაყიდვა შეწყვიტა. დროთა განმავლობაში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტოქსინებს უხვად გამოყოფდნენ სტაფილოკოკები. ტოქსინები იოლად ხვდებიან სისხლში, რაც შოკს იწვევს. ამიტომ, ქალთა ჰიგიენური პროდუქციის მწარმოებლები შეთანხმდნენ, რომ ტამპონების აბსორვაციის სტანდარტი შეემუშავებინათ. ყოველ კოლოფზე გაჩნდა გამაფრთხილებელი წარწერა-ინფორმაცია, სადაც მითითებულია, რომ შოკის შემთხვევათა დიდი ნაწილი ქალებსა (მენსტრუაციის პერიოდში) და ბავშვებზე მოდის. ერთი წლის შემდეგ ტოქსიკური შოკის შემთხვევებმა ორჯერ იკლო. 1998 წელს მხოლოდ სამი შემთხვევა აღინიშნა. არც ერთი ქალი არ გარდაცვლილა.

"საშიში ტამპონების" ამბავმა კონკურენტი მწარმოებლების წისქვილზე დაასხა წყალი. ჰიგიენური საფენების მწარმოებლებმა თავიანთი პრივილეგია არაერთ სარეკლამო რგოლში აღნიშნეს. თუმცა ფაქტი ფაქტად დარჩა, რომ ნებისმიერი ჰიგიენური საშუალებების შეძენისას აუცილებელია, მათ ინსტრუქციასაც მივაქციოთ ყურადღება. გახსოვდეთ, ტოქსიკური შოკის სინდრომს შესაძლოა ლეტალური შედეგი ჰქონდეს. ასე რომ, თუ ტამპონების ხმარებისას თავი ცუდად იგრძენით – მოგემატათ სიცხე, გაქვთ გულის რევის შეგრძნება, სისუსტე, თავბრუსხვევა, კუნთების ტკივილი (მოკლედ, ადამიანად აღარ ვარგიხართ), სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს და კრიტიკულ დღეებში კომფორტულობას სხვა ალტერნატიული მეთოდით მიაღწიეთ.

## გთხოვთ, დაეხმაროთ



ჯაბა მურცხვალიძე დაავადებულია ჰიდროცეფალიით და ხანგრძლივ, ძვირადღირებულ მკურნალობას საჭიროებს. მოგმართავთ თხოვნით, რათა აღმოუჩინოთ დახმარება.

საბანკო ანგარიშია თბილისის გაერთიანებული ქართული ბანკის მე-3 ფილიალის 3/2 განყოფილება, კოდი № 220101665,

საკორესპონდენტო აგგ. № 600164765,

პირადი ანგარიშის № 711000997.

წინასწარ გიხდით მადლობას.

# საუბრები პაციენტის უფლებების შესახებ

## კანონი

2000 წლის 5 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი პაციენტის უფლებების შესახებ.

პაციენტის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული კანონის მომზადებასა და მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოქალაქეთათვის, თუმცა კანონის თავისთავად არსებობა და დაწერა არ ნიშნავს იმას, რომ ეს კანონი რეალურად დაცულია და ის აწესრიგებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გამოვლენილ პაციენტის უფლებების პრობლემებს. იმისათვის, რომ ის რეალურად ამოქმედდეს, მისი ახლოს გაცნობაა საჭირო. კანონმდებლობის რეალიზაციისთვის საჭიროა ელემენტარულად იცოდე, რა საკითხებს მოიცავს იგი. ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მუდმივ რუბრიკაში გამოქვეყნებული ინფორმაცია თანდათანობით ხელს შეუწყობს პაციენტის უფლებების შესახებ საკითხის პოპულარიზაციასა და შესაბამისად მომავალში კანონმდებლობის ამოქმედებას.

იმის გამო, რომ დღესდღეობით არ არსებობს ექიმის და პაციენტის ურთიერთობის თანამედროვე მოდელი და იმავდროულად არ არსებობს არავითარი ცოდნა ამ ურთიერთობის ეთიკური და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ, ( ეს საკითხი არ ისწავლებოდა სამედიცინო განათლების მიღების არცერთ საფეხურზე), ამ სფეროში დაგროვილი პრობლემები უამრავია და ყოველდღიურ ცხოვრებაში ექიმიც და პაციენტიც თავად აწესებს და თავად ცვლის ამ წესებს გარემოებებისდა შესაბამისად, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არასწორია და მოითხოვს წესრიგში მოყვანას. ვფიქრობთ, ამ საკითხების მოსაგვარებლად საჭიროა ვისაუბრ ოთ და ვიკამათოთ ღიად. პირველყოვლისა კი გავეცნოთ იმ კანონებს, რომლებიც უნდა აწესრიგებდეს ამ ურთიერთობებს. გთხოვთ აქტიურად ჩაერთოთ და გამოგვეხმაუროთ. დღეისათვის ვაქვეყნებთ ერთერთ მუხლთან დაკავშირებულ ახსნა განმარტებას პოპულარულ ენაზე. ვფიქრობთ, ამ ინფორმაციის გაცნობა საჭიროა როგორც ექიმისთვის, ასევე პაციენტისთვისაც მომავალში მათ შორის ურთიერთობის სწორი მოდელის ჩამოსაყალიბაბლად.

## რისი ცოდნის უფლება აქვს პაციენტს?

ზოგადად პასუხი ასეთია: პაციენტს უფლება აქვს იცოდეს ყველაფერი საკუთარ ჯანმრთელობასა და მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საკითხებზე, უფრო კონკრეტულად კი:

* რა სახის სადიაგნოზო თუ სამკურნალო მეთოდებს იყენებს ანუ რა რესურსებს ფლობს სამედიცინო დაწესებულება:

* რა ღირს სამედიცინო მომსახურეობა და როგორია გადახდის წესი.

* რა უფლებები და მოვალეობები აქვს პაციენტს დაწესებულების შინაგანაწესის მიხედვით. ( გაითვალისწინეთ, რომ შინაგანაწესი ვერ შეზღუდავს პაციენტის კანონით განსაზღვრულ უფლებებს).

* ვინ არის პაციენტის მკურნალი ექიმი, აქვს თუ არა მას საკმარისი გამოცდილება.

* რა მიზნით იგეგმება ესა თუ ის სამედიცინო ჩარევა, რა შედეგია მოსალოდნელი, რამდენად სარისკოა ეს ჩარევა პაციენტის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.

* არსებობს თუ არა მკურნალობის სხვა, ალტერნატიული მეთოდი, როგორია ამ მეთოდის მოსალოდნელი შედეგი და რა რისკი ახლავს მას.

* რა შედეგები იქნა მიღებული სამედიცინო გამოკვლევებით.

* როგორია დიაგნოზი და რას ნიშნავს ეს პაციენტისთვის( როგორია ავადმყოფობის გამოსავალი).

## ექიმები ხომ ხშირად ძნელად გასაგებ ენაზე საუბრობენ

ამ მოსაზრებას მართლაც აქვს საფუძველი. ექიმები ხშირად იყენებენ მათთვის ჩვეულ, პაციენტისთვის კი გაუგებარ ტერმინებს. იმის აღსაქმელად რაც ექიმებისთვის ცალსახად ნათელია, პაციენტს დამატებითი განმარტება და დრო სჭირდება.

კანონი ამბობს, რომ პაციენტისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები. ამავე დროს, ექიმმა უნდა გაითვალისწინოს პაციენტის აღქმის უნარი და თავი აარიდოს სპეციალური ტერმინების გამოყენებას. მოკლედ, ინფორმაცია ისე მარტივად და გასაგებად უნდა იყოს გამოთქმული, რომ პაციენტმა ნათლად აღიქვას ყველა ის დეტალი, რაც მის ჯანმრთელობასთან არის დაკავშირებული.

## შეუძლია თუ არა პაციენტს გაეცნოს ავადმყოფობის ისტორიას?

"ძველად"(სინამდვილეში კი სულ რამდენიმე წლის წინათ) პაციენტისათვის მისი ავადმყოფობის ისტორიის გაცნობა დაუშვებლად ითვლებოდა. ტრადიცია ასეთი იყო: "პაციენტს სამედიცინო ჩანაწერებთან არაფერი ესაქმება". ეს ტრადიცია გარკვეულწილად დღესაც დამკვიდრებულია, თუმცა კანონი საწინააღმდეგოს მოითხოვს. ისტორიის გაცნობა ხომ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი ფორმაა. ცხადია, ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება თავად წაიკითხოს რას წერენ მის შესახებ. პაციენტის უფლებების შესახებ კანონში ნათქვამია, რომ პაციენტს ან მის ნათესავს (თუ პაციენტი ბავშვია ან სხვა მიზეზის გამო ქმედითუუნაროა) უფლება აქვს გაეცნოს ავადმყოფობის ისტორიას. უფრო მეტიც, პაციენტს უფლება აქვს მოითხოვოს სამედიცინო ჩანაწერებში შესწორების შეტანა, თუ ის ფიქრობს, რომ მანამდე დაფიქსირებული ინფორმაცია არასწორია. ამასთან, პაციენტის ისტორიის ნებისმიერი ნაწილის ასლის მოთხოვნის უფლებაც აქვს. ამისთვის მხოლოდ განცხადებით მიმართვაა საჭირო.

*საქართველოს კანონი "პაციენტის უფლებების შესახებ"*
*გივი ჯავაშვილი გურამ კიკნაძე*

# მოურჩენელი ჭირის მალამო


ნუნისი - განახლებული კოტეჯები.

ნუნისის სამკურნალო წყლები ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნიდან არის ცნობილი. გასული საუკუნის დასაწყისში კი მისი კომპლექსური შესწავლა დაიწყო და საბოლოოდ დადგინდა, რომ კანის დაავადებების სამკურნალოდ ნუნისის წყალი საუკეთესო საშუალებაა. ამ მხრივ მას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. მართალია, ექიმები ამბობენ, რომ კანის დაავადებების საბოლოოდ განკურნება ჯერჯერობით შეუძლებელია, მაგრამ ნუნისის წყალი ასეთ შემთხვევაში ყველაზე ხანგრძლივი რემინსოს გარანტიაა: ადამიანი კლინიკურად ჯანმრთელად გრძნობს თავს და მას კანის სოკოვანი თუ სხვა სახის დაავადებები ხანგრძლივად აღარ აწუხებს. აი ის დაავადებებიც: ნეიროდერმიტი, ფსორიაზი, ეგზემა, ქავილი, ალერგია და სხვა. ამის გარდა, ნუნისის წყალი კარგად მოქმედებს პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე, რადიკულიტზე, შაკიკზე და სხვა.

საერთოდ, ნუნისის წყალს სილამაზის წყალსაც უწოდებენ, ვინაიდან იგი მთლიანად ასუფთავებს და ალამაზებს კანს. საუცხოოა პროფილაქტიკისთვის.

ომიანობის პერიოდში ნუნისიც გაპარტახდა, მაგრამ გამოჩნდა ხალხი, ვინც მოახდინა სამკურნალო კურორტის პრივატიზაცია და კეთილმოწყობის სამუშაოებიც დაიწყო. გაკეთდა ახალი საპროცედურო, სანიტარული წერტილები, ბარი, საბილიარდე, საქვაბე. შეიქმნა მკურნალობისა და დასვენების საუკეთესო პირობები. ერთი დღე-ღამის ფასი მომსახურების მთელი პაკეტით 23-დან 45 ლარამდე ღირს.

საგზურის მსურველებმა უნდა მიაკითხონ ფირმა "ნუნისს" თბილისში (22 69 15), სადაც მათ გასინჯავს ექიმი-დერმატოლოგი.

დამსვენებლებს მატარებლის სადგურ "მოლითიდან" ემსახურებათ უფასო ავტობუსი.

ადგილზე არიან ექიმები, ექთნები და სხვა მომსახურე პერსონალი, რომლებმაც მომსახურების სფეროში სპეციალური ტრენინგიც კი გაიარეს.

ასეა, მომსახურება ევროპული დონის იქნებაო, ამბობენ "ნუნისის" დამფუძნებლები.

სეზონი 1 ივლისიდან გაიხსნება და ოქტომბრამდე გასტანს.

## იუმორი

■ ■ ■

- დღეიდან თავი უნდა დაანებოთ დალევას, მოწევას, ქალებს...
- კი, მაგრამ ექიმო, მე ხომ მამაკაცი ვარ?
- შეგიძლიათ, წვერი გაიპარსოთ.

■ ■ ■

- რა გაწუხებთ?
- გაუთავებლად ველაპარაკები საკუთარ თავს..
- და სახლში პრობლემები შეგექმნათ?
- არა, მარტო ვცხოვრობ,
- მაშინ ილაპარაკე, რა გენაღვლება.
- აუ, მაგარი "ზანუდა" ვარ და ნერვები მეშლება.

■ ■ ■

- თქვენ ეწევით?
- არა.
- ცუდია, რომ ეწეოდეთ, აგიკრძალავდით და თავს უკეთესად იგრძნობდით.

■ ■ ■

- ექიმო, ჩემი ბუსჰალტერი თქვენთან ხომ არ არის?
- არა.
- მაშინ ოკულისტთან დამრჩებოდა.

■ ■ ■

- ჩემმა წამალმა გიშველათ?
- კი, როგორ არა, ბიძაჩემმა "პახმელიაზე" შემთხვევით დალია და მთელი ქონება დამიტოვა.

■ ■ ■

- სანერვიულო არაფერი გაქვთ, 80 წლამდე იცოცხლებთ.
- კი, მაგრამ 80-ის ხვალე ვხდები...
- ხომ ხედავთ რა სწორი დიაგნოზი დამისვავს.

■ ■ ■

- მარჯვენა ფეხმა ძალიან შემაწუხა, სულ მტკივა.
- ეგ ასაკის ბრალია.
- ვა, კიდევ კარგი მარცხენაც არ მტკივა, ესეც მაგის ტოლია.

■ ■ ■

- ექიმო ყურებზე კარტოფილი ამომივიდა,
- საოცარი შემთხვევაა..
- მართლაც საოცარია, მე ხომ ბოლოკი დავთესე.

■ ■ ■

- ყოველ დილით ადგომის შემდეგ ერთი საათის განმავლობაში თავბრუსხვევას ვგრძნობ.
- შენც ერთი საათით გვიან ადექი, შე კაი კაცო.

■ ■ ■

- ყოველდღე უნდა მიიღო სამი ჩაის კოვზი ეს წამალი.
- რა მეშველება, სახლში მარტო ორი ჩაის კოვზი მაქვს.

■ ■ ■

- ექიმო, უტვინოდ ცხოვრება რამდენ ხანს არის შესაძლებელი?
- თქვენ რამდენი წლის ბრძანდებით?!

■ ■ ■

- ქალო, ეს ბინ ლადენი მართლა რა ახვარი ვინმე ყოფილა...
- რა მოხდა?
- სამსახურში კონვერტით მივიღე თეთრი ფხვნილი...
- მერე?!
- გავიქეცი ექიმთან და... "ტრიპერი" არ არმომაჩნდა?!

■ ■ ■

- ააა!
- მოითმინეთ, პირის გაღება ჯერ არ მითხოვია.
- არა, უბრალოდ ექთანი დავინახე.

■ ■ ■

- ექიმო სადღაც რაღაც მტკივა.
- ახლავე გამოგიწერთ რაღაც წამლებს.

■ ■ ■

- ექიმო ვიცოცხლებ?
- თქვენ გინდათ მკითხოთ, არის თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ?

## მეოჯახე ცოლის მსხვერპლი



ამას წინათ დამწვრობის ცენტრში უკანალგამომწვარი და თავგატეხილი კაცი მიიყვანეს.

საცოდავს ასეთი უცნაური ტრავმა საკუთარ სახლში სრულიად უწყინარ ვითარებაში დამართნია. საქმე ისაა, რომ მის საყვარელ ცოლს იატაკი ბენზინით მოუხეხია და დარჩენილი საწვავი ტუალტში ჩაუსხამს.

ოჯახის უფროსი სახლში მთვრალი დაბრუნებულა, ტუალეტში შესულა და სრული კმაყოფილებისათვის სიგარეტიც გაუბოლებია. ცოტა ხნის შემდეგ კი ნამწვავი უნიტაზში ჩაუგდია. რამდენიმე წამში ტუალეტი აფეთქებულა და კაცს კარები თავით გამოუმტვრევია.

## ბავშვთა რეანიმაციაში



იაპონური გრანტის მიღების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფო დაათვალიერა და რეანიმაციაშიც შევიდა. მისი ყურადღება ახალ ბაროკამერაში მწოლარე ბავშვმა მიიქცია.

- ამას რა ჭირს? – ჩვეული გულისხმიერებით იკითხა პრეზიდენტმა და დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში განყოფილების გამგესგან ბავშვის ყველა ანალიზისა და კვლევის დეტალური პასუხი მიიღო, რაც ბავშვის გამოჯანმრთელების რეალურ სურათს ქმნიდა.

- არ მოკვდება? – ამოისუნთქა პრეზიდენტმა.

- როგორ გეკადრებათ, ბატონო პრეზიდენტო, ბავშვი აუცილებლად გადარჩება და ეს თქვენი დიდი დამსახურება იქნება, ვინაიდან თქვენი მსოფლიო ავტორიტეტის გამო გამოგვიგზავნეს იაპონელებმა ეს ახალი აპარატურა, რომელიც ბავშვის გადარჩენის საშუალებას გვაძლევს, ეს თქვენი...

- აბა, არ მოკვდება? – გაჟინიანდა პრეზიდენტის გულისხმიერება.

- არა, ბატონო პრეზიდენტო, მოკვდება კი არა, ამისგან გამოვა სასახელო... - სიტყვა არ დასცალდა გამგეს, ვინაიდან პრეზიდენტი მის ყურთან დაიხარა და ჩასჩურჩულა

- ბიჭო, მღვდელი!

- არა, ბატონო ედუარდ, ამ ბავშვს მღვდელი არ სჭირდება, ეს ბავშვი გადარჩება, ეს ბავშვი თქვენი გამოისობით გადარჩება...

- ბიჭო, მაგას არ გეუბნები, მღვდლისკენ ზურგით დგახარ და უხერხულია.

### ჩანართი მოამზადეს:

**ზაზა ფაჩუაშვილი**
მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა.
ნუ მიატოვებთ შვილებს.
სამედიცინო დაზღვევის წარმოშობა.
მოურჩენელი ჭირის მალამო.

**მაკა ჯაიანი**
საქართველო ყოველწლიურად 200-მდე სრულფასოვან მოქალაქეს კარგავს.
რას აუქმებენ სამედიცინო უნივერსიტეტში.
რა კავშირია კონტრაცეპტივს, კიბოსა და თამბაქოს შორის.

**ეთერ მამულაშვილი**
კლინიკა მათთვის, ვისაც პოლისი ერგო.
რა დაავადებები გვემუქრება ზაფხულში.
რატომ იკლო აცრების რაოდენობამ.
მორიგი სიახლე.

**თამარ მაისურაძე**
მორიგი საფრთხის წინაშე.
რას მკურნალობენ ინფექციურში უფასოდ.

**თიკო ცომაია**
საუბრები პაციენტის უფლებებზე.

**ქეთი ქადაგიშვილი**
სინჯარაში ტყუპები ისახებიან.

**ირმა კახურაშვილი**
ლიზის გაუტკივარება მოწონებია.
არც ისე უწყინარი ტამპონები.

**ნოდარ ებრალიძე**
ცხენოსნობის ეროვნული სახეობები თამაში არ არის.

**ეკატერინე ბახუტაშვილი**
გათხოვილების კვლევა.
ახალი პრეპარატი.

## ამბები

## რატომ იკლო აცრების რაოდენობამ?

ინფექციური საავადმყოფოს სტატისტიკური მონაცემებით, მიმდინარე წელს, მაისი ჩათვლით B ჰეპატიტის 135 შემთხვევაა რეგისტრირებული.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცნობით უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ამ ციფრის მკვეთრი ზრდა. ცენტრის უფროსის პაატა იმნაძის განცხადებით ამის ერთ-ერთი მიზეზი, მოსახლეობის და პედიატრთა გარკვეული ნაწილის, ანტიაცრებითი განწყობაა. " მე-18 საუკუნეში როდესაც ჯენერმა ყვავილის ვაქცინა გამოიგონა, მისი ოპონენტები ამტკიცებდნენ, თითქოს აცრის შემდეგ ადამიანს უჩნდებოდა ჩლიქები და ამოსდიოდა რქები. დაახლოებით ეს მენტალიტეტია დღემდე შემორჩენილი ჩვენში. სამწუხაროდ ზოგიერთი მედიკოსის მხრიდან აცრების უგულებელყოფამ, დიდი გავლენა იქონია მოსახლეობაზე."

შარშან B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის სრული კურსი 100.000 პაციენტმა გაიარა. პაატა იმნაძის განცხადებით წელს, მათი რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

"ოფიციალური ციფრები თვის ბოლოს იქნება ცნობილი, ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ პერსონალური მონაცემები გვაქვს და მათი გასულ წლებთან შედარებამ, სხვაობა ძალიან დიდი გვიჩვენა. სამწუხაროა, მაგრამ რეალობა, როგორც კი იკლებს აცრების რაოდენობა, ავტომატურად იწვევს ეპიდაფეთქებების შემთხვევები."

## მოსალოდნელი სიახლე

2000 წლის გაზაფხულიდან საქართველოში მიმდინარეობს B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. იმის გამო, რომ ვაქცინა ღირს ძალინ ძვირი, სახელმწიფო მხოლოდ ერთ წლამდე ასაკის ბავშვების აცრებს აფინანსებს. ეს კატეგორია მუდმივად იმყოფება დაავადების მაღალი რისკის ქვეშ. მათ შემდეგ მოყვება 13-14 წლიანების, მოზრდილთა ჯგუფი. ამ უკანასკნელთა უფასო აცრები, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცნობით, მიმდინარე წლის შემოდგომიდან დაიწყება.

## ახალი პრეპარატი

სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში", ლატვიის აკადემიის აკადემიკოსმა, პროფესორმა, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორმა ივარ კალვინშმ 200-მდე ქართველ კოლეგას მის მიერ შექმნილი პრეპარატი "მილდრონატი" წარუდგინა. კონფერენციაზე გაანალიზდა თბილისის 2 კლინიკაში ჩატარებული შედეგები, სადაც აღნიშნულ პრეპარატზე კლინიკური კვლევები განხორციელდა. თერაპიის ეროვნული ცენტრის კარდიოლოგიისა და კლინიკური ფარმაკოლოგიის განყოფილებაში პროფესორ ვახტანგ ჭუმბურიძესთან და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დროს თსსუ-ის შინაგან დაავადებათა კათედრაზე პროფესორ ნოდარ ემუხვართან პრეპარატის აპრობაცია 30-30 პაციენტზე 3-3 თვის განმავლობაში ხორციელდებოდა. მისი გამოყენების შედეგად მიოკარდიუმის ინფარქტის დროს შემცირდა სიკვდილიანობის პროცენტი, გაუმჯობესდა ფიზიკური დატვირთვის მიმართ ტოლერანტობა, გულის უკმარისობის დროს გაუმჯობესდა სისტოლური მოცულობა და პერიფერიული არტერიების შეკუმშვის ხარისხი.

## გათხოვილების კვლევა

აშშ-ს ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის დაფინანსებით დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებმა, სამედიცინო დარგის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებთან ერთად საქართველოში ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა განახორციელეს, რომლის დროსაც გამოკითხვა ჩაუტარდა 15-44 წლის ჩათვლით ასაკის 1500 ქალს.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში გვაცნობეს, რომ აღნიშნული კონტიგენტიდან 1000 ქალი გამოიკითხა თბილისში, ხოლო დანარჩენი ქვეყნის რეგიონებში. იგი 1999 წლის ნოემბერში დაიწყო და ახლახანს დასრულდა. კვლევას ცენტრის 20-მდე თანამშრომელი და 20 სხვადასხვა სამედიცინო დაწესწბულების სპეციალისტი ახორციელებდა. მასალის პირველადი შედეგების დამუშავების შემდეგ მონაცემები საბოლოო დამუშავებისათვის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში გაიგზავნება. კვლევა შექმნის სრულ სურათს საქართველოში ქალთა რეპროდუქციული ცხოვრების შესახებ.

ანალოგიური კვლევა ქვეყანაში 1999-2000 წელსაც განხორციელდა და მასში 13 ათასი ქალი მონაწილეობდა. წინა გამოკითხვისაგან განსხვავებით, ბოლო გამოკითხვაში მხოლოდ გათხოვილი ქალები მონაწილეობდნენ.

## უცხოეთი

## ინსულინის ინგალატორი

სამედიცინო ფირმებმა "პლაიზერმა" და "ავენტისმა" ერთობლივად შეიმუშავეს ინსულინის ინგალატორი, რომელიც ინსულინის ინექციას ცვლის. დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ინსულინის ინგალატორით შესუნთქვა სისხლში შაქრის შემცველობას ჩვეულებრივ არეგულირებს. ამჟამად მიმდინარეობს ინსულინის ფხვნილის გამოცდა ხანგრძლივი ვადით შენახვაზე და თუ დადებითი შედეგი დაფიქსირდა, დიაბეტით დაავადებილებს ნემსის ჩხვლეტა აღარ მოუწევთ.

## ორიგინალური ხელსაწყო

შოტლანდიელმა მეცნიერებმა დანდის უნივერსიტეტიდან შემოიტანეს ორიგინალური ხელსაწყო, რომელიც მკერდის სიმსივნისდიაგნოზს რამდენიმე წუთში სვამს. საგულისხმო ისაა, რომ ჯანმრტელი და სნეული ქალების შედარების საფუძველზე სიმსივნის გამოვლენა ადრეულ სტადიაში შეუძლია.

## სიკვდილი სტომატოლოგიურ კაბინეტში

პარასკევს პრაღის ცენტრში ეჩნას ქუჩაზე მდებარე სტომატოლოგიურ კაბინეტში 4 სროლის ხვა გაისმა. როგორც გაიკვა, ერთ-ერთ კაბინეტში პაციენტმა თავისი კბილის ექიმი მოკლა. ტრაგედიის მიზეზი უცნობია.

ჩეხეთის სტომატოლოგიური პალატის პრეზიდენტმა ირჟი პეკარეკმა კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ექიმებზე თავდასხმის პირველი შემთხვევაა.

## სასამართლო ლიბიაში

4 ივნისს ლიბიაში განახლდა სასამართლო 2 ექიმის (პალესტინელი და ბულგარელი) ექიმისა და 5 ბულგარელი ექთნის წინააღმდეგ, რომელთაც 1999 წელს ლიბიაში ალ-ფატეის კლინიკაში 400 ბავშვს შიდსის ვირუსი შეუყვანეს (მათგან 23 უკვე დაიღუპა). ეს ექიმები ლიბიის წინააღმდეგ შეთქმულებაში ადრეც ამხილეს, მაგრამ მაშინ დანაშაული ვერ დაუმტკიცეს. ახლა კი მათ სიკვდილით დასჯა ემუქრებათ.

## მომღიმარი მოხუცი

110 წლის ინდოელი მოხუცი ბალდევი ბოლო პერიოდის განმავლობაში სულ იკრიჭება. მიზეზი კი ისაა, რომ მას მოულოდნელად ორი ახალი კბილი ამოუვიდა. ექიმების აზრით სასწაული განაპირობა მოხუცის ჯანსაღი ცხოვრების წესმა.